

ISSN 1987-5789

ეკონომიკა და ბიზნესი



ECONOMICS and BUSINESS
ЭКОНОМИКА и БИЗНЕС

სექტემბერი-ოქტომბერი
SEPTEMBER-OCTOBER
СЕНТЯБЬ-ОКТЯБРЬ

2012

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და პიზნის ფაკულტეტის საერთაშორისო რეფერირებალი
და რევენგირებალი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

International refereed and reviewed scientific and practical journal
of the Faculty of Economics and Business,
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Международный реферируемый и рецензируемый научно-
практический журнал факультета Экономики и Бизнеса
Тбилисского государственного университета имени Ив.
Джавахишвили



გამოდის 2008 წლის იანვრიდან, ორ თვეში ერთხელ
Published since January, 2008 once in two month
Выходит с Января 2008 года раз в два месяца

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ., №1,
თსუ მაღლივი კორპუსი, მე-13 ხართ., ტელ. 230-36-68, 599-10-38-16
e-mail: ebf.journal@tsu.ge

სარედაქციო კოლეგია

რევამ გოგოხია – მთავარი რედაქტორი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტები, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები: **ვლადიმერ პაპავა**, **ავთანდილ სილაგაძე**, **ლეო ჩიქავა**.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: **იური ანანიაშვილი**, **რამაზ აბესაძე**, **სიმონ გელაშვილი**, **რევამ გველესიანი**, **ნუგზარ თოდუა**, **ირაკლი კოვზანაძე**, **ეკა ლეკაშვილი**, **მურთაზ მაღრაძე**, **ზაია მარგველაშვილი**, **ქეთევან მარშავა**, **ელგუჯა მექვაბიშვილი**, **იაკობ მესხია**, **ნუგზარ პაიჭაძე**, **სერგო სანაძე**, **მურმან გურაფა**, **მირიან გუხაშვილი**, **ეთერ ხარაიშვილი**, **ელენე ხარაბაძე**, **რომან ხარბედია**, **ნოდარ ხადური**, **აკაკი ხელაძე**, **თემურ შენგელია**, **ემზარ ჯგერენაია**.

EDITORIAL BOARD

Revaz Gogokhia – Editor-in-chief Doctor of Economic sciences, professor.

Corresponding members of Georgian National Academy of Sciences, doctors of Economic Sciences: **Vladimer Papava**, **Avtandil Silagadze**, **Leo Chikava**.

Doctors of Economic Sciences, professors: **Iuri Ananiashvili**, **Ramaz Abesadze**, **Simon Gelashvili**, **Revaz Gvelesiani**, **Nugzar Todua**, **Irakli Kovsanadze**, **Eka Lekashvili**, **Murtaz Magradze**, **Maya Margvelashvili**, **Ketevan Marshava**, **Elguja Mekvabiishvili**, **Iakob Meskhia**, **Nugzar Paichadze**, **Sergo Sanadze**, **Murman Turava**, **Mirian Tukhashvili**, **Eter Kharaiashvili**, **Elene Kharabadze**, **Roman Kharbedia**, **Nodar Khaduri**, **Akaki Kheladze**, **Temur Shengelia**, **Emzar Jgerenaia**.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Реваз Гогохия – главный редактор, доктор экономических наук, профессор.

Члены-корреспонденты Национальной Академии наук Грузии – **Владимер Папавა**, **Автандил Силагадзе**, **Лео Чикава**.

Доктора экономических наук, профессора: **Юрий Ананиашвили**, **Рамаз Абесадзе**, **Симон Гелашвили**, **Реваз Гвелესиანი**, **Нугзар Тодуа**, **Ираклий Ковзанадзе**, **Ека Лекашвили**, **Муртаз Маградзе**, **Майя Маргвелашвили**, **Кетеван Маршава**, **Злгуджа Мекვაбишвили**, **Якоб Месхия**, **Нугзар Пайчадзе**, **Серго Санадзе**, **Мурман Турава**, **Мириан Тухашвили**, **Етер Хараишвили**, **Элене Харабадзе**, **Роман Харбедия**, **Нодар Хадური**, **Акаки Хеладзе**, **Темур Шенгелия**, **Эмзар Джгеренаия**.

სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები.

ვოლფგანგ ვენგი – ბერლინის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორი, ჰარალდ კუნცი – ბრანდერბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის გამგე, კიმ ტაქსირი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ჯოზეფ ხასიდი – პირეუსის (საბერძნეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, ტომას ჰალდმა – ტარტუს (ესტონეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD OF ECONOMICS:

Wolfgang Weng – Professor at Berlin University (Germany), Harald Kunz – Head of department of Economic theory at Branderburg University (Germany), Kim Taksir – Academician of Russian Academy of Sciences, Joseph Hassid - Dean of the Faculty of Economics Piraeus University (Greece), Professor, Toomas Haldma – Tartu University’s Dean Faculty of Economics and Business Administration, professor (Estonia).

ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:

Волфганг Венг - Профессор Берлинского Университета (Германия), Кунц Гаралд – зав. кафедрой экономической теории Брандербургского Университета (Германия), Ким Таксир – Академик Российской Академии Наук, Джозеф Хассид – декан экономического факультета Пирейского Университета (Греция), Тоомас Халдма - декан факультета экономики и администрирования бизнеса Университета Тарту (Эстония), профессор.

შინაარსი

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

ნოღარ ხაღური, ნაზირა კაკულია. ქართული სამეცნიერო ეკონომიკური სკოლის საერთაშორისო აღიარება	10
მურმან ტარციძე. ხელფასი და მასზე მოქმედი ფაქტორები თანამედროვე შრომის ბაზრის პირობებში	45
ლია სპანიძე. პოლიტიკური ფსიქოლოგიის როლი და მნიშვნელობა პოლიტიკურ ქცევაში	65

მიკრო-მაკროეკონომიკა

აპაკი ბაბუღია. საგადასახადო დატვირთვის ოპტიმალური დონის განსაზღვრის პრობლემა ლაფერის „არაკლასიკური“ თეორიის ბაზაზე	77
ურა გომიშვილი. სოციალური დაცვის ევროპული მოდელები	87
ღამით ნერბაძე. მინერალური წყლის რესურსები საქართველოში	107
თამარ კბილაძე. საქართველოს ეკონომიკა საგადასახადო რეფორმის პირობებში	119

მენეჯმენტი. მარკეტინგი. ტურიზმი

იზა ბიბაური. მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობა	127
სოფიკო ჯვარციანი. ინვესტიციები საქართველოს ტურიზმში: რეალობა და პერსპექტივები	137

ირინა ჯელია. თბილისის სამშენებლო კომპლექსის კლასტერიზაცია და კომპანია „ჭაიდელბერგცემენტის“, ადგილი მასში 149

ფინანსები და საბანკო საქმე

ბიორგი სიმბოვანი, მრეკლე პირველი. კორპორაციის პოლიტიკური პასუხისმგებლობა და მისი გავლენა კომპანიების ფინანსურ მაჩვენებლებზე (ქართული სადაზღვევო სექტორის მაგალითზე) 157

ქეთევან ღუღუშაური. კომერციული ბანკის აუდიტის სრულყოფის მიმართულებები 183

ახალი წიგნები: როგორია პროფესიონალ რევენგენტთა აზრი?

რობან ბოსნიძე, ევგენი ბარათაშვილი, სიმონ გელაშვილი, რეზო მანველიძე. საინტერესო და აქტუალური ნაშრომი საერთაშორისო მენეჯმენტში 191

სახელოვან ალამიანთა ბაღერა

ღვაწლმოსილი

პავლე გარუჩავა

 196

ხსოვნა ნათელი

მურმან ტურავა

 198

CONTENTS

ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

NODARKHADUEI, NAZIRAKAKULIA. International Recognition of Georgian Scientific Economic School	10
MURMAN TSARTSIDZE. Salary and its Influencing Factors in Terms of Contemporary Labour Market Conditions	45
LIA SVANIDZE. The Role and Importance of Political Psychology in Political Activities	65

MICRO-MACROECONOMICS

AKAKI GABELIA. The Issue of Determining Optimal Tax Burden on the Basis of Lafer's "Nonclassical" Theory	77
UCHA GOGISHVILI. European Models of Social Defense	87
DAVIT NERGADZE. Mineral Water Resources in Georgia	107
TAMAR KBILADZE. Economy of Georgia in Terms of Tax Reform	119

MANAGEMENT. MARKETING. TOURISM

IZA GIGAURI. Social Responsibility of Marketing	127
SOFIKO DZHVARSHVILI Investments in Tourism Sector of Georgia: Reality and Perspectives	137
IRINA JELIA. Clustering of Tbilisi Construction Complex and the Position of HeidelbergCement in the Cluster	149

FINANCE AND BANKING

GIORGI KHISHTOVANI, EREKLE PIRVELI. Corporate Political Responsibility (CPR) and its Impact on a Firm's Financial Performance – Case of Georgian Insurance Sector 157

KETEVAN GUDUSHAURI. Basic Directions of Improving Audit of Commercial Banks 183

NEW BOOKS:

THE VIEWS OF PROFESSIONAL REVIEWERS

ROMAN GOCIRIDZE, EVGENI BARATASHVILI, SIMON GELASHVILI, REZO MANVELIDZE. An interesting and actual work in International Management191

GALLERY OF FAMOUS PEOPLE

Meritorious	Pavle Garuchava196
Bright Memory	Murman Turava198

СОДЕРЖАНИЕ

ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА

НОДАР ХАДУРИ, НАЗИРА КАКУЛИЯ. Международное признание грузинской научной экономической школы	10
МУРМАН ЦАРЦИДЗЕ. Зарплата и действующие на нее факторы в условиях современного рынка труда	45
ЛИЯ СВАНИДЗЕ. Роль и значение политической психологии в политическом действии	65

МИКРО-МАКРОЭКОНОМИКА

АКАКИЙ ГАБЕЛАЯ. Проблема определения тяжести налогового обложения на базе „неклассической“ теории Лаффера	77
УЧА ГОГИШВИЛИ. Европейские модели социальной защиты	87
ДАВИД НЕРГАДЗЕ. Ресурсы минеральной воды Грузии	107
ТАМАР КБИЛАДЗЕ. Экономика Грузии в условиях налоговой реформы	119

МЕНЕДЖМЕНТ. МАРКЕТИНГ. ТУРИЗМ

ИЗА ГИГАУРИ. Социальная ответственность маркетинга ...	127
СОФИКО ДЖВАРШЕЙШВИЛИ. Инвестиции в туризме Грузии: реальность и перспективы	137
ИРИНА ДЖЕЛИЯ. Кластеризация строительного комплекса Тбилиси и место в ней компании „Гайдербергцемента“	149

ФИНАНСЫ И БАНКОВСКОЕ ДЕЛО

ГЕОРГИИ ХИШТОВАНИ, ЭРЕКЛЕ ПИРВЕЛИ. Политическая ответственность корпорации и ее влияние на финансовые показатели компании (на примере страхового сектора Грузии) ...157
КЕТЕВАН ГУДУШАУРИ. Направления улучшения аудита коммерческого банка 183

НОВЫЕ КНИГИ: КАКОВО МНЕНИЕ ПРОФЕССИОНАЛОВ - РЕЦЕНЗЕНТОВ?

РОМАН ГОЦИРИДЗЕ, ЕВГЕНИЙ БАРАТАШВИЛИ, СИМОН ГЕЛАШВИЛИ, РЕЗО МАНВЕЛИДЗЕ. Интересный и актуальный труд по международному менеджменту 191

ГАЛЕРЕЯ ПРОСЛАВЛЕННЫХ ЛЮДЕЙ

ЗАСЛУЖЕННЫЙ	ПАВЕЛ ГАРУЧАВА 196
СВЕТЛАЯ ПАМЯТЬ	МУРМАН ТУРАВА198

**ქართული სამეცნიერო ეკონომიკური
სკოლის საერთაშორისო აღიარება**

ნოზარ ხაღური

**ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის სრული პროფესორი,
ნაშობა კაკულია
ასოცირებული პროფესორი**

თანამედროვე ქართული ეკონომიკური სკოლის სათავეებთან იდგნენ ცნობილი ეკონომისტები პროფესორი ფილიპე გოგიანიშვილი და აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი. ქართული ეკონომიკური სკოლის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს აკადემიკოსებმა ვასილ ჩანტლაძემ, ირაკლი მიქელაძემ, ავთანდილ გუნიამ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვალერიან მელქაძემ, რომელთა გვერდით წარმატებით მოღვაწეობდნენ სხვა ცნობილი ქართველი ეკონომისტები. მაგრამ, უმთავრესი ბარიერი, რაც აფერხებდა ქართული ეკონომიკური სკოლის სრულფასოვან განვითარებას, იყო ის, რომ ჯერ ერთი, საქართველო არ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო, და მეორე, საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკებისათვის ხელოვნურად თავსმობვეული იყო მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია, რაც არსებითად ზღუდავდა ეროვნული ეკონომიკური აზრის სრულფასოვან განვითარებას. თუმცა, მოდემერო პერიოდში, როცა ქართული ეკონომიკური სკოლა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისაგან განთავისუფლდა, გარკვეულ იზოლაციასა და “კარნაკტილობის” სინდრომის ტყვეობაში აღმოჩნდა. პოლიტიკური და იდეოლოგიური მიზეზების გამო ძველი, ყოფილი საბჭოთა სამეცნიერო სივრცე ნაკლებად მიმზიდველი იყო, ხოლო დასავლური სამეცნიერო წრეები გარდამავალი ეკონომიკისადმი ზოგადად, და მით

უფრო საქართველოს ეკონომიკისადმი, დიდ ყურადღებას არ ავღენდნენ.

სამწუხაროდეს ტენდენცია დღემდე სრულად დაძღეუღი არ არის, რასაც მსოფლიო სამეცნიერო წრეებში ქართველ მეცნიერ ეკონომისტთა ნაკლებ ცნობადობა მოწმობს.

ამ ჩაკეტილი სივრცის გარღვევის რეალურად ერთადერთი ინდიკატორი ქართველ მეცნიერთა შრომების საზღვარგარეთულ გამოცემებში ციტირებაა. ამ მიმართულებით ქართული სამეცნიერო სკოლების ნაწილს (მათ შორის, ალბათ, უპირველეს ყოვლისა, ზუსტ, საბუნებისმეტყველო და ადამიანის შემსწავლელ მეცნიერებებში) პრობლემა არც საბჭოთა პერიოდში და არც მის შემდეგ არ ჰქონია, თუმცა, ეკონომიკური სკოლა, ეკონომიკური მეცნიერება, ამ მხრივაც მოწინავეთა რიგებში არ არის. იშვიათია ქართველი მეცნიერ-ეკონომისტი, რომლის ნაშრომები ციტირებულია როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის, ასევე დასავლურ ან აზიურ მაღალრეიტინგულ (ე.წ. იმპაქტ-ფაქტორიან) სამეცნიერო ჟურნალებსა და მონოგრაფიებში.

ასეთ ვითარებაში აშკარად გამოკვეთილი და საერთო ფონისაგან განსხვავებულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვლადიმერ (ლადო) პაპავას ნაშრომები, რომელთა ციტირება აქტიურად ხდება როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის, ასევე აშშ-ის, ევროპის ქვეყნების, ჩინეთის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების ცნობილი ეკონომისტების მიერ.

ბატონი ლადო პაპავა 300-ზე ნაშრომის, მათ შორის 20-მდე მონოგრაფიის ავტორია, მისი წიგნები და სტატიები საქართველოს გარდა, იბეჭდება აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, რუსეთში, შვედეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში, იტალიაში, საბერძნეთში, ჩინეთში, თურქეთში, უკრაინასა და აზერბაიჯანში.

გარდა წმინდა თეორიული კვლევებისა, რამაც პროფესორ ლადო პაპავას საერთაშორისო აღიარება მოუტანა (მაგალითად, წარმოების ფაქტორების, ეკონომიკაში ადამიანისეული ფაქტორის, გადასახადების თეორიის და სხვ.), მისი ნაშრომები ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის, საქართველოს ეკონომიკის შესახებ ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობს უცხოურ გამოცემებსა და უცხოელ მკვლევართა შორის. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ბატონი ლადო უშუალოდ მონაწილეობდა საქართველოში პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის, მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევისა და ეკონომიკის რეფორმირების პროცესში, როგორც საქართველოს ეკონომიკის მინისტრი (1994-2000 წლები). სწორედ მისი უშუალო მონაწილეობით მოხდა საქართველოში ჰიპერინფლაციის მოთოკვა, ეროვნული ვალუტა ლარის შემოღება, ეკონომიკური ზრდის მიღწევა, პრივატიზაცია, ფასების (მათ შორის პურის) რეფორმა და სხვა.

სწორედ ეს განაპირობებს, რომ ბატონო ლადო პაპავას მიერ უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში შექმნილი 140-ზე მეტი ნაშრომი 422-ჯერაა ციტირებული, საშუალოდ წელიწადში – 18,35-ჯერ; პროფესორ პაპავას h-ინდექსი უდრის 9-ს, ხოლო g-ინდექსი კი – 14-ს¹. ამგვარი მონაცემი არა თუ სხვა ქართველ ეკონომისტებს, არამედ ზოგადად ქართველ მეცნიერებს არც თუ ხშირად აქვთ.

განვიხილოთ საზღვარგარეთ გამოქვეყნებულ უცხოელ ავტორთა² ზოგიერთ ხელმისაწვდომ ნაშრომში პროფესორ ვლადიმერ პაპავას წიგნებსა თუ სტატიებზე არსებული მითითებები.

¹ მონაცემები აღებულია 2012 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, ციტირების ცნობილი სიტემის “Publish or Perish 3”-დან (იხილეთ, http://www.harzing.com/pop.htm?source=pop_3.5.4395).

² წინამდებარე სტატიის მიზნიდან გამომდინარე, მასში ქართველ ავტორთა ნაშრომებში პროფესორ პაპავას წიგნებსა თუ სტატიებზე მითითები არ არის განხილული.

პირველი საერთაშორისო აღიარება ბატონ ლადოს მოუტანმა მისმა ნაშრომმა “A New View of the Economic Ability of the Government: Egalitarian Goods and GNP”, რომელიც 1993 წელს გამოქვეყნდა დიდ ბრიტანეთში ჟურნალ “*International Journal of Social Economics*”-ში (ტომი 20, No. 8). მასში პირველად ეკონომიკურ მეცნიერებაში წამოყენებული და დასაბუთებულია სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის, როგორც წარმოების ერთ-ერთი ფაქტორის შესახებ მოსაზრება. სწორედ აღნიშნული ნაშრომზე დაყრდნობით დიდ ბრიტანეთში გამოცემული გამოყენებითი ეკონომიკის შესავალი კურსი (მეშვიდე გამოცემა) (Alan Griffiths, and Stuart Wall. *Applied Economics, An Introductory Course*. Seventh edition. London: Longman, 1997) სტუდენტებს წარმოების მესამე ფაქტორის შესახებ პაპავს მოსაზრებას აცნობს. პროფესორ პაპავას მოსაზრებაზე დაყრდნობით დასაბუთებულია, რომ ეროვნული ანგარიშების სისტემის ცვლილება ერთობლივი ეროვნული შემოსავლის 30%-ით ზრდას იწვევს, რადგან სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი განიხილება, როგორც “წარმოების ფაქტორი”, რომელიც ხელს უწყობს როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური კეთილდღეობის ზრდას.

გარდა ამისა, ლადო პაპავას ნაშრომები ხშირად ციტირებულია, როგორც ახალი ტერმინების, განმარტებების პირველწყარო. ასე, მაგალითად, ნაშრომში *Syria's Economy and the Transition Paradigm* (სირიის ეკონომიკა და გარდამავალი პერიოდის პარადიგმები), რომლის ავტორებიც არიან სამერ ებოუდი და ფერდინანდ არსლანიანი (Samer Abboud and Ferdinand Arslanian) და გამოქვეყნდა დიდ ბრიტანეთში, წმინდა ენდრიუსის უნივერსიტეტის სირიის კვლევების ცენტრში (University of St Andrews Center for Syrian Studies) 2009 წელს, არის ქვეთავი „რა არის ტრანსფორმაცია“ (გარდამავალი პერიოდი), რომელშიც მითითებულია ბ-ნ ლადო პაპავას კვლევები, კერძოდ, ნაშრომში ვკითხულობთ: (გვ. 5): “...გარდამავალი

პერიოდის ეკონომიკის განმარტების ჩამოყალიბების სირთულე შეჯამებულია პაპავას (2005¹) მიერ, რომელმაც ამ საკითხზე გამოსცა მრავალი ლიტერატურა რუსულ ენაზე. პაპავა განმარტავს გარდამავალ პერიოდს, როგორც დროის იმ მონაკვეთს, როცა უნდა გაკეთდეს გარკვეული ისტორიული არჩევანი (იქვე)”.
ბატონი ლადოს შრომებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ტრანზიტოლოგიას პოსტკომუნისტურ ტრანსფორმაციას, რასაც როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მით უფრო, რომ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესი საქართველოში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უშუალოდ მისი მონაწილეობით მიმდინარეობდა. ამდენად, გასაკვირი არაა, რომ უცხოელი ავტორების განსაკუთრებული ყურადღებას სწორედ მისი კვლევის ეს მიმართულება იწვევს.

რაჯი მატშედიშო (Raji Matshedisho), რომელიც ქეიფთაუნის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორის კანდიდატი და ვიტსვოტერსრენდის (Witswatersrand) (სამხრეთ აფრიკა) უნივერსიტეტის სოციოლოგიის დეპარტამენტის ლექტორია, თავის სტატიაში “განვითარება და მშვიდობა აფრიკაში” (Development and Peace in Africa), რომელიც ჟურნალ “*African Journal of International Affairs*” (ტომი 8, No. 1&2, 2005, გვ. 105-121), ორჯერ იყენებს ვ. პაპავას სტატიას (Papava V., On the Theory of Post-Communist Transition to Market. *International Journal of Social Economics*, Vol. 32, No. 1/2, pp. 77-97). 117-ე გვერდზე, სადაც მსჯელობაა ცივი ომის შედეგებზე აფრიკის კონტინენტისათვის და 121-ე გვერდზე, სადაც ავტორი ასაბუთებს, რომ ცივი ომის დასრულებამ გააღრმავა ეკონომიკური კრიზისი აფრიკაში

რაჯი მატშედიშო (Raji Matshedisho), რომელიც ქეიფთაუნის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორის კანდიდატი და ვიტსვოტერსრენდის (Witswatersrand) (სამხრეთ აფრიკა) უნივერსიტეტის სოციოლოგიის დეპარტამენტის ლექტორია, თავის სტატიაში “განვითარება და მშვიდობა აფრიკაში” (Development and Peace in Africa), რომელიც ჟურნალ “*African Journal of International Affairs*” (ტომი 8, No. 1&2, 2005, გვ. 105-121), ორჯერ იყენებს ვ. პაპავას სტატიას (Papava V., On the Theory of Post-Communist Transition to Market. *International Journal of Social Economics*, Vol. 32, No. 1/2, pp. 77-97). 117-ე გვერდზე, სადაც მსჯელობაა ცივი ომის შედეგებზე აფრიკის კონტინენტისათვის და 121-ე გვერდზე, სადაც ავტორი ასაბუთებს, რომ ცივი ომის დასრულებამ გააღრმავა ეკონომიკური კრიზისი აფრიკაში

¹ ნაშრომის ბოლოს მითითებულია ვლადიმერ პაპავას 2005 წელს დიდ ბრიტანეთში გამოცემული სტატია „პოსტკომუნისტური ეკონომიკის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორია“ (Papava, Vladimir. (2005). “On the Theory of Post-Communist Economic Transition to Market.” *International Journal of Social Economics*, 32, (1/2), pp.77-97).

და შეასუსტა პოლიტიკური ინსტიტუტები. რ. მატშედიშო აღნიშნავს, რომ პოსტკომუნისტურმა ქვეყნებმა შეძლეს, ხოლო აფრიკა ჩამორჩა ნეკროეკონომიკიდან ვიტაეკონომიკისაკენ გადასვლის პროცესში. თავის მოსაზრებას იგი სწორედ ვ. პაპავას მიერ ჩამოყალიბებული თეორიით ასაბუთებს.

ზლადკო ნედელკო (Zlatko Nedelko, მარიბორის უნივერსიტეტი. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, მარიბორი, სლოვენია) თავის სტატიის «The Role of Management in Transition Organizations» (მენეჯმენტის მნიშვნელობა გარდამავალ ორგანიზაციებში), ქვეთავში „როგორ გვესმის გარდამავალი პერიოდი“, ოთხჯერ უთითებს ვ. პაპავას ზემოხსენებულ სტატიას.

მანჩესტერის უნივერსიტეტის საერთაშორისო პოლიტიკის ცენტრის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის მკვლევარი სტუარტ შილდსი (Stuart Shields) სტატიაში «Shock Therapy to Sovereignty Paranoia: Neoliberal Reform and Neopopulist Resistance in Poland's Post-Communist Transition» (შოკური თერაპიიდან სუვერენულ პარანოიამდე: ნეოლიბერალური რეფორმა და ნეოპოპულისტური წინააღმდეგობანი პოლონეთის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში), სადაც ავტორი საკუთარ მოსაზრებას ანვითარებს ტრანზიტულობასთან დაკავშირებით, წერს: ეს მიდგომა გვთავაზობს მეთოდოლოგიური და სუბსტანციური მიდგომების ცვლილებას (განახლებულ ორიენტაციას) „ტრანზიტოლოგიური კვლევებისათვის“ და იმოწმებს ვ. პაპავას ზემოთ დასახელებულ სტატიას.

გარდა ეკონომიკისა, ბატონი ლადო ბოლო პერიოდში აქტიურად წერს გეოპოლიტიკაზე და მისი ნაშრომები ამ მიმართულებით ასევე დიდი მოწონებით სარგებლობს საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ამ მოსაზრებას ამყარებს აშშ-ში გამოცემული ინდოელი მკვლევარის ანიტა სენგუფთას (Anita Sengupta) ნაშრომი

«Heartlands of Eurasia: The Geopolitics of Political Space» («შუაგული ევრაზია: პოლიტიკური სივრცის გეოპოლიტიკა») (Lanham: Lexington Books, 2009), რომლის 69-ე გვერდზე მოცემულია ამონარიდი ვ. პაპავას წიგნიდან „ცენტრალური კავკასია ცენტრალური ევრაზიის ნაცვლად“ (Vladimer Papava. “Central Caucasasia Instead of Central Eurasia”. *Central Asia and the Caucasus*, 2 (50), 2008): «...მეორე მსრივარგუმენტებმა გაამყარეს მოსაზრება, რომ რეგიონის განსასაზღვრად ტერმინი ცენტრალური კავკასია უფრო სასარგებლო იქნებოდა, ვიდრე “ცენტრალური ევრაზია”. ვლადიმერ პაპავა, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევების ფონდის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, თბილისი, საქართველო, ამბობს, რომ ტერმინი “კავკასია” გამოდინარეობს ორი ურთიერთდაკავშირებული ტერმინიდან - “კავკასია” და “აზია”, რომლებიც წარმოდგენილ უნდა იყვნენ ერთ რეგიონად, რადგან მათ შემადგენელ ნაწილებს აქვთ ბევრი საერთო. შედგება რა ცენტრალური კავკასიის სამი ქვეყნის - აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს, და ცენტრალური აზიის ხუთი ქვეყნის - ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთისა და უზბეკეთისაგან, პაპავა აღნიშნავს მათ ურთიერთშემავსებლობას, როგორც ამ დეფინიციაში ყველაზე მნიშვნელოვანს. ალტერნატივა იქნებოდა ტერმინი “დიდი ცენტრალური კავკასიის” გამოყენება, რომლის შემადგენლობაშიც ავღანეთიც შევიდოდა. ის ამტკიცებს, რომ ეს უფრო ლოგიკური კონცეპტუალიზაციაა, ვიდრე ტერმინი “ცენტრალური ევრაზიის” გამოყენება, რომელიც, მისი აზრით, საბჭოთა ხანის დეფინიციების გაგრძელებას გამოსახავს. ის აღნიშნავს, რომ ტერმინი “ცენტრალური ევრაზიის” გამოყენება უბრალოდ ვერ ახერხებს რეგიონის გეოგრაფიულ აღწერას, ეს არის “რუსეთის იმპერიული ტრადიციების მატარებელი, რომელიც იმ იდეას ეფუძნება, რომ რუსეთი - ევრაზიაა”. ხაზს უსვამს რა იდეას, რომ აუცილებელია ევრაზიული

ნოღარ ხაღური, ნაზირა კაკულია

იდებიდან გამოსვლა,ის წერს: “ახლადწარმოქმნილი ტერმინი “ცენტრალური კავკაზია” მხოლოდ რეგიონის იდენტურობას კი არ განსაზღვრავს: ეს არის კონცეპტუალური იდეა ამ ქვეყნების სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის გაძლიერების ინტერესების შესახებ, რომელიც, პრინციპში, ევრაზიიზმის იდეასა და სულისკვეთებას უპირისპირდება”.

ცენტრალური ფლორიდის უნივერსიტეტის (UCF) პოლიტიკურ მეცნიერებათა ასოცირებული პროფესორის ჰიუმან ა. სადრის (Houman A. Sadri) და ამავე უნივერსიტეტის მაგისტრის ნეთალ ლ. ბიორნსის (Nathan L. Burns) გერმანიაში გამოცემულ სტატიის “The Georgia Crisis: A New Cold War On The Horizon?” (საქართველოს კრიზისი: ახალი ცივი ომი ჰორიზონტზე) (*Caucasian Review of International Affairs*, Vol. 4:2, Sping, 2010) ქვეთავში - “ამერიკა,ნატო და საქართველო” ლადო პაპავას ნაშრომი (Vladimer Papava. The End of the Frozen Cold War? (გაყინული ცივი ომის დასასრული) *Caucasian Review of International Affairs*, Vol. 3:1, Winter, 2009) მითითებულია ორჯერ. ავტორები მსჯელობენ აგვისტოს ომსა და მის შედეგებზე. განიხილავენ იყო თუ არა ეს ომი საქართველოსა და რუსეთს შორის რეალური კონფლიქტი,თუ ის იყო რუსეთსა და დასავლეთს შორის ცივი ომის გაგრძელების შედეგი,ამ აზრის ბოლოს ავტორები უთითებენ ვ. პაპავას აღნიშნულ სტატიას. ასევე, ქვეთავში “საქართველო – მსხვერპლი თუ ბოროტმოქმედი” (ავტორები განიხილავენ 2004 წლის ვარდების რევოლუციას და მის შემდგომ რეფორმებს), მითითებულია ვ. პაპავასა და მ. თოქმაზიშვილის სტატია: “ევროპელებად გახდომა: ევროკავშირში გაერთიანების საქართველოს სტრატეგია”, რომელიც გამოქვეყნდა აშშ-ის ჟურნალ “პოსტკომუნიზმის პრობლემები” (Vladimer Papava and Michael Tokmazishvili. “Becoming European: Georgia’s Strategy for Joining the EU”, *Problems of Post-Communism*, Vol. 53, No.1, 2006).

ბატონ ლადო პაპავასა და მისი მეგობრის ელდარ

ისმაილოვის ნაშრომი - Ismailov Eldar, and Vladimer Papava. *The Central Caucasus: Essays on Geopolitical Economy*. Stockholm: Ca&CC Press, 2006, გამოყენებულია ჯეისონ ი. სტრეიქსის (Jason E. Strakes) სტატიაში - «ანარქია, იერარქია თუ არცერთი: ნაციონალური უსაფრთხოების ადგილობრივი აზერბაიჯანული კონცეფცია» (Anarchy, Hierarchy or Neither: An Indigenous Azerbaijani Concept of National Security. *Azerbaijan Diplomatic Academy*, 2008/2009), რომელიც დაიბეჭდა აზერბაიჯანის დიპლომატიური აკადემიის 2008-2009 წლის კვლევებში. აღნიშნულ სტატიაში, როდესაც ავტორი განიხილავს აზერბაიჯანის ოკუპაციის საკითხებსა და მის რთულ გეოპოლიტიკას, იგი ეყრდნობა ზემოთ მითითებულ ნაშრომს.

პროფესორ ვ. პაპავას სამეცნიერო მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ეკონომიკური მეცნიერების სრულიად ახალი მიმართულების - ნეკროეკონომიკის კვლევას, რომლის ფუძემდებელიც თვითონაა. ნეკროეკონომიკამ დიდი აღიარება მოუტანა ბატონ ლადოს¹, ეს ტერმინი ფართოდ გავრცელდა დასავლურ ეკონომიკურ მეცნიერებაში.

ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც ვ. პაპავას ეკონომიკური კვლევის სრულიად ახალი მიმართულება ფართო ფენებს გააცნო, პიტსბურგის უნივერსიტეტის რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის კვლევების ცენტრის ასოცირებული დირექტორი ბობ დონნორუმო (Bob Donnorummo), რომელმაც 2006 წელს ზაგრებში, ეკონომიკისა და ბიზნესის საერთაშორისო კონფერენციაზე გააკეთა მოხსენება «The Political and Economic Complexities of Transition» (გარდამავალი პერიოდის პოლიტიკური და ეკონომიკური სირთულეები), რომელიც იმავე კონფერენციის მოხსენებათა კრებულში გამოქვეყნდა (გვ. 13-27, 2006). სტატიის ავტორს ქვეთავში - “გარდამავალი პერიოდის ასპექტები”, მოჰყავს ჯოზეფ

¹ ტერმინი “ნეკროეკონომიკის” “დაბადებას” უშუალოდ შეესწრო ამ სტატიის ერთ-ერთი თანაავტორი ნოდარ ხაღური.

სტიგლიცის და ბევრი სხვა სკოლის წარმომადგენელთა აზრები გარდამავალი პერიოდის თავისებურებებზე, ე.წ. “ვაშინგტონის კონსენსუსთან” დაკავშირებით. ავითარებს რა აზრს ამ პროგრამის ფუნქციონირებაზე, ის ასევე, ხაზს უსვამს, რომ “ვაშინგტონის კონსენსუსი” ბევრი ქვეყნისთვის მისაღები არ იყო, რაც დასაბუთებულია ვ. პაპავას ნაშრომით (Papava, Vladimir. *Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism (Lessons from Georgia)*. New York: iUniverse, 2005).

შავი ზღვის კვლევის საერთაშორისო ცენტრის დირექტორი დიმიტრიოს ტრიანტიპალო (Dimitrios Triantaphyllou) ათენში ვ. პაპავას მიერ 2010 წელს გამოშვებული წიგნის - *The Economic Development Complex in the Black Sea Area: The Impact of the Global Financial and Economic Crisis* (ეკონომიკური განვითარების კომპლექსი შავი ზღვის რეგიონში: გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენა. ათენი: შავი ზღვის კვლევათა საერთაშორისო ცენტრი (BSEC), 2010) წინასიტყვაობაში ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის მასშტაბებისა და მისი გავლენის გააზრებაში წიგნის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. იგი მსჯელობს ვ. პაპავას მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებზე და ძალიან მაღალ შეფასებას აძლევს მას, როგორც მეცნიერსა და პრაქტიკოსს.

მალკოლმ ვორნერი, ვინსენტ ედვარდსი, გენნადიჯ პოლანსკი, დანიელ პუკო და ინგ ჯუ (Malcolm Warner, Vincent Edwards, Gennadij Polonsky, Danijel Pucko and Ying Zhu), წიგნში - “მენეჯმენტი გარდამავალ ეკონომიკაში: ბერლინის კედლიდან ჩინეთის დიდ კედლამდე (*Management in Transitional Economies, From Berlin Wall to the Great Wall of China*) .London: Routledge Curzon, 2005), ფართოდ იყენებენ პროფესორ ვ. პაპავას მოსაზრებებს. კერძოდ, წიგნის მეორე თავში - ქვეყნები და რეგიონული კვლევები (108-ე გვერდზე) ავტორები ავითარებენ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ

ეკონომისტთა თვალსაზრისით, კომუნისტური რეჟიმის ნგრევა, იშვიათი გამონაკლისებით, საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამო იყო (Papava V. (2002). "Necroeconomics – The Theory of Post-Communist Transformation of an Economy". *International Journal of Social Economics*, 29, 10: 796). ისინი წერენ, რომ "ასეთი ტიპის ეკონომიკა ხასიათდება, როგორც "მკვდარი" ეკონომიკა, ანუ "ნეკროეკონომიკა" (იქვე). ავტორთა აზრით, ახალი ცვლილებები იდენტიფიცირებულია და გამოაშკარავებულია ის მექანიზმები, რომელიც საშუალებას მისცემს ამ ქვეყნებს "ავტომატური რეჟიმით" აღმოფხვრან ნეკროეკონომიკა, "მკვდარი" საწარმოები და გადაერთონ საბაზრო ეკონომიკაზე, სადაც "ნეკროეკონომიკა" შეიძლება "ვიტაეკონომიკად" ტრანსფორმირდეს (იქვე: 803).

ვ. პაპავას ნეკროეკონომიკას ეყრდნობა ჩიჰლის (Chihlee) ტექნოლოგიური ინსტიტუტის (ბანხიაო, თაიპეი, ტაივანი) მარკეტინგისა და ლოჯისტიკის მართვის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი იუ-ჩინ პენგი (Yu-chin Pang) თავის ნაშრომში - *Latecomer Advantage and Environment Kuznets Curve Hypothesis in Central and Easter Europe and New Independent States* (დაგვიანებული უპირატესობები და კუზნეცის მრუდის ჰიპოთეზასთან დაკავშირებული გარემოებანი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასა და ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებში), (Banciao, Taipei County, Taiwan: Chihlee Institute of Technology, 2005). ნაშრომის ერთ-ერთ თავში (Economic Grows, Industrialization) "ეკონომიკური ზრდა, ინდუსტრიალიზაცია", რომელშიც მსჯელობაა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ასევე, ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების რეორიენტაციის საკითხებზე და ამ გარდამავალ ქვეყნებში ეკონომიკური სისტემის საბაზრო კაპიტალიზმზე გადასვლაზე, ავტორი ეყრდნობა ვ. პაპავას 2002 წლის ზემოხსენებულ სტატიას.

ანალოგიურად, პროფესორ პაპავას მოსაზრებებს აქტიურად იყენებენ შოტლანდიელი პროფესორი მარტინ

მიანტი, გერმანელი პროფესორი იან დრაჰოკოუპილი (Martin Myant, Jan Drahoukoupil), აშშ-ში გამოქვეყნებულ ერთობლივ მონოგრაფიაში *Transition Economies: Political Economy in Russia, Eastern Europe and Central Asia* (გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკა: პოლიტიკური ეკონომია რუსეთში, აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში) (Hoboken: John Wiley&Sons, 2011). კერძოდ, ქვეთავში “Russia: From Vouchers to Oligarchs” (რუსეთი: ვაუჩერებიდან ოლიგარქებამდე, გვ. 249), სადაც მსჯელობაა ყოფილი საბჭოთა ქვეყნების აქტივებზე, ავტორები იმეწმებენ ვ. პაპავას 2005 წელს აშშ-ში გამოქვეყნებულ მონოგრაფიას – *Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism (Lessons from Georgia)*. ამ ნაწილში, ავტორები საზგასმით აღნიშნავენ, რომ “დსთ-ის ქვეყნებშს შორის აქტივები ძალიან დანაწევრებული იყო. ეს საქართველოსთვისაც იყო დამახასიათებელი. ამ ქვეყნის ყოფილი ეკონომიკის მინისტრის მიერ, ყველაფერი ის, რაც მიღებული იყო მემკვიდრეობით ცენტრალიზებული საგეგმო სისტემისაგან, განიხილებოდა, როგორც ზედმეტი ტვირთი, რომელიც ზღუდავდა ზრდის შესაძლებლობებს”.

ჟურნალში *Perspectives in Business* (Vol. 4, No. 2, 2007), რომელსაც ოსტინში (ტეხასი, აშშ) წმინდა ედუარდის უნივერსიტეტი (St. Edward’s University) გამოსცემს, დაბეჭდილ სტატიაში - “The Industrial Revolution and Modern Global Business” (“ინდუსტრიული რევოლუცია და თანამედროვე გლობალური ბიზნესი”), ავტორი, ამ უნივერსიტეტის პროფესორი ჯოზეფ ე. პლუტა (Joseph E. Pluta) საზს უსვამს, რომ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში წარმოებულ საქონელთა უმეტესობა, არ იყო კონკურენტული საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, დაბალი ხარისხისა და/ან მაღალი ფასების გამო. ამგვარი არაეფექტიანი ეკონომიკის საბაზრო სისტემაზე ტრანსფორმაცია არ იქნება სრულყოფილი, სანამ მეწარმეები არ მიაღწევენ მსოფლიოში კონკურენტუნარიანი საქონლის

ხარისხის დონეს და ამ მოსაზრების გასამყარებლად იმოწმებს ვლადიმერ პაპავას 2002 წელს დაბეჭდილ ხსენებულ სტატიას - “Necroeconomics – The Theory of Post-Communist Transformation of an Economy“.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პროფესორ ვლადიმერ პაპავას შრომების დიდი ნაწილი ეკონომიკაში ადამიანისეული ფაქტორის როლს ეხება. ამ მიმართულებით მისი კვლევები ასევე ფართოდაა ციტირებული მსოფლიოს წამყვანი მეცნიერების მიერ. მაგალითად, თურქი ისმაილ ოზსი (Ismail Ozsoy) თავის სტატიაში - «Human Transformation in the Transition Economies: The Case of Georgia» (“ადამიანის ტრანსფორმაცია გარდამავალ ეკონომიკაში: საქართველოს მაგალითი”), რომელიც 2006 წელს დიდ ბრიტანეთში გამოქვეყნდა ჟურნალში - *Journal of East-West Business* (Vol. 12, No. 4), მადლობას უხდის პროფესორ ვლადიმერ პაპავას, საქართველოს ეკონომიკის ყოფილ მინისტრს, რომელმაც წვლილი შეიტანა მისი ნაშრომის სრულყოფაში, შეისწავლა ის და ავტორი უზრუნველყო მნიშვნელოვანი მასალებითა და მიმართულებებით. აღნიშნულ გამოკვლევაში გამოყენებულია პროფ. პაპავას ორი ნაშრომი: Papava, Vladimer and Elene Chikovani, eds. “Georgia: Economic and Social Challenges of the Transition”. *Problems of Economic Transition*, November/December, 1997, და უკვე ხსენებული სტატია “Necroeconomics – The Theory of Post-Communist Transformation of an Economy”.

მოცემულ ნაშრომში განხილულია ჰომო-ტრანსფორმატიკუსის (Homo Transformativus) თეორია. გარდამავალ პერიოდში სხვადასხვა ტიპის ადამიანი არსებობს. ესაა ჰომო-ტრანსფორმატიკუსი, ანუ ჯერ სრულად არშემდგარი ჰომო-ეკონომიკუსი. ავტორის ხაზს უსვამს, რომ ცნობილი ეკონომისტი და საქართველოს ეკონომიკის მინისტრი გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, ვლადიმერ პაპავა მიიჩნევს, რომ მბრძანებლურ-ადმინისტრაციული

ეკონომიკიდან ბაზარზე ორიენტირებულ ეკონომიკაზე გადასვლა ჰომო-სოვეტიკუსის ჰომო-ეკონომიკუსად, რაც შეიძლება მოკლე დროში ტრანსფორმაციას მოითხოვს.

საბოლოოდ, ტრანსფორმაციის დასაწყისში, არსებობს ადამიანის ტიპი, რომელიც ერთი მხრივ, ცდილობს გამოიჩინოს საკუთარი ინიციატივა და საკუთარი ინტერესების შესაბამისად იმოქმედოს, მეორე მხრივ, შიშით შესცქერის მთავრობას და მისგან დახმარებისა და დაცვის იმედი აქვს. ამგვარად, საბაზრო ეკონომიკაზე ტრანსფორმაციის დასაწყისში, გამოჩნდა სხვა ტიპის ადამიანი, რომელიც ავითარებს ჰომო-ეკონომიკუსის თვისებებს, მაგრამ ჯერ კიდევ სრულად არ გათავისუფლებულა ჰომო-სოვეტიკუსის თვისებებისგან. მსგავსი ტიპის ადამიანი, ვ. პაპავას შეფასებით, ჰომო-ტრანსფორმატიკუსია. ამ ტიპის ეკონომიკას (როგორც ეს ზემოთ არაერთხელ ავღნიშნეთ) ვ. პაპავამ „მკვდარი“ ეკონომიკა, ანუ „ნეკროეკონომიკა“ უწოდა.

როგორც სახელწოდება მიგვანიშნებს, ჰომო-ტრანსფორმატიკუსი უნდა იყოს გარდამავალი პერიოდის ადამიანი და როგორც ვ. პაპავა მსჯელობს, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, ჰომო-ტრანსფორმატიკუსის ჰომო-ეკონომიკუსად გარდაქმნას და ასევე მეწარმეების სოციალური კლასის ჩამოყალიბებას მოითხოვს. ეს კლასი წარმოადგენს საშუალო და მცირე ბიზნესს და სხვა დამოუკიდებელ პროფესიებს. აუცილებელი იყო შექმნილიყო ახალი პროფესიების წარმომადგენლები - მენეჯერები, ბროკერები, დილერები და სხვ. ეს საბაზრო ეკონომიკისა და ბიზნესმენის ფენომენისთვის უმნიშვნელოვანესია. პაპავას მსჯელობა ეყრდნობა ა. სმითის რაციონალური ეკონომიკური ადამიანის ცნებას, რომელიც სარგებელს პროდუქტიულად იყენებს და საკუთარი ინტერესებით ფიქრობს, მისი საქციელი მეწარმეთა კლასის ფსიქოლოგიაზე დამყარებული. მას შემდეგ, რაც სამეწარმეო პროცესი „მოკვდა“ და გვიანდელ

საბჭოთა დროს პრობლემატურ საკითხად იქცა, ვ. პაპავას ტერმინის „ნეკროეკონომიკის“ გამო, ეკონომიკური ადამიანის მოდელისგან მოელოდნენ, რომ ის პოსტსაბჭოთა ქვეყნებში პრობლემის დროებით გადაჭრას შეძლებდა, მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი საქონლისა და მომსახურების წარმოებით, და ამგვარად, „წარმოების“ პრობლემა მსგავს ქვეყნებში ამ ტიპის ადამიანის საშუალებით შეიძლებოდა გადაჭრილიყო.

არ ეთანხმებიან რა ვ. პაპავას, რომელიც ამტკიცებს, რომ ჰომო-ტრანსფორმატიკუსი გარდამავალ ეკონომიკაში უნდა გადაიქცეს ჰომო-ეკონომიკუსად, სოციალური და ქცევითი მეცნიერებები, ისევე როგორც ბევრი ჰეტეროდოქსული ეკონომიკური სკოლა, ჰომო-ეკონომიკუსის ნაცვლად, ადამიანის სხვა ტიპებს გვთავაზობენ.

აბელ პოლესე (Abel Polese) ედინბურგის უნივერსიტეტიდან (შოტლანდია) 2010 წელს ინტერნეტში განთავსებულ სტატიაში “Privatization, Marketization and the Private-Public Dichotomy. The limits of Post-Socialist Transitions: Some Lessons from Ukraine (1991-2009)” (“პრივატიზაცია, მარკეტიზაცია და კერძო-საჯარო დიქტომია. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის შეზღუდვები: „უკრაინის გაკვეთილები (1991–2009)“, გამოყენებულია ვლადიმერ პაპავასა და ნოდარ ხადურის აშშ-ში გამოქვეყნებული სტატია “On the Shadow Political Economy of the Post Communist Transformation: An Institutional Analysis” (“პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ჩრდილოვანი პოლიტიკური ეკონომია: ინსტიტუციური ანალიზი”), *Problems of Economic transitions*, Vol. 40, No. 6. ნაშრომში აღნიშნულია, რომ არაფორმალური ეკონომიკა ადამიანთა პასუხია განსაზღვრულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონტექსტზე. არაფორმალური ტრანსაქციები ეკონომიკური კრიზისის ან მთავრობის არაკომპეტენტური დამოკიდებულების შედეგად შესაძლოა გაიზარდოს, მაგრამ ისინი „სახელმწიფო-მოქალაქის“

ურთიერთობებს განეკუთვნება. სოციალური მოძრაობები და მასობრივი პროტესტი საშუალებაა, რომლითაც შესაძლოა ხალხის უთანხმოების შესახებ მთავრობის ინფორმირება მოხდეს, თუმცა, არაფორმალური ეკონომიკის ფართო სტრუქტურით წარმოჩენა გვიჩვენებს, რომ მათაც გააჩნიათ პოტენციური გამოხატონ უთანხმოება, ლოკალურ დონეზე, კონკრეტულ დროს, მთავრობის მიერ მიღებულ ზომებზე (რაც ვერ განხორციელდა). არაფორმალური ტრანსაქციები, მიუხედავად იმისა, ეროვნული კანონმდებლობით ის კანონიერად ითვლება თუ უკანონოდ, საშუალებას აძლევს ადამიანებს თავი გადაირჩინონ იმ გარემოში, რომელშიც სახელმწიფო მარცხდება. კონტრაბანდისტობას შეუძლია დაარღვიოს მონოპოლია, რომელიც შექმნილი იყო პოლიტიკოსებთან დაახლოებული ბიზნესმენის საამებლად.

აბელ პოლესიე (Abel Polese) თავის კიდევ ერთ სტატიაში - “Border-Crossing as a Strategy of Daily Survival: The Odessa-Chisinau Elektrichka” (“აღმოსავლეთ ევროპის მიმოხილვის ანტროპოლოგია, საზღვრის კვეთა, როგორც ყოველდღიური თვითგადარჩენის სტრატეგია: ოდესა-კიშინიოვის ელექტრიჩკა”), რომელიც 2006 წელს გამოქვეყნდა სოციალურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლის (პარიზი, საფრანგეთი) ჟურნალში *Anthropology of East Europe Review* (აღმოსავლეთ ევროპის ანტროპოლოგიის მიმოხილვა) (Vol. 24, No. 1, Spring) ეყრდნობა ვ. პაპავასა და ნ. ხაღურის ზემოხსენებულ სტატიას. ავტორი მიუთითებს, რომ “როგორც, პაპავამ და ხაღურმა აღნიშნეს, კომუნისტურ ქვეყნებში საზღვრების კონტროლი მკაცრი იყო, თუმცა კონტროლი ძირითადად, პოლიტიკურ და კრიმინალურ საქმიანობებს ეხებოდა (როგორიცაა, ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობაში მონაწილეობა). ქვეყნებში, სადაც უკვე მოხდა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია, მსგავსი ტიპის კონტრაბანდული ქმედებები შეიცვალა – უფრო მეტად ეს ჩვეულებრივ კო-

მერციულ საქონელს ეხება, რამაც, წლების განმავლობაში, საბჭოთა ეკონომიკას თავისი დადი დაასვა. პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის უზარმაზარი მოცულობის ვაჭრობა იყო. უკანონო ვაჭრობის შემთხვევები, როგორც ინდივიდუალური არასოციალური მისწრაფება, ხშირად ისჯებოდა. ზოგჯერ, მას პოლიტიკურ მნიშვნელობასაც ანიჭებდნენ, როგორც ეს ხრუშოვის დროს მოხდა, როდესაც კორუფციის მასშტაბები გაიზარდა. ასევე, ბრეჟნევის დროს, უკანონო ვაჭრობა იგნორირებული იყო, როგორც ეკონომიკისთვის „მომგებიანი“. სურათის უფრო გასართულებლად, არსებობს პოლიტიკური და ეკონომიკური ფუნქციები, რომელსაც ახორციელებს საგარეუბნო მატარებელი, ე.წ. “ელექტრიკა”. პაპავა და ხაღური აღნიშნავენ, რომ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მათ შორის, ვინც თავის თავს მეწარმეებს უწოდებენ, ბევრი ყოფილი მმართველი კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი და ყოფილი დირექტორია, რომელთა ქმედებებში ძნელია რაიმე თვისება იპოვო, რომელიც დასავლური ტიპის მეწარმეებს ახასიათებს. მათ შეუძლიათ მოიძიონ პოლიტიკური ღობი, რათა თავისი საქმიანობისთვის ხელსაყრელი პირობები მიიღონ; და მათ შეუძლიათ ქვეყანაში კონკურენცია შეაფერხონ იმის გათვალისწინებით, რომ კონკურენციას შეუძლია „მათ“ ბაზრებზე“, სადაც დომინირებული იყო „მათი“ „მხარდაჭერილი“ საქონელი, ხარისხიანი პროდუქციის შემოსვლას შეუწყოს ხელი, კონტრაბანდისტები ამ შეუსაბამობას შემდგენიარად პასუხობენ – შემოაქვთ დაბალი ხარისხის საქონელი და მომხმარებელს უზრდიან არჩევანს, რითაც არღვევენ „მხარდაჭერილი“ საქონლის ეკონომიკას, რომელიც ადგილობრივი მეწარმეების მიერ იმართებოდა.

უკრაინა–მოლდოვას საზღვრის უკრაინის მხარეს, ყველაფერი შედარებით მშვიდადაა. პოლონეთში კონტრაბანდისტების წარმატება თუ საბაჟო ოფიცრების ხასიათსა და საქონლის რაოდენობაზეა დამოკიდებული, აქ ყველაფერი

ნოღარ ხაღური, ნაშირა კაკულია

უფრო მარტივად და ფასით განისაზღვრება. აღინიშნა, რომ, ვიდრე დასავლურ სამყაროში ქრთამი ნიშნავს ქმედებებს, რასაც კანონი კრძალავს, პოსტსაბჭოთა შემთხვევაში, უმეტეს შემთხვევაში, ქრთამი სრულიად კანონიერი ქმედებების განსახორციელებლად გადებული”.

ავტორს ვ. პაპავასა და ნ. ხაღურის სტატიიდან რამდენიმე ციტატა მოჰყავს, რომლითაც ამყარებს საკუთარ მოსაზრებებს.

“პაპავას და ხაღურის განმარტებით (მხარდაჭერილი საქონელი) დაბალი ხარისხის, არასტანდარტული და სახიფათო საქონელიც კი არის... ამ ფსევდოსაქონლის დაბალი ფასებით შეთავაზებით ისინი (ბიზნესმენები) ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილს იზიდავენ და მომხმარებელთა ინტერესების სახიანოდ, დიდ შემოსავლებსაც იღებენ.

“პაპავა და ხაღური აღნიშნავენ, რომ მსგავსი მეწარმეები კონკურენციას და მომხმარებლის კეთილდღეობას ზიანს აყენებენ. „ჯანსაღ“ საბაზრო გარემოში მათ ან ფასები უნდა დასწიონ ან წარმოებული საქონლის ხარისხი გააუმჯობესონ. სამწუხაროდ, ამ მოსაზრებას ძალიან ცოტა პოსტკომუნისტი ბიზნესმენი იზიარებს. უფრო მარტივია, დაარწმუნო ხელისუფლება მკაცრი პროტექციონისტული პოლიტიკა („ჩინეთის დიდი კედელი“ უნდა აღმართო), გაატაროს და გასამართლებლად, პატრიოტიზმის მოტივები გამოიყენო”.

პროფესორ ვლადიმერ პაპავას შრომებში განსაკუთრებული ადგილი უკავია საგადასახადო პოლიტიკას, გადასახდის განკვეთისა და საგადასახადო შემოსავლების ურთიერთდამოკიდებულებას. პროფესორმა პაპავამ არაერთი ნაშრომი მიუძღვნა ამ თემას და მსოფლიოში ცნობილი ეკონომისტების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ლაფერის მრუდის მიხედვით ინტერპრეტაცია.

მარიო პულჯიკი (Mario Puljic) თავის სტატიაში - “The Application of the Laffer Curve Approach in the Problem of Indebtedness”

(“ლაფერის მრუდის მიდგომის გამოყენება დავალიანების პრობლემის დროს”), რომელიც 2006 წელს ვენაში (ავსტრია) გამოქვეყნდა ევროპის ინსტიტუტში (Europainstitut, Seminar Paper) იყენებს ვ. პაპავას ნაშრომს Papava V. On the Laffer Effect in Post – Communist Economies (ლაფერის ეფექტის შესახებ პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკაში). რობლემს ოფ ცონომიკ ტრანსიტიონ, Vol. 45, No. 7, 2002.

მართო პულჯიკი თავის ნაშრომში ეყრდნობა ვ. პაპავას ინტერპრეტაციას, როდესაც აღწერს ლაფერის მრუდს. კერძოდ ის ლაფერის მრუდის არსს ხსნის ვ. პაპავას ნაშრომის გამოყენებით.

პულჯიკი ვ. პაპავას მოსაზრებებზე დაყრდნობით ასკვნის, რომ “კრიტიკის მიუხედავად, რომელიც დამკვიდრებულია ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფ სხვადასხვა ეკონომიკურ სკოლაში, დასტურდება, რომ როგორც მინიმუმ - აშშ-სთვის საგადასახადო განაკვეთი არ იყო კრიტიკულ დიაპაზონში, მაგრამ იმყოფებოდა მაქსიმალური წერტილის ქვევით. გადასახადების შემცირებას, შესაბამისად, თითქმის ლოგიკურად, ლაფერის მოდელის მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების შემცირებამდე უნდა მივეყვანეთ”.

ბატონი ლადო პაპავას მოსაზრებები ფართოდაა გამოყენებული ცნობილი რუსი მკვლევარის, პროფესორ ევგენი ბალაცკის ნაშრომებში, მათ შორის (Евгений Балацкий, Наталья Екимова. Налогово-Бюджетная политика и экономический рост (საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკა და ეკონომიკური ზრდა) *Общество и Экономика*, No. 4-5, 2011). რუსი ავტორები პირდაპირ მიუთითებენ ქართულ ეკონომიკურ სკოლაზე და პროფესორ პაპავას წვლილთან ერთად პროფესორ იური ანანიაშვილისა და გიორგი ლოლაძის შედეგებზეც მიაწინებენ.

უდავოდ ლოგიკურია, რომ საერთაშორისო სამეცნიერო და კვლევით ორგანიზაციებში ძალიან დიდ მნიშვნელობას

ანიჭებენ პროფესორ ვლადიმერ პაპავას კვლევებს საქართველოს შესახებ. ეს გასაგებიცაა, რადგან ბატონი ლადო ექვსი წელი იყო საქართველოს ეკონომიკის მინისტრი და მისი მინისტრობის პერიოდში იქნა მიღწეული მაკროეკონომიკური სტაბილურობა ეკონომიკის ლიბერალიზაციის მიმართულებით გადაიდგა პირველი სერიოზული ნაბიჯები და რაც მთვარია, დაიწყო საქართველოს ეკონომიკის ინსტიტუციური მოწყობის პროცესი, რომელიც საქართველოს ეკონომიკის ევროპული ტიპის ეკონომიკად ჩამოყალიბებას ისახავდა მიზნად. გარდა ამისა, ბატონი ლადო საქართველოს პარლამენტის წევრი იყო და საკანონმდებლო ორგანოდან აკვირდებოდა ეკონომიკურ და არა მხოლოდ ეკონომიკურ, რეფორმებს.

2010 წელს დიდ ბრიტანეთში გამოიცა შვედი მკვლევარის პერ გარტონის (Per Gahrton) წიგნი *Georgia: Pawn in the New Great Game* (საქართველო: დიდი თამაშის მძევალი) (London: Pluto Press). წიგნში მრავლადაა პროფესორ პაპავას სხვადასხვა ნაშრომზე მითითება. ყველაზე სშირად კი მითითებული ლადო პაპავასა და არჩილ გეგეშიძის ერთობლივი სტატია - “Post-War Georgia Pondering New Models of Development” (“ომის შემდგომი საქართველო ახალი მოდელის გააზრებაში”) ელექტრონულ ჟურნალში (*Central Asia-Caucasus Analyst*, Vol. 11, No. 1, January 14, 2009). ამ სტატიაში ავტორები განიხილავენ საქართველოს შემდგომი განვითარების სამ გზას – ფინურს, სერბიულსა და კვიპროსულს, და უპირატესობას ამ უკანასკნელს ანიჭებენ. საინტერესოა, რომ ეს სტატია მითითებულია მარკუს რენდის (Marcus Rand) 2010 წელს აშშ-ში გამოცემულ წიგნშიც *Rhetoric in the American and Cuban Palaver on Human Trafficking* (რიტორიკა ამერიკა-კუბის მოლაპარაკებებში ადამიანებით ვაჭრობის საკითხებში), რომელიც უშუალოდ საქართველოს საკითხებს არ ეხება.

ჰიუმან ა. სადრის (Houman A. Sadri) 2010 წელს აშშ-ში გამოქვეყნებულ წიგნში - *Global Security Watch – the Caucasus*

States (გლობალური უსაფრთხოების მონიტორი – კავკასიის სახელმწიფოები) (Santa Barbara, CA: Praeger) გამოყენებულია ვლადიმერ პაპავას მიერ 2007 წელს თურქეთში არასამთავრობო ორგანიზაცია TEPAV-ის მიერ გამოცემული სტატია “On the Essence of Economic Reforms in Georgia, or How European is the European Choice of Post-Revolution Georgia?” (“საქართველოში ეკონომიკური რეფორმების არსის შესახებ, ანუ რამდენად ევროპულია პოსტრევოლუციური საქართველოს ევროპული არჩევანი?”) და მიხეილ თოქმაზიშვილთან ერთად დაწერილი ზემოხსენებული სტატია - “Becoming European: Georgia’s Strategy for Joining the EU”.

ბატონი ლადო პაპავას ნაშრომები კარგად აქვს შესწავლილი ფრანგ მკვლევარს ეველინე ბაუმანს (Eveline Baumann). მან თავის ნაშრომში “Post-Soviet Georgia: the Rocky Path towards Modern Social Protection” (“პოსტსაბჭოთა საქართველო: კლდოვანი ბილიკი თანამედროვე სოციალური დაცვის მიმართულებით”), რომელიც 2010 წელს გამოიცა ბუდაპეშტში (უნგრეთი) სერიით - «Social Policy and the Global Crisis» (“სოციალური პოლიტიკა და გლობალური კრიზისი”), გამოიყენა ვ. პაპავას აშშ-ში 2009 წელს გამოქვეყნებული სტატია - “The “Rosy” Mistakes of the IMF and World Bank in Georgia” (“საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის “ვარდისფერი” შეცდომები საქართველოში”). *Problems of Economic Transition*, Vol. 52, No. 7.

ვ. პაპავას ზემოხსენებული მონოგრაფია - *Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism* გამოყენებული აქვთ ვალერიე ბიუნსა (Valerie Bunce) და შარონ ლ. ვოლჩიკს (Sharon L. Wolchik) თავის ნაშრომში *Transnational Networks, Diffusion Dynamics, and Electoral Revolutions in the Post-Communist World* (ტრანსნაციონალური ქსელები, გავრცელების დინამიკა და საარჩევნო რევოლუციები პოსტკომუნისტურ სამყაროში) (Department of Government, 204, White Hall, Cornell

University, Ithaca, NY 14853, USA, The Elliott School of international Affairs, The George Washington University, 1957 E street, NW, Washington, DC 20052, USA). კერძოდ, ვ. პაპავას წიგნი მითითებულია ქვეთავში: „საარჩევნო რევოლუციების გამოგონება“, სადაც აღწერილია 2003 წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდგომი პერიოდი. ავტორები ასკვნიან, რომ ქართულმა ოპოზიციამ თავისი კამპანია რეგიონში წინა საარჩევნო რევოლუციებს მორგო, რაშიც ფონდ “ღია საზოგადოებასაც” აქვს წვლილი შეტანილი, რომელმაც უზრუნველყო ქართველებისათვის სერბიული გამოცდილების გაზიარება.

საქართველოს როლს სუამის ქვეყნებს შორის და ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ სატრანსპორტო მაგისტრალის მნიშვნელობას ეძღვნება სამუელ ლუსაკის (Samual Lussac) ნაშრომი - “The Baku-Tbilisi-Kars Railroad and its Geopolitical Implications for the South Caucasus” (“ბაკო-თბილისი-ყარსის რკინიგზა და მისი გეოპოლიტიკური შედეგები სამხრეთ კავკასიისათვის”), რომელიც 2008 წელს გერმანიაში დაიბეჭდა ჟურნალში: *Caucasian Review of International Affairs*, Vol. 2(4), Autumn. ქვეთავში: „ახალი წვლილის შეტანა სამხრეთ კავკასიაში გეოპოლიტიკური ღერძის ფორმირებაში“, გამოყენებულია ვლადიმერ პაპავას ნაშრომი - “On the Role of the “Caucasian Tandem” in GUAM” (“კავკასიური ტანდემის როლი სუამ-ში”), *Central Asia and Caucasus*, No. 3-4, 2008.

აღნიშნულ სტატიაში, ვ. პაპავას ზემონახსენებ ნაშრომზე დაყრდნობით, ავტორი ასკვნის, რომ აზერბაიჯანი და საქართველო, რომლებიც წარმოდგენილია, როგორც სუამის „კავკასიური ტანდემი“, ცდილობს წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთის ჰეგემონიას პოსტსაბჭოთა სივრცეში.

საქართველოსა და გლობალურ ფინანსურ კრიზისს ეხება მარკო გიულის (Marco Giuli) 2009 წელს გერმანიაში გამოქვეყნებული სტატია - “Georgia and the Systemic Impact of the Financial Crisis” (“საქართველო და ფინანსური კრიზისის

სისტემური გავლენა”) (*Caucasian Review of International Affairs*, Vol. 2(4), Summer), რომელშიც გამოყენებულია აშშ-ში გამოქვეყნებული ვ. პაპავას ორი ნაშრომი: 1) “The Baku-Tbilisi-Ceyhan Pipeline: Implications for Georgia” (“ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი: შედეგები საქართველოსათვის”), *The Baku-Tbilisi-Ceyhan: Oil Window to the West* (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი: ნავთობის ფანჯარა დასავლეთისაკენ გაღებული), eds. Frederick Starr and Svante E. Cornell, (Uppsala: Uppsala University, 2005), და 2) “Post-war Georgia’s Economic Challenges” (ომისშემდგომი საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები). *Central Asia-Caucasus Institute Analyst*, November 26, 2008.

სტატიაში, ვ. პაპავას მოცემულ შრომებზე დაყრდნობით, აღწერილია საქართველოს ეკონომიკაზე მიმდინარე პროცესების ზეგავლენა, განსაკუთრებული აქცენტი გადატანილია როგორც მსოფლიო კრიზისის, ასევე რუსეთ-საქართველოს ომის ზეგავლენაზე.

უკანასკნელ წლებში მსოფლიო საზოგადოების ყურადღება მიმართულია საქართველოსაკენ, რომელშიც მსოფლიოში გამეფებული ძირითადი მიმართულებისაგან განსხვავებული (“სინგაპურისა და შვეიცარიის ნაზავი”) სახელმწიფო შენდება.

ამ მიმართულებით ერთ-ერთი საინტერესოა ჯოელ ლაზარუსის (Joel Lazarus) ნაშრომი *Neo-Liberal State Building and Western ‘Democracy Promotion’: the Case of Georgia* (ნეოლიბერალური სახელმწიფო მშენებლობა და დასავლეთის მხრიდან “დემოკრატიის წახალისება”) (Prepared for delivery at the 2010 SGIR 7th Pan-European Conference on International Relations, Stockholm, Sweden, September 9-11, 2010, St. Anthony’s College, University of Oxford), რომლის მომზადებისას გამოყენებულია ვლადიმერ პაპავას 2006 წელს აშშ-ში გამოქვეყნებული სტატია “The Political Economy of Georgia’s Rose Revolution” (საქართველოს ვარდების რევოლუციის პოლიტიკური ეკონომია). *Orbis, A Jour-*

nal of World Affairs, Vol. 50, No. 4). აღნიშნულ ნაშრომში დეტალურადაა გაანალიზებული დამოუკიდებელი საქართველოს ნაბიჯები სახელმწიფოს მშენებლობის, დემოკრატიზაციის პროცესის მიმართულებით, ამ პროცესში მნიშვნელოვანი იყო დასავლელი დონორების დახმარებები. სწორედ აღნიშნული დახმარებების, მათ შორის ომის შემდგომი დახმარებების გამოყენების ეფექტიანობის ანალიზისას და დასავლელი დონორების დემოკრატიზაციის მიმართულებით წამოყენებული მოთხოვნების და მათი შესრულების ანალიზისათვისაა გამოყენებული ვ. პაპავას სტატია.

ვარდების რევოლუციის შემდგომი საქართველოს შესახებ საინტერესო ნაშრომი ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორის ს. ნეილ მაკფარლენის (S. Neil Macfarlane) ნაშრომი *Post-Revolutionary Georgia on the Edge?* (პოსტრევოლუციური საქართველოს ზღვარზე) (Chatman House, Briefing Paper, Russia and Eurasia Programme | March, 2011), რომელშიც გამოყენებულია ვლადიმერ პაპავას ორი სტატია: “Foreign and Domestic Factors Behind Georgia’s High Inflation Rate” (“საქართველოში მაღალი ინფლაციის გარე და შიგა ფაქტორები”), *Georgia Today*, Issue 548, February, 2011 და ზემოხსენებული “The “Rosy” Mistakes of the IMF and World Banks in Georgia”.

ნაშრომში განხილულია საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები 2003-2008 წლებში, ომის შემდგომი პროცესები საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. აღნიშნულ ნაშრომში ბატონი ვ. პაპავას მოსაზრებები გამოყენებულია კორუფციასთან ბრძოლის გამოცდილების აღწერისას და ხელისუფლებაში მყოფი პირების არაპროფესიონალიზმზე მსჯელობისას.

საქართველოს შესახებ საინტერესო კვლევა ჩაატარა ოსკარ პარდომ (Óscar Pardo) ბირმინგემის უნივერსიტეტიდან (დიდი ბრიტანეთი) ნაშრომში “Literature Review on the Relations between the EU and Georgia” (“ევროკავშირსა და საქართველოს

შორის ურთიერთობათა შესახებ ლიტერატურის მიმოხილვა”) (Observatori de Politica Exterior Europea”, EUPROX – Coordination, Internationalisation and Europeanisation in the Proximity of the European Union, European Research Institute Department of Political Science and International Studies, University of Birmingham). მასზე მუშაობისას, ოსკარ პარდომ გამოიყენა ვ. პაპავას სტატიები: “The Georgian Economy: From ‘Shock Therapy’ to ‘Social Promotion’” (“საქართველოს ეკონომიკა: ‘შოკური თერაპიიდან’ ‘სოციალურ სტიმულირებამდე”), *Post-Communist Economies*, Vol. 8, No. 2, 1996, ზემოსხენებული “The Political Economy of Georgia’s Rose Revolution”, და ასევე მიხელ თოქმაზიშვილთან ერთად დაწერილი ზემოსხენებული “Becoming European: Georgia’s Strategy for Joining the EU Problems of Post-communism”. ნაშრომში გაანალიზებულია ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ არსებული ლიტერატურა, ასევე ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობები 2000 წლამდე და მის შემდეგ, და ეკონომიკისა და პოლიტიკური ცხოვრების ცალკეული სფეროები (მაგალითად, ვაჭრობა, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, მიგრაცია, მმართველობა, საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკა). ნაშრომი ფართოდ ეყრდნობა ვ. პაპავას შრომებს. ავტორი აღნიშნავს, რომ “ვლადიმერ პაპავამ, შეიძლება ითქვას, საქართველოს ეკონომიკის ყველაზე მნიშვნელოვანმა ანალიტიკოსმა, გამოსცა რამდენიმე მოკლე და სერიოზული მიმოხილვა საქართველოს ეკონომიკის ევოლუციაზე”. ავტორი ფართოდ იყენებს ვ. პაპავას შრომებს ენერგეტიკული პროექტების დახასიათებისასაც. განსაკუთრებით კი, რუსული სახელმწიფო ენერგოკომპანიის მიერ საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის სრულმასშტაბიანი კონტროლის შესახებ.

ვარდების რევოლუციის შემდგომ პროცესებზე საკმაოდ საინტერესოა ქრისტიან ტიმის (Christian Timm) ნაშრომი - *Neopatrimonialism by Default. State politics and Domination in Georgia after the Rose Revolution* (ნეოპატრიმონიალიზმი მიჩქმალვით.

სახელმწიფო პოლიტიკა და დომინირება საქართველოში ვარდების რევოლუციის შემდეგ), (GIGA German Institute of Global and Area Studies, Hamburg, 23 August 2010). ამ ნაშრომში გამოყენებულია ვ. პაპავას აშშ-ში გამოქვეყნებული სტატია “Georgia’s Macroeconomic Situation before and after Rose Revolution” (საქართველოს მაკროეკონომიკური სიტუაცია ვარდების რევოლუციამდე და მის შემდეგ). *Problems of Economic Transition*, Vol. 48, No. 4, 2005. ქრისტიან ტიმი, ვლადიმერ პაპავას სტატიაზე დაყრდნობით აყალიბებს საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის მასშტაბების შესახებ საკუთარ მოსაზრებებს.

პროფესორ ვლადიმერ პაპავას ნაშრომების აღიარებასა და მნიშვნელობაზე ის რეცენზიებიც მეტყველებს, რომლებიც საზღვარგარეთ იბეჭდება და დიდი რეზონანსი აქვს. ერთ-ერთი პირველი ასეთი რეცენზია გამოქვეყნდა ავსტრიაში ჟურნალ *Economic Systems Research, Journal of the International Input-Output Association* (Vol. 4, No. 4, 1992), რომლის ავტორი ა. ჟეგო (A. Szegő) დაწვრილებით განხილავს ვ. პაპავას მონოგრაფიას «საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა და დარგთაშორისი მოდელები» (თბ., გამომც. “მეცნიერება”, 1988, რუსულ ენაზე) და ასკენის, რომ წიგნი პროდუქტიულობის იდეის გარშემო ტრიალებს. პროდუქტიულობა - Input-Output სტატიკური მოდელით მოითხოვს, რომ არსებობდეს მთლიანი გამოშვების არაუარყოფითი ვექტორი X , რომლისთვისაც საბოლოო პროდუქტი $Y=(I-A)X$ არაუარყოფითია. ეს კარგად შესწავლილი მოდელი დამოკიდებულია A მატრიცის სტრუქტურაზე. მოდელში მწარმოებლურობის რამდენიმე აუცილებელი და/ან საკმარისი პირობაა ფორმულირებული: ჰოუკინს-საიმონის, პერონ-ფრობენიუსის, ბროუერ-სოლოუს და სხვ. პირობები. წიგნის მთავარი ღირსებაა ის, რომ მასში პროდუქტიულობის კონცეპცია განვრცობილია გაფართოებულ და დინამიკურ (input-Output) მოდელებზე.

საქონლიანი თეორია და საქონლიანი პოლიტიკა

დიდი გამოხმაურება მოჰყვა ვ. პაპავას წიგნს *Necroeconomics: The Political Economy of Post-communist Capitalism: Lessons from Georgia*, რომელიც 2006 წელს გამოქვეყნდა აშშ-ში. ერთ-ერთი რეცენზია, რომელიც ეკუთვნის სტივენ ჯონსს, მაშინვე პოლიოკის კოლეჯიდან, გამოქვეყნდა ამერიკულ ჟურნალ - *Russian Review*-ში (Vol. 65, Issue 3). რეცენზენტი წერს, რომ წიგნში განხილულია პოსტკომუნისტურ საზოგადოებაში ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი საკითხები, დაწყებული საგადასახადო სისტემიდან და პოლიტიკური რეფორმებიდან, დამთავრებული საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების როლისა და პრივატიზაციის პოლიტიკით. ვ. პაპავა ერთ-ერთი საუკეთესოდ ინფორმირებული ეკონომისტია საქართველოში და ასევე, საქართველოს ეკონომიკის ყოფილი მინისტრია. ეს აძლევს მას შესაძლებლობას განიხილოს პრაქტიკული პრობლემები, რაც პოსტკომუნისტურ ქვეყნებში დასავლური ზოგადი ეკონომიკური თეორიების განხორციელებას უკავშირდება. პროფესორი პაპავა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მისი მიზნების მხარდამჭერია, მაგრამ საქართველოში მისი გამოცდილება მნიშვნელოვანი კრიტიკისკენ უბიძგებს. ის არ ემხრობა ფონდის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მოდელის ზოგიერთ კომპონენტს, როგორცაა კანონები გადასახადებისა და გაკოტრების შესახებ, რაც არ ითვალისწინებს იმ ინსტიტუციურ თავისებურებებს, რასაც ის პოსტკომუნისტურ კაპიტალიზმს უწოდებს. ამ კონტექსტით, ის ავითარებს თავის თეორიას ნეკროეკონომიკის შესახებ. ნეკროეკონომიკის თავისებურებების განხილვის გარეშე, მაგალითად, სტანდარტული საგადასახადო მოდელები, მარცხისთვისაა განწირული. ნეკროეკონომიკა (მკვდარი ეკონომიკა), როგორც თვითონ უწოდებს, ვიტაეკონომიკის (ცოცხალი ეკონომიკის) საწინააღმდეგოა, რაც პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის

სახელმწიფოების კულტურული და ინსტიტუციონალური მახასიათებელია. მბრძანებლური ეკონომიკის ნარჩენები, რაც პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის “რუტინაზეა” მიბმული და ხელს უწყობს სისტემის სახელმწიფოზე დამოკიდებულობას, სამრეწველო ფირმების ვალების ზრდას და კორუფციას. ზოგიერთი ახალი მეწარმე კერო სექტორში ვითარდება, მაგრამ უმეტესობა ბიზნესმენებისა, როგორც პაპავა უწოდებს, ჰომო ტრანსფორმატიკუსის ფსიქოლოგიას ინაწილებს. ჰომო ტრანსფორმატიკუსი (ჰომო სოვიეტკუსის საპირისპირო) დახასიათებულია მზარდი სამეწარმეო ინსტიტუტების ნაკრებით (კარგი ნაწილი) და მბრძანებლური ეკონომიკიდან დარჩენილი დამოკიდებულებით. ამ უკანასკნელს, ის ჩრდილოვანი ეკონომიკისადმი მიდრეკილებისკენ, მთავრობასთან ახლო ურთიერთობის და გადასახადებისგან თავის არიდებისკენ უბიძგებს.

ამ წიგნის ღირსებაა ის, რომ ავტორი პრობლემის აღწერის შემდეგ, გადაჭრის გზებსაც გეთავაზობს. კორუფციასთან დაკავშირებით ის გვახსენებს, რომ მიზეზები ეკონომიკურია; კორუფციის წინააღმდეგ მანიფესტაციების მოწყობა შედეგებს არ მოიტანს. ამ პრობლემის გადაჭრა, პირველ რიგში, დამოკიდებულია ძირითადი კაპიტალის აკუმულაციის ღეგალიზაციაზე. მაკროეკონომიკურ სტაბილურობასა და კერძო საკუთრების სამართლიან დაცვაზე. ის განსაკუთრებული ძალაუფლების მქონე ანტიკორუფციული ორგანოების შექმნის წინააღმდეგია, რამდენადაც, მისი პირადი გამოცდილებით, მსგავსი ორგანოები სუსტ სახელმწიფოებში, როგორც საქართველო, საფრთხეს უქმნის კანონიერ ბიზნესს, ხელს უწყობს კაპიტალის საზღვარგარეთ გადინებას და თვითონაც კორუფციული სააგენტო ხდება.

წიგნის ბოლო ნაწილი საქართველოს ეძღვნება და ილუსტრირებულია ბევრი პრობლემა, რომლის შესახებაც უფრო ზოგად დონეზე წინა თავებში იყო მსჯელობა.

1989 წლიდან საქართველოში გატარებული რეფორმების აღწერის შემდეგ, ის განიხილავს საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ურთიერთობას. მიუხედავად იმისა, რომ მკაცრად აკრიტიკებს ამ უკანასკნელის სტრატეგიულ დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ, ის მაინც ფიქრობს, რომ საქართველოსთვის ფონდი სტრატეგიულ პარტნიორად უნდა დარჩეს. ბოლო ნაწილში ავტორი აფასებს „ვარდების რევოლუციის“ გავლენას, რომლის დინამიკურობა შეზავებულია გაფრთხილებასთან რევოლუციური ამბიციების შესახებ. ის შიშობს, რომ ამბიციებმა შესაძლოა მიგვიყვანოს კორუფციისა და არაკანონიერების ახალ ფორმებამდე.

რეცენზენტს შენიშვნები აქვს წიგნის მიმართ, თუმცა, ასკვნის, რომ ეს მნიშვნელოვანი წიგნია - ინოვაციური, კრიტიკული და კონკრეტული რეკომენდაციების შემცველი. ნებისმიერი პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის სწავლებისას ამ წიგნის წაკითხვა სასარგებლო იქნება.

ამავე წიგნზე საინტერესო რეცენზია ინგლისურ და რუსულ ენებზე 2007 წელს გამოქვეყნდა შვედეთში, ჟურნალში - *Кавказ и Глобализация* (Том 1, Вып. 2), სათაურით - “Посткоммунистический капитализм и переходная культура в Грузии” (“პოსტკომუნისტური კაპიტალიზმი და გარდამავალი კულტურა საქართველოში”), რომლის ავტორებია მიჩიგანის უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორი მაიკლ დ. კენედი (Michael D. Kennedy) და იმავე უნივერსიტეტის მაგისტრანტი ელიზაბეტ იგენი (Elizabeth Igen).

რეცენზიაში ვკითხულობთ, რომ წიგნი წარმოგვიდგენს პოსტკომუნისტური ეკონომიკის გარდაქმნათა შესახებ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ხედვას, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქართველოში მიმდინარე ტრანსფორმაციას. ასევე, კრიტიკულადაა განხილული საბჭოთა ეკონომიკური სისტემის მარქსისტული ხედვა; პოსტკომუნისტური ეკონომიკის ტრანსფორმაციის შესახებ

სხვადასხვა თეორია; ნეკროეკონომიკა “შკვდარი ეკონომიკის” შესასწავლად, სადაც საქონელს აღარ გააჩნია თავისი ბაზარი, რადგან ის შეუსაბამოა საერთაშორისო სტანდარტთან და ვერ ასრულებს ფუნქციებს დაბალი ხარისხის და/ან მაღალი ფასების გამო; პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ჩრდილოვანი პოლიტიკური ეკონომიის ინსტიტუციური საფუძვლები; ბაზრების თანასწორობის თეორია და მისი როლი პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში; სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი და გადასახადების გარეშე ეკონომიკის მოდელი; პოსტკომუნისტურ ეკონომიკაში ლაფერის ეფექტი; საგადასახადო ფედერალიზმი; პოსტკომუნისტური ქართული ეკონომიკა და რეფორმების ძირითადი შედეგები; საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესში სსფ-ის ჩართულობა 1991 წლიდან 2003 წლამდე; საქართველოს ეკონომიკის პრე- და პოსტ-რეველუციური მდგომარეობა და ა.შ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საერთაშორისო ეკონომიკის ინსტიტუტის (ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი) მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის ანდერს ასლუნდის (Anders Åslund) რეცენზია, რომელიც 2006 წელს ჯერ ამერიკულ ჟურნალ *The International Economy Magazine*-ში გამოქვეყნდა, ხოლო შემდეგ ითარგმნა და 2007 წელს ჟურნ. “ეკონომიკა და ბიზნესში” (№ 1) გამოქვეყნდა. იმის გათვალისწინებით, რომ ეს რეცენზია ქართულადაა თარგმნილი და გამოცემული, მასზე აქ ყურადღებას აღარ შევანერებთ.

უზბეკეთში, რუსულ ენაზე 2003 წელს ვ. პაპავას წიგნზე - *Международный валютный фонд в Грузии: Достижения и ошибки* (Тбилиси: Империял, 2001), გამოქვეყნდა დადებითი რეცენზია ჟურნ. “*Экономический Вестник Узбекистана*”, რომლის ავტორია ემდ. პროფესორი ალიშერ რასულევი (Алишер Расулев), უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ პროფ. ვ. პაპავას კვლევების სფერო გაფართოვდა გეოპოლიტიკური საკითხებით. ამ მიმართულებით გამოქვეყნებულ ნაშრომთა შორის, ერთ-ერთი საინტერესოა მონოგრაფია - *The Central Caucasus: Problems of Geopolitical Economy*, რომელიც ვლადიმერ პაპავამ და ელდარ ისმაილოვმა ერთობლივად შექმნეს და აშშ-ში 2008 წელს გამოქვეყნდა (New York: Nova Science Publishers, 2008). ამ მონოგრაფიაზე იან კიუნცლის (Jan Künzl) რეცენზია გამოქვეყნდა გერმანულ ჟურნალში – “*Caucasian Review of International Affairs*” (Vol. 3 (1), Winter, 2009).

რეცენზიის თანახმად, კავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის ზრდასთან ერთად, სულ უფრო აქტუალური ხდება ღრმად იქნეს შესაწავლილი მისი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური საზღვრები. წიგნში “ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიკის პრობლემები”, ელდარ ისმაილოვს და ვლადიმერ პაპავას სურთ კავკასიაზე, როგორც ეკონომიკურ რეგიონზე შეცვალონ ხედვები. ეფუძნებიან რა თეზას იმის შესახებ, რომ ეკონომიკური ინტეგრაცია აუცილებლობაა, განსაკუთრებით გლობალიზაციის პირობებში, ისინი იკვლევენ თანამედროვე კავკასიის ეკონომიკური ადგილის პერსპექტივებს. გეოეკონომიკური პოტენციალის დაწვრილებითი შეფასება და კავკასიის სუბრეგიონების პრობლემები ამ შეფასების ერთგვარ ფონს წარმოადგენს.

ავტორები პირველ რიგში, კავკასიის გეოპოლიტიკურ რუკას ადგენენ და რეგიონს წარმოადგენენ, როგორც სამი ძირითადი ნაწილისგან შემდგარს: ჩრდილოეთ კავკასია, რომელიც მოიცავს რუსეთის ფედერაციის ავტონომიურ ფორმირებებს, ცენტრალურ კავკასიას, რომელიც შედგება საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანისაგან და სამხრეთ კავკასია, რომელიც თურქეთის და ირანის პროვინციებისგან შედგება, რომლებიც საქართველოსა და აზერბაიჯანს

ესაზღვრება. ეს ნაწილები, ერთიანობაში წარმოჩენილია, როგორც ბუნებრივი რეგიონი, რომელსაც საერთო ინტერესები გააჩნია და ინტეგრაციული პროცესების მონაწილეა. სანამ ჩრდილოეთ კავკასია და სამხრეთ კავკასია შეზღუდულია საშუალოვადიანი ინტეგრაციის პროცესში მონაწილეობით, ავტორები, ფოკუსირებას ახდენენ ცენტრალურ კავკასიაზე. სომხეთის მონაწილეობაც შეზღუდულია მიმდინარე ტერიტორიული კონფლიქტის გამო აზერბაიჯანთან, მთიან ყარაბახთან დაკავშირებით.

დარჩა საქართველო და აზერბაიჯანი, რომელთაც საერთო ეკონომიკური ინტერესები გააჩნიათ, და შესაბამისად, სასურველია გააძლიერონ თანამშრომლობა. ამასთან დაკავშირებით, ავტორების თანახმად, თბილისისა და ბაქოს კავშირს შეუძლია გახდეს კავკასიის ინტეგრაციის პროცესის ბირთვი. კერძოდ, მათი ეკონომიკური ფუნქცია, როგორც გეოგრაფიულად დამაკავშირებლის – დასავლეთსა და ცენტრალურ აზიას შორის, ისევე, როგორც რუსეთს, ირანსა და თურქეთს შორის, ქმნის შესაძლებლობას, განვითარდნენ სატრანსპორტო და სავაჭრო ცენტრად. ცენტრალური კავკასიის გეოეკონომიკური ხელსაყრელი სიტუაცია დამატებით სიძლიერეს იძენს იმით, რომ აზერბაიჯანი ფლობს კასპიის ზღვის უზარმაზარი რესურსების წილს.

წიგნი, თავისი არასტანდარტული გეოეკონომიკური მიდგომებით, ავსებს სიცარიელეს, რაც კავკასიის კვლევების კუთხით არსებობს. ავტორების წინადადება კავკასიის ახალი და ფართო პერსპექტივების შესახებ, დამაინტრიგებელი, ხოლო ამ მნიშვნელოვანი რეგიონის პოტენციალის შეფასება - ძალზე ფასეული.

სამწუხაროდ, კავკასიის გეოეკონომიკაზე საინტერესო ფოკუსირება, ამავდროულად წიგნის ყველაზე დიდი სისუსტეა. კავკასიის რეგიონი ხასიათდება არაცხადი გეოსტრატეგიული უსაფრთხოების სტრუქტურით. გაყინული

კონფლიქტები, რუსეთის არაცხადი ამბიციები რეგიონის მიმართ, ისევე როგორც ნატოსა და ევროკავშირის არამდგრადი დამოკიდებულება, ცხადყოფს, რომ კავკასიაში გეოსტრატეგიული სიტუაცია ჯერ არ დარეგულირებულა. სანამ სიტუაცია არ შეიცვლება, კავკასიის გეოეკონომიკური პოტენციალი ვერ განვითარდება. რუსეთსა და საქართველოს აგვისტოს ხუთდღიანმა ომმა და შემდგომში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციამ და დე-ფაქტო გამოყოფამ ცხადი გახადა, რომ ეს ფაქტი ცენტრალურ როლს თამაშობს რეგიონის განვითარების პოტენციალის ნებისმიერ შეფასებაში.

წიგნის ხარვეზია ის, რომ ავტორები სომხეთს უგულბებლყოფენ. ავტორები სწორად შენიშნავენ, რომ სომხეთი-აზერბაიჯანის კონფლიქტი მთიანი ყარაბაღის გარშემო და დამოკიდებულება თურქეთთან, სომხეთისთვის დაბრკოლებაა კავკასიის ინტეგრაციის პროცესში მონაწილეობის მისაღებად. მაგრამ, სწორედ ეს გარემოება წარმოაჩენს მის მნიშვნელობას პრობლემების გადაწყვეტის პროცესში, რამდენადაც კავკასიის რეგიონს გაუჭირდება ინტეგრირება ასეთი დაძაბულობის ფონზე.

ამ კრიტიკული შენიშვნის მიუხედავად, წიგნი რეკომენდებულია, როგორც კავკასიის გეოგრაფიული და ეკონომიკური სტრუქტურის ზოგადი მიმოხილვის წყაროდ, განსაკუთრებით აზერბაიჯანსა და საქართველოსთან მიმართებით. ოპტიმისტური მომავლის სცენარში, სადაც რეგიონის გეოსტრატეგიული პრობლემები მოგვარებული იქნება, წიგნის ხედვა კავკასიის თანამედროვე ეკონომიკურ ადგილთან დაკავშირებით, შესაძლოა, ძალიან მიმზიდველი გახდეს.

ამ წიგნის ქართული ვერსია 2007 წელს გამოიცა თბილისში გამომც. “დიოგენე“-ს მიერ. წიგნთან ერთად ითარგმნა ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტთან არსებული

ნოზარ ხაღური, ნაზირა კაკულია

ცენტრალური აზიისა და კავკასიის ინსტიტუტისა და აბრეშუმის გზის შესწავლის პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესორი ს. ფრედერიკ სტარის რეცენზია. იმის გათვალისწინებით, რომ ეს წინასიტყვაობა ქართულადაა თარგმნილი და გამოცემული, მასზე აქ ყურადღებას აღარ შევანერებთ.

განხილული რეცენზიები, ასევე ვ. პაპავას ნაშრომების მითითება ცნობილი უცხოელი მკვლევარების ნაშრომებში, მნიშვნელოვანია ქართული ეკონომიკური სკოლის მსოფლიოსათვის გაცნობისა და საერთაშორისო სამცნიერო სივრცეში ინტეგრაციისათვის. ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პროფ. ვ. პაპავა კვლავაც მრავალმხრივ, საინტერესო, აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა, ასევე ღიად, პირდაპირ და საფუძვლიანად აფიქსირებს პოზიციებს ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ და პოპულარიზაციას უწევს როგორც მთლიანად საქართველოს, ასევე ქართულ ეკონომიკურ სკოლას (მის ნაშრომებში ხშირადაა მითითებული სხვა ქართველი ეკონომისტების ნაშრომები), რომლის გამოკვეთილი ლიდერი თავად არის.

**ხელფასი და მასზე მოქმედი ფაქტორები
თანამედროვე შრომის
ბაზრის პირობებში**

მურმან სარსიკი

**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის
ასოცირებული პროფესორი**

ხელფასი როგორც ეკონომიკური კატეგორია, სხვადასხვა პერიოდში მოცემული წარმოების წესის ყველა ელემენტთან მიმართებასა და ურთიერთკავშირში, სხვადასხვაგვარად განიმატებოდა, რაც მუდმივი დისკუსიისა და კამათის საგანი იყო. მარქსისტული გაგებით, საბაზრო ეკონომიკის პირობებში „ხელფასი არის სამუშაო ძალის ფასი“¹. არამარქსისტული ეკონომიკის სკოლების თეორიების მიხედვით, „ხელფასი არის შრომითი მომსახურების ფასი, ანუ უბრალოდ შრომის ფასი“²; თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურასა თუ სპეციალურ ეკონომიკურ ლექსიკონებში ვხვდებით სხვა საინტერესო განმარტებებსაც: „ხელფასი არის ფულადი თანხა, რომელსაც მომუშავე ღებულობს თავისი შრომის კომპენსაციის სახით“³; „ხელფასი არის წარმოების პროცესში ჩართული შრომითი რესურსების ფასი“, „ხელფასი პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯების ნაწილია, რომელიც მიმართულია საწარმოს მომუშავეს შრომის ანაზღაურებაზე“³. სპეციალურ ლიტერატურულ წყაროებში

¹ **Эренберг Р., Смит Р.** Современная экономика труда. Теория и государственная политика, М. 1996, с.15.

² **Рощин С. Ю. Разумова Т. О.** Теория рынка труда, учебно-методическое пособие, МГУ, издательства ТЕИС-1998, с. 93.

³ Ключков А. К. КРП и мотивация персонала. Полный сборник практических

დღემდე გვხვდება ხელფასის სტანდარტული, საერთოდ აღიარებული განმარტებებიც: “ხელფასი არის ფულადი ფორმით გამოხატული ეროვნული შემოსავლის ნაწილი, რომელიც ნაწილდება თითოეული მომუშავეს მიერ დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით და გადადის მის პირად მოხმარებაში”, “ხელფასი არის გასამრჯელო შრომისათვის, მისი სიდიდე მნიშვნელოვნად განისაზღვრება დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, თუმცა მასზე ზემოქმედებს ისეთი საბაზრო ფაქტორები, როგორცაა მოთხოვნა და მიწოდება, არსებული კონკრეტული კონიუნქტურა, ტერიტორიული ასპექტები, საკანონმდებლო ნორმები”. მაგალითად, აშშ-ში მინიმალური ხელფასი, ისევე როგორც საათობრივი განაკვეთები, რეგულირდება კანონმდებლობით¹. საყურადღებოა კიდევ ერთი განმარტება, რომლის მიხედვითაც: “ხელფასი არის გასამრჯელო შრომისათვის, რომელიც დამოკიდებულია მომუშავეს კვალიფიკაციაზე, შესასრულებელი სამუშაოს პირობებზე, რაოდენობაზე, ხარისხსა და სირთულეზე. ასევე მასში შედის მასტიმულირებელი და საკომპენსაციო ხასიათის გასაცემლები”².

წარმოების ფაქტორების თეორიის შესაბამისად, მესაკუთრე საწარმოო რესურსების, წარმოების ფაქტორების გამოყენების შედეგად ღებულობს შემოსავალს მოგების, რენტისა და პროცენტის სახით. დაქირავებულ შრომასთან მიმართებით, ასეთ გასამრჯელოს წარმოადგენს ხელფასი. კლასიკური, ნეოკლასიკური, ინსტიტუციონალური მიმართულების ეკონომიკური თეორიების თანახმად, ერთი მხრივ, ხელფასი წარ-

инструментов-Эксмо, 2010.-160с.; 2.Ильясов Ф. Н. Социальная справедливость в оплате труда (опыт социолого-статистического исследования)//Социальная справедливость и проблемы перехода к рыночной экономике. - М.: Институт социологии РАН, 2010, с. 121-149.

¹ <http://www.managment.aaanet.ru/economics/oplata-truda-3.php> «Человек и труд» 2000 - №7, 10, 11; 1999 - № 4, 5, 7, 11.

² www.partnerstvo.ru/lib/tp/node/58.

მოადგენს იმ სასიცოცხლო საშუალებათა ფონდს, რომელიც აუცილებელია სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის და მეორე მხრივ, დამსაქმებლის ზღვრულ დანახარჯებს სამუშაო ძალაზე, რომელიც იძლევა მოგების მიღების გარანტიას. ამიტომ, ხელფასი ერთდროულად გამოდის როგორც დაქირავებული მომუშავეის შემოსავალი და დამსაქმებლის დანახარჯები. ეს უკანასკნელი განსაზღვრავს ურთიერთობის სუბიექტთა ინტერესების განსხვავებულობასა და მათ ერთიანობას. ამ ინტერესთა შეჯერების მიზნით დგინდება ხელფასის განაკვეთი, რომელიც ასახავს სამუშაო ძალის ღირებულებას (ფასს) და სწორედ მისი სიდიდე წარმოადგენს შრომის ბაზრის ძირითადი სუბიექტების ეკონომიკური ინტერესების საგანს. იგი არის ასევე ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს ამ ინტერესთა ეფექტიანი ზემოქმედების მიღწევას. ხელფასის ასეთი განმარტება სჭარბობს პოსტსაბჭოთა პერიოდის რუსი მეცნიერების ნაშრომებშიც, რაზეც მეტყველებს ქვემოთ წარმოდგენილი განმარტებები: „ხელფასი როგორც კატეგორია, ასახავს ურთიერთობებს, რომლის საფუძველიც არის სამუშაო ძალის როგორც საქონლის ხასიათი, ანუ იგი არის მუშაკის მიერ შრომის ბაზარზე თავისი სამუშაო ძალის (შრომის უნარის) გაყიდვა“¹.

ა. კიბანოვი ხელფასის არსს განმარტავს „როგორც სამუშაო ძალის ფასს შრომის ბაზარზე“². ა. ეგორშინის აზრით კი „ხელფასი წარმოადგენს სამუშაო ძალის ფასს“³. ა. ფედჩენკო „ხელფასს განმარტავს როგორც სამუშაო ძალის ღირებულების გარდაქმნილ ფორმას“⁴. „ხელფასი

¹ Современная экономика труда/Под ред. Куликова В.В. - М.: Финстатин-форм, 2001, с. 246.

² Кибанов А.Я. Управление персоналом организации. М.:Инфра-М., 1998, с. 369.

³ Егоршин А.П. Мотивация трудовой деятельности. Учебное пособие. - Н. Новгород: НИМБ, 2003, с. 114.

⁴ Федченко А.А. Доходы работников: сущность и регулирование. - Воронеж: Издательство Воронежского государственного университета, 2001, с. 180.

როგორც საბაზრო ეკონომიკის კატეგორია, წარმოადგენს სამუშაო ძალის ღირებულებას (ფასს)".¹ ვ. რაკოტინის აზრით, „...შრომა არის საქონელი, ხელფასი-სამუშაო ძალის ღირებულების ფორმა“.² ა. ჟუკოვს ყურადღება გადააქვს შრომის ფასზე და ხელფასის განმარტებას შესაბამისად აყალიბებს: „ხელფასი საბაზრო ეკონომიკაში შრომის გამოყენებისათვის გადახდილი თანხაა, რომლის განსაზღვრასაც საფუძვლად შრომის ფასი უდევს“.³ რ. იაკოვლევის აზრით, „...ხელფასის განაკვეთი ...ხელფასი (გასამრჯელო)... ეს ტერმინები წარმოადგენს ტერმინის „სამუშაო ძალის ფასის“ კონკრეტულ ასახვას, გამოხატულებას“.⁴ იგივე აზრს აყალიბებს თავის განმარტებაში ა. როფეც: „ყველაზე ზოგადი სახით ხელფასი საბაზრო ეკონომიკის პირობებში არის საზღაური შრომისათვის, ხოლო მისი სიდიდე არის შრომის ფასი“.⁵ ბ. გენკინი იძლევა ხელფასის სრულიად ახალ განმარტებას: „ხელფასი, ანუ ზოგადად საწარმოს პერსონალის შემოსავლები კონკრეტულ პირობებზე დამოკიდებულებით შეიძლება წარმოგვიდგეს ორგვარი სახით, როგორც პროცენტი ადამიან-კაპიტალზე და როგორც ანაზღაურება შრომითი პოტენციალის არენდისათვის“.⁶ ჩვენი აზრით,

¹ Политика доходов и заработной платы: Учебник: для студентов вузов, обучающихся по экономическим специальностям и направлениям/Под ред. **П.В. Савченко, Ю.П. Кокина**. М.: Экономистъ, 2004, с. 122.

² **Ракотин В.Д.** Заработная плата и предпринимательский доход.-М.: Финансы и статистика, 2001, с.3.

³ **Жуков А.Л.** Регулирование и организация оплаты труда. Учебное пособие.-М.: МИК, 2003, с. 11.

⁴ **Яковлев Р.А.** Оплата труда в организации. - 2-е изд., перераб. и доп. - М.: МЦФЭР, 2005, с. 16.

⁵ **Рофе А.И.** Труд: теория, экономика, организация: Учебник для вузов. - М.: МИК, 2005, с. 484.

⁶ Генкин Б.М. Организация, нормирование и оплата труда на промышленных предприятиях: Учебник для вузов. - 3-е изд. изм., и доп. - М.: Норма, 2005, с. 245.

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

ამ განმარტებაში ავტორი ცდილობს შეცვალოს შრომის სუბიექტის განვითარებასთან დაკავშირებული ცვლილებები, გადააქვს რა ყურადღება სამუშაო ძალის ახალ ხარისხობრივ მახასიათებლებზე შრომით პოტენციალსა და ადამიან-კაპიტალზე. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ის, რომ ხელფასი არის დაქირავებულ შრომასთან დაკავშირებული კატეგორია, ხოლო რენტა და პროცენტი არის შემოსავლის ისეთი ფორმა, რომელიც დამოკიდებულია წარმოების სხვა ფაქტორების გამოყენებაზე. ხელფასის ზემოაღნიშნული განმარტებები შეიძლება განვაზოგადოთ, რის საფუძველზეც შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი ძირითადი დასკვნები:

➤ ხელფასი არის სამუშაო ძალის ფასი. მისი სიდიდე და დინამიკა დამოკიდებულია საბაზრო ფაქტორების ზემოქმედებაზე, პირველ რიგში კი, მოთხოვნასა და მიწოდებაზე;

➤ ხელფასი არის “სამუშაო ძალის” როგორც საქონლის ღირებულების ფულადი გამოხატულება, “სამუშაო ძალის” როგორც საქონლის ღირებულების გარდაქმნილი ფორმა. მისი სიდიდე განისაზღვრება წარმოების და საბაზრო ფაქტორებით მოთხოვნითა და მიწოდებით, რომელთა ზემოქმედებითაც ხორციელდება ხელფასის გადახრა სამუშაო ძალის ღირებულებიდან;

➤ ხელფასი არის შრომითი მომსახურების ფასი, ანუ უბრალოდ შრომის ფასი. აღსანიშნავია, რომ ხელფასის არსთან დაკავშირებით ამ თვალსაზრისს იზიარებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (შსო).

უცხოელ მეცნიერთა ნაშრომებზე დაყრდნობით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ხელფასზე როგორც ეკონომიკური კატეგორია ზემსჯელობა. საუკუნეების მანძილზე ეკონომიკური თეორიის სხვადასხვა მიმართულების მეცნიერები ცდილობდნენ გაერკვიათ ხელფასის ბუნება, რისთვისაც საჭირო იყო ორი ძირითადი ამოცანის გადაწყვეტა: რა

მურმან სარსიძე

გაიგება, აღიქმება ხელფასის ქვეშ და როგორ განვსაზღვროთ მისი სიდიდე. აღნიშნული თეორიების კლასიფიკაციას წარმოვადგენთ სქემის სახით (იხ. სქემა 1).

ხელფასის ეკონომიკური თეორიების კლასიფიკაცია¹

სქემა 1

მაკროთეორიები	მიკროთეორიები	მაკრო-მიკრო თეორიები
სოციალური გამოქმედადების თეორია (უზრუნველყოფს საარსებო მინიმუმს სამართლიანი ფასების ან ხელფასების დადგენის გზით) მარქსისტული თეორია	სამართლიანი ხელფასის თეორიები: ინვესტიციების თეორია, ზღვრული პროდუქტიულობის თეორია, მოთხოვნა-მიწოდების თეორია, მოლაპარაკებების თეორია და სხვა	ქვევის ეკონომიკური თეორიები (შიგა მენეჯმენტის პრაქტიკის გაგენა ორგანიზაციულ პროდუქტიულობაზე)
ხელფასის (გასამრჯელოს) მაკონტროლებელი თეორიები (ეროვნული შემოსავლის კეინზიანური თეორია, მოხმარების თეორია)		ორგანიზაციულ-ეკონომიკური თეორიები, ოპერაციული დანახარჯების ეკონომიკური თეორია, სააგენტოების თეორია

საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ XX საუკუნის 20-იან წლებში, აკადემიკოსი სსტრუმილინი წერდა: “ხელფასი თავისი არსით წარმოადგენს შემოსავლის წყაროს სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის და მან უკიდურეს შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს შემდეგი: 1. უზრუნველყოს მომუშავის

1 კონკრეტულად ასევე შეიძლება გამოვეყოთ: “ხელფასის გედონისტიკური თეორია”, “ხელფასის ეკონომიკური ეფექტიანობის თეორია”, “სამუშაო ფონდის თეორია”, “ხელფასის მწარმოებლურობის თეორია”, “ზღვრული მწარმოებლურობის თეორია” და სხვა. აღნიშნულ თეორიებში წარმოდგენილია ხელფასის როგორც ეკონომიკური კატეგორიის საინტერესო განმარტებები, სადაც საერთო ბევრია და შინაარსობრივად, ხშირ შემთხვევაში, თითქმის ერთნაირი ფორმულირებაა სხვადასხვა ფორმით.

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

სამუშაო ძალის კვლავწარმოება, ანუ უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მისი პირადი შინაარსი; 2.სამუშაო ძალის დამუშავება უფრო კვალიფიციური ასპექტით, ანუ იგულისხმება მომუშავეისათვის პროფესიული განათლების მიცემა, მისი პროფესიული მომზადება; 3.სამუშაო ძალის “მიმდინარე და კაპიტალური რემონტი”, ანუ ნორმალური დასვენება და მკურნალობა; 4. ნორმალური ცვეთის „ამორტიზაცია”, ანუ ოჯახის შენახვა და მისი შემცვლელის მომზადება მომავალი თაობის სახით და სხვა.”¹ ამ განმარტებაში ს. სტრუმილინი, ისევე როგორც მეცნიერთა უმრავლესობა, აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხელფასი არის სამუშაო ძალის ფასი. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ძალზე საინტერესო და ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები გვხვდება თანამედროვე ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაშიც. მაგალითად, მეცნიერთა ნაწილი თვლის „რომ სამუშაო ძალის (გაგებული, როგორც ადამიანის ფიზიკურ და გონებრივ უნართა ერთობლიობა) ჩათვლა საქონლად არასწორია, ვინაიდან საქონელი არის პროდუქტი, რომელიც დამზადებულია გასაყიდად და გაყიდვის შემდეგ იგი იცვლის მესაკუთრეს. წარმოების პროცესში ადგილი აქვს არა პიროვნების უნარის გაყიდვას, არამედ მის დაქირავებას, ვინაიდან უნარის მესაკუთრედ კვლავ ეს პიროვნება რჩება და მისი უნარი არათუ მცირდება, არამედ, უმეტეს შემთხვევაში, იზრდება კიდევაც. უნარი რომ გაიყიდოს, მაშინ მისი მესაკუთრე ადამიანიც უნდა გაიყიდოს... მუშაკი კი არ ყიდის თავის უნარს, არამედ იყენებს მას წარმოების პროცესში (შრომობს) მესაკუთრის სასარგებლოდ, რისთვისაც იღებს გასამრჯელოს”.² აკად. ლ.

¹Струмилин С.Г. Проблемы экономики труда. М.: Наука, 1982, с. 377.

² რ. აბესაძე, ეკონომიკური განვითარება და უმუშევრობა. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე და აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების

ჩიქავა აყალიბებს საწინააღმდეგო მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ „ჯერ ერთი, სამუშაო ძალის, როგორც ადამიანის პოტენციური მწარმოებლური ძალის, საქონლად არაღიარება არასწორი, თანაც იმ „არგუმენტის“ მოშველიებით, რომ საქონელი არის პროდუქტი, რომელიც დამზადებულია გასაყიდად და გაყიდვის შემდეგ იგი იცვლის მესაკუთრეს. განა, ცოტაა ისეთი სპეციფიკური საქონელი, რომლის გასხვისებისას მესაკუთრე არ კარგავს მასზე საკუთრების უფლებას? ასეთია, მაგალითად, ცოდნა. თუმცა, თუ კარგად დავეუკვირდებით, დავინახავთ, რომ შრომის უნარის გასხვისებით, მისი განკარგვის (სურვილისამებრ გამოყენების) უფლება გამყიდველის ხელიდან მყიდველის (დამქირავებლის) ხელში გადადის; მეორე, საბაზრო ეკონომიკის პირობებში სწორედ ადამიანის შრომის უნარი იყიდება, წარმოების მუშაკს კი ქირაობენ; მესამე, შრომის უნარის გაყიდვა სრულებით არ ნიშნავს იმავე დროს მისი მესაკუთრე ადამიანის გაყიდვას; მეოთხე, იმის გამო, რომ მუშაკი ყიდის შრომის უნარს, ამ უკანასკნელს წარმოების პროცესში იყენებს არა თვითონ, არამედ მეწარმე (დამქირავებელი)“¹

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ საინტერესო განმარტებებში საერთო ბევრია და შინაარსობრივად თითქმის ერთნაირ ფორმულირებას გვაძლევს სხვადასხვა ფორმით, რადგან ყველა შემთხვევაში მსჯელობაა მომუშავეის შრომის უნარზე, გამოცდილებასა და კვალიფიკაციაზე, რომელსაც ის ასხვისებს დამსაქმებელზე გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს შრომის ბაზარზე ყიდვა-გაყიდვის ობიექტს და არა თვით შრომითი პროცესი, რომელიც მის საბოლოო გამოვლინებას წარმოადგენს. „ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე“, თბილისი, 2010, გვ. 8.

¹ ლ. ჩიქავა, დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2012, გვ. 269-270.

საქართველოს შრომის კოდექსი

გენს და საწარმოში შექმნილი რეალური სიტუაციიდან და საწარმოო პირობებიდან გამომდინარე, შეიძლება სხვადასხვა დონეზე იქნეს გამოყენებული.

ხელფასთან მიმართებით, საქართველოს შრომის კოდექსით განისაზღვრება შრომის ანაზღაურების ფორმები, ოდენობა, გაცემის წესი, დრო, ადგილი და სხვა პირობები, თუმცა ხელფასის შინაარსობრივი განმარტება მასში მოცემული არ არის.¹

ზემოაღნიშნული მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე შეიძლება აღენიშნოთ, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხელფასი შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისათვის მომუშავეს შრომითი დანახარჯების (მომსახურების) კომპენსაციაზე მიმართული ფულადი თანხაა (დამსაქმებლის, როგორც წარმოების ფაქტორების მესაკუთრისა და სამუშაოს მიმცემის შემოსავლის ნაწილია), რომელიც სრულადაა დამოკიდებული მომუშავეს კვალიფიკაციაზე, შესასრულებელი სამუშაოს პირობებზე, რაოდენობაზე, ხარისხსა და სირთულეზე, აგრეთვე, საკომპენსაციო და მასტიმულირებელი ხასიათის გასაცემლებზე. დამსაქმებელი ვალდებულია გასცეს დაქირავებულ მომუშავეზე გამომუშავებული სახსრები გარკვეული სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევისათვის შრომითი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ე. ი. ანაზღაუროს დაქირავებულ მომუშავეს შრომა. თვით შრომის ანაზღაურება კი შეიძლება განვიხილოთ როგორც ურთიერთობათა სისტემა, რომელიც დაკავშირებულია შრომის შედეგების მიხედვით დამსაქმებლის მხრიდან მომუშავეს გასამრჯელოს დადგენისა და მისი გაცემის უზრუნველყოფასთან და ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების, კოლექტიური ხელშეკრულებების,

¹ საქართველოს შრომის კოდექსი. 17.12.2010წ. პარლამენტი, ორგანული კანონი №4113, თავი VII.

შეთანხმებებისა და შრომითი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ეკონომიკის პროფესორი ო. ბლანშარი ხელფასს სხვა ფაქტორებთან ლოგიკური კავშირით განიხილავს და აღნიშნავს, რომ: „ხელფასი, ჩვეულებისამებრ დამოკიდებულია შრომის ბაზრის პირობებზე. რაც დაბალია უმუშევრობის დონე, მით მაღალია ხელფასი“¹. შემდგომ კი, ხელფასის განმსაზღვრელ ფაქტორებს იგი ერთ განტოლებაში აერთიანებს:

$$W=P^e \cdot F(u,z) (-,+)(1)$$

სადაც P^e ფასების მოსალოდნელი დონეა, u -უმუშევრობის დონე, ხოლო z სხვა ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ხელფასზე. მაგალითად: უმუშევართა სოციალური დახვევა (უმუშევრობის მოცემული დონის შემთხვევაში, უმუშევრობაზე მაღალი შემწეობა ხელფასს ზრდის); მინიმალური ხელფასის ზრდა (რომელმაც შეიძლება გაზარდოს საშუალო ხელფასი); დასაქმებულთა დაცვის (პროტექციის) ზრდა ხელს უწყობს ხელფასის ზრდას და სხვა. აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, z -ის ზრდა ნომინალური ხელფასის ზრდას იწვევს.

თუ განვაზოგადებთ ზემოაღნიშნულ მიდგომებს, შეიძლება ითქვას, რომ ხელფასი წარმოადგენს მნიშვნელოვან ეკონომიკურ და სამართლებრივ კატეგორიას, იგი განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა მიერ, რომლებიც ასევე ადგენენ დამსაქმებლისა და მომუშავეს უფლებებსა და ვალდებულებებს შრომის ანაზღაურების სფ-

¹ ბლანშარი ო. მაკროეკონომიკა. მე-5 გამოცემა. თარგმანი ინგლისურიდან. თსუ, 2010, გვ.181.

===== ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

ეროში. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვყოთ ხელფასის შემდეგი ძირითადი თავისებურებანი:

➤ ხელფასი, თავისი არსითა და დანიშნულების მიხედვით, მომუშავეთა შემოსავლებისა და საარსებო წყაროს ძირითადი ნაწილია;

➤ თოთოეული მომუშავეს ხელფასი დამოკიდებულია არა მარტო მის მიერ დახარჯული შრომის რაოდენობასა და ხარისხზე, არამედ რეალურ შრომით წვლილსა და პერსონალის საქმიანობის საბოლოო შედეგებზე;

➤ ხელფასი არის არა მარტო შრომის მიხედვით განაწილების ძირითადი ფორმა, არამედ წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მატერიალურ სტიმულს. ვინაიდან მომუშავეები ცრდილობენ რა დაიკმაყოფილონ მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები, ისინი ობიექტურად არიან დაინტერესებული ხელფასის ზრდით, რაც პირდაპირაა დაკავშირებული პირადად მათი და მთელი პერსონალის შრომის ეფექტიანობის ზრდასთან;

➤ ხელფასი მომუშავეს შრომის ეფექტიანობაზე ზემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია;


➤ ხელფასი შრომის სფეროში სახელშეკრულებო ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა, რომელიც რეგულირდება კანონმდებლობით.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხელფასის ეფექტიანმა ორგანიზაციამ უნდა გადაწყვიტოს ორი ძირითადი ამოცანა:

1. იყოს თითოეული მომუშავეს შრომის ანაზღაურების გარანტი – მისი შრომის შედეგებისა და შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის ფასის მიხედვით (იხ. სქემა 2), რომელიც წარმოადგენს მისი და მისი ოჯახის წევრების კეთილდღეობის ძირითად წყაროს.

მურმან სარსიძე

ხელფასის წონასწორული განაკვეთი და საერთო წონასწორობა შრომის ბაზარზე
 სქემა 2



შრომის ბაზარი, ისევე როგორც ნებისმიერი საქონლის ან მომსახურების ბაზარი, ფუნქციონირებს მოთხოვნა-მიწოდების კანონის საფუძველზე. სამუშაო ძალაზე მოთხოვნა ასახავს მოცემულ მომენტში ეკონომიკისათვის საჭირო გარკვეული პროფესიის და კვალიფიკაციის მომუშავეების რაოდენობას. რაოდენობრივად სამუშაო ძალაზე მოთხოვნა დასაქმებულთა რიცხოვნობისა და არსებული ვაკანსიების ჯამით განისაზღვრება და შესაბამისად, მოთხოვნის მრუდი (DD) შრომის ბაზარზე ასახავს ურთიერთდამოკიდებულებას თვით მოთხოვნასა და ხელფასის იმ განაკვეთს შორის,

რომელიც შესაძლებელია მისაღები იყოს დამსაქმებლისათვის, დამატებითი მომუშავეების დაქირავების შემთხვევაში. სამუშაო ძალის მიწოდებას აყალიბებს დასაქმებული და მუშაობის მსურველი პირების ერთობლიობა. მათი ქცევა მიწოდების კანონის საფუძველზე მიწოდების (SS) მრუდით აისახება, რომელიც აჩვენებს თუ სამუშაო ძალის რა რაოდენობა შეიძლება გავიდეს შრომის ბაზარზე ხელფასის გარკვეული განაკვეთის პირობებში. საბოლოო ანგარიშით, სრულყოფილი კონკურენციის პირობებში, როდესაც შრომის ბაზარზე ურთიერთზემოქმედებს სამუშაო ძალის მყიდველებსა და გამყიდველების დიდი რაოდენობა, მათი ინტერესთა ურთიერთშეთანაწყოება აუცილებლად უზრუნველყოფს ხელფასის საბაზრო წონასწორობითი განაკვეთის ჩამოყალიბებას გარკვეულ (N) წერტილში, რაც სწორედ სამუშაო ძალაზე მოთხოვნისა და მიწოდების ზემოქმედების შედეგად განისაზღვრება. ასეთ შემთხვევაში დასაქმდება (Q_n) რაოდენობის მომუშავე, რომელთათვისაც ხელფასის საბაზრო განაკვეთის სიდიდე (P_n) დონეზე იქნება განსაზღვრული.

2. უზრუნველყოს დამსაქმებლისათვის (იმისაგან დამოუკიდებლად, თუ ვინ იქნება იგი: სახელმწიფო, საჯარო, საზოგადოებრივი თუ კერძო ორგანიზაცია) ისეთი სამეურნეო შედეგის მიღწევა, რომელიც მას პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებიდან ყველა დანახარჯის დაფარვისა და რენტაბელობის ნორმალური დონის უზრუნველყოფის, შესაბამისად, ნორმალური მოგების მიღების საშუალებას მისცემს. „ანუ იგი არის წარმოების ფუნქციონირებისა და განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს ერთობლივი გადამხდელუნარიანი მოთხოვნის ფორმირებას“¹.

¹ Заработная плата - цена рабочей силы. “Кадровик. Кадровый менеджмент”, 2007, N 2, с.147.

შრომის ფაქტორის რაციონალური და ეფექტიანი გამოყენება უნდა გახდეს მომავალში, პერიოდულად და გონივრულად, შრომის ანაზღაურების ზრდის აუცილებელი პირობა. მაგრამ, საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს, რომ ხელფასის სისტემატური ზრდა მიიღწევა მისი ეფექტიანი და რაციონალური ორგანიზაციით. ამ დროს მცირდება პროდუქციის ერთეულზე ხელფასის დანახარჯების ხვედრითი წონა და იქმნება თითოეული მომუშავეის შრომის ანაზღაურების გადიდების შესაძლებლობა საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის შესაბამისად. ეს უკანასკნელი კი დაქირავებულ მომუშავესა და დამსაქმებლის ინტერესებს შორის კომპრომისის მიღწევის აუცილებელი პირობაა.

აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტისათვის აუცილებელია შრომის ანაზღაურების ორგანიზაცია შემდეგი ძირითადი პრინციპების საფუძველზე:

- რეალური ხელფასის სისტემატური ზრდა წარმოებისა და შრომის ეფექტიანობის მატების შესაბამისად;

- შრომის მწარმოებლურობის უპირატესი ზრდა ხელფასთან შედარებით, რაც გულისხმობს შრომითი შემოსავლების მაქსიმიზაციას წარმოების განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ზრდის შესაბამისად;

- ხელფასის დიფერენციაცია წარმოების საბოლოო შედეგების, შრომის პირობებისა და შინაარსის, დარგობრივი და ტერიტორიული დაქვემდებარების და სხვა ფაქტორების შესაბამისად, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მომუშავეთა მატერიალური დაინტერესება კვალიფიკაციის ამაღლებაში, პროდუქციის ხარისხის გადიდებაში და სხვა;

- თანაბარი ანაზღაურება თანაბარი შრომისათვის. საბაზრო ეკონომიკის პირობებში აღნიშნული პრინციპის რეა-

===== ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

ლიზაცია ნიშნავს შრომის ანაზღაურებაში დისკრიმინაციის აღმოფხვრას, უპირველეს ყოვლისა, სქესის, ასაკისა და ეროვნული ნიშნების მიხედვით და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას;

- შრომის ანაზღაურების სახელმწიფო რეგულირება;

- შრომის ბაზრის გავლენის გათვალისწინება. სახელმწიფო რეგულირებისა და თვითრეგულირების მექანიზმების როლი ხელფასის განაკვეთის ფორმირებაში;

- ხელფასის ფორმებისა და სისტემების სიმარტივე, ლოგიკურობა და საიმედოობა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხელფასმა უნდა შეასრულოს სამი ძირითადი ფუნქცია:

1. კვლავწარმოების ფუნქცია – სამუშაო ძალის ნორმალური, ანუ გაფართოებული კვლავწარმოება – მომუშავეის მატერიალური საშუალებებითა და მომსახურების ისეთი მოცულობით უზრუნველყოფა, რაც საკმარისია სამუშაო ძალის გაფართოებული კვლავწარმოებისათვის, ანუ საწარმოში ფიზიკური და ინტელექტუალური შრომის უნარის (რომელიც განუწყვეტლივ იცვლება ტექნიკური და სოციალური ფაქტორების გავლენით) კვლავწარმოებისათვის. ამ მხრივ შეიძლება აღინიშნოს, რომ ხელფასს გააჩნია ე. წ. სოციალური ფუნქციაც, რითაც იგი სამომხმარებლო ბაზარზე მოსახლეობის გადახდისუნარიანობასა და სოციალური სამართლიანობის პრინციპის რეალიზაციას უზრუნველყოფს;

2. სტიმულირების ფუნქცია – სამუშაო ძალის გამოყენებით წარმოების ისეთი განსაზღვრული შედეგების მიღწევას, რომელიც საშუალებას მისცემს დამსაქმებელს (სამუშაოს მიმცემს), საბოლოო ანგარიშით მიიღოს მოსალოდნელი მოგება, ანუ საერთო შემოსავალი;

3. რეგულირების ფუნქცია – მისი მეშვეობით ხორ-


ციელდება შრომის ბაზარზე სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ზემოქმედება. იგი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აგრეთვე პერსონალის ფორმირებაზე, მომუშავეთა რიცხოვნობასა და მათი დასაქმების დონეზე. ამ ფუნქციას შუალედური მდგომარეობა უკავია კვლავწარმოებისა და სტიმულირების ფუნქციებს შორის და მათთან მიმართებით ასრულებს ინტეგრირების როლს, რისი მეშვეობითაც მიიღწევა დამსაქმებლებისა და მომუშავეის ინტერესების დაბალანსება.

ხელფასის აღნიშნული ფუნქციების ეფექტიანი რეალიზაცია დამოკიდებულია თითოეული ფუნქციის მატარებელ სუბიექტზე. ასე, მაგ: საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში კვლავწარმოების ფუნქცია რეალიზდება პროფკავშირების მიერ და წარმოადგენს მის პრეროგატივას. ხელფასის მასტიმულირებელი ფუნქციის რეალიზაცია ძირითადად დამსაქმებლის ამოცანაა და ხორციელდება შრომის ანაზღაურებისა და სტიმულირების ეფექტიანი სისტემის დანერგვით. ხელფასის მარეგულირებელი ფუნქციის წარმატებით შესრულება, ბაზრის თვითრეგულირების მექანიზმთან ერთად, შეუძლია სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხელფასის სიდიდეზე ზემოქმედებს როგორც საბაზრო, ასევე არასაბაზრო ფაქტორები (იხ. სქემა 3), რომლის შედეგადაც ყალიბდება შრომის ანაზღაურების განსაზღვრული დონე.

ხელფასის სიდიდეზე მოქმედი საბაზრო და არასაბაზრო ფაქტორები

სქემა 3



ხელფასის სიდიდეზე მოქმედ საბაზრო ფაქტორებს შორის შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

1. საქონლისა და მომსახურების ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების ცვლილება. კერძოდ, მოთხოვნის შემცირება (მასზე ფასების ზრდის, მომხმარებელთა შემოსავლების შემცირების, სამომხმარებლო არჩევანის ცვლილების ან სხვა ფაქტორების გავლენით) იწვევს წარმოების მოცულობის შემცირებას და შესაბამისად, სამუშაო ძალაზე მოთხოვნის დაცემას, დაქირავების პირობების გაუარესებას. და პირიქით, საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდა, სამუშაო ძალაზე მოთხოვნას გაზრდის და ხელფასის (შრომის ანაზღაურების) ზრდას შეუწყობს ხელს;

2. მეწარმისათვის რესურსის სარგებლიანობა (ზღვრული შემოსავლის დამოკიდებულება შრომის ფაქტორის გა-

მოყენებაზე და ამ ფაქტორზე გაწეული ზღვრული დანახარჯების სიდიდეზე). სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ზრდა დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში იყენებს მწარმოებელი შემოსავლის ზრდის ექსტენსიურ ფაქტორებს, ანუ როდემდე იქნება ეკონომიკურად ეფექტიანი დამატებითი სამუშაო ძალის დაქირავება წარმოების სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობებში;

3. სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ელასტიკურობა ფასის მიხედვით. სამუშაო ძალის ფასის ზრდა (მაგალითად, ხელფასის ზრდა პროფკავშირების ზეგავლენით), მეწარმის ხარჯების ზრდის შედეგად, ამცირებს სამუშაო ძალაზე მოთხოვნას, შესაბამისად, აუარესებს დაქირავების პირობებს. ამასთან, სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ელასტიკურობა ფასის მიხედვით არაერთნაირადაა დამოკიდებული ზღვრული შემოსავლის დინამიკის ხასიათზე; კომპანიის დანახარჯებში სამუშაო ძალის ხარჯების წილზე; მოთხოვნის ელასტიკურობაზე იმ საქონელზე, რომლის საწარმოებლადაც გამოიყენება სამუშაო ძალა;

4. რესურსების ურთიერშენაცვლებადობა. იგულისხმება, რომ დამსაქმებლის შესაძლებლობები შეამციროს დანახარჯები შრომაზე ტექნიკური ბაზის უცვლელობის პირობებში, შეზღუდულია. ამასთან, სამუშაო ძალის ფასი (ხელფასი) ყოველთვის ხასიათდება ზრდის ტენდენციით შრომის ბაზრის კონიუნქტურის ცვლილების პირობებში. ასეთ შემთხვევაში ისმება საკითხი შრომის ფაქტორის მაღალმწარმოებლური ტექნიკით ჩანაცვლების შესახებ. რესურსების ასეთი ურთიერთჩანაცვლებადობა ორმაგ ეფექტს წარმოქმნის დაქირავების პირობებსა და შრომის ბაზრის კონიუნქტურაზე. იმისდა მიხედვით თუ როგორ ეფექტს მიანიჭებს უპირატე-

სობას დამსაქმებელი, შესაძლებელია ორი ვარიანტი: 1. შენაცვლების ეფექტი, ანუ კადრების შემცირება პროდუქციის წარმოების მოცულობის უცვლელობის ან ახალი ტექნიკის დანერგვის შედეგად მისი ზრდის შემთხვევაში. მოთხოვნა შრომის ბაზარზე მცირდება, გამოთავისუფლებული მომუშავეები ზრდიან შრომის მიწოდებას, რაც საბოლოო ანგარიშით, აუარესებს დაქირავების პირობებს და ხელფასის ზრდის შესაძლებლობას; 2. წარმოების მოცულობის ზრდის ეფექტი მაღალმწარმოებლური ტექნიკის გამოყენებით, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს წარმოების საშუალო დანახარჯებს და ამადლებს მათ სარგებლიანობას. ამ შემთხვევაში მოთხოვნა სამუშაო ძალაზე მკაფიოდ გამოკვეთილი შემცირების ტენდენციით არ ხასიათდება;

5. სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე ფასების ზრდა იწვევს რა ცხოვრების ღირებულების გაძვირებას, განაპირობებს ხელფასის სტრუქტურაში მისი კვლავწარმოებითი მინიმუმის ზრდას და მთლიანად ხელფასის გადიდებას.

ხელფასზე მოქმედი არასაბაზრო ფაქტორებიდან შეიძლება გამოვეყნოთ:

1. სახელმწიფო რეგულირების ღონისძიებები მინიმალური ხელფასისა და კანონმდებლობით დადგენილი გარანტირებული საკომპენსაციო გასაცემლების დადგენასთან დაკავშირებით; 2. პროფკავშირების პოლიტიკა, პროფკავშირული მოძრაობა და მათი გამოსვლები; 3. საწარმოს საქმიანობის საბოლოო შედეგები და მომუშავეის პირადი შრომითი წვლილი—ეს ფაქტორი პირდაპირ კავშირშია ხელფასის სიდიდესთან.

**Salary and its Influencing Factors in Terms of Contemporary
Labour Market Conditions**

M. Tsartsidze

In terms of financial and economic crisis when poverty eradication still remains the foremost objective in the country, along with sustainable economic development, reduction of chronic unemployment, effective employment of population and ensuring normal reproduction of labour force should be considered as the main factors for improvement of living standards. Thus, scientific research of the issues related to organizing salary, formation of its legislative and normative basis and reformation problems in general gained a great importance and it is still pressing nowadays.

The article, based on analyzing rich theoretical and practical material, represents the problems related to organizing labour remuneration system and salary in terms of contemporary labour market conditions. Namely, the given work discusses the essence of salary as an important social and economic category, its peculiarities, the main principles and objectives of its organization. In the concluding part of the article, particular attention is paid to the characteristics of the main functions of salary and the factors having impact on it.

**პოლიტიკური ფსიქოლოგიის როლი და
ენიშვნელობა პოლიტიკურ ქმედებაში**

ლია სვანიძე

**ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი**

პოლიტიკური ფსიქოლოგია ფსიქოლოგიური მეცნიერების ახალი დარგია. მისი წარმოშობა და ჩამოყალიბება დროის მოთხოვნამ განაპირობა.

პოლიტიკური ფსიქოლოგია ძალზე საინტერესო, თუმცა ურთულესი პროფესიაა. იგი მუდმივად არის ჩართული პოლიტიკურ თამაშსა და პოლიტიკასთან დაკავშირებულ საქმეებში, მაგრამ, თვითონ არ არის მოთამაშე. შეგუძლავს გესმოდეს მოთამაშეების და კითხულობდე მათ აზრებს და იყო აბსოლუტურად ობიექტური ანალიტიკოსი – საკმაოდ რთულია, რთულია შეუთავსო მეცნიერის აუცილებელი გულწრფელობა და პრაქტიკული პოლიტიკის ცინიზმი, მაგრამ ზუსტად ეს არის მაღალი კლასის პოლიტიკური ფსიქოლოგის ხვედრი. ძნელია იმუშაო ადამიანებთან, როდესაც შენი ვალია გესმოდეს მათი, და აკეთებდე იმას ისე, რომ ისინი ვერ ხვდებოდნენ ამას. ძნელია იცოდე ყველაფერი, მაგრამ არ აჩვენებდე, რომ ძალზე ბევრი იცი (ეს შეიძლება საშიშიც იყოს...), მაგრამ ის, ვისაც უნარი შესწევს დაეუფლოს პოლიტიკური ფსიქოლოგიის ურთულეს პროფესიას, ენით აუწერელ დახმარებას უწევს პოლიტიკურ საქმიანობას.

პოლიტიკური ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება, მოიცავს შემდეგ ძირითად საკითხებს:

პოლიტიკური ფსიქოლოგია, როგორც დისციპლინათა შორისი მეცნიერება; პოლიტიკისა და ფსიქოლოგიის მიჯნაზე; პოლიტიკური ფსიქოლოგიის ავტონომიური სტატუსი; პოლიტიკური ფსიქოლოგიის ფსიქოლოგიური და პოლიტი-

კური ფესვები; ქცევა, როგორც პოლიტიკური ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური პლატფორმა; პოლიტიკა, როგორც ადამიანთა საქმიანობის განსაკუთრებული სახეობა, ამგვარი საქმიანობის ფსიქოლოგიური სტრუქტურა; პოლიტიკური ფსიქოლოგიის საგანი და ამოცანები; პოლიტიკური ფსიქოლოგიის ფუნქციონალურ-შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ფუნქციონალური პრობლემები.

პოლიტიკური ფსიქოლოგია დისციპლინათა შორის მდებარეობს, რომელიც წარმოიშვა პოლიტიკისა და ფსიქოლოგიის მიჯნაზე. მისი მთავარი ამოცანაა ფსიქოლოგიური მექანიზმების ანალიზი და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც ხელს უწყობს პოლიტიკური რეკომენდაციების ოპტიმალურად განხორციელებას ყველა დონეზე. ზუსტად ამიტომ შეიქმნა იგი და აქედან განვითარდა მისი უკვე სრულიად დამოუკიდებელი სტატუსი.

ფორმალურად, პოლიტიკური ფსიქოლოგიის შექმნის თარიღად ითვლება 1968 წელი როგორც დასავლეთში, ასევე აშშ-ში, სადაც უკვე იკითხებოდა პოლიტიკური ფსიქოლოგიის სპეციალური კურსები სხვადასხვა უნივერსიტეტში.¹ მაგრამ, პოლიტიკური ფსიქოლოგიის იდეების, ცოდნის, დაკვირვების მდიდარი მასალა არსებობდა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, და იქედან მოდის ამ სიბრძნის სათავეები, იქაა მისი ფესვები. არისტოტელედან დაწყებული ჩვენამდე უამრავი ემპირიული ძიების მასალა დაგროვდა. პოლიტიკური ფსიქოლოგია ახალი და, ამავდროულად, ძალზე ძველი მეცნიერებაა. შორეული წარსულიდან დღემდე პოლიტიკოსებსაც და მეცნიერებსაც აინტერესებდა, პოლიტიკური პროცესების სულიერი, სუბიექტური მხარე. სწორედ ამ ინტერესმა და საყოველთაო მოთხოვნილებამ ჩაუყარა საფუძველი პოლიტიკურ ფსიქოლოგიას, როგორც მეცნიერულ დისციპლინას. იგი წარმოიშვა პოლიტიკისა და ფსიქოლოგიის ინტერესთა გადაკვეთაზე.

პოლიტიკური ფსიქოლოგიის საგანია ადამიანის, სოციალური ჯგუფის და მთლიანად ხალხის პოლიტიკური ქცევის

¹ Ольшанский Д.В. Основы политической Психологии. М., 2001, с. 5,11.

ფსიქოლოგიური კომპონენტები, რომელთა კვლევის საშუალებებითაც შესაძლებელია ფსიქოლოგიური ცოდნა გამოვიყენოთ პოლიტიკური საქმიანობის ასახსნელად.

თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში პოლიტიკურმა ფსიქოლოგიამ მყარად დაიმკვიდრა ადგილი პრაქტიკული პოლიტიკის არსენალში. ამ სფეროს ექსპერტების სპეციალური დახმარების და კონსულტაციების გარეშე პრაქტიკულად არ ხდება არცერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება. ამას უკვე მიჩვეულები არიან პრეზიდენტები და სენატორები, ელექტორატი და კანდიდატები არჩევნების დროს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და საზოგადოებრივი აზრის მკვლევარები. ნიჭიერი და მცოდნე ფსიქოლოგები უცხოეთში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობენ პოლიტიკურ წრეებში და მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ მათ. სამწუხაროდ, ჩვენთან პოლიტიკური ფსიქოლოგია დღემდე არ დგას იქ, სადაც მას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია.

ნებისმიერ მეცნიერებას საფუძვლად უდევს მისთვის არსებითი მეთოდოლოგიური პრინციპები – ის ზოგადი ლოგიკა და აზროვნების წესი, რომლითაც ხელმძღვანელობს იგი თავისი განვითარების გზაზე.

პოლიტიკური ფსიქოლოგიის საფუძვლად უნდა ვაღიაროთ ქცევა და, შესაბამისად, იგი განხილულ უნდა იქნეს ქცევის პოზიციებიდან. პოლიტიკა ემყარება გარკვეულ მრავალწახნაგოვან და მრავალფეროვან ქცევას.

პოლიტიკის ზოგადი გაგება, რომლის არსია ადამიანების მართვა, ჯგუფებისა და ინდივიდების განსხვავებული ინტერესების შეთანხმებაა, საშუალებას იძლევა განვიხილოთ მისი ქმედება, როგორც განსაკუთრებული საქმიანობის გამოვლინება.

პოლიტიკური ფსიქოლოგიის საგანი და ამოცანები:

ამგვარად, პოლიტიკური ფსიქოლოგიის საგანია პოლიტიკა, როგორც ადამიანის საქმიანობის განსაკუთრებული ფორმა, რომელსაც აქვს საკუთარი სტრუქტურა, სუბიექტი

და ადამიანის ქცევის მართვის მოტივი. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, პოლიტიკა როგორც განსაკუთრებული საქმიანობა, ექვემდებარება სპეციფიკურ ანალიზს სოციალური, საგნობრივი საქმიანობის ზოგადი კონცეფციის ჩარჩოებში. შიგა სტრუქტურის თვალსაზრისით, პოლიტიკა როგორც საქმიანობა, იწლება კონკრეტულ მოქმედებებად, ეს უკანასკნელი კი – ცალკეულ ოპერაციებად. პოლიტიკურ საქმიანობას, მთლიანობაში, შეესაბამება მოტივი, რაც, როგორც ქცევის საერთო სუბიექტური ღირებულების განცდა, თავის თავში აერთიანებს ადამიანის მიერ ყველა იმ გარემოებას, შეფასებას, რაც ქცევის წამოწყებასა, განხორციელებასა და დაგვირგვინებასთან არის დაკავშირებული. ქცევის სუბიექტურ ფასეულობაში, ანუ მოტივში აისახება ის, თუ რა შინაარსის მოთხოვნილებები უკავშირდება ქცევას და როგორია მისი დაუკმაყოფილებლობის დონე, რა საშუალებებს ფლობს პიროვნება მის დასაკმაყოფილებლად და რამდენად ხელშემწყობია ამ მხრივ სიტუაცია. მოტივი საზრისსა და მნიშვნელობას აძლევს ქცევას. იგი ფიზიკურ ქცევას, ანუ ობიექტურად მიმდინარე მოქმედებებსა და ოპერაციებს ფსიქოლოგიურ ქცევად გარდაქმნის. როგორცია მოტივი, ისეთივეა ქცევა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით¹.

მოქმედებებს შეესაბამება გარკვეული კონკრეტული მიზნები, რაც მისი ქცევის საერთო მიმართულების მაჩვენებელია. ხშირად საჭირო ხდება, აგრეთვე, მიზნის, გარემოს რეალურ მონაცემებთან შესატყვისობაში მოყვანა, ქცევის, გამოსავლის შესახებ წარმოდგენის გაკონტროლება სიტუაციის შესაბამისად. ოპერაციებს შეესაბამება გარკვეულ პირობებში მოცემული ამოცანები. აქედან გამომდინარე, მთელ პოლიტიკას როგორც საქმიანობას, შეესაბამება როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანის ქცევის მართვის განზოგადებული მოტივი (მისი ოპტიმიზაცია).

კონკრეტულ პოლიტიკურ ქმედებებს შეესაბამება ჯგუ-

¹ ლ. სვანიძე, *ლექციების კურსი ეკონომიკურ ფსიქოლოგიაში*, შემეცნებითი სწავლება, თბილისი 2009, გვ. 196.

ფების ან ცალკეული ადამიანების ინტერესების შეთანხმების (ან დაცვის) გარკვეული მიზნები, კერძო პოლიტიკურ ოპერაციებს კი – სხვადასხვა ტიპის აქცია, მოლაპარაკებებით დაწყებული და ომით, აჯანყებებით დამთავრებული.

პოლიტიკის როგორც საქმიანობის სუბიექტად, შეიძლება ვიხილოთ ცალკეული ინდივიდი, მცირე და დიდი სოციალური ჯგუფი და ასევე სტიქიური მასები. პოლიტიკა როგორც საქმიანობა მთლიანობაში, ასევე მისი ცალკეული ნაწილი შეიძლება ატარებდეს ორგანიზებულ ან არაორგანიზებულ, სტრუქტურირებულ ან არასტრუქტურირებულ ხასიათს.

პოლიტიკური ფსიქოლოგიის ცოდნის გამოყენების ისტორია, თეორია და პრაქტიკა საშუალებას იძლევა გამოვყოთ სამი ძირითადი ამოცანა, რაც უნდა გადაწყვიტოს პოლიტიკურმა ფსიქოლოგიამ, როგორც მეცნიერებამ. გარკვეულწილად ეს ამოცანები ვითარდებოდა და იხვეწებოდა ისტორიულად და შეიცავდა პოლიტიკური ფსიქოლოგიის სამ ეტაპს. პირველ ამოცანად დღემდე რჩება ფსიქოლოგიური კომპონენტების ანალიზი პოლიტიკაში, პოლიტიკურ პროცესებში „ადამიანური ფაქტორის“ როლის გაგება.

მეორე ძირითადი ამოცანა, თითქოს დაშენებული პირველზე, იყო და რჩება ამ ფაქტორის როლის და მთლიანობაში, პოლიტიკაში ფსიქოლოგიური ასპექტების პროგნოზირება. დაბოლოს, მესამე მთავარი ამოცანა, რომელიც გამომდინარეობდა წინა ორიდან, არის მმართველობითი გავლენა პოლიტიკურ საქმიანობაზე, მისი ფსიქოლოგიური უზრუნველყოფის კუთხით, ანუ სუბიექტური ფაქტორის მხრიდან.

პოლიტიკური ფსიქოლოგიის ძირითადი ობიექტები:

კონკრეტული ობიექტების სფერო, რომელთა შესწავლითაც არის დაკავებული პოლიტიკური ფსიქოლოგია, ძალზე ფართოა, თუ უსაზღვრო არა. პრაქტიკულად მას მიეკუთვნება ყველაფერი პოლიტიკაში, რაც ასე თუ ისე შეიცავს რაიმე ფსიქოლოგიურ ასპექტს და რასთანაც კავშირშია „ადამიანური ფაქტორი“ – ლიდერობის ფსიქოლოგიიდან ბრბოს

ქცევებამდე, ინტრიგებიდან ქვეყნის მმართველი ორგანოს მცირე ჯგუფებში სტიქიურ პანიკურ ქცევებამდე, პარტიული კუთვნილებიდან სრულ აპოლიტიკურობამდე და ა.შ. ასეთია მხოლოდ ძირითადი, ყველაზე ცნობილი ობიექტების არასრული ჩამონათვალი, რომლებიც ექცევა პოლიტიკური ფსიქოლოგიის ყურადღების ცენტრში. ობიექტების მრავალფეროვნება გულისხმობს საგნებს შორის, ასევე დისციპლინათა შორის კავშირების სიმრავლეს პოლიტიკურ ფსიქოლოგიაში. შესასწავლი ობიექტების ხასიათისა და კონკრეტული შინაარსის მიხედვით, პოლიტიკური ფსიქოლოგია კონკრეტულ-პრაქტიკულ დონეზე მჭიდროდ უკავშირდება რიგ ფსიქოლოგიურ დისციპლინას, უპირველეს ყოვლისა, პროპაგანდის ფსიქოლოგიას, მართვის ფსიქოლოგიას და სხვ. პირველიდან მას აინტერესებს სოციალური განწყობების, საზოგადოებაზე ზემოქმედების, საზოგადოებრივი აზრის, მასობრივი ქცევის და სხვა მნიშვნელოვანი პრობლემები¹. მეორესთან – კონფლიქტები და ლიდერობის პრობლემატიკა; მცირე და დიდი ჯგუფების ფსიქოლოგიური თავისებურებების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები; მიზნის დასახვის დროს მოქმედი ფსიქოლოგიური კანონები; ფსიქიკური მოვლენების ზემოქმედება მართვაზე (მეხსიერების, ცნობიერების, ნებისყოფის, ქვეცნობიერების).²

პოლიტიკური ფსიქოლოგია საკმაოდ მჭიდროდაა დაკავშირებული სოციოლოგიურ მეცნიერებებთან, განსაკუთრებით პოლიტიკურ სოციოლოგიასთან. სოციოლინგვისტური მეთოდების (განსაკუთრებით მასობრივი სოციოლოგიური გამოკითხვები, დემოსკოპიის მეთოდები, საზოგადოებრივი აზრის კვლევის მეთოდები და სხვ.). კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, მისი ხარისხიანი გამოყენებით პოლიტიკური ფსიქოლოგია უზრუნველყოფს პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური

¹ Надирашвили Ш. Психология Пропаганды Тб. 1979 г., с. 41-57.

² ლ.სვანიძე, **ლექციების კურსი ეკონომიკურ ფსიქოლოგიაში**, შემეცნებითი სწავლება, თბილისი 2009, გვ. 82-83.

პრობლემების სრულყოფილ ინტერპრეტაციას და მის ხარისხიან ანალიზს.

რა თქმა უნდა, პოლიტიკურ ფსიქოლოგიას აქვს აგრეთვე, განვითარებული დისციპლინათა შორისი კავშირები პოლიტოლოგიის სხვადასხვა მიმართულებასთან, მთლიანობაში, მათ აქვთ საერთო შესწავლის ობიექტი, საერთო პოლიტიკა, ე.ი. საერთო ფესვები. იმის მიუხედავად, რომ პოლიტიკური ფსიქოლოგიის დამოუკიდებლობა იზრდება, განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში, ხშირ შემთხვევაში, პოლიტოლოგია გამოდის შემკვეთის როლში და მის წინაშე აყენებს ამა თუ იმ ფუნქციონალურ პრობლემას. შესაბამისად, ხდება მეთოდების ურთიერთგაცვლა, რაც ორივე მეცნიერებას ამდიდრებს.

ფუნქციონალური მიმართულების მიხედვით, რომელსაც სახავს პოლიტოლოგია და პოლიტიკური პრაქტიკა, თანამედროვე პოლიტიკური ფსიქოლოგია შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ნაწილად. პირველი ნაწილის პრობლემატიკას შეადგენს საშინაო პოლიტიკის საკითხები, მეორე ნაწილის პრობლემატიკას – საერთაშორისო და საგარეო პოლიტიკის სფერო. გარდა ამ ორი ნაწილისა, ამ ბოლო დროს ვითარდება კიდევ ერთი ნაწილი – სამხედრო პოლიტიკური ფსიქოლოგია, რაზეც, პრაქტიკიდან გამომდინარე, საკმაოდ დიდი მოთხოვნაა, და ხდება საკმაოდ სერიოზული ინვესტირება. ამ ნაწილს დიდი პრეტენზიები აქვს ფუნქციონალურ ავტონომიაზე.

პოლიტიკური ფსიქოლოგიის ჩარჩოებში საშინაო პოლიტიკის კვლევის ღერძს წარმოადგენს „პოლიტიკური ადამიანის“¹ პიროვნების ფსიქოლოგია და ასევე პოლიტიკური სოციალიზაციის და სოციალური განწყობის, როგორც ფსიქოლოგიური მახასიათებლების, პრობლემები, რომელთა მეშვეობითაც წარმონდგება პიროვნება პოლიტიკაში. პოლიტიკური პროცესების მდგომარეობას, მათი კავშირის ფორმებს შეიძლება დავაკვირდეთ ლიდერობის პრობლემების, პოლიტიკური უკმაყოფილების, ანტისამთავრობო გამოსვლების,

¹ Психология. Под. Ред. А.А. Крылова, М., 2001, с. 528-531.

არჩევნების დროს ქცევის, ნაციონალური დელევის ანალიზის გზით.

„პოლიტიკური ადამიანის“ პიროვნების ფსიქოლოგია განიხილება ორი ასპექტით. ერთ მათგანში ეპიცენტრი ლიდერის პიროვნებაშია. განიხილება კონკრეტული სახელმწიფო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის ფსიქოლოგიური თავისებურებები, რომლის შესწავლის ჩარჩოებში ხორციელდება ფართო პლანის პოლიტიკური ქცევების მოტივაციის მექანიზმების აქტიური კვლევები: პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების გზების, პოლიტიკური აზროვნების თავისებურებების, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფზე და მოსახლეობის ფენებზე ზეგავლენის, პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური მექანიზმების გარშემო.

მეორე ასპექტით პიროვნება განიხილება, როგორც პოლიტიკური პროცესების რიგითი მონაწილე ან გარკვეული სოციალური ჯგუფების წევრი. ამგვარად, ხდება მთელი რიგი პრობლემის გამოკვლევა. პირველ რიგში, მას მიეკუთვნება „საშუალო ადამიანის“ ჩართულობა პოლიტიკაში, კონფორმულობა ან პირიქით, პოლიტიკური აქტიურობა. აქვე ხდება ამგვარი პოლიტიკური ჩართულობის კონკრეტული ტიპების გამოკვლევა (მაგ., ლიდერი, გადაწყვეტილების მიმღები, ან უბრალო შემსრულებელი) და ცალკე ნაწილია – პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის ხარისხი (დრეკადობა, პოზიციების რიგიდობა, შემოქმედებითი მიდგომა), ორიენტაცია პიროვნების როლზე, პოლიტიკური სისტემის მიმართ ერთგულების მექანიზმები და სხვ.

სოციალური განწყობები და სტერეოტიპები პოლიტიკური ფსიქოლოგიის მიერ შეისწავლება როგორც პოლიტიკური ქცევის წამყვანი მექანიზმები და განიხილება, როგორც პიროვნების ორგანიზაციული წინასწარი განწყობა სიტუაციის აღქმის, მისი შეფასების და შემდგომი მოქმედების მიმართ.

განწყობა შეიცავს კოგნიტურ ორიენტაციას, ემოციურ დამოკიდებულებას და მზადყოფნას რაიმე მოქმედების მი-

მართ, ანუ სუბიექტის აქტიურ-მოქმედებით დამოკიდებულე-ბას პოლიტიკური ობიექტების, პარტიების, მიღწევების, მოღვა-წეობის, პრობლემების მიმართ. აღნიშნული მიმართულებით კვლევების ჩატარება უდიდეს სარგებლობას მოუტანს საზო-გადოების პოლიტიკური საქმიანობის დახვეწას, რაც პოლი-ტიკური ფსიქოლოგიის ძირითადი ამოცანაა.

პოლიტიკური ფსიქოლოგია საგარეო პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებში გამოდის იქიდან, რომ ფსი-ქოლოგიურ მეცნიერებას აქვს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიასა და პრაქტიკა-ში. ჩვენს დროში დაუშვებელია სახელმწიფოთა ლიდერების, სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებრივი აზრის, პროპაგანდის, სიტუაციური ფაქტორების და მათ მიერ გამოწვეული ფსიქო-ლოგიური შედეგების როლის უგულვებელყოფა, დაკნინება პოლიტიკაში.

ამგვარად, პოლიტიკური ფსიქოლოგიის საგანი მთლიან-ნობაში, პოლიტიკაა, როგორც განსაკუთრებული საქმიანო-ბა, რომელსაც გააჩნია საკუთარი სტრუქტურა, სუბიექტი და წამქეზებელი ძალები.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, პოლიტიკა ექვემდე-ბარება სპეციალურ ანალიზს, სოციალურ-საგნობრივი საქ-მიანობის საერთო კონცეფციის ჩარჩოებში. შიგა სტრუქტურის თვალსაზრისით, პოლიტიკა იყოფა კონკრეტულ საქმიანობებად. ეს უკანასკნელი – ცალკეულ ოპერაციებად. მთ-ლიანობაში, საქმიანობას შეესაბამება მოტივი, მოქმედებებს – ცალკეული კონკრეტული მიზნები, ოპერაციებს – გარკვეულ პირობებში დასმული ამოცანები. შესაბამისად, მთლიანად პოლიტიკას შეესაბამება ქცევის მართვის განზოგადოებული მოტივი (მისი ოპტიმიზაცია).

კონკრეტულ პოლიტიკურ ქმედებებს გარკვეული მიზ-ნები შეესაბამება, რათა შეთანხმებულ იქნეს ჯგუფების და ცალკეული ადამიანების ინტერესები, დაბოლოს, პოლიტიკურ ოპერაციებს შეესაბამება სხვადასხვა ტიპის ცალკეული აქცია, დაწყებული მოლაპარაკებებით და დამთავრებული

ომებით ან ადღევენებით.

პოლიტიკის სუბიექტების როლში ცალკეული ადამიანები, პოლიტიკოსები, მცირე და დიდი სოციალური ჯგუფები და ასევე მასებია.

პოლიტიკა როგორც საქმიანობა, მთლიანობაში, და ასევე მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილები, შეიძლება ატარებდეს ორგანიზებულ და არაორგანიზებულ, სტრუქტურულ ან არასტრუქტურულ ხასიათს.

პოლიტიკური ფსიქოლოგიის ცოდნის გამოყენების ისტორია და პრაქტიკა შესაძლებლობას იძლევა გამოიკვეთოს სამი ძირითადი ამოცანა, რომელიც დგას პოლიტიკური ფსიქოლოგიის წინაშე:

პირველი ამოცანაა პოლიტიკაში ფსიქოლოგიური კომპონენტების ანალიზი. „ადამიანური ფაქტორის“ გაგება პოლიტიკურ პროცესებში.

მეორე ამოცანა უშუალოდ გამომდინარეობს პირველიდან და მოიცავს ამ ფაქტორის ფსიქოლოგიური ასპექტების პროგნოზირებას პოლიტიკაში. დაბოლოს, მესამე ამოცანა უშუალოდ ეყრდნობა წინა ორ ამოცანას და არის მმართველობითი გავლენა პოლიტიკურ საქმიანობაზე, მისი ფსიქოლოგიური უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ანუ „სუბიექტური ფაქტორის“ გათვალისწინებით.

პოლიტიკური ფსიქოლოგიის კონკრეტული ობიექტები განფენილია სამ ძირითად სფეროში: პირველი – საშინაო პოლიტიკური ურთიერთობების პოლიტიკური ფსიქოლოგია; მეორე – საგარეო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური ფსიქოლოგია და, მესამე – სულ უფრო და უფრო დამოუკიდებელი სტატუსის მქონე სამხედრო პოლიტიკური ფსიქოლოგია. პოლიტიკური ფსიქოლოგიის თითოეული სფერო შეიცავს კონკრეტული ობიექტების დიდ მრავალფეროვნებას, პრაქტიკულად ყველა პოლიტიკურ მოვლენას, ინსტიტუტს და პროცესს, რომლებიც მოიცავს ამა თუ იმ ფსიქოლოგიურ ასპექტს.

პოლიტიკური ფსიქოლოგია სტრუქტურულ-შინაარსო-

ბრივი მიმართულებით შესწავლილ გენერალიზებულ ობიექტებს ოთხ ძირითად დონეზე განიხილავს, რაც შეესაბამება პოლიტიკური სუბიექტის სოციალური ორგანიზაციის დონეებს.

პირველი დონეა პოლიტიკაში პიროვნების ფსიქოლოგიის ანალიზი. ერთი მხრივ, ეს ნიშნავს პიროვნების პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური ტიპის შესწავლას, რომელიც გამოხატავს ჯგუფის, ფენის, კლასისა და მთლიანად სახოგადოების ფსიქოლოგიას და გვიჩვენებს მოცემული ტიპის წარმოქმნას. მეორე მხრივ, ეს არის პოლიტიკური ლიდერობის პრობლემა, ფსიქოლოგიური ჭრილით, კონკრეტული პოლიტიკური მოღვაწის პიროვნების შესწავლა.

მეორე დონეა მცირე ჯგუფის ფსიქოლოგიის ანალიზი, რომელიც ასევე მოიცავს სხვადასხვა ელიტარული ჯგუფის, ფრაქციის ფსიქოლოგიურ ანალიზს. აქვე განიხილება ლიდერის ფორმალური და არაფორმალური ურთიერთობები უახლოეს გარემოცვასთან; მცირე ჯგუფში გადაწყვეტილებების მიღების ფსიქოლოგია და მასთან დაკავშირებული პრობლემები.

მესამე დონე – დიდი სოციალური ჯგუფების (კლასების და მოსახლეობის სხვადასხვა ფენის) და ეროვნულ-ეთნიკური ერთობების (ტომები, ნაციები, ხალხები) ფსიქოლოგიური ანალიზია. აქ მსჯელობაა მასშტაბური ზეწოლის პოლიტიკურ-ფსიქოლოგიურ მექანიზმებზე, რასაც ადგილი აქვს პოლიტიკური გაფიცვების, ეთნიკური კონფლიქტების შემთხვევაში.

მეოთხე დონეა მასების პოლიტიკური განწყობის, ფსიქოლოგიის ანალიზი. აქვე განიხილება მასობრივი პოლიტიკური ორგანიზაციების და მოძრაობების პრობლემები, მასობრივი საკომუნიკაციო პროცესები (რომლებიც მოქმედებენ საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას). უმნიშვნელოვანესი როლი ეკუთვნის, აგრეთვე, ადამიანთა სტიქიური ქცევის გამოვლინებებსაც.

როგორც სტატიიდან ჩანს, პოლიტიკური ფსიქოლოგია

უაღრესად მრავალფეროვანი მეცნიერების დარგია, შესაბამისად მრავალფეროვანია მისი კვლევის გზები და საშუალებები. გამომდინარე იქიდან, რომ პოლიტიკური ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიურ პლატფორმად ქცევას აღიარებენ, აღნიშნული მეცნიერება ატარებს მწყობრ, სისტემურ სახიანთს. ქცევები საკმაოდ მრავალფეროვანი მოქმედების წყობისაგან შედგება, და თითოეული მათგანი, ქცევის გეგმის შესაბამისად, საბოლოო მიზნისაკენ მიმავალ გზაზე გარკვეული შუალედური მიზნების განხორციელებას ემსახურება.

The Role and Importance of Political Psychology in Political Activities

L. Svanidze

The article reviews the most important issues regarding political psychology and their role and importance in political activities from professional point of view.

The main idea of the paper is that the methodological base of political psychology is the psychology of action while politics is described as highly diversified field of activity.

The article comprehensively discusses the important psychological issues such as: political psychology as science, the subject and tasks of political psychology and main objects of political psychology.

The conclusion of the article clearly and competently presents the whole essence of political psychology.

Finally, the author's desire and concern about the political psychology is very important. The author states: "Unfortunately, in our country the field of political psychology is not still paid the importance it deserves. If it were it could be highly beneficial."

**საგადასახადო დატვირთვის
ოპტიმალური დონის განსაზღვრის
პრობლემა ლაურის “არაკლასიკური”
თეორიის ბაზაზე**

აკაკი ბაბუღია
ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის
მოწვეული ასოცირებული პროფესორი

საქართველოში რაციონალური ფისკალური პოლიტიკის შემუშავების პრობლემა მნიშვნელოვანწილად უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკაზე საგადასახადო დატვირთვის ოპტიმალური (გარკვეული მიახლოებით მაინც) დონის განსაზღვრისა და რეალიზაციის საკითხებს, რაც გულისხმობს გარკვეული კონსენსუსის პოვნას ისეთ ერთმანეთთან დაკავშირებულ და ხშირად დაპირისპირებულ კრიტერიუმებს შორის, როგორცაა ეკონომიკური ზრდა და აუცილებელი საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზაცია¹.

აქედან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკაზე ფაქტობრივი საგადასახადო დატვირთვის (საგადასახადო ტვირთის) დინამიკის ანალიზი და მისი ოპტიმალური დონის დადგენის ნებისმიერი ცდა.

ცხადია, რომ ამ პრობლემას (როგორც თითქმის ნებისმიერ ეკონომიკურ პრობლემას) გააჩნია როგორც მაკროეკონომიკური, ასევე მიკროეკონომიკური ასპექტები, რომელთა განხილვის გარეშეც შეუძლებელია მისი სრულყოფილი

¹ ვ. ბასარია, რ. ბასარია. გადასახადი: სიკეთე თუ უკეთურება? თბ., 2003, გვ. 202.

აკაკი გაბელაია

ანალიზი. ამასთან, მოცემული სტატიის ძირითადი მიზანია ამ პრობლემის განხილვა მაკროეკონომიკური პოზიციებიდან. უფრო ზუსტად, იმის გარკვევა, თუ რამდენადაა შესაძლებელი და რას იძლევა ჩვენს შემთხვევაში, კლასიკად ქცეული მაკროეკონომიკური მეთოდების პრაქტიკული გამოყენება. მსჯელობა, ცხადია, შეეხება ცნობილი ლაფერის მრუდის აგებისა და გამოყენების შესაძლებლობებს. ასეთი სამუშაო, რომელიც შეეხებოდა ლაფერის კლასიკური ანალიზის გამოყენების შესაძლებლობებს, ჩვენ მიერ შესრულებული იყო 2007 წელს¹.

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით ლაფერის თეორიის “არაკლასიკური” ვარიანტის აგებას, რომელიც, როგორც დავრწმუნდებით, უფრო მიესადაგება ქართული ეკონომიკის რეალიებს. შემდეგ კი, შესაბამისი საწარმოო და ფისკალური მრუდების მაქსიმუმის პოვნისთვის, გამოვიყენებთ ისეთი კომპიუტერული სისტემის შესაძლებლობებს, როგორცაა Matlab-ი (“მატრიცული ლაბორატორია”).

აღნიშნული მიზნით, უწინარესად საჭიროა გავანალიზოთ საქართველოში საგადასახადო ტვირთის ფაქტობრივი დინამიკა ბოლო პერიოდისათვის.

ქვემოთ მოტანილ ცხრილში მოცემულია ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მოცულობის, მშპ-ის (ნომინალური, გამოსახულებით) და ეკონომიკაზე საგადასახადო დატვირთვის, q -ს (საგადასახადო შემოსავლების მოცულობის შეფარდება, მშპ-ს სიდიდესთან) დინამიკა 1996-2011 წლებისათვის.

¹ ა. გაბელაია, საგადასახადო დატვირთვის ოპტიმალური დონის განსაზღვრისათვის. შურნ. “კომერსანტი”, 2007, 3(4), გვ. 51-58.

ფაქტობრივი საგადასახადო დატვირთვის დინამიკა საქართველოს ეკონომიკაზე, 1996-2006 წლებში¹

წლები	ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები (ნომინალურ გამოსახ., მლნ ლარებში)	მშპ (ნომინალურ გამოსახ., მლნ ლარებში)	საგადასახადო დატვირთვა ეკონომიკაზე (q)
1996	386.2	3868.5	0.0998
1997	601.4	4554.9	0.1320
1998	645.5	5022.1	0.1285
1999	796.1	5668.7	0.1404
2000	854.7	6015.4	0.1421
2001	952.4	6647.1	0.1433
2002	924.0	7459.4	0.1239
2003	1005.9	8565.1	0.1174
2004	1530.2	9950.6	0.1538
2005	1982.8	11620.9	0.1706
2006	2646.6	13789.9	0.1919
2007	3669.0	16993.8	0.2159
2008	4752.7	19074.9	0.2492
2009	4388.8	17986.0	0.2440
2010	4867.5	20743.4	0.2346
2011	6134.8	24229.1	0.2532

როგორც ცხრილიდან ჩანს (იხ. აგრეთვე, ნახ. 1), 1996-1998 წლებში ეკონომიკაზე საგადასახადო დატვირთვის დონე 10-13 %-ის ფარგლებში იყო (უფრო ზუსტად, 1996 წლის 10 %-დან, 1997 წელს 13 %-მდე გაიზარდა, 1998 წელს კი ოდნავ შემცირდა კიდევც), ხოლო 1999-2003 წლებში კი სტაბილურობით გამოირჩეოდა და 14-14.4%-ის ფარგლებში მერყეობდა, თანაც, 2003 წელს მან თავის ლოკალურ მინიმუმს – 11.7 %-ს მიაღწია. 2004 წლიდან დაწყებული, მისი დონე განუხრევლად იზრდებოდა 2008 წლის ჩათვლით, როცა მან 24.9 %-ს

¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით.

აპკი ბაბუაია

მიადწია, ბოლოს კი, 2009-2010 წლებში გარკვეული კლების შემდეგ, 2011 წლის ბოლოსათვის თავისი მაქსიმუმის დონეზე (25.3 %) დაფიქსირდა.

ნახ. 1. საქართველოს ეკონომიკაზე ფაქტობრივი საგადასახადო დატვირთვის დინამიკა, 1996-2011 წლებში



როგორც ცნობილია, უცხოეთში საგადასახადო ტვირთის დონე საშუალოდ 30-45 %-ს ფარგლებში მერყეობს და ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

აქედან გამომდინარე, ძალზე საინტერესოა, თუ რამდენად ახლოსაა ეს მაჩვენებელი ეკონომიკაზე საგადასახადო დატვირთვის ოპტიმალურ დონესთან საქართველოში? ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემა (ყოველ შემთხვევაში, თეორიულად მაინც) შესაძლებელია ე.წ. ლაფერის მრუდის აგების ბაზაზე, რასაც ჩვენ ქვემოთ შევეცდებით.

როგორც ცნობილია, ლაფერის მრუდი აღწერს დამოკიდებულებას საბიუჯეტო შემოსავლების სიდიდესა და საგა-

დასახადო დატვირთვის დონეს შორის და თეორიულად განსაზღვრავს ამ უკანასკნელის იმ დონეს, რომლის ზემოთაც საგადასახადო ტვირთის ზრდა (ეკონომიკური აქტიურობის დაცემის გამო!) იწვევს საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებას. (ეკონომიკურ თეორიაში შეტანილი ამ წვლილისთვის უწოდებენ ა. ლაფერს “გადასახადების შემცირებაზე დამყარებული ახალი ეკონომიკური რელიგიის უმაღლეს სასულიერო მოღვაწეს”¹.)

ქვემოთ ჩვენ, პირველ რიგში, შევეცდებით ლაფერის მრუდის აგებას ჩვენი ეკონომიკისთვის, ეკონომეტრიკული მეთოდების გამოყენების ბაზაზე.

ამისათვის, არსებული მონაცემებიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავადგინოთ, თუ როგორია დამოკიდებულება მშპ-ს მოცულობასა და ფაქტობრივი საგადასახადო დატვირთვის დონეს შორის,

ამ დამოკიდებულებას (ე.წ. საწარმოო მრუდის განტოლებას), რომელიც მიღებულია ზემოთ მოყვანილი მონაცემების ბაზაზე (კომპიუტერული პროგრამა Eviews 5-ის გამოყენებით), აქვს სახე:

$$X = -34790.71 \cdot q^2 + 48624.40 \cdot q - 942.65, \quad (1)$$

სადაც X აღნიშნავს მშპ-ს სიდიდეს (რეალურ გამოსახულებაში, 1995 წლის ფასებში), ხოლო q -კი საგადასახადო დატვირთვის დონეს ეკონომიკაზე.

უნდა შევნიშნოთ, რომ თუმცა ამ განტოლების კოეფიციენტთა სტატისტიკური მახასიათებლები მაღალი საიმედოობით არ გამოირჩევა, მის კოეფიციენტებს “სწორი” (ე.ი. ისეთი, როგორიც ეკონომიკური თეორიის თანახმად უნდა ჰქონდეს) ნიშანი აქვს (იხ. ნახ. 2). გარდა ამისა, მთლიანობაში მიღებული რეგრესიის განტოლება არც ისე არასაიმედოა:

¹ იხ. გ. ბასარიასა და რ. ბასარიას დასახელებული ნაშრომი, გვ. 119.

აპკპი ბაბუღია

დეტერმინაციის კოეფიციენტი 0.89-ის ტოლია, F-სტატისტიკა 52.7-ს და ა.შ. აქედან გამომდინარე, მიღებული განტოლების გამოყენება (მიახლოებით შეფასებათა მისაღებად) დასაშვებია.

ვნახოთ ახლა რა შეფასებების მიღება შეიძლება საწარმოო მრუდის მიღებული განტოლებიდან.

უპირველეს ყოვლისა, მის ბაზაზე შეიძლება ე.წ. ეკონომიკაზე საგადასახადო დატვირთვის იმ დონის შეფასება, რომელსაც შეესაბამება წარმოების მაქსიმალური მოცულობა q^* , რომელსაც ლაფერის პირველი გვარის წერტილს უწოდებენ¹.

(1) განტოლებიდან, ამ მნიშვნელობისთვის ვღებულობთ შემდეგ შეფასებას:

$$q^* = -48624.4 / (-2 * 34790.71) = 0.699$$

მაშასადამე, (1) განტოლებიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკაზე, წარმოების მოცულობის თვალსაზრისით ოპტიმალური საგადასახადო დატვირთვის დონე (1996-2011 წლების მონაცემებიდან გამომდინარე) თითქმის 70 %-ია, რაც ცხადია, ძალზე არარეალური შედეგია (თუმცა, ამ შედეგის გაგება შესაძლებელია იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ეკონომიკური ზრდა, როგორც ზემოთ მოყვანილი გრაფიკიდანაც ჩანს, მიმდინარეობს საგადასახადო დატვირთვის განუხრელი ზრდის ფონზე).

აქედან გამომდინარე, შეიძლება აზრი ჰქონდეს საწარმოო მრუდის ალტერნატიული ვარიანტების შექმნასა და ანალიზს. ამ თვალსაზრისით, საკმაოდ საინტერესოდ გამოიყურება ამ მრუდის განტოლების შემდეგი სახით ძიება:


$$X = (c(1) * q + c(2)) / (1 + c(3) * q^4),$$

¹ Е. В. Балацкий. Эффективность фискальной политики государства. Журн. «Проблемы прогнозирования», М. 2000, N 5. с. 32-45.

სადაც $c(1)$, $c(2)$ და $c(3)$ (არაწრფივი) რეგრესიის საძიებელი პარამეტრებია. აღნიშნული განტოლების რეალიზაციას მოცემულ შემთხვევაში აქვს სახე:

$$X = (42325.99251 * q - 690.0227668) / (1 + 25.76346016 * q^4) \quad (2)$$

უნდა შევნიშნოთ, რომ თუმცა ამ განტოლების კოეფიციენტთა სტატისტიკური მახასიათებლები მაღალი საიმედოობით არ გამოირჩევა, მთლიანობაში, მიღებული რეგრესიის განტოლება არც ისე არასაიმედოა: დეტერმინაციის კოეფიციენტი 0.89-ის ტოლია, ლოგიკური დასაჯერობის კოეფიციენტი კი -126-ის რიგისაა. აქედან გამომდინარე, მიღებული განტოლება ფაქტობრივად იგივე სიზუსტისაა, რაც (1). ასე, რომ მისი გამოყენება ალტერნატიულ შეფასებათა მისაღებად სავსებით დასაშვებია. ამ ფუნქციის გრაფიკი (რომელიც მიღებულია ცნობილი კომპიუტერული პროგრამა Matlab-ის გამოყენებით) ნაჩვენებია ნახ. 2-ზე.



ნახ. 2. (“არაკლასიკური”) საწარმოო მრუდის გრაფიკი საქართველოს ეკონომიკისთვის, 1996-2011 წლების მონაცემებიდან გამომდინარე

აკაკი ბაბუღია

ახლა ვიპოვოთ საგადასახადო დატვირთვის მნიშვნელობა, რომლისთვისაც (2) გამოსახულებით მოცემული ფუნქცია ღებულობს მაქსიმალურ მნიშვნელობას.

ამ მიზნით გამოვიყენოთ ისევ Matlab-ი. იქიდან გამომდინარე, რომ X ფუნქციის მაქსიმიზაცია დაიყვანება -X ფუნქციის მინიმიზაციაზე, Matlab-ის გამოყენება გვაძლევს:

```
fminbnd('-(42325.99251*x-90.0227668)/(1+25.76346016*x^4)',0,1)
```

```
ans =  
0.3428
```

(აღბათ მიხვდით, რომ ზემოთ მოყვანილ გამოსახულებაში Matlab-ის საჭიროებისთვის ყარგუმენტი შეცვლილია x-ით).

მაშასადამე, ამ შემთხვევაში გამოდის, რომ საქართველოს ეკონომიკისთვის ლაფერის პირველი გვარის წერტილი შეესაბამება 34 %-იან საგადასახადო დატვირთვას ($q=0.34$), რაც საღ აზრთან გაცილებით უფრო ახლოა!

გარდა ამისა, მიღებული განტოლებიდან,


$$q=T/X,$$

თანაფარდობის გათვალისწინებით, სადაც T აღნიშნავს (ნაერთი ბიუჯეტის) სადაგასახადო შემოსავლების მოცულობას (რეალურ გამოსახულებაში), შეიძლება ვიპოვოთ ე.წ. ფისკალური, ანუ ლაფერის მრუდის (საგადასახადო შემოსავლების საგადასახადო დატვირთვის დონეზე დამოკიდებულების) განტოლება. ჩვენს შემთხვევაში (1996-2011 წლების მონაცემებიდან გამომდინარე) ამ განტოლებას ექნება სახე:

$$T=(42325.99251*q-90.0227668)*q/(1+25.76346016*q^4) \quad (3)$$

ამ “არაკლასიკურ” ლაფერის მრუდს (რომელიც აგებულია Matlab-ის ezplot ფუნქციის მეშვეობით), აქვს ნახ. 3-ზე ნაჩვენები სახე.

თავის მხრივ, (3) განტოლებიდან გამომდინარე, შეიძლება ვიპოვოთ საგადასახადო დატვირთვის იმ დონის შეფასება, რომელსაც შეესაბამება საგადასახადო შემოსავლების მაქსიმალური მოცულობა q^* . უნდა შევნიშნოთ, რომ ამ უკანასკნელს ლაფერის მეორე გვარის წერტილს უწოდებენ.



ნახ. 3. ფისკალური, ანუ ლაფერის (“არაკლასიკური”) მრუდი საქართველოს ეკონომიკისთვის, 1996-2011 წლების მონაცემებიდან გამომდინარე

რაც შეეხება T ფუნქციის მაქსიმიზაციას, ისევე როგორც ზემოთ, Matlab-ის გამოყენებით, ვღებულობთ:

```
fminbnd('-x*(42325.99251*x-90.0227668)/(1+25.76346016*x^4)',0,1)
```

ans =

0.4481

ე.ი. ამ შემთხვევაში $q^*=0.448$.

მაშასადამე, 1996-2011 წლების მონაცემებიდან გამომდი-

ნარე, საქართველოს ნაერთ ბიუჯეტში მაქსიმალური საგადასახადო შემოსავლის მიღება შეიძლება 44.8 პროცენტის საგადასახადო დატვირთვის პირობებში. სავსებით გასაგებია, რომ ეს უდიდესი ზედა ზღვარია, რომელსაც არ უნდა გადასცდეს საგადასახადო დატვირთვა საქართველოს ეკონომიკაზე. უფრო მეტიც, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკაზე ფაქტობრივი საგადასახადო დატვირთვა სასურველია არ გადასცდეს ლაფერის პირველი გვარის წერტილს, ე.ი. 34 %-ს, რის შემდეგაც საგადასახადო დატვირთვის გაზრდამ (ჩატარებული ანალიზიდან გამომდინარე!) ეკონომიკური დაქვეითება უნდა გამოიწვიოს.

The Issue of Determining Optimal Tax Burden for Georgian Economy on the Basis of Lafer's "Nonclassical" Theory

A. Gabelaia

It is known that the problem of development of rational fiscal policy is considerably connected with the problem of determining an optimal level of tax burden of national economy, that means reaching certain consensus between such opposed criteria as economic growth and mobilization of necessary budgetary receipts.

The paper analyses the dynamics of the actual tax burden of Georgian economy in recent period and suggests development of the "nonclassical" version of Lafer theory which quite fits the reality of national economy. In particular, in order to find out the maximum point of production and fiscal curves, applications of Matlab computer software are used.

**სოციალური ღაცვის ევროპული
მოდელები**

უჩა გოგიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

საქართველომ ისტორიული განვითარების ევროპული ვექტორი მყარად განსაზღვრა და შესაბამისად, მიზნად ევროკავშირში გაწევრიანება დაისახა (თუნდაც ხანგრძლივ პერსპექტივაში). ამასთან, მწვავე დისკუსიის საგანია ის, თუ რამდენად შეესაბამება ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები დეკლარირებულ მიზანს.

ნიცაში 2001 წელს მიღებული ევროკავშირის ხელშეკრულების მე-6 მუხლის პირველი აბზაცი განმარტავს, რომ ევროკავშირი ეფუძნება: დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, სამართლებრივი სახელმწიფოს (კანონის უზენაესობის) და ძირითადი თავისუფლებების პრინციპებს. ესენია: საქონლის თავისუფალი მოძრაობა; ადამიანების თავისუფალი გადაადგილება (ცხოვრებისა და სამუშაო ადგილის თავისუფალი არჩევა); სერვისისა და მომსახურების თავისუფლება; კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა. იმავე ხელშეკრულების 49-ე მუხლი კი განსაზღვრავს, რომ ნებისმიერ ევროპულ სახელმწიფოს, რომელიც აღიარებს ზემოაღნიშნულ პრინციპებს, შეუძლია განაცხადოს ევროკავშირის წევრობის სურვილის შესახებ.

უზა გოგიშვილი

ევროკავშირის გაფართოების შესაძლებლობა მის ყველა დამფუძნებელ დოკუმენტშია დაფიქსირებული. 1992 წელს მიღებულ მაასტრიხტის ხელშეკრულებაში წერია, რომ წევრობაზე განაცხადის შემოტანა “ნებისმიერ ევროპულ სახელმწიფოს შეუძლია”. თუმცა, წევრობის კანდიდატი ქვეყნებისადმი სათანადო კრიტერიუმები მხოლოდ 1993 წელს, კოპენჰაგენში იქნა მიღებული:

1. სტაბილური სახელმწიფო ინსტიტუტები, რომლებიც წარმოადგენს დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის გარანტიას (პოლიტიკური კრიტერიუმი);

2. ქმედითი საბაზრო ეკონომიკა, რომელსაც ძალა უნდა შესწევდეს გაუძლოს ევროკავშირში არსებულ კონკურენციის და საბაზრო ძალების წნეხს (ეკონომიკური კრიტერიუმი);

3. იმ ვალდებულებების აღების უნარი, რომლებიც ევროკავშირის წევრობიდან გამომდინარეობს და პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სავალუტო კავშირებს ითვალისწინებს (სამართლებრივ-ინსტიტუციონალური კრიტერიუმი).

ევროკავშირის უკანასკნელი გაფართოების წინ, ეკონომიკურ ექსპერტთა მიერ შემუშავებულ იქნა ინდიკატორები ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების როგორც ევროკავშირის წევრობის კანდიდატების, ეკონომიკური დონის შესაფასებლად. ესენია:

1. ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა და ინსტიტუციონალური ჩარჩოები;

2. მაკროეკონომიკური სტაბილურობა და კაპიტალის ბაზრის განვითარება;

3. სავაჭრო ინტეგრაცია და ფაქტორებით აღჭურვა.

ამ სამი, მეტად მნიშვნელოვანი ინდიკატორიდან, ჩვენი კვლევის საგანია ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა და მისი

ერთ-ერთი შემაღლებული ნაწილი – სოციალური პოლიტიკა.

აქვე მოვიყვანოთ მცნებათა რამდენიმე მნიშვნელოვანი განმარტება:¹

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა მიისწრაფვის მიაღწიოს შასახამისობას საზოგადოებრივ ღირებულებათა სისტემასა და ეკონომიკური წესრიგის ჩარჩო პირობების ფორმირებას შორის.

სოციალური პოლიტიკა არის სახელმწიფოს ყველა ღონისძიება და ქმედება, რომელიც მიმართულია მოსახლეობის ეკონომიკურად სუსტი ჯგუფების ცხოვრების საფუძვლების განმტკიცებისაკენ. სოციალური პოლიტიკით მაქსიმალურად უნდა შერბილდეს საზოგადოებაში არსებული სოციალური წინააღმდეგობები. მოსახლეობის სოციალური დაცვა არის ინსტიტუციურად უზრუნველყოფილი ღონისძიებების ერთობლიობა, რომლის მიზანია როგორც ცალკეული ინდივიდების, ასევე სოციალური ჯგუფების დაცვა სოციალური რისკებისაგან.

სოციალური რისკი არის იმის ალბათობა, რომ ადამიანი შეიძლება აღარ აღმოჩნდეს მატერიალურად უზრუნველყოფილი ეკონომიკური, ფიზიოლოგიური თუ დემოგრაფიული მიზეზით. სოციალური რისკების სახეობებია: სამსახურის დაკარგვა; უმუშევრობა; ავადყოფობა; ინვალიდობა; დედობა; მოხუცებულობა; მარჩენალის დაკარგვა და სხვა.

სოციალური დაცვის სისტემის ელემენტებია: საპენსიო დაზღვევა (მოხუცებულობის, ინვალიდობის); სამედიცინო დაზღვევა; წარმოებაში უბედური შემთხვევებისგან დაზღვევა; უმუშევრობის დაზღვევა; სოციალური დახმარება და სხვა.

მოსახლეობის სოციალური დაცვა ევროპული „სოციალური კეთილდღეობის სახელმწიფოს“ ისეთივე ფუნდამენტური კომპონენტია და განმასხვავებელი

¹ რევაზ გველესიანი, ირინა გოგორიშვილი: ეკონომიკური პოლიტიკა.

სახელმძღვანელო, ორ ნაწილად: გამოცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2009.

უჩა გოგიშვილი

თავისებურება, როგორც საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვრების ორგანიზაციის დემოკრატიული და საბაზრო პრინციპები. XIX საუკუნის ბოლოს დაარსდა და განვითარდა აუცილებელი სოციალური სადაზღვევო და სოციალური დახმარების ინსტიტუტები ევროპაში, მოხდა ეტაპობრივი გადასვლა ინდუსტრიული ტიპის ეკონომიკაზე, სადაც ეს ინსტიტუტები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს ეკონომიკის მოდერნიზაციაში სოციალური დაძაბულობის შემცირების გზით, რაც არის დემოგრაფიული და ეკონომიკური ცვლილებების შედეგი. ევროკავშირის ქვეყნების მოსახლეობის სოციალური დაცვის მოდელების გათვალისწინებით, პირველ რიგში, ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ერთი შეხედვით, მათში უფრო მეტი განსხვავებაა, ვიდრე მსგავსება: ყოველი ქვეყანა ინდივიდუალურად ირჩევდა და ახორციელებდა თავის სოციალურ პოლიტიკას. თითოეული სახელმწიფო, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, აყალიბებდა საკუთარი სოციალური დაცვის მოდელს.

სოციალური დაცვის ეკონომიკურ მოდელში შეიძლება ვიგულისხმოთ ორგანიზაციის ჩამოყალიბებული პრინციპები და მისი პროგრამების ფუნქციონირება ამა თუ იმ ქვეყანაში. რასაკვირველია, ნებისმიერი ტიპოლოგია შეიძლება განვიხილოთ, როგორც გამარტივებული სქემა, რომელსაც არ შეუძლია მთლიანობაში ასახოს არსებული სოციალური პროგრამების მრავალსახეობა, რომელიც განსხვავდება ისეთი პარამეტრებით, როგორც არის დაფინანსების საშუალებები, შემოთავაზებული მომსახურების ხარისხი და მოსახლეობის ჩართვის ხარისხი.

სოციალური პოლიტიკის მოდელების ტიპოლოგიების ჩამოყალიბების მცდელობებს აქვს ხანგრძლივი ტრადიციები შედარებით კვლევებში. ასე, მაგალითად, ბრიტანელი

მკვლევარის რიხარდ ტიტმუსის კლასიფიკაციაში იყო ჩადებული სახელმწიფო ხარჯების დონის კრიტერიუმი სოციალური დაცვის უზრუნველყოფის მიზნებისათვის. იმის და მიხედვით, თუ როგორი მიდგომა გამოიყენებოდა „დარჩენილი“ თუ „ინსტიტუციონალური,“ რ. ტიტმუსი გამოყოფდა სოციალური დაცვის ორ მოდელს. ის სახელმწიფოები, რომლებშიც სოციალური დაცვა ფინანსდება „ნარჩენის“ პრინციპით, მოქალაქეებისათვის წარმოადგენს მინიმალურ სოციალურ გარანტიებს და სოციალური მომსახურების კომპლექტს. სახელმწიფოები, რომელთა სოციალური დაცვის სისტემა დამყარებულია „ინსტიტუციონალურ“ პრინციპზე, უზრუნველყოფს მოსახლეობას საკმარისი სოციალური მხარდაჭერის დონით. პირველ შემთხვევასთან შედარებით, მეორე შემთხვევაში სოციალური მომსახურების მოცულობა უფრო ფართოა და გრძელვადიანი¹.

დიდი პოპულარობა მოიპოვა ტიპოლოგიამ, რომლის ავტორია დანიელი პოლიტოლოგი და სოციოლოგი გოშტა ესპინგ-ანდერსენი. მას საფუძვლად უდევს ისეთი კრიტერიუმები, როგორცაა სოციალური პოლიტიკის ადგილი ეროვნულ პრიორიტეტებს შორის, სახელმწიფო ჩართვის გადანაწილების პროცესების ხარისხი და ა.შ. მან, კვლევისას გაითვალისწინა არა მხოლოდ სახელმწიფო ხარჯების მოცულობა, როგორც კლასიფიკაციის კრიტერიუმი, არამედ ე.წ. „დეკომოდიფიკაციის“ ფაქტორიც. ეს არის, ყველასათვის საკმარისი დონის სოციალური უზრუნველყოფის შეთავაზების გზით, სახელმწიფოს მიერ ინდივიდუუმის საბაზრო წნეხისგან გათავისუფლების ხარისხი. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს დეკომოდიფიკაციის დონეს (ინდექსს)

¹ Titmuss R.M. Essays on the Welfare State. – London, 1976. – P.272.

ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში.

დეკომოდიფიკაციის დონე (ინდექსი) ევროკავშირის ქვეყნებისათვის¹

ცხრილი 1.

ქვეყანა	ინდექსი	ქვეყანა	ინდექსი
ირლანდია	23,3	ავსტრია	31,1
დიდი ბრიტანეთი	23,4	ბელგია	32,4
იტალია	24,1	ნიდერლანდები	32,4
საფრანგეთი	27,5	დანია	38,1
გერმანია	27,7	შვედეთი	39,1
ფინეთი	29,2		

ცხრილიდან თვალნათლივ ჩანს, რომ დეკომოდიფიკაციის დონე (ინდექსი), ანუ სახელმწიფოს მიერ ინდივიდუუმის საბაზრო წნეხისგან გათავისუფლების ხარისხი დაბალია ირლანდიაში, დიდ ბრიტანეთსა და იტალიაში, ხოლო განსაკუთრებით მაღალია – დანიასა და შვედეთში.

მოსახლეობის სოციალურ დაცვის მიხედვით ე.ესპინგ-ანდერსენი გამოყოფს სოციალური სახელმწიფოს სამ ძირითად ტიპს: ლიბერალურს, კონსერვატიულს და სოციალურ-დემოკრატიულს².

პირველ ჯგუფში (ლიბერალური) ესპინგ-ანდერსენმა შეიტანა სახელმწიფოები, რომლებსაც აქვს სოციალური პროგრამების შეზღუდული მოცულობა. სახელმწიფო ან პასიურად, მხოლოდ მინიმალური შემოსავლის გარანტირების

¹Esping-Andersen G. The Three Worlds of Welfare Capitalism. d Princeton, 1990.

² Esping-Andersen G. The Three Worlds of Welfare Capitalism. –Princeton (N.J.), 1990; Esping-Andersen G. Die drei Welten des Wohlfahrtskapitalismus. Zur Politischen Oekonomie de Wohlfahrtsstaates//Welten des Wohlfahrtskapitalismus. Der Socialstaat in vergleichender Perspektive.- Frankfurt, 1998.

გზით ან აქტიურად, კერძო სოციალური დაზღვევის სქემების სუბსიდირების მეშვეობით, ხელს უწყობს საბაზრო მიდგომების განვითარებას სოციალურ სფეროში. სოციალური დაცვის სამთავრობო პროგრამების ხელმისაწვდომობა, როგორც წესი, შეზღუდულია და იწვევს სოციალური სტატუსის დაქვეითებას, რადგანაც სოციალური მომსახურების მოპოვება დაკავშირებულია საჭიროების შემოწმებასთან.

მეორე ჯგუფი (კონსერვატიული) ისეთ სახელმწიფოებს აერთიანებს (გერმანია, ავსტრია, იტალია, საფრანგეთი), სადაც ლიბერალური საბაზრო თვითრეგულირების იდეები არასოდეს იყო პრივილეგირებული. ლიბერალური ტიპის სახელმწიფოებისგან განსხვავებით, კონსერვატიული ტიპის სახელმწიფო აღიარებს მოქალაქეების გარკვეული კეთილდღეობის უზრუნველყოფის ვალდებულებას პატერნალისტური მოსაზრებებიდან გამომდინარე, რომელიც მოითხოვს საბაზრო ეკონომიკის პირობებში სოციალური შედეგების კორექტივებს. აღნიშნულ მოდელში კერძო და პროფესიული დაზღვევა უმნიშვნელო როლს ასრულებს, რადგანაც აქ სოციალური დაცვის უმთავრესი კომპონენტი სოციალური დაზღვევაა, ამიტომ გადამანაწილებელი ფუნქციები დაყვანილია მინიმუმამდე. როგორც წესი, ასეთი ტიპის სახელმწიფოები ყალიბდებოდა ეკლესიის გავლენით, ამიტომ, მათთვის დამახასიათებელია ტრადიციული ოჯახის მხარდაჭერა. შედეგად, არამომუშავე ქალბატონები განთავისუფლებული არიან სავალდებულო სოციალური დაზღვევის სისტემიდან, ხოლო სახელმწიფო საოჯახო პოლიტიკა და სოციალური დაცვა ორიენტირებულია დეღობის მხარდაჭერისაკენ ოჯახური დახმარებების მეშვეობით.

მესამე ჯგუფს (სოციალურ-დემოკრატიული), რომელიც მცირერიცხოვანია შემაჯავალი ქვეყნების რაოდენობით (შვედეთი, ნაკლებად დანია და ფინეთი) სახელი ეწოდა იმის

გამო, რომ ამ ქვეყნებში სოციალ-დემოკრატია სოციალური რეფორმების მამოძრავებელი ძალა იყო. იმის მაგივრად, რომ მიეღოთ დუალიზმი სახელმწიფოს და ბაზარს შორის, მუშა და საშუალო ფენას შორის, სოციალ-დემოკრატები ცდილობდნენ შეექმნათ ისეთი სოციალური სახელმწიფო, რომელიც უზრუნველყოფდა არა მოქალაქეთა მინიმალური მოთხოვნილებების თანაბრობას, არამედ, ცხოვრების მაღალი სტანდარტების გათანაბრებას. ამ მიზნებისათვის იყო შექმნილი სოციალური დაცვის ერთიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა ყველა მოქალაქისათვის სოციალური მომსახურების შედარებით თანაფარდობას. აღსანიშნავია, რომ ეს მოდელი გამოდევნის ბაზარს და დამყარებულია საერთო სოლიდარობაზე. როგორც ესპინგ-ანდერსენი აღნიშნავდა, „ყველა იმყოფება მოგებაში, მაგრამ ყველა დამოკიდებულია ერთმანეთზე, რადგანც ყველას აქვს აღებული პასუხისმგებლობა, რომ იხადოს ფული“.¹ ასეთი სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა მიმართულია როგორც ბაზრის, ასევე ტრადიციული ოჯახისაგან გათავისუფლებაზე. ასეთი პოლიტიკის მიზანია არა ოჯახზე დამოკიდებულება, არამედ ინდივიდუალური დამოუკიდებლობის მაქსიმიზება. ამ მიმართულებით აღნიშნული მოდელი ლიბერალიზმის და სოციალიზმის სპეციფიკური გაერთიანებაა. ამის შედეგია ის, რომ სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას მოხუცების, ინვალიდების და ბავშვების ზრუნვაზე. ოჯახების სოციალური ტრანსფერებით უზრუნველყოფის მეშვეობით სახელმწიფო დაინტერესებულია არა მხოლოდ მათი კეთილდღეობის გაუმჯობესებით, არამედ ქალების სამუშაოზე გასვლის ხელშეწყობით და არა მათი - დიასახლისობისათვის. სოციალ-დემოკრატიული რეჟიმების აშკარა მახასიათებელია შრომისა და კეთილდღეობის გაერთიანება. ერთი მხრივ,

¹ Esping-Andresen G. Die drei Welten des Wohlfahrtskapitalismus. Zur Politischen Oekonomie die Wohlfahrtsstaates//Welten des Wohlfahrtskapitalismus. Der Socialstaat in vergleichender Perspektive. – Fankfurt, 1998. – S.45.

ასეთ სახელმწიფოს აქვს მიდრეკილება იყოს სრული დასაქმების გარანტი, მეორე მხრივ, მისი საკუთარი კეთილდღეობა დამოკიდებულია ამ მიზნის მიღწევაზე. ძალიან ძვირადღირებული სოციალური დაცვის სისტემის შექმნის პირობებში, სოციალურ - დემოკრატიულ სახელმწიფოს შეუძლია უსაფრთხოდ იარსებოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სოციალური პრობლემები მინიმუმამდე შემცირდება, ხოლო შემოსავლები მაქსიმალურად გაიზრდება. გასაგებია, რომ ასეთი სიტუაცია შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი მუშაობს და მხოლოდ მცირე ნაწილი ცხოვრობს სახელმწიფოს დახმარების ხარჯზე.

აღსანიშნავია, რომ ესპინგ-ანდერსენის ტიპოლოგია არ ითვალისწინებს რიგ ფაქტორს, რომელიც ახასიათებს სამხრეთ ევროპულ ქვეყნებს, სადაც სოციალური დაცვის სისტემა ნაწილობრივია განვითარებული (საბერძნეთი, ესპანეთი, პორტუგალია, ნაწილობრივ იტალია) და არსებობს არაფორმალური, არასახელმწიფოებრივი სოციალური დახმარების ფორმები (ეკლესია, ოჯახი). მნიშვნელოვან ხარვეზად ესპინგ - ანდერსენის კონცეფციაში, აგრეთვე შეიძლება ჩაითვალოს მისი უყურადღებობა სოციალურ სისტემებში არსებული ისეთი წინაღმდეგობებისა და ნიუანსებისადმი, როგორცაა დაფინანსების სახეობები, სოციალური მომსახურების დაფარვის ხარისხი და სხვა.

ევროკომისიის 1995 წ. ოქტომბერის ანგარიშსა და შემდგომ აქტებში დაფიქსირებულია გაცილებით უფრო დახვეწილი ტიპოლოგია, რომელიც აგებულია მრავალ ფაქტორზე. ამ ტიპოლოგიის მიხედვით, ევროკავშირის ქვეყნებში დომინირებს სოციალური დაცვის ოთხი ძირითადი ეკონომიკური მოდელი: კონტინენტური (ანუ ბისმარკის), ანგლოსაქსური (ანუ ბევერიჯის), სკანდინავიური და სამხრეთ ევროპული¹ (იხ. ცხრილი 2).

¹ Europaeische Kommission. Soziale Sicherheit in Europa. – Luxemburg, 1995. – S.195; Hanesch W. Soziale Sicherung im europaeschen Vergleich// Aus Politik und Zeitgeschichte. – Bd.34-35/98. -S.3-10.

სოციალური დაცვის ეკონომიკური მოდელები
ევროკავშირის ქვეყნებში

ცხრილი 2.

	კონტინენტური (ბისმარკის მოდელი)	ანგლო- საქსური (ბევერიჯის მოდელი)	სკანდი- ნავიური მოდელი	სამხრეთ - ევროპული (რუდი- მენტული მოდელი)
ძირითადი პასუხის- მგებლობა	სახელმწიფო	სახელ- მწიფო	სახელ- მწიფო	ოჯახი და ეკლესია
სოლიდა- რობის სახეობა	კოლექტიური	უფრო ინდივიდ- უალური	საზოგა- დოებრივი	ოჯახური
შემოსავლების გადანა- წილების დონე	შეზღუდული	საშუალო	მაღალი	შეზღუ- დული
შეთავაზებული სოციალური მომსახურების დონე	დიფერენ- ცირებული	საშუალო/ მაღალი	საშუალო/ მაღალი	მაღალი
სოციალური მომსახურების დაფარვის ხარისხი	ყველა დასაქმებული	ყველა მოქალაქე	ყველა მოქალაქე	ძირითადად ღარიბები
დაფინანსება	სადაზღვეო შენატანები	გადასა- ხადები	გადასა- ხადები	სადაზღვეო შენატანები და სხვა წყაროები
მართვა	სადაზღვეო თვითმმარ- თველობის ორგანიზაცია	სახელ- მწიფო	სახელ- მწიფო/ პროფ- კავშირი	სადაზღვეო თვითმმარ- თველობის ორგანი- ზაცია

განვიხილოთ თითოეული მოდელი. პირველია „კონტინენტური“ მოდელი, რომელსაც ხშირად მისი ფუქემდებლის კანცლერ ოტტო ფონ ბისმარკის პატივსაცემად, „ბისმარკის“ მოდელსაც უწოდებენ. იგი ამყარებს მკაცრ კავშირს სოციალური დაცვის დონესა და პროფესიული მოღვაწეობის ხანგრძლივობას შორის. მას საფუძვლად უდევს სოციალური დაზღვევა, რომლის მომსახურებაც ფინანსდება ძირითადად დამსაქმებელთა და დაზღვეულთა მიერ შეტანილი თანხებით. ოტტო ფონ ბისმარკმა საფუძვლები მოამზადა იმ პერიოდისათვის პროგრესული სოციალური კანონმდებლობისათვის, რომელიც მომავალში გახდა სამაგალითო სხვა ინდუსტრიული ქვეყნებისათვისაც. სწორედ მაშინ იყო შექმნილი სოციალური დაზღვევის სამი დარგი, რაც დღემდე არსებობს გერმანული სოციალური დაცვის სისტემაში: სიბერისა და ინვალიდობის დაზღვევა, ჯანმრთელობის დაზღვევა, უბედური შემთხვევების დაზღვევა წარმოებაში.

გერმანიის გარდა, აღნიშნული მოდელის ძირითადი პრინციპები ახასიათებს საფრანგეთს, ავსტრიას და ბენელუქსის ქვეყნებს.

ამ მოდელს საფუძვლად უდევს პროფესიული სოლიდარობის პრინციპი, რაც გულისხმობს სადაზღვეო ფონდების არსებობას, რომელებიც პარიტეტულ საწყისებზე იმართება დაქირავებული მუშებისა და მეწარმეების მიერ. ისინი აკუმულირებას უწევენ სოციალურ გადარიცხვებს ხელფასიდან, საიდანაც ხორციელდება სადაზღვეო გადასახადები. ასეთი სადაზღვეო სისტემების დაფინანსება, როგორც წესი, არ ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რადგანაც ბიუჯეტის უნივერსალურობის პრინციპი ასეთი სოციალური დაცვის მოდელთან წინააღმდეგობაშია.

თუმცა, სოციალური სახელმწიფოს არსებობის

თანამედროვე პირობებში, რომელსაც უამრავი სოციალური პროგრამის ქსელი ახასიათებს, ეს სოციალური დაცვის მოდელი, როგორც წესი, ყოველთვის არ არის დაფუძნებული აღნიშნულ პრინციპზე. ამიტომ, საზოგადოების ნაკლებზრუნველყოფილი წევრებისათვის, რომლებსაც არ აქვთ შესაძლებლობა მიიღონ სადაზღვეო სოციალური ანარიცხები გარკვეული მიზეზების გამო (მაგალითად, აუცილებელი სადაზღვეო სტაჟის არარსებობის გამო), ნაციონალური სოლიდარობა რეალიზდება სოციალური დახმარების სისტემის საფუძველზე. ამ შემთხვევაში საქმე ეხება დამხმარე მექანიზმებს, რომლებიც არ ემთხვევა ძირითად ლოგიკას „ბისმარკის“ მოდელში. მიუხედავად აუცილებელი სოციალური სადაზღვეო პრინციპის არსებობისა (მაგალითად, გერმანიაში სოციალური დაზღვევის აუცილებლობა კანონითაა გაწერილი), იგი მაინც სრულად არ ხორციელდება. ეს დაკავშირებულია ხელფასის ზღვრული დონის არსებობასთან, რომლის ზემოთაც სოციალური დაზღვევის რეჟიმი სავალდებულო არ არის (შესაძლებელია მხოლოდ ნებყოფლობითი დაზღვევა), ან დაკავშირებულია ანარიცხების ლიმიტირებასთან (ამ შემთხვევაში სავალდებულო სოციალური დაზღვევის ფარგლებში ანარიცხები იწარმოება მხოლოდ ზღვრული ხელფასის ფარგლებში, ხოლო სოციალური გადახდები გამოითვლება ამ დონის მიხედვით). ასე, რომ ამ მოდელს საფუძვლად უდევს აქტუარული სამართლიანობის პრინციპი, როდესაც სადაზღვეო გადახდების სიდიდე, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრება სადაზღვეო შენატანების საფუძველზე. დასაწყის ეტაპზე, XIX საუკუნის ბოლოს, სოციალური დაცვის გერმანული სისტემა ანვითარებდა კონკრეტულად ამ მოდელს. დღეისათვის სოციალური დახმარების სისტემის მნიშვნელოვან განვითარება იწვევს

ამ მოდელის მოდიფიკაციას და სოციალური დაცვის დაფინანსების საბიუჯეტო წილის ზრდას.

სოციალური დაცვის მეორე, ანგლოსაქსური მოდელი ევროპაში წარმოდგენილია დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში. მას საფუძვლად უდევს ინგლისელი ეკონომისტის უ. ბევერიჯის მოხსენება, წარდგენილი დიდი ბრიტანეთის მთავრობის წინაშე 1942 წელს.¹ ბევერიჯის მიერ წამოყენებულ დებულებებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კეინზის იდეებმა იმის შესახებ, რომ საზოგადოებრივი წარმოების და დასაქმების დინამიკა განისაზღვრება გადახდისუნარიანობის მოთხოვნის შედეგად, და შესაბამისად, შემოსავლების გადანაწილებამ დაბალი შემოსავლის მქონე სოციალური ჯგუფების ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია გაზარდოს მასობრივი მყიდველის მოთხოვნა.

ბევერიჯმა შემოგვთავაზა სოციალური დაცვის ორგანიზაციის შემდეგი პრინციპები: პირველ რიგში, საყოველთაობის (უნივერსალურობის) პრინციპი, რითაც სოციალური დაცვის სისტემა ვრცელდება ყველა მოქალაქეზე, რომელსაც სჭირდება მატერიალური დახმარება. მეორე რიგში, სოციალური მომსახურების და გადახდების ერთგვაროვნებისა და უნიფიკაციის პრინციპი, რაც გამოვლინდება ერთნაირი სიდიდის პენსიით, შემწევობით და სამედიცინო მომსახურებით, და ასევე, მათი მიწოდების პირობებით. პირობას - „თანაბარი შემწევობები თანაბარი შენატანებისათვის“, ბევერიჯი თვლიდა სოციალურად სამართლიანად, ამიტომაც, ხშირ შემთხვევაში სრულდებოდა პენსიების და დახმარებების თანაფარდობის პრინციპი, შემოსავლების დახარჯულ რაოდენობის მიუხედავად.

ამ მოდელს საფუძვლად ედო იდეა იმის შესახებ, რომ ნებისმიერ ადამიანს, მიუხედავად იმისა, იგი მოსახლეობის

¹ Beveridge W. Full Employment in a Free Society. – London, 1944.

ეკონომიკურად აქტიურ ნაწილს ეკუთვნის თუ არა, აქვს უფლება ჰქონდეს მინიმალური სოციალური დაცვა. შესაბამისად, სოციალური გადახდების დამოკიდებულება შენატანებთან მიმართებით, ეწინააღმდეგება ადამიანების თანასწორობის იდეას. ბევერიჯის კონცეფციის არსია ის, რომ თითოეულ მოქალაქეს გარანტირებული აქვს გარკვეული შემოსავალი, რომელიც დააკმაყოფილებს მინიმალურად საკვების, ცხოვრების და სამედიცინო მომსახურების თვალსაზრისით. ასე, რომ განაწილების სამართლიანობის პრინციპი ამ მოდელში არის ფუნდამენტური, რადგანაც ამ შემთხვევაში საქმე ეხება არა პროფესიონალურ (როგორც ბისმარკის მოდელის შემთხვევაში), არამედ ნაციონალურ სოლიდარობას.

ასეთი სოციალური დაცვის სისტემების ფინანსირება სრულდება როგორც სადაზღვეო შენატანებით, ასევე საერთო გადახდებით. ასე, მაგალითად, საოჯახო შემწობების და ჯანმრთელობის დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო სხვა სოციალური დახმარებები - დასაქმებულების და დამსაქმებლების სადაზღვეო შენატანების ხარჯზე. „ბისმარკის“ მოდელისაგან განსხვავებით, ეს მოდელი მოიცავს სოციალურ დაზღვევას არსებითად დაბალი სოციალური გადახდებით და სოციალურ დახმარებას, რომელიც ამ სისტემაში ასრულებს გადამწყვეტ როლს. დამახასიათებელი მომენტი ახლანდელი შემოსავლების შემოწმების ფართოდ გავრცელება (“შენს-ტესტინგ”), რომელიც აუცილებელია დახმარების მისაღებად.

აღსანიშნავია, რომ „ბევერიჯის“ მოდელში არსებობს ზოგიერთი განსხვავება სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით. მაგალითად, ინგლისში ჯანდაცვის ნაციონალური სისტემა უზრუნველყოფს ყველა მოქალაქესათვის (მიუხედავად მათი შემოსავლების დონისა) უფასო სამედიცინო მომსახურებას, ირლანდიაში კი უფასო სამედიცინო მომსახურებით სარგებლობენ მხოლოდ დაბალშემოსავლიანი მოქალაქეები.

სოციალური დაცვის მესამე ე.წ. „სკანდინავური“ მოდელი, დამახასიათებელია დანიის, შვედეთისა და ფინეთისთვის. სოციალური მომსახურება და გადახდები განსაზღვრულია როგორც სამოქალაქო უფლებები, მოქალაქეს აქვს თანაბარი უფლებები, რაც ფინანსდება სოციალური უზრუნველყოფის გადასახადებიდან. სხვანაირად რომ ვთქვათ, სოციალური დაცვაში იგულისხმება არა სახელმწიფოს წყალობა, არამედ მოქალაქის კანონიერი უფლებები. გამონაკლისია უმუშევრობის დაზღვევა, რომელიც გამოიყოფა სახელმწიფოს სოციალური დაცვის სისტემიდან და დაფუძნებულია ნებაყოფლობით პრინციპზე. განსხვავებული სკანდინავური მოდელის ნიშანთვისებაა სხვადასხვა სოციალური რისკის და ცხოვრებისეული სიტუაციების ფართო სპექტრი, რომელიც საზოგადოების მხარდაჭერას მოითხოვს. სოციალური მომსახურების მიღება, როგორც წესი, ქვეყნის ყველა მოქალაქისთვისაა გარანტირებული და არ ითვალისწინებს დასაქმებას და სადაზღვეო შენატანების გადახდას. მთლიანობაში, ამ მოდელის მიერ შემოთავაზებული სოციალური დაცვის დონე საგრძნობლად მაღალია. ეს მისაღწევია აქტიური გადანაწილებითი პოლიტიკით, რომელიც მიმართულია შემოსავლების გათანაბრებაზე. ამ მოდელის ფუნქციონირების აუცილებელი წინაპირობაა უაღრესად ორგანიზებული საზოგადოება, რომელიც ვითარდება ერთგულების ინსტიტუციონალური საზოგადოების კეთილდღეობის პრინციპების საფუძველზე.

სოციალური დაცვის სისტემის ფინანსირება, რომელიც მოცემულ მოდელს ეკუთვნის, ხორციელდება ძირითადად საერთო დაბეგვრის ხარჯზე. მიუხედავად ამისა, განსაკუთრებულ როლს ასრულებს დასაქმებულისა და დამქირავებლის სადაზღვეო გადასახადები. სოციალური დაცვის ერთადერთი ნაწილი, რომელიც გამოყოფილია საერთო სისტემიდან, არის უმუშევრობის დაზღვევა, რომელიც ნებაყოფლობითია და იმართება პროფკავშირებით.

უზა გოგიშვილი

ამ ბოლო დროს დაქირავებული პერსონალი ძირითადად განთავისუფლებული იყო დასაზღვევო შენატანების გადასახადიდან და სოციალურ დაცვის სისტემაში იღებდნენ მონაწილეობას ზოგადი გადასახადების გადახდის მეშვეობით. მაგრამ XX საუკუნის ბოლო ათი წლის მანძილზე გამოაშკარავდა დაქირავებული მომუშავეების წილის ეტაპობრივი ზრდის ტენდენცია სადაზღვეო საფინანსო პროგრამებში და სადაზღვეო გადასახადების ზრდა ხელფასიდან. ამ ტენდენციას აქვს ადგილი მეწარმეებთან მიმართებაშიც იმ დროს, როცა სახელმწიფო სოციალური გადასახადები ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა.

მეოთხე მოდელი - სამხრეთ ევროპის ქვეყნები (იტალია, ესპანეთი, საბერძნეთი და პორტუგალია) წარმოდგენილია „რუდიმენტული“ სოციალური დაცვის მოდელის სახით. იგი ამ სახელმწიფოებში, სოციალურ - ეკონომიკური და სტრუქტურული ცვლილებების გავლენით, ბოლო 15-20 წლის მანძილზე წარმოიქმნა. წინა მოდელებთან შედარებით, ეს მოდელი შესაძლებელია იყოს ინტერპრეტირებული როგორც განვითარებადი, გარდამავალი, და ამიტომ ამ მოდელს არ აქვს მკვეთრი ორგანიზაციული სახე. ამიტომაც, ამ მოდელის „რუდიმენტულობა“ აღინიშნება უცხოელი მკვლევარების მიერ, როგორც მისი მნიშვნელოვანი განსაკუთრებულობა.¹

როგორც წესი, ამ მოდელისათვის დამახასიათებელი სოციალური მომსახურების დონე შედარებით დაბალია და სოციალური დაცვის ამოცანა ხშირად განიხილება, როგორც ნათესავების და ოჯახის ზრუნვა. ამიტომ, ოჯახი და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ინსტიტუტები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს. სოციალური პოლიტიკა ძირითად შემთხვევებში პასიურია და ორიენტირებულია ცალკეული კატეგორიის მოქალაქეების შემოსავლების დაკარგვის კომპენსირებაზე. ამ მოდელისათვის დამახასიათებელია ასევე

¹ Hanesch W. Soziale Sicherung im europaischen Vergleich//Aus Politik und Zeitgeschichte.-Bd.34-35/98 .

სოციალური დანახარჯების ასიმეტრიული სტრუქტურა. ასე, მაგალითად, იტალიაში ეს ვლინდება შემდეგნაირად - ძირითადი სოციალური ხარჯი არის საპენსიო უზრუნველყოფა (მშპ-ს 14,7%, როცა საშუალო ევროპული დონე არის - 12,5%), მაგრამ ოჯახის, დედობის და განათლების სოციალურ მხარდაჭერასა და დასაქმების პოლიტიკაზე იხარჯება გაცილებით ნაკლები (დაახლოებით 1%).¹

ზოგადად, ევროპული სისტემების სოციალური დაცვის ძირითადი თვისებაა დიდი მოცულობის ხარჯის გაწევა სოციალურ პროგრამებზე. ასე, მაგალითად, 1990-იანი წლების ბოლოს ევროკავშირის ქვეყნების სოციალური ხარჯი შეადგენდა საშუალოდ მშპ-ს 27%-ს, მაშინ როცა აშშ-ში მხოლოდ – 13 %-ს, ხოლო იაპონიაში - 12 %-ს.

აღსანიშნავია, რომ ევროპულ ქვეყნებში ჩატარებული სოციალური გამოკითხვების შედეგად, რესპონდენტების უმრავლესობა, გამოთქვს აზრს, რომ საზოგადოების ისეთი წევრებისათვის, რომლებიც გარკვეული მიზეზების გამო თავს ვერ უზრუნველყოფენ, სახელმწიფო უნდა იყოს მათი ცხოვრების მინიმალური სტანდარტის გარანტი. ასე, რომ სოციალური პროგრამების სისტემების არსებობა, რომელიც მიმართულია სოციალური რისკების შემცირებისკენ, ევროპელების უმრავლესობის მიერ განიხილება როგორც დღევანდელი სახელმწიფოს მთავარი კომპონენტი. მიუხედავად იმისა, რომ იგი ძვირი სიამოვნებაა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სტაბილურობაზე და აქვს უნარი შეამციროს ეკონომიკური ზრდის ტემპები. ამის გამო, მრავალი ევროპული ქვეყნა ცდილობს რეფორმირება მოახდინოს თავისი სოციალური დაცვის სისტემის და ასევე ამცირებს გადასახადებს იმ მიზნით, რომ მოახდინოს ადაპტირება შეცვლილ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან. ცხადია, სოციალური დაცვის

¹ Pensions in Europe: Expenditure and Beneficiaries/Eurostat/Theme 3 – 8/2004. –Luxemburg, 2004. –P.2.

ურა გობიშვილი

პრიორიტეტები მომავალშიც დაიკავებს ცენტრალურ ადგილს საზოგადოებაში.

სოციალურ - ეკონომიკური პროცესები განიხილება სოციალურ სამართლიანობასა და ეკონომიკის ეფექტიანობასთან მიმართებით. თუ კლასიკოსები და ნეოლიბერალები (ა. სმიტი, ფ. ჰაიეკი, მ. ფრიდმენი) უპირატესობას აძლევდნენ ეკონომიკურ ეფექტიანობას, ვიდრე სოციალურ სამართლიანობას, პრაგმატული მიდგომის მომხრეები (ჯ. როლზი, ჯ. ბიუკენენი) მნიშვნელოვან როლს სოციალურ - ეკონომიკური პროცესების რეგულირებაში ანიჭებდნენ სოციალური სამართლიანობის პრინციპებს. ჯ. კეინზის ეკონომიკური ანალიზის საფუძვლი კი არის პროცესები, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ზრდის და სოციალური პრობლემების ურთიერთქმედებას, ამავე დროს სოციალური დაცვის სისტემა არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას.

თანამედროვე სოციალური დაცვის სისტემის ფორმირება დაკავშირებულია ინდუსტრიალიზაციის პროცესთან, რამაც გამოიწვია სახელმწიფოს მხრიდან სოციალური პროცესების რეგულირების ზრდა და სოციალური დაზღვევის ჩამოყალიბება, რაც მოიცავდა დამსაქმებლებს, სახელმწიფოს და შესაბამისი სამოქალაქო და შრომის სამართლის გაფორმებას.

დღეისათვის ევროკავშირის ცალკეული ქვეყნის სოციალური დაცვის სისტემა ინარჩუნებს თავის ავტონომიას, რაც თავის მხრივ, ამუხრუჭებს ევროინტეგრაციის პროცესებს. მიუხედავად ამისა, ბაზრების გაერთიანება ქმნის „სოციალური დემპინგის“ საშიშროებას. ევროკავშირი აფიქსირებს თავის პროგრამებსა და დოკუმენტებში სოციალური სტანდარტების შენარჩუნების პრინციპს, რაც უკვე მიღებულია ევროკავშირის სხვადასხვა სახელმწიფოში. ამ შემთხვევაში ევროკავშირი არ ცდილობს არეგულიროს ყველა სოციალური დაცვის ნაციონალური სისტემის ასპექტი.

ევროკავშირის ზოგადი ნორმები განსაზღვრავს მხოლოდ მინიმალურ სოციალურ სტანდარტებს (ის დაფიქსირებულია ქარტიაში - დასაქმების ძირითადი უფლებები 1989წ. და ასევე ივალისწინებს გარანტირებული შრომისა და დასვენების რეჟიმს და მაქსიმალურ სამუშაო კვირის ხანგრძლივობას და ა.შ.), რომლის ქვემოთ ნაციონალური მთავრობები იღებენ პასუხისმგებლობას, რომ არ დაიწვევას სოციალური დაცვის დონე.

დღემდე საქართველოს ცენტრალურ სოციალურ პრობლემად სიღარიბის დაძლევა სახელდება, ხოლო სოციალური პოლიტიკის სექტორულ სპექტრში ჯანდაცვის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის რეფორმირება განიხილება.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, საქართველოს მთავრობის სამოქმედო პროგრამის მიხედვით, მოსახლეობის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად მთავრობის ძალისხმევა მიმართული იყო, ერთი მხრივ, სწრაფი და ფართო ეფექტის მქონე ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისაკენ, და მეორე მხრივ, სიღარიბის წინააღმდეგ მიმართული ცალკეული სოციალური პროგრამების განხორციელებისაკენ.

ხელისუფლების მიერ შემუშავებული მოსახლეობის სოციალური დაცვის კონცეფციის მთავარი მომენტები იყო: კანონი ადგენს შემთხვევების გარკვეულ რაოდენობას (საპენსიო ასაკის მიღწევა, ოჯახის მარჩენალის დაკარგვა და სხვა), როდესაც მოქალაქეს უფლება ეძლევა მიიღოს ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისი დახმარება სახელმწიფოსგან.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, პოლიტიკურმა პარტიებმა წინ წამოსწიეს სოციალური საკითხები და განსაკუთრებით, დასაქმების პრობლემა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მათი განცხადებები უფრო პოპულისტურ ქმედებებად აღიქმება და სამწუხაროდ, არც ერთი მათგანი არ გვთავაზობს რეალურ გზებს არსებული (უფრო

ზუსტად არარსებული) სოციალური სისტემის რეფორმირებისთვის (ჩამოყალიბებისათვის). როგორც ჩანს, საქართველომ განვითარების გარკვეული ეტაპები უნდა გაიაროს, რომ მომწიფდეს სოციალური დაცვის რომელიმე ევროპული მოდელის მისაღებად. ფინელი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე პ. კუუსი ამბობს: “განვითარებული, ინდუსტრიული საზოგადოების პირობებში სახელმწიფო სოციალური პოლიტიკის ბუნება იცვლება: თუ აქამდე მის მიზანს წარმოადგენდა მხოლოდ “სუსტების” და “გაჭირვებულების” დაცვა, ახლა უკვე იგი ორიენტირებულია მთელს ერზე და ჩამოყალიბებულია, როგორც ეროვნული მონაპოვარი.”¹

European Models of Social Defense


U. Gogishvili

Georgia has firmly decided to take the European path, but it still under discussion how much the ongoing social and economic reforms meet the requirements of the European Union.

Hence, we consider it's important to study and analyze the models of social defense in the EU countries, their experience, achievements and the problems they face.

The article discusses the classification of Richard Titmus, a British researcher and the typology developed by Gosta Esping-Andersen, a Danish sociologist. However, the paper mainly focuses on a more comprehensive typology given in the report of European Commission in October, 1995 and in later documents, according to which, there are four dominant economic models of social defense in the EU countries: continental (or Bismarck's), Anglo-Saxon, Scandinavian and South European.

¹ Pekka Kuusi: This World of Man, Published 1985 by [Pergamon Press](#) in [Oxford, New York](#) .



მინერალური წყლის რესურსები
საქართველოში

დავით ნერბაძე

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის
მარკეტინგის კათედრის დოქტორანტი**

საქართველო მთლიანად და განსაკუთრებით კავკასიონის სამხრეთი კალთები, მეტად მდიდარია ნაირსახეობის მინერალური წყლებით. საქართველოს მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი რესურსების მარაგი 21.7კმ³-ს შეადგენს, რაც მთელი ტერიტორიის ზედაპირული ჩამონადენის 41% - ია. ძირითადად ესენი დაბალი მინერალიზაციისა და სასმელად გამოსადეგი წყლებია.

წყალი, ეს ერთი შეხედვით უმარტივესი ქიმიური შენაერთი, სიცოცხლის საფუძველია დედამიწაზე. ბუნების შემადგენელი ნაწილებიდან არც ერთი არ თამაშობს სამყაროში ისეთ დიდ როლს, როგორც წყალი.

საქართველოს მინერალური წყლები უძველესი დროიდან გამოიყენებოდა სამკურნალოდ. ამის დადასტურებაა არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი ძველი კაპტაჟური ნაგებობების ნაშთები ბორჯომში, თბილისსა და სხვა ადგილებში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ჯერ კიდევ ცივილიზაციის დასაწყისში მინერალური წყლები გამოიყენებოდა როგორც ბუნებრივი სამკურნალო საშუალება, რომლის მეცნიერული მოხმარებით მრავალი სნეულება იკურნება და ხშირად სასწაულსაც ახდენს იქ, სადაც მეცნიერების მიერ გამოუმუშავებული ფარმაკოლოგიური საშუალებები უძლურია. მინერალური წყლების შემადგენლობის ფორმირება მიმდინარეობს სხვადასხვაგვარ პირობებში. ისინი დედამიწის სიღრმეში მოედინებიან ნიადაგის სხვადასხვა ფენაში და ამის შედეგად ხსნიან სხვადასხვა მარილს და ითვისებენ მას.

შეიძლება მივიჩნიოთ „ბუნებრივ მინერალურ წყლად“ მხოლოდ მაშინ, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: ბუნებრივად სუფთაა, არ შეიცავს მანვე მიკროორგანიზმებს, აქვს სტაბილური მინერალური შედგენილობა, დებიტი და ტემპერატურა.

საქართველოს მინერალურ წყლებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს რაჭის მინერალური წყლები. აღნიშნულ ტერიტორიაზე 44 სახეობის მინერალური წყალია აღმოჩენილი, აქედან 28 - სოფელ უწერისა და 16 დაბა- შოვის ტერიტორიაზე. სწორი გამოყენებისა და მართვის პირობებში უწერისა და შოვის მინერალური წყლები შეიძლება უფრო სტრატეგიული მნიშვნელობის იყოს, მაგრამ ეს წარმოუდგენელია ცენტრალური ხელისუფლების შესაბამისი პოლიტიკისა და მწყობრი პროგრამების გარეშე. შესაბამისი სატრანსპორტო და სასტუმრო ინფრასტრუქტურის განვითარების პირობებში იქ არსებული კურორტების დატვირთვა სრულიად შესაძლებელია შიგა ტურიზმის რესურსებით. ბუნება და ლანდშაფტი ხელს უწყობს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას. კურორტ შოვის მინერალური წყაროები ქიმიური შემადგენლობის მიხედვით შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: პირველს მიეკუთვნება ჰიდროკარბონატულ-კალციუმიანი ტიპის წყლები, მეორე ჯგუფის წყლები ჰიდროკარბონატული ნატრიუმ-მაგნიუმ-კალციუმიანია, რომელიც სასმელად იხმარება და ხასიათდება დაბალი ტემპერატურით. მესამე ჯგუფისაა სუსტად მინერალიზებული წყლები, რომლებსაც დაბალი ტემპერატურა აქვს და, ამავდროულად, სასიამოვნო სასმელია. სოფელ გლოლაში ამოედინება ცნობილი მინერალური წყალი „მთის რაჭა“.¹

უწერა დიდი ხანია განთქმულია სასმელი მინერალური წყლებით. მას მიეკუთვნება ჰიდროკარბონატული წყლები, რომელშიაც საკმარის რაოდენობითაა თავისუფალი ნახშირჟანგი – CO₂ და რკინიანი წყლები. უწერის ზონის წყაროებს

¹ www.Statistics.ge

მიეკუთვნება აგრეთვე – შოუბნის, ლაჩტისა და ჭალის მინერალური წყაროები, რომლებიც თავიანთი თვისებებით (თუმცა, საკმაოდ განსხვავებული ქიმიური შემადგენლობით) უწერის მინერალურ წყლებს უახლოვდება. კურორტ უწერის მინერალურ წყაროს წარმოადგენს ე. წ. გვრიტას, ანუ „კუჭის წყალი“, რომელიც დიდხანია ცნობილია როგორც საუკეთესო საშუალება კუჭ-ნაწლავის დაავადებათა სამკურნალოდ. აღსანიშნავია ის, რომ 28 დასახელების მინერალური წყალი უწერაში თვითდინებით მოედინება.

„რაჭის წყაროები“ ნამდვილი წყაროს წყალია, რომელიც შეიცავს სიცოცხლისათვის აუცილებელ ყველა მინერალს და სასმელი წყლის ყველაზე მაღალ სტანდარტს შეესაბამება. რაჭაში მღწ ბოთლი მინერალური წყლის წარმოება შეიძლება. დღეისათვის ეს პოტენციული მხოლოდ არამინერალური სასმელი წყლის („რაჭის წყაროები“) სეგმენტშია წარმოდგენილი.

კურორტი ბორჯომი ერთ-ერთი თვალწარმტაცი ადგილია საქართველოში. „ბორჯომი“ ვულკანური წარმოშობის მინერალური წყალია, რომელიც ამოდის 8–10 კმ. სიღრმიდან. კურორტზე არსებობს 10 დახურული ჭაბურღილი. მეცნიერები და ეთნოგრაფები მსჯელობენ ბორჯომზე, როგორც „კლიმატურ ფენომენზე“ – ბაკურიანის მთებიდან მონადენ ძალზე სუფთა წყალზე, რომელიც ქმნის განსაკუთრებულ ეკოსისტემას. მისი ბუნებრივი სიმდიდრე პრაქტიკულად შემორჩენილია ისეთივე სახით, როგორც მიწის ქვეშ. მსოფლიო აღიარებას ბორჯომის მინერალურმა წყლებმა საუკუნის 20-იან წლებში მიაღწია. მრავალმხრივი კვლევით დასტურდება, რომ „ბორჯომის“ მინერალური შემადგენლობა არ შეცვლილა 1830 წლიდან. ბორჯომის რეგულარული მიღება აბაღანსებს ტუტე-მუავიანობას (pH), არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას, მკურნალობს ქრონიკულ გასტრიტს, კოლიტს, წყლულოვან დაავადებებსა და სხვ.

ნატურალური მინერალური წყალი „ლიკანი“ ფორმირდება 1500 მეტრის სიღრმეზე, სადაც აქტიური ჰიდროთერმული

პროცესები ბუნებრივად აჯერებს მას გაზით. „ლიკანი“ არის ნატურალური, გაზირებული, ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიანი მინერალური წყალი. გამოიყენება ქრონიკული გასტრიტის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებების, ნივთიერებათა ცვლის დარღვევების და სხვა დაავადებების დროს. ბორჯომის ხეობაში სოფ. ზანავში ზღვის დონიდან 750 მეტრზე ამოედინება მინერალური წყალი “ზანავი”

კურორტი ნაბელდავი მდებარეობს ჩოხატაურის რაიონში, სოფ. ნაბელდავში, ქიმიური შემადგენლობის მიხედვით მინერალური წყალი „ნაბელდავი“ მიეკუთვნება მომჟავო, ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიანი, ნატურალური წყლის კატეგორიას. ნაბელდავი ბორჯომისაგან გამოირჩევა მაგნიუმიონის სამჯერ უფრო მეტი შემცველობით, ხოლო ქლორის შემცველობა მასში სამჯერ ნაკლებია. სულფატ-იონის შემცველობა ნაბელდავში 130-200 მგ/დმ³, ხოლო ბორჯომის წყალში არაუმეტეს 3-10 მგ/დმ³. ნაბელდავის მინერალურ წყალს აქვს შესანიშნავი გემო და საუკეთესო სამკურნალო საშუალებაა კუჭ-ნაწლავის, თირკმელების, ღვიძლის, სანაღველე-საშარდე გზების, კოლიტის დაავადებებისათვის, ნივთიერებათა ცვლის მოშლისას, შაქრიანი დიაბეტისა და სიმსუქნის საწინააღმდეგოდ. ლაბორატორიულად ნაბელდავის გაწმენდა მარილებიდან შეუძლებელია, რადგანაც ის დაკარგავს თავის თვისებებს.

კურორტი ზვარე მდებარეობს ხარაგაულის რაიონში. მინერალური წყალი „ზვარე“ მიეკუთვნება მომჟავო, ნახშირმჟავა ქლორიდულ-ჰიდროკარბონატულ კალციუმ-ნატრიუმიანი წყლების ჯგუფს 5-6 გრ/ლ მინერალიზაციით. გამოიყენება საჭმლის მომწელებელი ორგანოების დაავადებათა სამკურნალოდ.

წყარო „გვეა“ არის 170 მ სიღრმეზე მდებარე ჭაბურღილი სოფელ ნატახტარში, თბილისიდან ჩრდილო-დასავლეთით 30 კმ-ზე, ზემოდან 60 მ-იანი ბლოკირებით, რომ არ მოხდეს მისი დაბინძურება ზედაპირული წყლებით. „გვეას“ შემადგენლობა მყარია და სისუფთავე გარანტირებული. მაღალი სიწმინდის

გამო „გევა“ რეკომენდებულია ბავშვთა კვებაშიც. .

„სქურის“ მინერალური წყალი მდ. ჭანისწყლის ხეობაშია, წალენჯიხის რაიონიდან 19 კმ-ის დაშორებით, სოფელ ჯგალში. იგი არის სულფატურ-ქლორიდული ნატრიუმ კალციუმიანი მინერალური წყალი. საუკეთესო საშუალებაა კუჭ-ნაწლავით, ღვიძლით დაავადებულთათვის.

მიტარბის წყარო მდებარეობს კურორტ ბორჯომთან ახლოს, მდინარე მიტარბულას ხეობაში. იგი არის ნახშირორჟანგიანი და კაუმჟავიანი ჰიდროკარბონატულ, კალციუმ-ნატრიუმიანი სამკურნალო და სუფრის მინერალური წყალი. იგი არის უფერო, უსუნო, სრულიად გამჭვირვალე წყალი. სამკურნალო თვისებებით საირმის №1 წყაროს წყლის მსგავსია.

კურორტ წალვერის ტერიტორიაზეა ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატული რკინის წყლები, რომლებიც გამოიყენება საჭმლის მომნელებელი ორგანოების, ღვიძლისა და სანაღველე გზების სნეულებების სამკურნალოდ, იგი ადიდებს მჟავიანობას, აძლიერებს ჟანგვით პროცესებს ორგანიზმში, სისხლის შემადგენლობაზე მოქმედებს დადებითად და სხვ.¹

იმერეთის საკურორტო ზონების განაშენიანება მოხდა საბჭოთა პერიოდში, თუმცა იაფფასიანი ინფრასტრუქტურით . დღეს მათი უმრავლესობა ვერ პასუხობს თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს. უნიკალური სამკურნალო მინერალური წყლები, ჰავა და ულამაზესი ბუნება საშუალებას იძლევა ახალი, თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით მოხდეს მათი ხელახალი განაშენიანება. დღეისათვის იმერეთში 53 საკურორტო ბაზაა: საირმე, ნუნისი, წყალტუბო, სიმონეთი, სულგორი, საწირე, სამტრედია, ზვარე, კვერეთი, ამაღლება და სხვ. კურორტი □□ირმე მდებარეობს ბაღდადის რაიონში, წაბლარის წყლის ხეობაში. “საირმე,” „ნარზანისა“ და „ბორჯომის“ ტიპის მინერალური წყალია. კურორტი საირმე მდიდარია მინერალური წყლების წყაროებით, სწორედ ეს არის კურორტის ძირითადი ბუნებრივი სამკურნალო მნიშვნელობის

¹ www.Statistics.ge

ფაქტორი. საირმოდან 5-კმ-ში საკურორტო ადგილ უდაბნოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია ახალი მინერალური წყალი “უდაბნო”, რომელიც თავის ფიზიკურ-ქიმიური და სამკურნალო თვისებებით, საირმისაგან განსხვავებულია. აქვეა ბალნეოლოგიური კურორტი ზეკარი, რომლის მინერალური წყალი მრავალი დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება. კურორტი ამადლება მდებარეობს მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე. აქვეა მინერალური წყალი „ჭოკიანი“ – ნახშირმჟავა ქლორიდულ ჰიდროკარბონატულ კალციუმ-ნატრიუმიანი შემცველობის წყალი. წყლის შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ მას აქვს შაქრის შემცირების უნარი, რაც ძალზე მნიშვნელოვანია დიაბეტით დაავადებულთათვის. კურორტი „სიმონეთი“, რომელიც მდებარეობს თერჯოლის რაიონში, ფუნქციონირებს 1967 წლიდან, 42 გრადუსიანი მინერალური ცხელი წყლით. „წყალტუბოს“ მრავალპროფილიანი კურორტი, თავისი უნიკალური თერმულ-რადონული მინერალური წყლებით, სხვადასხვა სახეობის 60 დაავადებას მკურნალობს. ბალნეოლოგიურ კურორტ „სამტრედიის“ მინერალური წყლები 65 გრადუსიანი ტემპერატურის მქონეა, რომლის სამკურნალო თვისებებია საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის, ძვლების კუნთების, ნერვულ-პერიფერიული სისტემის ქრონიკული დაავადებების, კანის სნეულებებისა და ჰიპერტონული დაავადებების მკურნალობა. კურორტ „სულორის“ მინერალური წყლები წყალტუბოს მინერალური წყლების ტიპისაა. მის შემადგენლობაში არსებული ბრომის მარილები დამამშვიდებლად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, იკურნება ათრიტი, ტრომბოფლემიტი და გინეკოლოგიური დაავადებები. ზემოთ ჩამოთვლილი ბუნებრივი რესურსების მოსაპოვებლად და გადასამუშავებლად იმერეთში შესაძლებელია თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საწარმოების შექმნა. სწორი მარკეტინგისა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგების შემთხვევაში თითოეული მათგანი პოპულარული გახდება მსოფლიოს ტურისტულ ბაზარზე.¹

¹ www.Sakpatenti.org.ge

შესწავლილია ქვემო სვანეთის 42 მინერალური და მტკნარი წყალი. ასევე ზემო სვანეთის რკინიან-ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ-კალციუმ-ნატრიუმის (ცივი ნარზანის) ტიპის მინერალური და მტკნარი წყაროები. სვანეთის მინერალური წყლების განლაგება, მიუვალ ადგილებში სინჯების აღების სიძნელე და მოუხერხებლობა, მეტად ართულებს მათ შესწავლას და კერძოდ, გაზური შედგენილობის გამოკვლევას.

შესწავლილია ყაზბეგის რაიონის მინერალური წყაროები, რომელიც ეკუთვნის რკინიან ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ-კალციუმის (ცივი ნარზანის) ტიპის წყლებს. ყაზბეგის რაიონის მინერალური წყაროები (კობის, ფანშეთის, სიონის, ბაიდარას, ტრუსოს და კასარის ხეობები) განლაგებულია ძირითადად მდინარეების თერგისა და ბაიდარის ნაპირებზე.

თერგის ხეობის მარჯვნივ, კობის მიდამოებში გამოდის ექვსი მინერალური წყარო, სიახლოვის მიუხედავად, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება. ეს წყლები განეკუთვნება ცივი ნარზანის ტიპის წყლებს. ბაიდარის მარჯვენა ნაპირას განლაგებულია მინერალური წყლების მთელი ჯგუფი. ბაიდარის ხეობის ყველა მინერალური წყარო ძირითადად ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ-კალციუმისაა. უმეტესად წყაროებს აქვს მკვეთრად გამოსახული ნახშირმჟავა კირიანი ხასიათი.

ფანშეთის წყაროები (ცნობილია კიდევ გერგეთის და ყაზბეგის წყაროების სახელწოდებით) სოფელ ყაზბეგიდან 2 კმ-შია, რომელიც უყურადღებოდაა დატოვებული. აუზი გაჭუჭყიანებულია და წყაროების გამოსავალი ყველგან დაჭაობებული. ფანშეთის წყაროები უნდა მივაკუთვნოთ ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმ-კალციუმ-მაგნიუმის წყლებს. სხვა წყაროებთან შედარებით ეს წყარო უფრო მდიდარია ნატრიუმით და ქლორით. აფხაზეთის ყველა მინერალური წყარო შეიძლება მივაკუთვნოთ ქლორიდულ-ნატრიუმის ტიპის წყლებს. ავადხარა მდიდარია მთის წყაროებით და ნაკად-

ულებით, რომლებიც ერთვის მდინარე ავადხარას. ავადხარაში შესწავლილია ოთხი მინერალური და ხუთი მტკნარი წყალი. სოფელ ფსხუში შესწავლილია შვიდი მინერალური და ერთი მტკნარი წყალი.¹

ტყვარჩელის რადიაქტიური წყლები უძველესი დროიდან არის ცნობილი თავისი არაჩვეულებრივი სამკურნალო თვისებებით. ზოგიერთ მინერალურ წყალში ინტერესს იწვევს დარიშხანის მაღალი კონცენტრაცია. სავარაუდოა, რომ მინერალური წყლები დაკავშირებული აქამდე უცნობ დარიშხანის საბადოებთან ხსენებულ მიდამოებში.¹

თრუსოს ხეობაში, მდინარე თერგის ორივე ნაპირზე, განლაგებულია უამრავი მინერალური წყარო. ოქროყანის პირველი წყარო ძლიერ „ღუღს“, სიონის მინერალური წყარო, თერგის მარჯვენა მხარეს, ასევე ძლიერ გაზირებულია. ოქროყანის წყარო ძლიერ მინერალიზებულია, რითაც უახლოვდება ბაიდარის ხეობის წყაროებს. თრუსოს ხეობის წყაროები მომეტებულად შეიცავს რკინას.

ბუნებრივი, მინერალური წყალი და წყაროს წყალი „ბახმარო“ ამოედინება საქართველოს მთიანი რეგიონის – გურიის ზედაპირზე. ბუნებრივ მინერალურ წყალ „ბახმაროს“ გააჩნია სასიამოვნო ბუნებრივი გემო და შეიცავს ყველა ბუნებრივ მინერალს, რომელიც საჭიროა ადამიანის ჯამრთელობისათვის .

სამეგრელოს საკურორტო პოტენციული წარმოდგენილია მრავალფეროვანი ჰიდრომინერალური რესურსებით. მათ შორის ერთ-ერთი უნიკალურია მინერალური წყალი „ლუგელა“ ჩხოროწყუში, რომლის სასარგებლო თვისებების შესასწავლად ინტენსიურად მუშაობენ როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი მკვლევარები. „ლუგელა“ განეკუთვნება ქლორიდული წყლების ჯგუფს. საუკეთესო საშუალებაა ტუბერკულოზით დაავადებულთათვის. ლუგელა გამოიყენება სისხლდენისას, რაქიტის, ორგანიზმიდან კალციუმის დაკარგვისას, ანტიადერგიულია, ჰეპატიტის, ნეფრიტის, სტომა-

¹ www.statistics.ge

ტიტის, მოტეხილობების და სხვა დაავადებების დროს.

მიმდინარეობს ბალნეოლოგიურ კურორტ „ნუნისის“ აღდგენა, რომელიც მდებარეობს ხარაგაულის რაიონში. ადრე, ნუნისის წყლით მოსახლეობა კანის დაავადება-მუნს მკურნალობდა. მისი თბილი გოგირდოვანი აბაზანები კი ცნობილია როგორც შეუცვლელი საშუალება კანის ქრონიკული დაავადებების და სხვა პათოლოგიების სამკურნალოდ.

მარტვილის რაიონში, ეგრისის ქედზე მდებარეობს მთის კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ლებარდე. აქ ამოედინება მინერალური წყალი “ლებარდე”. იგი არის ნახშირმჟავა მინერალური წყალი და გამოიყენება სუნთქვისა და საჭმლის მომწელებელ ორგანოთა ქრონიკული დაავადებებისათვის.¹

ცაგერის რაიონში, ლაშაჯურის ხეობაში ამოედინება მინერალური წყალი “ლაშიჭალა”. ეს არის ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ-მაგნიუმ-კალციუმის მინერალური წყალი, გამოიყენება სასმელად და აბაზანებისათვის, საჭმლის მომწელებელ ორგანოთა ქრონიკული დაავადებებისათვის.

ქედის რაიონის სოფელ კოკოტაურში, მთის წვერიდან მოედინება მინერალური წყალი “კოკოტაური”. იგი არის სულფატურ-ჰიდროკარბონატული, ნატრიუმ-მაგნიუმის კალციუმის სამკურნალო წყალი აჭარაშია ასევე ადგილობრივი მოხმარების მინერალური წყალი „გუნდაური“, რომელიც საუკეთესო საშუალებაა ქრონიკული ქოლეცისტიტის და შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა სამკურნალოდ. მარეთის ხეობაში მრავლადაა მინერალური წყლები - „უჩამბა“, „წყალამპარა“, „შუბანი“, „ტომაშეთი“, „იაკუბაური“, „ქუთაური“, „ბოგილი“ და სხვ.²

მინერალური წყალი „ბაგიათი, ” კავკასიონის ქედის სამხრეთ ნაწილშია, მოიპოვება, ცისტერნებით გააქვთ ჩრდილოეთ ოსეთში და იქ ჩამოსხმება მინის ტარაში. ქართული ბაზრისათვის სამწუხაროდ ეს წყალი უცნობია.

გარდაბნის გზატკეცილზე, ერთ-ერთი მოსახლის ეზოში

¹ www.Statistics.ge

² www.Commersant.ge

მოედინება ნატურალური მინერალური წყლის ორი წყარო-“ველის წყარო”. გამოიყენება როგორც დასაღვავად, ასევე აბა-ზანების სახით. ადიგენის რაიონშია ფლატესა და ღაღვის მინერალური წყლები. მინერალური წყლის “ფლატეს” სამკურნალო თვისებების შესწავლა ჯერ კიდევ XX საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო. 1996 წელს დამტკიცებული სამედიცინო კონდიციით, “ფლატე” არის ჰიდროკარბონატულ-მაგნიუმ-კალციუმიანი სუფრის სამკურნალო წყალი, შეიცავს ბუნებრივ, სპეციფიკურ კომპონენტებს-კაუმჟავას. გამოიყენება ქრონიკული დაავადებების, შაქრიანი დიაბეტის, ნევროლოგიური წარმოშობის ცხიმოვანი ცვლის მოშლის, დიათეზის, პადაგრას, ცისტიტისა და რკინაანემიების დროს. მიმდინარეობს კვლევები ჩიყვის (ფარისებრი ჯირკვლის) პროფილაქტიკის დასადგენად. მინერალური წყალი “ღელვა” სულ ახლახან გამოჩნდა, გამოკვლეულია და გამოიყენება ზოგიერთი დაავადებების სამკურნალოდ. „ღელვას“ ჩამოსხმა დაკვეთით მიმდინარეობს.

აბასთუმნის სამკურნალო წყლების ისტორია უძველესი დროიდან იწყება. აბასთუმანში სამი წყაროა: „გოლიათის წყარო“, „გველის წყარო“ და „საყმაწვილო“. აღნიშნული წყლები გამოიყენება რევმანტული დაავადებების, დამბლის, ღვიძლისა და ელენთის, ქრონიკული წყლულების, კუნთების ატროფიისა და სხვა დაავადებების დროს.

ახალციხის რაიონის სოფ. ურაველში მდებარეობს ბალნეოლოგიურდ კლიმატური კურორტი „ურაველი“. ძირითადი სამკურნალო ფაქტორია ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატ ნატრიუმ-კალციუმ-მაგნიუმიანი მინერალური წყალი. ფასანაურის რაიონის სოფ. ნადიბანში ამოდის მინერალებითა და რკინით გაჯერებული წყალი „ვეკა“, რომელსაც ტურისტები ძალიან ეტანებიან.¹

ამრიგად, საქართველოს ტერიტორია გაჯერებულია მრავალფეროვანი მინერალური წყლებით, ასევე სასმელი წყლის რესურსებით. ამ მხრივ, იგი 2,5-ჯერ აღემატება მსოფლიოს, 2,4-ჯერ ევროპას და 1,7-ჯერ აზიის საშუალო მაჩვენ-

¹ სსიპ.საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, თბ., 2010.

ებელს მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარისებით. ამასთანავე, საქართველოს წყლის რესურსების 30 % უმადლესი ხარისხის მიწისქვეშა სასმელი წყალია და ასეთი შესაძლებლობებით ქვეყანას შეუძლია მსოფლიო დააკმაყოფილოს წყლით. სასმელი წყლის პრობლემა დღითიდღე აქტუალური ხდება. გასათვალისწინებელია სასაქონლო პროდუქციის წარმოების საუკუნოვანი გამოცდილება, მინერალური წყლების ტრადიციული ბაზრის არსებობა, ქვეყნის სიახლოვე აზიისა და აფრიკის არაბულ ქვეყნებთან, რომლებიც სასმელი წყლის დეფიციტს განიცდიან. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ საუკუნეში ამ მხრივ კატასტროფული მდგომარეობა შეიქმნება რიგ ქვეყანაში. ამ საქმეში ძალზე მნიშვნელოვანია სარეკლამო საქმიანობის გაფართოება და ელექტრონული ვაჭრობის ორგანიზაცია, რომელიც ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას და რომელიც წარმოუდგენელია გლობალურ და რეგიონულ პროცესებში ჩართვის გარეშე. მაღალი საექსპორტო პოტენციალისა და სტაბილური ზრდის რეალური პერსპექტივის გამო, საქართველოს მიწისქვეშა სასმელი წყლების ინდუსტრია ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტული დარგი უნდა გახდეს. მისი განვითარების უზრუნველსაყოფად, დიდი მნიშვნელობა აქვს ადეკვატური სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებას, რომელმაც ხელსაყრელი ბიზნეს – გარემო უნდა შექმნას. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საწარმოო პოტენციალის ყოველ შემადგენელ ნაწილს, ანუ ყველა რესურსს, რომელიც გამოიხსნება ბუნებრივი, შრომითი და მატერიალური რესურსების ეკონომიურ გამოყენებაზე და იძლევა როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ ეფექტს, რადგან მინერალური და სასმელი წყლების ბაზარი დღეისათვის ერთ-ერთი უმთავრესი და მზარდი მოთხოვნილების ბაზარია. მინერალური წყლების ბაზრის განვითარებისთვის მეტად საჭიროა ადგილობრივი მწარმოებელი კომპანიებისათვის მაქსიმალური ხელშეწყობა, გრძელვადიანი საკრედიტო სისტემის ამოქმედება, საგადასახადო შეღავათების დაწესება, ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის უზრუნ-

ველეოფა, სარეკლამო ბიზნესის განხორციელება, უცხოური პროდუქტების კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორების შესწავლა და გამოყენება. დღეს, როდესაც ქვეყანა ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებისაკენ, სათანადო სამსახურებმა მთელი ძალისხმევა უნდა მიმართონ მინერალური წყლების წარმოების ასაღორძინებლად, რომელიც ასე უხვადაა საქართველოში.

Mineral Water Resources in Georgia

D. Nergadze

Drinking water problem becomes more and more pressing day by day all over the world. 30% of the Georgian water resources are high quality underground drinking waters. With its potential Georgia is the richest with water resources in the world. Geography of mineral water production and technological development can play a significant role in the growth of the country's export that will be reflected on economic and social situation of the population.

Nowadays, when the country step by step moves forward to establish market relations, the relevant institutions should make every effort to revive the production of mineral waters. It is unfortunate that most of unique Georgian mineral waters are only available to local people and holiday visitors. Development of drinking water production and its inclusion in market relations will be profitable for the country's economy.

საქართველოს ეკონომიკა სწავლასახალ რეზორმის პირობებში

თამარ კბილაძე,
ივანე ჯავახიშვილის თსუ-ის დოქტორანტი

ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების მისაღწევად საჭიროა ისეთი ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის ყველა დარგში სამეწარმეო აქტიურობის ზრდას და ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას. ამ მიმართულებით აღსანიშნავია საქართველოს საგადასახადო სისტემაში განხორციელებული რეფორმა, რომლითაც გადასახადების რაოდენობა შემცირდა 21-დან 6-მდე (2004-2008წწ), ასევე შემცირდა საგადასახადო განაკვეთები. საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ამჟამად მოქმედებს 6 გადასახადი, მათ შორის, 5-საერთო-სახელმწიფოებრივი და 1- ადგილობრივი გადასახადია: 1.დამატებული ღირებულების გადასახადი; 2.საშემოსავლო გადასახადი; 3. მოგების გადასახადი; 4.სააქციზო გადასახადი; 5.ქონების გადასახადი; 6.იმპორტის გადასახადი.

აღსანიშნავია, რომ 2007 წელს საგადასახადო კოდექსში შეტანილი შესწორებების შედეგად, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საგადასახადო სისტემაში. კერძოდ, 2008 წლის 1 იანვრიდან გაუქმდა სოციალური გადასახადი და შეიქმნა ერთიანი საშემოსავლო გადასახადი (2008წ. - 25%; 2009 წლიდან - 20%), ხოლო მოგების გადასახადის განაკვეთი შემცირდა 20%-დან 15%-მდე. გადასახადის განაკვეთი დივიდენდებსა და პროცენტებზე დღეისათვის შეადგენს 5%-ს, ნაცვლად 10%-ისა 2005 წელს. გარდა ამისა, საქართველოში დაინერგა მნიშვნელოვანი პროცედურული და ინსტიტუციური

სიახლენი, საგადასახადო დავების განხილვის გამარტივებულ სისტემა, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის ქვეყანას მეწარმეებისა და უცხოელი ინვესტორებისათვის. დაგეგმილია საგადასახადო სისტემის შემდგომი ლიბერალიზაცია.

ახალი საგადასახადო კოდექსი მიზნად ისახავს გადასახადის გადამხდელთა ნდობის ამაღლებას საქართველოს საგადასახადო სისტემისადმი. 2014 წლისთვის კი იგეგმება გადასახადების გაუქმება დივიდენდებსა და საპროცენტო განაკვეთებზე, ასევე, საშემოსავლო გადასახადი შემცირდება ფიზიკური პირებისათვის 15%-მდე. მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის გათვალისწინებულია გამარტივებული ადმინისტრაციული პროცედურები და შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმები. ზემოაღნიშნულმა რეფორმებმა ხელი შეუწყო ეკონომიკის ზრდას ისეთი განზოგადებული მაჩვენებლის მიხედვით, როგორცაა მთლიანი შიგა პროდუქტი, რომელიც მიმდინარე ფასებში 2005 წელს 11,6 მლრდ ლარიდან, 2011 წელს, 24,2 მლრდ—მდე გაიზარდა. მოცემული მაჩვენებელი 2005-2011 წლებში საშუალოდ ყოველწლიურად 13%-ით იზრდებოდა.

ასევე მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენციით ხასიათდება საბიუჯეტო შემოსავლებიც. კერძოდ, მისი მოცულობა 2005 წელს 2,4 მლრდ ლარიდან, 2011 წელს 6,8 მლრდ ლარამდე გაიზარდა. საშუალოდ ყოველწლიურად მისი მოცულობა 19%-ით იზრდებოდა.

ახლა ვაჩვენოთ თუ როგორ ურთიერთდამოკიდებულებაშია ქვეყნის მშპ-სა და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის მაჩვენებლები.

როგორც ცნობილია, მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება - მოვლენებისა და პროცესების ისეთი კავშირია, რომლის დროსაც ერთ-ერთის ცვლილება - მიზეზი - იწვევს მეორის ცვლილებას - შედეგს. ჩვენს შემთხვევაში გვინდა ვაჩვენოთ თუ როგორი ურთიერთდამოკიდებულება არსებობს მთლიან შიგა პროდუქტსა და საბიუჯეტო გადასახადების მაჩვენებლებს შორის.

მშპ-ისა და საბიუჯეტო შემოსავლების მაჩვენებლების მიზეზ-შედეგობრივი კავშირითიერობების განსაზღვრისათვის ვიყენებთ კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეთოდს, რომლის საფუძველზე ვაჩვენებთ კავშირის ფორმებსა და რაოდენობრივ დახასიათებას ერთფაქტორიანი რეგრესიის მოდელების გამოყენებითა და კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის მაჩვენებელთა დახმარებით.

კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეთოდი შეიძლება დაიყოს შემდეგ ეტაპებად: მშპ - სა და საბიუჯეტო შემოსავლებზე სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში არსებული ინფორმაციის შეგროვება; კავშირის ფორმის ამორჩევა; მოდელების პარამეტრების მოძებნა; მიღებული შედეგების ანალიზი და ინტერპრეტაცია.

ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის ურთიერთკავშირის ფორმა იმაში მდგომარეობს, რომ მრავალი მათგანი შეიძლება გამოიხატოს რამდენიმე სხვა მაჩვენებლის ნამრავლის ან ჯამის სახით.

ავაგოთ ცხრილი, რომელიც გამოსახავს მშპ -სა და საბიუჯეტო გადასახადების მონაცემებს 2005- 2011 წლების მიხედვით. (იხ.ცხრილი 1).

მშპ-ისა და საბიუჯეტო გადასახადების მონაცემები 2005- 2011 წწ.


ცხრილი 1

წელი	მშპ მლრდ. ლარი მიმდინარე ფასებით (X)	საგადასახადო შემოსავლები მლრდ ლარი(y)
2005	11.6	2.4
2006	13.8	3.1
2007	17	4.4
2008	19.1	5.8
2009	18	5.3
2010	20.7	5.8
2011	24.2	6.8

თამარ კბილაძე

როგორც ვიზუალურად ჩანს (იხ. გრაფიკი 1), საქართველოს მშპ - სა და საბიუჯეტო შემოსავლებს შორის დამოკიდებულება, ზრდის ტენდენციით ხასიათდება, გარდა 2009 წლისა, როცა რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად აღინიშნა მაჩვენებლების მცირეოდენი შემცირება. მიუხედავად ამისა, მოცემულ შემთხვევაში წყვილადი კორელაცია წრფივი ფორმისაა.

გრაფიკი 1



გრაფიკი გვიჩვენებს ამ მაჩვენებლებს შორის დამოკიდებულებას. (კავშირი სწორხაზოვანია, ანუ - მაჩვენებელთა ურთიერთგადამკვეთი წერტილები მიახლოებით ან ფაქტობრივად სწორ ხაზზეა განლაგებული). შესაბამისად, ურთიერთკავშირის ანალიზური ფორმა წრფივი ფუნქციით გამოისახება: $y_x = a_0 + a_1 x$.

ფუნქციის ამოსახსნელად ავაგეთ დამხმარე ცხრილი(2), რომლის მეშვეობითაც მივიღეთ a_0 და a_1 პარამეტრების მნიშვნელობები. მიღებული გაანგარიშებები გადავამოწმეთ სტატისტიკური პროგრამის - SPSS-ის დახმარებით.

შიკრო-მაკროეკონომიკა

საქართველოს მშპ -სა და საბიუჯეტო გადასახადების მონაცემების ურთიერთდამოკიდებულების განგარიშების დამხმარე ცხრილი (2)

ცხრილი 2

	x	y	(xy)	$(x - \bar{x})$	$(x - \bar{x})^2$	$(y - \bar{y})$	$(y - \bar{y})^2$	(X^2)
2005	11.6	2.4	27.84	-6.88571429	47.41306	-2.4	5.76	134.56
2006	13.8	3.1	58.28	0.31428571	0.098776	-1.7	2.89	353.44
2007	17	4.4	74.8	-1.48571429	2.207347	-0.4	0.16	289
2008	19.1	5.8	110.78	0.61428571	0.377347	1	1	364.81
2009	18	5.3	95.4	-0.48571429	0.235918	0.5	0.25	324
2010	20.7	5.8	120.06	2.21428571	4.903061	1	1	428.49
2011	24.2	6.8	164.56	5.71428571	32.65306	2	4	585.64
Σ	129.4	33.6	651.72		87.88857		15.06	2479.94

სადაც:

$$\bar{xy} = \frac{\Sigma xy}{n}, \bar{x} = \frac{\Sigma x}{n}, \bar{y} = \frac{\Sigma y}{n}, s_x = \sqrt{\frac{\Sigma(x - \bar{x})^2}{n}}; s_y = \sqrt{\frac{\Sigma(y - \bar{y})^2}{n}},$$

ანუ ჩვენს მონაცემებიდან მივიღეთ, რომ :

$$\bar{xy} = \frac{\Sigma xy}{n} = 93,10286$$

$$\bar{x} = \frac{\Sigma x}{n} = 18,48571$$

$$\bar{y} = \frac{\Sigma y}{n} = 4,8$$

$$a_0 = \bar{y} - a_1 \bar{x} = -1,63614$$

$$a_1 = \frac{\bar{xy} - \bar{x} \cdot \bar{y}}{\bar{x}^2 - (\bar{x})^2} = 0,348168$$

ამდენად, განტოლება შემდეგ სახეს მიიღებს:

$$\bar{y}_x = -1,63614 + 0,348168 X$$

ე.ი საქართველოს მშპ-ს 1 მილიარდი ლარით გაზრდა წელიწადში გამოიწვევს საბიუჯეტო შემოსავლების 348 მლნ ლარით ზრდას.

ამ განტოლების მეშვეობით ვიპოვეთ მოსწორებული (\hat{y}) დონეები, რაც ცხრილის სახით ასე გამოიყურება(იხ. ცხრილი 3).

საკადასახადო შემოსავლები და მისი მოსწორებული დონეები

ცხრილი 3

წელი	(y)	(\hat{y})
2005	2.4	2.4
2006	3.1	4.9
2007	4.4	4.3
2008	5.8	5.0
2009	5.3	4.6
2010	5.8	5.6
2011	6.8	6.8
Σ	33,6	33.6

მოსწორებული დონეების ჯამი ($\Sigma \hat{y}$) უდრის 33.6-ს, ემპირიული დონეების ჯამიც (Σy) 33.6-ის ტოლია. ეს კი მიუთითებს ფუნქციის სიზუსტეზე, რადგან აკმაყოფილებს ამოცანის მინიმოზაციის პირობას (უმცირეს კვადრატთა მეთოდის პირობა)– $\Sigma (y - \hat{y})^2 = (33.6-33.6)^2 = 0$.

ეკონომიკური მოვლენების ეფექტიანი ანალიზის მიზნით, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ მოვლენათა შორის ურთიერთკავშირის სიმჭიდროვის ხარისხი. არსებობს სიმჭიდროვის ხარისხის შეფასების რამდენიმე სახეობის კორელაციის

კოეფიციენტი: კორელაციის წრფივი კოეფიციენტი, ფეხნერის კოეფიციენტი, სპირმენის რანგების კორელაციის კოეფიციენტი, დეტერმინაციის კოეფიციენტი, დ. იულას ასოციაციის კოეფიციენტი, კ. პირსონის კონტინგენციის კოეფიციენტი, ემპირიული და თეორიული კორელაციის დამოკიდებულება და სხვა. მაგრამ, ყველაზე ხშირად გამოიყენება კორელაციის წრფივი კოეფიციენტი, რომელიც მერყეობს -1 დან +1 მდე. კორელაციური კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის დადგენა გულისხმობს გაზომოს, თუ როგორ მოქმედებს საშედეგო მოვლენის განვითარებაზე, ანუ ვარიაციის ცვლილებაზე მიზეზობრივი ფაქტორის (წყვილადი კორელაცია) ან ფაქტორების (მრავლობითი კორელაცია) ვარიაციული ცვალებადობანი. წრფივი კავშირის შემთხვევაში, კორელაციის სიმჭიდროვის ხარისხს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გვიხასიათებს კორელაციის წრფივი კოეფიციენტი, რომელიც შემუშავებულ იქნა XIX საუკუნის 90-იან წლებში ინგლისელი სტატისტიკოსის, ბიოლოგისა და ფილოსოფოსის კარლ პირსონის (1857-1936 წწ.) მიერ. კორელაციის წრფივი კოეფიციენტის გასაანგარიშებელ ფორმულას აქვს შემდეგი სახე :

$$r = \frac{\overline{xy} - \bar{x} \cdot \bar{y}}{\delta_x \delta_y}$$

ზემოთ მოტანილი ცხრილის მიხედვით, სადაც x - საქართველოს მშპ-ს მოცულობაა, ხოლო y - საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებელი, ეს მონაცემები შეადგენს:

$$\bar{y} = \frac{\Sigma y}{n} = 93,10286 ; \quad \bar{x} = \frac{\Sigma x}{n} = 18,48571; \quad \bar{y} = \frac{\Sigma y}{n} = 4,8$$

$$s_x = \sqrt{\frac{\Sigma(x - \bar{x})^2}{n}} = 3,543376; \quad s_y = \sqrt{\frac{\Sigma(y - \bar{y})^2}{n}} = 1,466775$$

კორელაციის კოეფიციენტი შეადგენს:

$$r = \frac{\overline{xy} - \bar{x} \cdot \bar{y}}{\delta_x \delta_y} = \frac{93.10286 - 18.48571 * 4.8}{3.543376 * 1.466775} = 0,841091$$

მსოფლიოს სტატისტიკური აღრიცხვის თეორიასა და პრაქტიკაში მიხნეულია, რომ თუ კოეფიციენტის მნიშვნელობა 0-დან 0.3 -მდეა, კავშირი სუსტია, 0.3-დან 0.6-მდე - ზომიერია, ხოლო თუ 0.6-დან 1-მდეა, მაშინ კავშირი ძლიერია. ჩვენს მაგალითზე კორელაციის წრფივი კოეფიციენტი $r = 0.84$ -ის ტოლია, რაც ძალიან ძლიერია (84%-ია), ანუ მშპ-სა და საგადასახადო შემოსავლის მაჩვენებელს შორის მჭიდრო კორელაციური კავშირია.

აქედან კი ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ გამართული საგადასახადო პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი ბერკეტია.

Economy of Georgia in terms of Tax Reforms

T.Kbiladze

Economic growth of the country is achievable in terms of liberal tax policy. As a result of the tax reforms implemented in Georgia recently the number of taxes reduced from 21 to 6. Tax rates have been reduces as well. Currently the tax burden is 28 percent which is one of the lowest rates compared to many other countries.

On the current stage of Georgia's economic development, economic growth indicator of the country closely correlates with the tax revenue growth rate. Correlation coefficient is 0.84 - which shows a very strong connection.

**მარკეტინგის სოციალური
პასუხისმგებლობა**

იზა ბიგაური
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თსუ-ის დოქტორანტი

თანამედროვე გლობალური ეკონომიკის პირობებში, მზარდი საერთაშორისო ვაჭრობის ზეგავლენით, სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა მარკეტინგის ეთიკის საკითხებს. გლობალური მარკეტინგის ხანაში, როცა უფრო და უფრო მეტი კომპანია შედის საერთაშორისო ბაზრებზე, ეთიკური საკითხები წინ წამოიწევა, რაც განაპირობებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საკითხებისადმი ყურადღების გამახვილებას, განსაკუთრებით, მარკეტინგის კონტექსტით. თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები სწავლობენ და ითვალისწინებენ ეთიკური მარკეტინგის, ეკოლოგიური “მწვანე” მარკეტინგის, მიზეზთან დაკავშირებული მარკეტინგის და სოციალური მარკეტინგის საკითხებს, აგრეთვე, მის გავლენას მომხმარებლებზე, აქციონერებზე, სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებსა და კომპანიის ფინანსურ ეფექტურიანობაზე.

მარკეტინგი მთავარი ბიზნესდისციპლინაა, რომელიც ყველაზე მეტად ზრუნავს ფირმისა და გარემოს კავშირებზე, ანუ ყურადღებას მიაპყრობს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ცენტრალურ ასპექტს. მარკეტინგის დისციპლინა არ არის სტატიკური, არამედ განიხილება, როგორც “ცოცხალი ორგანიზმი”, რომელიც ქმნის და იყენებს ახალ კონცეფციებს, თეორიებს და მეთოდებს, რათა გავლენა

მოახდინოს ფირმის ქმედებებზე.

მიუხედავად იმისა, რომ მარკეტინგის დეფინიცია და მნიშვნელობა შეიცვალა დროთა განმავლობაში, უცვლელი დარჩა ის ფაქტი, რომ მარკეტინგი არის სოციალური დისციპლინა, რომელსაც ადგილი აქვს საზოგადოებრივ, სოციალური კონტექსტით. მაგრამ მარკეტინგის კონტექსტით, ჯერაც არ არსებობს მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის ნათელი განსაზღვრება. ამასთან, ძალიან ცოტა კვლევა ახანალიზებს მარკეტინგის როლს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დიზაინსა და განხორციელებაში. ეს კი წარმოქმნის სირთულეებს მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის კვლევისას. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ კლიენტზე მარკეტინგის ორიენტირებულობამ გადაინაცვლა დაინტერესებული მხარეებისკენ და აქედან გამომდინარე, მარკეტინგი უკვე ითვალისწინებს არა მხოლოდ კომპანიის მომხმარებლების, არამედ მთელი საზოგადოების ინტერესებს.

მკვლევარები, ვაალანდი და სხვები, წარმოგვიდგენენ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დეფინიციას მარკეტინგის კონტექსტით: “კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არის დაინტერესებული მხარეების მენეჯმენტი, რომლებისთვისაც მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობის მქონე და უპასუხისმგებლო ქმედებები, დაკავშირებული ეკოლოგიურ, ეთიკურ და სოციალურ ფენომენთან იმგვარად, რომ შეიქმნას კორპორაციული სარგებელი”.

1960-1970-იან წლებში, როდესაც მარკეტინგის მკვლევარებმა დაიწყეს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კვლევა, ისინი ფოკუსირებულნი იყვნენ მარკეტინგის სოციალურ მოვალეობებზე და არა ფირმის

საერთო სოციალურ როლზე. შედეგად წარმოიქმნასოციალური მარკეტინგის სფერო, რომელიც სპეციალიზებული იყო მარკეტინგული საქმიანობების წვლილზე სოციალურად სასურველი ქცევებისა და მიზნების მიღწევაში. ამგვარადვე, მარკეტინგის ლიტერატურაში შეიქმნა მეტი ცოდნა მარკეტინგის მენეჯერების ეთიკური აღქმის, არგუმენტაციებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესების შესახებ. მაგრამ ნაკლები ყურადღება მიექცა მთელი ფირმის ეთიკურ პასუხისმგებლობებს. ზოგადად, წარსულში ჩატარებული კვლევები ნაკლებად ითვალისწინებდა მარკეტინგული თეორიისა და პრაქტიკის როლს სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ხელშეწყობაში მთელი ორგანიზაციის მასშტაბით. გარდა ამისა, წარმატებული მარკეტინგული სტრატეგია ყოველთვის როდი უკავშირდებოდა ყველა დაინტერესებული მხარის მოთხოვნებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებას, არამედ მხოლოდ კლიენტებზე იყო კომპანიები ორიენტირებული. ყველა დაინტერესებულ მხარეზე ორიენტირებულობა კი ნიშნავს, რომ მარკეტინგი გამოდის ტრადიციული ჩარჩოებიდან (ბაზრები, კონკურენტები და არხის წევრები), რათა შეისწავლოს და მიმართოს მცდელობები ყველა დაინტერესებული მხარის მოთხოვნების დაკმაყოფილებისკენ.

ემპირიული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ, რაც უფრო მაღალია ფირმის წვლილი სოციალურ კეთილდღეობაში, მით უკეთესია მისი რეპუტაცია. ხელსაყრელი რეპუტაცია კი შესაძლებლობას აძლევს ფირმას დააწესოს მაღალი ფასები, მიიზიდოს საუკეთესო აპლიკანტები და ინვესტორები, ასევე, გაზარდოს კომპანიის წვდომა კაპიტალის ბაზარზე. რეპუტაცია მჭიდრო კავშირშია ბრენდის ცნობადობასთან და ხელს უწყობს ბრენდის დიფერენციაციას და კონკურენტული უპირატესობის მიღწევას. მაგალითად,

იტალიაში, მომხმარებელთა კვლევამ იმის შესახებ, არის თუ არა კავშირი კომპანიის სოციალური ორიენტაციის აღქმასა და მომხმარებელთა განზრახვას შორის, შეიძინოს კომპანიის პროდუქტები, დაადასტურა, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა წარმოქმნის ნდობას, ხოლო ნდობა გარდაიქმნება მომხმარებელთა განზრახვად, შეიძინონ პროდუქტები, ანუ ზრდის ბრენდის ლოიალობას.

მკვლევარებმა შეიქმნეს რვა ეტაპიანი მეთოდოლოგია მარკეტინგში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განსახორციელებლად:

1) ორგანიზაციული ღირებულებებისა და ნორმების დადგენა. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს ორგანიზაციის ღირებულებებს, ნორმებსა და მისიას. არსებული ღირებულებები და ნორმები განსაზღვრავს დაინტერესებულ ჯგუფებს და დაინტერესებული მხარეებისთვის საინტერესო უმნიშვნელოვანეს საკითხებს;

2) დაინტერესებული მხარეების დადგენა. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების საჭიროებების, სურვილებისა და მოთხოვნილებების გამოცნობა. კომპანია დამოკიდებულია დაინტერესებული მხარეების რესურსებზე, და პირიქით, ორგანიზაციის წარმატებაზე დამოკიდებული დაინტერესებული მხარეების კეთილდღეობა;

3) დაინტერესებული მხარეებისთვის საინტერესო საკითხების დადგენა. ეს ეტაპი მოიცავს იმის გამოკვლევას, თუ რომელი პრობლემები აინტერესებთ კომპანიის სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებს ყველაზე მეტად, რაზეც ორგანიზაციამ უნდა გაამახვილოს ყურადღება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამის ფარგლებში;

4) კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის

მნიშვნელობის შეფასება. ამ ეტაპზე პირველი სამი ეტაპი ერთიანდება, რათა დადგინდეს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონკრეტული განსაზღვრება, რომელიც განსაკუთრებით შეესაბამება ორგანიზაციის ინტერესებს. ეს ზოგადი დეფინიცია გამოიყენება მიმდინარე პრაქტიკის შესაფასებლად და სოციალური პასუხისმგებლობის კონკრეტული ინიციატივების შესარჩევად. ფუნქციური სფეროები, როგორცაა მარკეტინგი, გამოიყენებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საქმიანობების ამ განსაზღვრებას, რომელიც დაინტერესებული მხარეების ინტერესებს შეეფერება;

5) მიმდინარე საქმიანობის რევიზია. სოციალური რევიზია არის ბიზნესის ეფექტიანობისა და სოციალური პასუხისმგებლობის შეფასებისა და რეპორტირების პროცესი. თუმცა, კონტროლის განხორციელება შეუძლებელია მიღწეული სოციალური მიზნების გაზომვის დონისძიებების გარეშე. სოციალური პასუხისმგებლობის აუდიტის ორი მთავარი კითხვაა: რას იყენებს ორგანიზაცია დაინტერესებული მხარეებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განსახორციელებლად და რომელ საქმიანობებს სჭირდება გაუმჯობესება;

6) კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივების განხორციელება. ეს პროცესი იწყება იმ პრობლემებისთვის პრიორიტეტების მინიჭებით, რაც გამოიკვეთა მეხუთე ეტაპზე. აქ აღსანიშნავია ორი ძირითადი კრიტერიუმი: ორგანიზაციის ფინანსური დონე და პრობლემის გადაუდებლობა;

7) კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტიმულირება. მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესის შიგა და გარე დაინტერესებულმა მხარეებმა იცოდნენ განხორციელებული ინიციატივების შესახებ. საზოგადოებრივი ურთიერთობების

იმა ზიგაური

დეპარტამენტი აწვდის ინფორმაციას დაინტერესებულ მხარეებს, როგორცაა აქციონერები, საინვესტიციო ფონდები, ბიზნესპარტნიორები და თანამშრომლები. ამავე მიზნისთვის გამოიყენება კომპანიის ინტერნეტ გვერდები და ტრადიციული რეკლამაც;

8) დაინტერესებული მხარეების უკუგაქცევის მიღება. დაინტერესებული მხარეებისგან უკუგაქცევის მისაღებად გამოიყენება კმაყოფილების ან რეპუტაციის შესახებ გამოკითხვა. დაინტერესებული მხარეების უკუგაქცევა შესაძლოა გამოყენებულ იქნეს, როგორც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მენეჯმენტის პროცესის პირველი სამი ეტაპის გადაფასება გრძელვადიან პერსპექტივაში. გამოკითხვამ შესაძლოა გამოკვეთოს ახალი და მნიშვნელოვანი დაინტერესებული ჯგუფები ან აღმოაჩინოს მათთვის საინტერესო სხვა პრობლემები. მარკეტინგი კი ეხმარება ორგანიზაციას კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საერთო ღირებულებებისა და ნორმების განხორციელებაში.


ამგვარად, სოციალური პასუხისმგებლობის განსახორციელებლად მარკეტინგში გამოიყენება დაინტერესებული მხარეების მოდელი. რადგან მარკეტინგმა გადაინაცვლა კლიენტზე ვიწრო ორიენტაციიდან ურთიერთობების მენეჯმენტისკენ და ყველა დაინტერესებული მხარის სარგებლობისკენ, ეს მოდელი ორგანიზაციული იდენტობისა და რეპუტაციის შექმნის საფუძველია.

თითოეული კომპანია ფუნქციონირებს განსაზღვრულ სოციო-ეკონომიკურ გარემოში ამა თუ იმ დაინტერესებული მხარის ინტერესების გათვალისწინებით. კლასიკური განსაზღვრების თანახმად, დაინტერესებული მხარეა ნებისმიერი ჯგუფი ან ინდივიდი, რომელიც ახდენს გავლენს ან განიცდის ზეგავლენას კორპორაციული

მენეჯმენტი, მარკეტინგი, ტურიზმი

მიზნების მიღწევის შედეგად. მთავარი დაინტერესებული მხარეები არიან ინდივიდები, ორგანიზაციები და ადგილობრივი საზოგადოება, რომლებსაც პირდაპირი კავშირი აქვთ კომპანიის საქმიანობასთან და რომელთა მუდმივი მონაწილეობის გარეშეც კორპორაცია ვერ გადარჩება. არაპირდაპირი დაინტერესებული მხარეებია ინდივიდები და ორგანიზაციები, რომლებსაც ირიბი კავშირები აქვთ კომპანიის საქმიანობასთან. ისინი გავლენას ახდენენ კორპორაციაზე ან განიცდიან მისი საქმიანობის ზეგავლენას, მაგრამ არ არიან არსებითები კომპანიის გადარჩენისთვის. მათ რიცხვში შედის სახელმწიფო მართვის ორგანოები, არაკომერციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პროფესიული კავშირები, აქტივისტები, კონკურენტები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (იხ. სქემა).

კომპანიის დაინტერესებული მხარეები



მთავარი დაინტერესებული მხარეები
არაპირდაპირი დაინტერესებული მხარეები

კვლევები ადასტურებს, რომ მარკეტინგის მხარდაჭერა მნიშვნელოვანია სოციალური პასუხისმგებლობის

დიზაინსა და განხორციელებაში. კორპორაციულმა სოციალურმა პასუხისმგებლობამ უნდა მოიცვას სხვადასხვა დაინტერესებული მხარე; ორგანიზაცია უნდა უსმენდეს და პასუხობდეს დაინტერესებულ ჯგუფებს, რომლებიც ქმნიან ორგანიზაციულ ურთიერთობებს¹. მარკეტინგული კომუნიკაცია კი დადებითი კორპორაციული იმიჯის გავრცელებას უწყობს ხელს ისეთი ინსტრუმენტების მეშვეობით, როგორცაა რეკლამა, სტიმულირება, საჯარო გამოსვლები და საინფორმაციო ბიულეტენები. ასეთი ტიპის კომუნიკაცია ინფორმაციას აწვდის დაინტერესებულ მხარეებს ფორმის ინიციატივების შესახებ, რაც უკავშირდება სოციალური პასუხისმგებლობის განსაზღვრულ საკითხებს².

ბევრი კომპანია აცნობიერებს, რომ მომხმარებელთა მოლოდინების ზრდა, თანამშრომლების მოთხოვნების ცვლილება, მთავრობის კანონმდებლობა და ზეწოლა, ინვესტორების დაინტერესება სოციალური კრიტერიუმებისადმი ავალებს მარკეტინგს, გამოვიდეს ორგანიზაციისა და მისი მომხმარებლების ფარგლებიდან. აქედან გამომდინარე, კომპანიები უნდა აკმაყოფილებდეს როგორც თავიანთი კლიენტების, ასევე სხვა დაინტერესებულ მხარეების მოთხოვნებს, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მეშვეობით³.

¹ Lindgreen, A., Swaen, V. & Johnston, W. 2009. The Supporting Function of Marketing in Corporate Social Responsibility. *Corporate Reputation Review*. 12: 120–139.

² Maignan, I, Ferrel, O.C. & Ferrel, L. 2005. A Stakeholder Model for Implementing Social Responsibility in Marketing. *European Journal of Marketing*. 39 (9/10): 956-977.

³ Lindgreen, A., Swaen, V. & Johnston, W. 2009. The Supporting Function of Marketing in Corporate Social Responsibility. *Corporate Reputation Review*. 12: 120–139.

მენეჯმენტი, მარკეტინგი, ჯარიზმი

ამდენად, თანამედროვე სამყაროში, მხოლოდ მოგების მაქსიმიზება კი არ არის მთავარი, არამედ უფრო მნიშვნელოვანია ბიზნესის გადარჩენა და სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილება. ამიტომ, საჭიროა ამჟამინდელი დაინტერესებული მხარეებისა და სოციალური საჭიროებების დაბალანსება მომავლის საჭიროებებთან¹.

კვლევები ადასტურებს, რომ თუ კომპანია დააკმაყოფილებს ყველა დაინტერესებული მხარის მოთხოვნებს, შეძლებს შემოსავლის და მოგების გადიდებას, რითიც გაზრდის გადარჩენის შესაძლებლობას გრძელვადიან პერსპექტივაში². გარდა ამისა, ეთიკას და სოციალურ პასუხისმგებლობას დადებითი გავლენა აქვს კომპანიის წარმატებაზე, რადგან მომხმარებელი მსჯელობს ეთიკურად, რაც, დიდი ალბათობით, მის ყიდვებზე ახდებს გავლენას³. ამასთან, სოციალური პასუხისმგებლობა ზრდის ბრენდის ღირებულებას და მომხმარებლის ლოიალობას. ამგვარად, სოციალური პასუხისმგებლობა მარკეტინგის კონტექსტით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბაზარზე კომპანიის წარმატებისთვის.

¹ Hildebrand, D., Sen, S. & Bhattacharya, C.B. 2011. Corporate Social Responsibility: A Corporate Marketing Perspective. *European Journal of Marketing*. 45(9/10): 1353 – 1364.

² LINDGREEN, A., SWAEN, V. & JOHNSTON, W. 2009. THE SUPPORTING FUNCTION OF MARKETING IN CORPORATE SOCIAL RESPONSIBILITY. *CORPORATE REPUTATION REVIEW*. 12: 120–139.

³ Singhapakdi, A. Karande, K., Rao, C. P. & Vitell, S. J. 2011. How Important are Ethics and Social Responsibility? – A Multinational Study of Marketing Professionals. *European Journal of Marketing*. 35 (1/2): 133 – 153.

Social Responsibility of Marketing

I. Gigauri

The presented article discusses the theory of social responsibility of marketing. There is a need for marketing to develop stakeholder orientation rather than a narrow customer orientation. Stakeholder orientation in marketing goes beyond markets, competitors and channel members to understand and meet all stakeholder demands. Marketing communication can help spreading positive corporate reputation through promotion, advertisements, public speeches, newsletters or other instruments. Social responsibility can be an effective marketing tool for improving a public image of a company. It is not just profit maximization but business survival and the satisfaction of societal needs are more important. Hence, it is necessary to balance current stakeholder and societal needs with those of the future.

ინვესტიციები საქართველოს ტერიტორიაში: რეალობა და პერსპექტივები

სოფიკო ჯვარციანი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თსუ-ის დოქტორანტი

ტურიზმი მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს და ყველაზე სწრაფად მზარდ ინდუსტრიად ითვლება. ტურიზმზე მოდის გლობალური მთლიანი ეროვნული პროდუქტის 6% და შესყიდვებზე დანახარჯების სულ ცოტა 13%. უნიკალურია ტურიზმის ზრდის ტემპი, რითაც იგი საგრძნობლად აჭარბებს ეკონომიკის სხვა დარგებს, უკანასკნელ 60 წელიწადში მსოფლიო ტურიზმის მოცულობა თითქმის 50-ჯერ გაიზარდა (20 მლნ ტურისტიდან 1950 წელს, 980 მლნ-მდე 2011 წელს).

ტურიზმს მრავალგვარი (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ფსიქოლოგიური) სარგებლის მოტანა შეუძლია. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მარკეტინგული სამსახურის მონაცემებით, ტურიზმის განვითარების თანმდევი პროცესებია: დასაქმება (მათ შორის ალტერნატიული, რეგიონებში, ქალებისა და ახალგაზრდების); სიღარიბესთან ბრძოლა; სახელმწიფო შემოსავლების ზრდა; ინფრასტრუქტურის განვითარება; ეკონომიკის დივერსიფიკაცია; ადგილობრივი კულტურისა და ხელოსნობის ხელშეწყობა; გარემოს დაცვის ხელშეწყობა; პატრიოტული აღზრდა (შიგა ტურიზმი); საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყა-

ლიბების ხელშეწყობა.

ტურიზმის ინდუსტრიის ძირითადი მახასიათებელი ნიშანი მოდურობაა. მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ურთიერთდამოკიდებულება ადამიანთა შემეცნებით ურთიერთობებს, მათ მოლოდინსა და ღირებულებებს ეფუძნება. აქედან გამომდინარე, ტურიზმის სფეროში საქმიანობა ექვემდებარება კულტურულ ფილტრს, რომელიც დროის მიხედვით ცვალებადია.

საქართველოში 2011 წელს, რთული და არასტაბილური გარე ფაქტორების მიუხედავად, ეკონომიკურმა ზრდამ 7 % შეადგინა. იმ პირობებში, როდესაც მსოფლიო გლობალური კრიზისიდან გამოსვლის ტემპი მოსალოდნელზე დაბალი აღმოჩნდა, ხოლო ევროზონის კრიზისმა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ეკონომიკური ზრდა შეაფერხა, საქართველოს ეკონომიკა ზრდას განაგრძობდა. ეს ძირითადად განპირობებული იყო ექსპორტისა და ტურიზმის ზრდითა და სახელმწიფო ინვესტიციების მაღალი დონით. გარდა ამისა, საბანკო სესხების მატრების კვალდაკვალ, ქვეყნის შიგა მოთხოვნილება გაიზარდა. მნიშვნელოვნად იმატა ფულადი გადარიცხვების მოცულობამ, ასევე უცხოური პირდაპირი ინვესტიციებისა და სხვა სახეობის კერძო კაპიტალის შემოდინება კრიზისის შემდგომ კვლავაც სტაბილურად იზრდებოდა. მაგალითად, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2007 წელს 6444,3 მლნ დოლარიდან, 2011 წელს 9246,9 მლნ-მდე გაიზარდა.

საკატეგორიო ტურიზმის სფეროებში მთლიანი პროდუქციის დინამიკა (შესაღარი ფასებით, მლნ ლარებში)

ცხრილი 1

მაკროეკონომიკური კატეგორია	2006		2007		2008		2009		2010	
	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%
სასტუმროების კომპლექსების მომსახურება	123,4	100	144,3	116,9	140	113,45	111,8	90,6	147,5	119,5
რესტორნების, ბარების, სასადილოების მომსახურება	357,1	100	408,4	114,3	484,6	135,70	529,2	148,2	639,1	178,9
და მზა საკვების მიწოდება										
სარკინიგზო ტრანსპორტი	102,1	100	90,3	88,4	85,0	83,25	86,0	84,2	110,5	108,22
სხვა სახეობის ტრანსპორტი										
და საზღვაო და კაბოტაჟური წყლის ტრანსპორტი	424,6	100	571,5	134,59	559,6	131,79	526,0	123,9	624,4	147,05
საკაბოტაჟო ტრანსპორტი	121,7	100	130,1	106,90	163,9	134,67	199,5	163,9	205,6	168,94
სამოგზაურო ბუროებისა და ტურისტული აგენტების საქმიანობა; ტურისტებისათვის დახმარების აღმოჩენა	297,6	100	320,5	107,69	292	98,11	271,5	91,2	347,9	116,90
სულ ტურიზმის სფეროებში	1426,6	100	1665,1	116,71	1725,2	120,93	1724,1	120,9	2075,1	145,45
ქვეყნის მშპ	20,525	100	25,236	122,95	28,318	137,96	26,315	128,2	30,467	148,43
ტურიზმის სფეროების წილი ქვეყნის მშპ-ში	7,0	100	6,6	94,28	6,1	87,14	6,6	94,3	6,8	97,14

რაც შეეხება უმაღლეს ტურიზმს, დღეისათვის ეკონომიკური ასპექტი ტურისტულ ბიზნესში იქნეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. შესაბამისად საქართველოში ტურიზმის სფეროებში მთლიანი პროდუქციის დინამიკას აქვს ზრდის ტენდენცია. ტურიზმი ქვეყნის სწრაფად განვითარებადი კომპლექსია. ამიტომ, მუდმივად მიმდინარეობს საერთაშორისო ბაზარზე მუშაობის ახალი ფორმების ძიება. სათანადო ყურადღების ამაღლება მნიშვნელოვნად ზრდის ტურიზმის სექტორის როლს საქართველოს ეროვნულ ეკონომიკაში (იხ. ცხრილი 1).

საქართველოს ხელისუფლებას გაცნობიერებული აქვს, რომ ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მშენებლობა არა მხოლოდ მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ასამაღლებლად, მნიშვნელოვანი, არამედ ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობ საკვანძო ელემენტსაც წარმოადგენს. გზები, წყალმომარაგება და სანიტარული ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ მნიშვნელოვან რეაბილიტაციას საჭიროებს ქვეყნის უმეტეს ნაწილში. ბოლო წლებში ქვეყნის მთავრობამ რეგიონული განვითარების რამდენიმე ინიციატივა წამოიწყო. 2010 წელს მთავრობამ რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგია დაამტკიცა, რომლის მიზანია რეგიონებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბება და ცხოვრების დონის ამაღლება. მთავრობა ცდილობს ხელი შეუწყოს ტურიზმის მდგრად განვითარებას პერსპექტიულ რეგიონებში.

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ტურიზმის განვითარება საქართველოში პრიორიტეტულად არის მიჩნეული, რადგან ტურიზმი ეს არის ინდუსტრია, რომელიც მოიცავს საქმიანობის მრავალ სახეობას. ტურიზმის ინდუსტრიის ყველა სეგმენტი ურთიერთკავშირშია და დამოკიდებულია ერთმანეთზე. მაგალითად, სამთო-სათხილამურო კურორტის წარმატება დამოკიდებულია ტურისტების სათხილამურო ტრასებზე ჩაყვანაზე, მათ სასტუმროებში გან-

თავსებაზე, კვებასა და სხვა მომსახურებაზე, რომელსაც ტურისტებს შესთავაზებენ დასვენების პერიოდში. ამიტომ, ტურიზმი მსოფლიოს ბევრი განვითარებული ქვეყნისთვის დიდი შემოსავლების შემომტანი სფეროა.

რამდენად დიდია ტურიზმით მიღებული ეკონომიკური შედეგები, შეიძლება მოვიყვანოთ ერთი მაგალითი: თუ 1950 წელს მსოფლიო ტურიზმისგან მიღებული შემოსავალი შეადგენდა 2,1 მლრდ დოლარს, 1998 წელს მან 444,7 მლრდ დოლარი შეადგინა, ხოლო დღეისათვის იგი შეადგენს 919 მლრდ დოლარს . ტურიზმის განვითარება ქვეყნისთვის უზრუნველყოფს: ადგილობრივი შემოსავლების ზრდას; ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს; განავითარებს ტურისტთა მომსახურების ყველა დარგს, ტურისტული ცენტრების ინფრასტრუქტურას; იწვევს ხალხური რეწვის და კულტურული ცენტრების მუშაობის გააქტიურებას; განაპირობებს სავალუტო შემოსავლების ზრდას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ტურიზმის განვითარების ეკონომიკური ეფექტიანობა გულისხმობს ერთმანეთის პარალელურად და ერთმანეთთან კავშირით სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსის განვითარებას. საქართველო დღეისათვის საერთაშორისო ტურისტულ მიმოსვლაში მოკრძალებულ ადგილს იკავებს, თუმცა, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, შეინიშნება მატების მაღალი ტემპები. აღნიშნული ზრდა შეეხება როგორც შემომსვლელ, ასევე გამსვლელ ტურისტებს. მომავალ წლებში მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდება ახალი ტურისტული ცენტრების და ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობით და საქართველოს საერთაშორისო იმიჯის გაზრდით.

2010 წლის მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული უცხოური ინვესტიციები ტურიზმის, ენერჯეტიკის, მშენებლობის, უძრავი ქონების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და საფინანსო სექტორებში თითქმის თანაბრად იყო გადანაწილებული. სულ 814,5 მლნ დოლარის ინვესტი-

სოფიო ჯვარციანი

ცია შემოვიდა. ინვესტიციები ტურიზმში ნიშნავს ამ სფეროში გრძელვადიან ფინანსურ დაბანდებებს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. მას აქვს ერთი მიზანი - დაბანდებული კაპიტალის გამოყენებით მოგების მიღება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინვესტიციები ტურიზმში, ეს არის კაპიტალის დაბანდების საფუძველზე ახალი ტურისტული ობიექტების ჩამოყალიბების პროცესი, არსებულის მოდერნიზაცია და რესტრუქტურისაცია, რომელსაც აქვს უნარი აწარმოოს და გაწიოს გარკვეული ტურისტული მომსახურება. ინვესტიციები ტურიზმში არის იმ შემთხვევაში, თუ არის მოთხოვნა და შესაბამისად მიწოდება და გამყიდველების და მყიდველების და სხვა ამ ინვესტიციურ პროცესში მონაწილეების ინტერესები ემთხვევა ერთმანეთს, ანუ არსებობს ინტერესთა ბალანსი. თუ ეს პირობები დაკმაყოფილებულია, მაშინ ინვესტიციები ტურიზმში იქნება ხელსაყრელი როგორც ტურიზმში მონაწილე კონტიგენტისათვის, ასევე ტურისტებისათვის. დღეისათვის ყველაზე მაღალი ინვესტიციური აქტივობა ტურიზმის სფეროში აღინიშნება იმ ქვეყნებში, სადაც ტურიზმი აღიარებულია პრიორიტეტულ სფეროდ.

ქვეყანაში შექმნილი სირთულეებისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის მიუხედავად, მთავრობის ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, საქართველოში ეკონომიკური სირთულეების დაძლევის პროცესი შეინიშნება. ამის შედეგად საერთაშორისო არენაზე ქვეყნის ამაღლებული იმიჯი საშუალებას მოგვცემს, 2010 წელთან შედარებით, მეტი ინვესტიცია მოვიზიდოთ. 2011 წელს საქართველოში 980,6 მლნ დოლარის უცხოური პირდაპირი ინვესტიცია განხორციელდა, ნაცვლად 814,5 მლნ დოლარისა 2010 წელს.

რაც შეეხება უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დინამიკასა და სტრუქტურას 2007-2011 წლებში, მონაცემები მოყვანილია მეორე ცხრილში.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციები საქართველოში ეკონომიკის
სექტორების მიხედვით (მლნ დოლ.)

ცხრილი 2

წლები	2007		2008		2009		2010		2011	
	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%
მაკროეკონომიკები	2014841.6	100	1563962.4	77.62	658400.6	32.6	814497	40.4	980600.7	48.7
სულ	15527.9	100	7844.3	50.51	22326.9	143.8	8631.9	55.6	13607.1	87.6
მთ შორის: სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	86170.0	100	18105.2	21.01	15023.4	17.43	53436	62.0	37354	43.3
სამთიანი პოპულაციის მრეწველობა	312070.9	100	188287.8	60.33	124781.7	39.9	175335	56.2	180768.3	57.9
დამამუშავებელი მრეწველობა	362581.1	100	294864.8	81.3	2130.6	0.58	21878	6.03	158308.9	43.7
ენერჯეტიკა	171891.8	100	56725.3	33.0	105218.8	61.21	4705.9	2.73	34823.1	20.3
შპენბელობა	242075.9	100	181939.2	75.15	37542.3	15.50	17122	7.07	13906.8	5.74
სასტუმროები და რესტორნები	416694.7	100	422690.0	101.4	98432.0	23.62	215116	51.6	130906.3	31.4
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	30543.9	100	277837.7	909.6	147410.3	482.6	119253	390.4	122212.7	400.1
უძრავი ქონება	458.3	100	550.6	120.1	289.1	63.08	1182.4	257.9	17807.4	3888
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	219104.1	100	104225.8	47.56	59843.3	27.3	90431	41.3	93439.3	42.6
დანარჩენი სექტორები	157723.1	100	10891.7	6.9	49663.4	31.48	107406	68.1	177466.7	112.5

სოფიკო ჯვარციანი

მთლიანი უცხოური პირდაპირი ინვესტიციების 90 % ეკონომიკის 4 უმსხვილეს სექტორზე გადანაწილდა, მათ შორის: 48 % მრეწველობაზე, 23 % საფინანსო სექტორზე, 12 % ენერჯეტიკასა და 8 % მშენებლობის სექტორზე მოდის.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების 67 % ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელდა.


საქართველო ტურიზმის ქვეყანაა, რისი საფუძველიც მისი ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებია, იგი ყოველწლიურად სთავაზობს ტურისტებს ახალ შელამაზებულ ადგილებს. საქართველოს მთავრობა ტურიზმის განვითარებას დიდ პრიორიტეტს ანიჭებს. ამ სექტორის მაღალი პოტენციალი და უცხოელი ინვესტორებისათვის გამარტივებული პირობები დიდ შესაძლებლობას აძლევს საქართველოს ყოველწლიურად გაზარდოს უცხოური პირდაპირი ინვესტიციები ტურიზმში.

საქართველოში, მთელი წლის მანძილზე, ტურისტებისათვის მიმზიდველია თბილისი, მცხეთა, სიღნაღი და ა.შ. ზაფხულის სეზონზე კი ყველაზე მოთხოვნადია ბათუმი, ხოლო ზამთრის სეზონზე ტურისტები მნიშვნელოვან ყურადღებას ანიჭებენ მთიან რეგიონებს, კერძოდ, სვანეთსა და თუშეთს. ტურისტულად საინტერესო ადგილებია ასევე ქობულეთი, ქუთაისი და ა.შ.

2010 წლის მონაცემებით, საქართველოს ეწვია დაახლოებით 2 მლნ ტურისტი. საქართველოში ჩამოსული უცხოელი მოქალაქეების რაოდენობამ 2011 წელს შეადგინა 2 822 363, რაც 39 %-ით აღემატება წინა წლის მონაცემებს. დსთ-ს ქვეყნებიდან აქტიურად ჩამოდიან საქართველოში აზერბაიჯანელები - 714418; სომხები - 699382 და რუსები - 278458, ასევე დსთ-ს სხვა ქვეყნების მოქალაქეები; სამხრეთ აზიის ქვეყნებიდან ძირითადი სტუმრები არიან ირანელები 38 878; ამერიკის ქვეყნებიდან - აშშ - 4155; აზიიდან ჩინელები - 6522; აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის ევროპიდან - თურქები - 202 491, ებრაელები - 5991; ევროპის ქვეყნებიდან I ადგილიზეა გერმანია - 22 204, მეორეზე საბერძნეთი - 17 664, შემდგომ მოდის დიდი ბრიტანეთი - 12 613, პოლონეთი - 12 082 და საფრანგეთი - 10 695 (იხ. გრაფიკი და ცხრილი 3).

მენეჯმენტი, მარკეტინგი, ტურიზმი

საქართველოში შემოსულ ტურისტთა დინამიკა (2000-2011წწ)



2011 წელს საქართველოში შემოსულ ტურისტთა მთლიანი რაოდენობის სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით

ცხრილი 3

ქვეყანა	ტურისტთა რაოდენობა	% –ით მთლიანის მიმართ
აზერბაიჯანი	714418	25
სომხეთი	699382	25
რუსეთი	278458	10
აშშ	4155	0,15
ირანი	38878	1,0
ჩინეთი	6522	0,23
თურქეთი	202491	7
ისრაელი	5991	0,212
გერმანია	22204	0,8
საბერძნეთი	17664	0,6
დიდი ბრიტანეთი	12613	0,4
პოლონეთი	12082	0,4
საფრანგეთი	10695	0,3
დანარჩენი ქვეყნები	826096	28,9

შემოსული ვიზიტორების მოკლე მიმოხილვითაც ნათელია, რომ საქართველო უკვე მოექცა საერთაშორისო ტურიზმის მზარდი ინტერესების სფეროში და მისმა ნაკადებმა ჩვენკენაც დაიწყო გადმონაცვლება. მაგრამ, ქვეყანამ რომ მაქსიმალურად გამოიყენოს არსებული რეკონსტრუქციული რესურსები და ტურისტული პოტენციალი, საჭიროა ტურიზმის სფეროში არსებული მრავალი პრობლემის გადაჭრა. მთავარი ისაა, რომ საქართველოს ჯერჯერობით არ შეუძლია გარესამყაროს შესთავაზოს მაღალი დონის ტურისტული პროდუქტი, მდგომარეობას ართულებს ის გარემოებაც, რომ საქართველოში უცხოელი ტურისტებისთვის დასვენება ან მოგზაურობა საკმაოდ ძვირი ჯდება. ჩამოფრენისა და სასტუმროებში დამსთვეის სიძვირის გამო, სერვისის დონეც და ტურმომსახურების ფასიც დიდად აღემატება მის ხარისხს. თუმცა, ამ ბოლო ხანს საქართველოს ტურისტული ბაზარი მეტად მიმზიდველი გახდა ისეთი ბრენდებისათვის, როგორცაა სასტუმროთა ქსელები: „რედისონი“, „ჰილტონი“, „კემპინსკი“, „ინტერკონტინენტალი“ და სხვა. ეს იმ აქტიური მარკეტინგული საქმიანობის შედეგია, რომელსაც ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი და ქართული ტურისტული კომპანიები ახორციელებენ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობითა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვით.

აქვე აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ საქართველოში დღეს ძირითადი აქცენტი გადატანილია უცხოეთიდან ტურისტების მოზიდვაზე, თუმცა, არანაკლებია საქართველოდან საზღვარგარეთ წამსვლელ ტურისტთა რაოდენობაც. თავისთავად სხვადასხვა ქვეყნის მონახულება-გაცნობა ადამიანთა ბუნებრივი მოთხოვნილებაა და ამასაც სათანადო ხელშეწყობა სჭირდება. მით უმეტეს, რომ საგარეო ტურიზმის სწორი ორგანიზების შემთხვევაში,

ჩვენი მოქალაქეებიც გარანტირებული იქნებიან ხარისხიანი მომსახურებით, უსაფრთხოებით და სახელმწიფოც გარკვეულ სარგებელს ნახავს (ადგილობრივი ტუროპერატორების დაბეგვის ხარჯზე). პრობლემა დღეისათვის ისაა, რომ საკმაო რაოდენობით დამსვენებელი უცხოეთში (ძირითადად – თურქეთში, ბულგარეთსა და ა.შ.) მხოლოდ იმიტომ მიემგზავრება დასასვენებლად, რომ უფრო იაფად მიიღოს უკეთესი ხარისხის მომსახურება, ვიდრე ეს საქართველოშია შესაძლებელი. ანუ, რეალურად საქართველოდან ფინანსური რესურსები მხოლოდ იმიტომ გაედინება, რომ არ შეგვიძლია უზრუნველყოთ საკუთარი მოქალაქეები კონკურენტული, მაღალხარისხიანი ტურისტული მომსახურებით. ცხადია, ტურისტულ ბიზნესში მდგომარეობის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს ამ თანხების დიდი ნაწილის ისევე საქართველოში დარჩენას.

საქართველოს ეკონომიკური წინსვლისა და ინვესტიციების მოზიდვის გააქტიურებისათვის, ძალზე მნიშვნელოვანია ბიზნეს და პროფესიული ტურების მოწყობა, რაც ხელს შეუწყობს სხვადასხვა სფეროში ადგილობრივი სიტუაციის გაცნობას, საპარტნიორო ურთიერთობების ჩამოყალიბებას, ინვესტიციების დროულ და ეფექტიან განთავსებას და საბოლოო ანგარიშით, საქართველოს ეკონომიკური, პროფესიული და სამეცნიერო პოტენციალის ზრდას. ამ მიმართულებით ძალზე აქტუალურია საერთაშორისო კონფერენციების, კონგრესების, ფორუმების, გამოფენების და ა.შ. მოწყობა, განსაკუთრებით, თუ ამას პერიოდული და ტრადიციული ხასიათი მიეცემა, რაც გაზრდის ქვეყნის პრესტიჟს და სულ უფრო მეტ და სერიოზულ მონაწილეს მოიზიდავს.

ტურიზმი თავისთავად ბიზნესის საკმაოდ მომგებიანი სფეროა და შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს არა მარტო ქვეყნის მასშტაბით შემოსავლებ-

სოფიკო ჯვარშეიშვილი

ის ზრდაზე, არამედ სტიმული მისცეს ტურიზმთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული სხვა სფეროების (კვების და მსუბუქი მრეწველობა, მშენებლობა, ჯანდაცვა, სპორტი, კულტურა და ა.შ.) განვითარებას, დასაქმებას, ინვესტიციების ზრდას და ა.შ., თუმცა, ინტენსიური განვითარების განსაკუთრებით საწყის ეტაპებზე, აუცილებელია ფინანსური რესურსების ფოკუსირებული კონცენტრაცია ტურიზმის ინფრასტრუქტურის რაოდენობრივი და ხარისხობრივი თვალსაზრისით კრიტიკული მასის შესაქმნელად, რათა თავიდანვე მოხდეს პოტენციური ტურისტებისათვის მრავალფეროვანი და მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზება.

Investments in Tourism Sector of Georgia: Reality and Perspectives

S. Jvarsheishvili

It's widely known that tourism plays important role in peaceful coexistence of different countries and nations. It contributes to strengthening of good neighbor policy, social and economic cooperation and dialogue between cultures.

With its geopolitical location and natural, historical and cultural resources Georgia has huge potential for tourism development. Therefore, it is important to maximally benefit from the favorable opportunities offered by farther development of tourism.

Accordingly, the article analyzes the current investments in tourism sector of Georgia. The arguments are provided to prove the importance and priority of tourism development in the country, perspectives of tourism development are discussed.



ირინა ჯალია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
დოქტორანტი

ბოლო პერიოდში ეკონომიკური თეორიის განვითარებაში დადგა ეტაპი, როდესაც ადრინდელი შეხედულებების ძირეული ცვლილებების საფუძველზე ყალიბდება უახლესი სოციალურ-ეკონომიკური აზროვნება და იქმნება შესაბამისი თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზა. ეს არის ეკონომიკის შეუქცევადი გლობალიზაციის შედეგი და მას უნდა დაეყრდნოს გლობალური სისტემის ყველა შემადგენელი ნაწილი, ეროვნული ეკონომიკების და მათი შემადგენელი ეკონომიკური სუბიექტების ჩათვლით.

ეკონომიკის გლობალიზაციამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ეკონომიკის დარგობრივი მოწყობის ვარგისიანობა როგორც ხისტი, ვიწრო, მოუქნელი ფორმისა, და უპირატესობა კლასტერულ გაერთიანებებს მიანიჭა.

ასე, რომ კლასტერი და კლასტერული პოლიტიკა ახალი ფენომენია. ჯერ მისი არც უნივერსალური ფორმაა დამუშავებული და პრაქტიკული ნაბიჯებიც ახლა იდგმება. ამიტომ, ამ საკითხზე წერა ადვილიც არის და ძნელიც. ადვილია იმიტომ, რომ რასაც დაწერ, გამეორებასა და პლავიატში არ ჩაგეთვლება, ძნელია იმიტომ, რომ რასაც დაწერ „წაკითხვად უნდა ღირდეს“.

საქართველოს ჯერჯერობით არც კლასტერები აქვს

ირინა ჯელია

და არც კლასტერული პოლიტიკაა შემუშავებული. თეორიული პლანით არსებობს რამდენიმე მეცნიერის (პროფესორები ე. ბარათაშვილი, ი. გაგნიძე, ლ. ყორღანაშვილი, ნ. ბაკაშვილი, რ. სანდროშვილი, მ. ხარხელი, რ. მამულაძე, თ. აბრალავა, ნ. ფარესაშვილი და სხვები) პუბლიკაციები, დაცულია ორი დისერტაცია და დაწერილია ერთი სახელმძღვანელოც, მაგრამ ყველა ისინი ცალკეული მეცნიერის ნააზრევია და ერთიანისისტემის სახით არ არის ჩამოყალიბებული ქვეყნის კლასტერულ პოლიტიკის საფუძვლად რომ გამოდგეს.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ასეთი პოლიტიკა-საერთოდ არა აქვს. ეს საკითხი იდეის დონეზეც კი არ დამდგარა საქართველოს მთავრობაში. ეს მაშინ, როცა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ამ მიმართულებით დიდი სამუშაოა გაწეული და მრავალი კლასტერული ინიციატივა ხორციელდება (ფინეთში, იაპონიაში, შვეიცარიაში, გერმანიაში და ა.შ.).

კლასტერების შექმნის ორი მეთოდი არსებობს: „ქვევიდან – ზევით“ და „ზევიდან – ქვევით“. იმისათვის, რომ არ დაგვიანდეს, ანუ კლასტერიზაციის პროცესი დროში არ გაიწელოს, სჯობია საქართველოში იგი ზევიდან დაიწყოს. ე. ი. საქართველოს მთავრობის აპარატში უნდა შეიქმნას კლასტერული პოლიტიკის ცენტრი, მისი ფილიალები კი გაიხსნას საქართველოს რეგიონების მუნიციპალურ მმართველობებში. ეს ცენტრი დაამუშავებს ქვეყნის კლასტერულ პოლიტიკას, შექმნის საკანონმდებლო ბაზას, შეადგენს როგორც კლასტერულ, ასევე ერთობლივი კვლევის პროგრამებს, შექმნის კლასტერების განვითარების სტიმულირების სქემებს, გამოძებნის სავარაუდო დაფინანსების წყაროებს და ა.შ. იგივეს გააკეთებენ რეგიონული კლასტერული ცენტრები თავისი რეგიონის მასშტაბით.

ასეთი სტრუქტურა, სასურველია, პირველ რიგში, შეიქმნას ქ. თბილისის რეგიონში, ხოლო პირველი კლასტერი

დაფუძნდეს თბილისის სამშენებლო კომპლექსში. თბილისი შევარჩიეთ იმიტომ, რომ იგი ძლიერი, განვითარებადი და პერსპექტიული რეგიონია, თბილისის სამშენებლო კომპლექსი კი იმიტომ, რომ იგი თბილისის ეკონომიკის ხერხემალს წარმოადგენს. ეს კომპლექსი ახლაც სტრუქტურულად აწყობილია, მუშაობს კარგად და მისი ჩასმა კლასტერის ჩარჩოებში არ იქნება ძნელი.


კლასტერული პოლიტიკის ჩამოყალიბების უნივერსალური მეთოდოლოგია არარსებობს. ამდენად, საქართველოს მთავრობაში ჩვენ მიერ გასახსნელად რეკომენდებული კლასტერული პოლიტიკის ცენტრს თავდაპირველად გაუჭირდება მუშაობა, მაგრამ მას ამ კუთხით შეუძლია გამოიყენოს სხვა ქვეყნების დიდი გამოცდილება და ეს პოლიტიკა ააგოს ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინებით. ამ პოლიტიკაზე დაყრდნობით ამავე ცენტრმა უნდა შეადგინოს ქვეყნის კლასტერული განვითარების სტრატეგია.

მსოფლიო მასშტაბით კლასტერების დაფუძნებაში ქალაქების მერიები მეტად აქტიურობენ. სულ ახლახან ქ. ოდესის მერიამ დააფუძნა ოდესის საზღვაო კლასტერი¹. ეს მაგალითი უნდა გადმოიღოს თბილისის მერიამაც და დააფუძნოს თბილისის სამშენებლო კლასტერი, რომელშიც გაერთიანდება ქ. თბილისის სამშენებლო კომპლექსში შემავალი 74 სამშენებლო ორგანიზაცია, საშენ მასალათა, კონსტრუქციათა და დეტალების საწარმოები, საპროექტო სააგენტოები და სხვ. რადგან თბილისის სამშენებლო კლასტერი უკვე არსებობს ჩანასახოვან მდგომარეობაში, ვფიქრობთ, იგი საზღვარგარეთ ცნობილი 3 მოდელიდან,² უნდა დაფუძნდეს პირველი ტიპის მოდელით. ჩვენ მიერ ტრანსფორმირებული და ქართულ პირობებს მისადაგებული ეს მოდელი ასე გამოიყურება:

¹ Онофрей И.В. Моделирование транспортного кластера в Одесской области; Конференციის მასალები, თსუ, 2012, 6-7 აპრილი, გვ. 468.

² ბიზნესის მართვის კლასტერული პოლიტიკა, თბ., 2012, გვ. 222.

თბილისის სამშენებლო კლასტერის რეკომენდებული სქემა



როგორც სქემიდან ჩანს, თბილისის სამშენებლო კლასტერის ერთ-ერთი ძირითადი მონაწილე იქნება კომპანია „ჰაიდელბერგცემენტი“, რომლის მიწოდებული ცემენტი და ბეტონი მშენებლობის „კურია“. ყურადღებას გავამახვილებთ იმაზე, თუ როგორ უნდა შევიდეს იგი კლასტერში და რა სტრატეგია უნდა განახორციელოს.


როგორც ცნობილია, კლასტერების რაციონალური ვარიანტის შექმნა-განვითარება უნდა ეფუძნებოდეს სამ პრინციპს. ესენია:

- მონაწილეთა პოზიცია;
- ეკონომიკური მდგრადობა;
- ეკონომიკური სტაბილურობა.

ეს პრინციპები ეხება კლასტერის ყოველმდგენელს.

სწორედ ამ პრინციპებზე ავაგეთ კომპანია „ჰაიდელბერგცემენტის“ სტრატეგია თბილისის სამშენებლო კლასტერთან მიმართებით.

იმის მიხედვით, მონაწილეებს რა ადგილი უკავიათ-კლასტერში – საწყისი, შუალედური, საბოლოო თუკ ომბინირებული – კლასტერები ჯგუფდება ტექნოლოგიურ, საწარმოო-ტექნოლოგიურ, საგნობრივ, დარგობრივ და დარგთაშორის კლასტერებად.

თბილისის სამშენებლო კლასტერის პროცესის 10-როგლიან სისტემაში კომპანია „ჰაიდელბერგცემენტი“ როგორც ცემენტის მომწოდებელი, იკავებს პირველ რგოლს, ანუ საწყის (V_1) პოზიციას (). ასეთი კლასტერი ტექნოლოგიურია. ამის გარდა, რადგან კომპანია „ჰაიდელბერგცემენტი“ მაღალრენტაბელურია (18,1%), ხარჯებს ამცირებს ყოველწელს (2011 წელს 1 ტონა ცემენტის დამზადების ხარჯებმა შეადგინა 102,5 ლარი, ნაცვლად 2008 წელს 120,1 ლარისა), გაყიდვების მოცულობა აშკარად იზრდება (2011 წელს მან შეადგინა 90092 ათასი ლარი, ანუ 19%-ითმეტი, ვიდრე 2008 წელს),¹ აქვს საწარმოო პოტენციალის გამოყენების მაღალი დონე და ბეტონის და ცემენტის მაღალ კონკურენტუნარიანობა, ანუ ის ხასიათდება მაღალი ეკონომიკური მდგრადობით (G_1 – სიტუაცია) და ამ მდგომარეობით შედის კლასტერში.

კომპანიის ეკონომიკის სტაბილურობაზე მრავალი შიგა და გარე ფაქტორი მოქმედებს. ჩვენ შევარჩიეთ 14 ფაქტორი, შევქმენით კომპანიის სპეციალისტებისგან ექსპერტთაჯგუფი, ჩავრთეთ ისინი გამოკვლევაში და ვთხოვეთ მიეცათ ამ ფაქტორებისთვის ბალური შეფასებები. მიღებული შედეგით (იხ. ცხრილი) აღმოჩნდა, რომ ყველაზე მაღალი საშუალოქულები მიეცა შემდეგ ფაქტორებს:

კომპანია „ჰაიდელბერგცემენტის“ მასალები

ირინა ჯელია

X_{12} – რეგიონის (ე. ი. თბილისის) ინვესტიციური მიმზიდველობა – 14 ქულა;

X_1 – საწარმოო პროცესების მართვა და განვითარება – 12,5ქულა;

X_4 – საწარმოში ტექნოლოგიების დანერგვა – 11,5ქულა;

X_7 – საწარმოში კადრების დენადობა – 11,34ქულა;

X_2 – საწარმოს მობილობა – 11,17ქულა;

X_6 – საწარმოო პოტენციალის გამოყენება – 11 ქულა;

X_{11} – საწარმოს ინვესტიციური მიმზიდველობა – 10 ქულა;

X_9 – ძირითადი რესურსებით უზრუნველყოფა – 9,17ქულა.

დანარჩენი ფაქტორების გავლენა გამოირიცხა. მიღებული შედეგი ნიშნავს, რომ კომპანია „ჰაიდელბერგცემენტზე“ ახლაც და კლასტერში მისი მონაწილეობის შემთხვევაშიც, ეს რვა ფაქტორი მოახდენს მასზე გავლენას და მისმა ხელმძღვანელობამ ამ ფაქტორებს უნდა მიაქციოს მეტი ყურადღება.

ამჟამად, კომპანია „ჰაიდელბერგცემენტი“ ლიდერია საქართველოს ცემენტის მრეწველობაში, მაგრამ პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ თანდათან არენაზე გამოსვლას იწყებს სხვა ფირმებიც. მართალია, მათ ახლა „ჰაიდელბერგცემენტისთვის“ სათანადო კონკურენციის გაწევის პოტენციალი არ გააჩნიათ, მაგრამ მომავალში, ანუ „ჰაიდელბერგცემენტის“ თბილისის კლასტერში გაერთიანების დროს, მათ ეს პოტენციალი და მასზე „თავდასხმის“ ძალა შეიძლება გაუჩნდეთ. ამიტომ, ჩვენი აზრით, კომპანია „ჰაიდელბერგცემენტმა“ უნდა გაითვალისწინოს მომავლის ეს ვითარება და თავისი კლასტერული სტრატეგია მაინც ლიდერის პოზიციაზე დაამყაროს. იგიუნდა იყოს შეტევითი ან აქტიური თავდაცვის, ანდა ძალების დემონსტრირების სტრატეგია.

**კომპანია „ჰაიდელბერგცემენტსი“ ექსპერტთა მიერ
ბარემო ფაქტორების ბავშვების შეფასებები
(ბალებით)**

	ქსპერტები						
	№1	№2	№3	№4	№5	№6	საშუა- ლობა- ლი
X ₁	14	10	11	15	13	12	12,5
X ₂	10	10	13	10	12	12	11,2
X ₃	5	6	7	5	4	5	6
X ₄	10	9	13	12	11	14	11,5
X ₅	5	5	7	4	5	6	5
X ₆	9	10	10	12	12	13	11
X ₇	9	9	13	14	12	11	11,34
X ₈	6	9	7	5	7	7	7
X ₉	5	8	10	10	10	12	9,17
X ₁₀	–	–	–	–	–	–	–
X ₁₁	8	8	12	12	11	9	10
X ₁₂	14	14	13	15	15	15	14
X ₁₃	–	–	–	–	–	–	–
X ₁₄	–	–	–	–	–	–	–

ამჟამად, კომპანია შეტევით სტრატეგიას ახორციელებს. მას ცემენტის პატარ-პატარა მწარმოებლები ლიდერის მიმდევრების როლში ყავს ჩაყენებული. ვფიქრობთ, კლასტერში მუშაობისას მას უფრო გამოადგება არა შეტევითი, არამედ აქტიური თავდაცვის სტრატეგია, რასაც ვასაბუთებთ შემდეგით: როცა თბილისის სამშენებლო კლასტერი შეიქმნება, მასში „ჰაიდელბერგცემენტის“ გარდა, თავს მოიყრის პატარ-პატარა

ცემენტის საწარმოებიც (კერძოდ, თბილისში და თბილისთან ახლოს განლაგებული). ასე, რომ მათ ერთ ოჯახში, ერთი „ქოლგის ქვეშ“ მოუწევთ მუშაობა და მათ შორის კონკურენცია უფრო პარტნიორულ შეჯიბრებას დაემსგავსება. ცხადია, ასეთი პარტნიორული თანამშრომლობის პირობებში, „ჰაიდელბერგცემენტს“ არ გაუჩნდება მათზე, თავდასხმის“ და მათი ჩადირვის სურვილი. თუმცა, ამასთან, იგი მუდმივად უნდა ეცადოს შეინარჩუნოს და გაამყაროს დღევანდელი ლიდერის პოზიცია, რასაც იგი მიაღწევს აქტიური თავდაცვის სტრატეგიის გატარებით.


Clustering of Tbilisi Construction Complex and the Position of HeidelbergCement in the Cluster

I. Jelia

The article discusses the issue of setting up a construction business as a cluster. In addition, it is noted that construction clusters are new for Georgia, but the issue is intensively considered and working on all over the world.

The author considers that it's necessary to establish a cluster center in the state administration of Georgia and its branches in the regional municipalities. In close cooperation these centers will develop cluster policies, strategies, elaborate the cluster programs, etc.

From the author's point of view, one of the first clusters to be developed in Tbilisi is Tbilisi Construction Complex and suggests the possible cluster scheme and the position of the country's leading cement manufacturing company "HeidelbergCement" in the cluster.



**ბიორგი ხიშტოვანი
ერეკლე პირველი
ბრემენის უნივერსიტეტის დოქტორანტი**

საქართველოში, ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე, სხვადასხვა პოლიტიკური აქტორის მხრიდან უკვე რამდენჯერმე მოხდა სპეციფიკური პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების მოდელის შერჩევა¹. მათ შორის, 2003 წლიდან ყველაზე მეტად ე.წ. „მოდერნიზაციის ჰიპოთეზა“² დომინირებს, რომლის ძირითადი მახასიათებელი, თავდაპირველად, მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის ზრდაა, რამაც უკვე შემდგომ ეტაპებზე უნდა განაპირობოს ქვეყნის დემოკრატიული განვითარება. შედეგად, ქვეყნის პოლიტიკურმა ელიტამ საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტებად, პირველ რიგში, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების (უპი) ზრდა, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზება და ქვეყნის ეკონომიკის ლიბერალიზების პროცესის დაჩქარება გამოაცხადა³.

¹ Christophe, Barbara (2006): Capitalism as Organized Chaos- The Political Economy of Georgia under Eduard Shevardnadze, in: David Lane/Martin Myant, eds.: The Varieties of Post-Socialist Capitalism, Oxford; Papava, Vladimer (2005): On the theory of post-Communist economic transition to market, International Journal of Social Economics, Vol. 32 Iss: 1 pp. 77 – 97.

² Lipset, S.M. (1959): Some social requisites of democracy: economic development and political legitimacy, American Political Science Review 53, pp. 69–105.

³ Papava, Vladimer (2006): The Political Economy of Georgia’s Rose Revolution, Orbis, Volume 50, Issue 4, Pages 657–667.

განხორციელებული რეფორმებით გამოწვეული პოზიტიური შედეგების არასრული ჩამონათვალი ასე გამოიყურება: მნიშვნელოვნად გაიზარდა ქართული საგადასახადო სამართლის აღსრულების ხარისხი¹, რასაც ემპირიულად, როგორც წესი, საწარმოების ღირებულების ზრდა და კორპორატიული მმართველობის ხარისხის გაუმჯობესება მოჰყვება²; კორუფცია, რომელსაც ნეგატიური გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკის ზრდაზე, საწარმოების ღირებულებაზე, კაპიტალის ხარჯებსა და კორპორატიული მმართველობის³ ხარისხზე, 2003 წლიდან საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა⁴; ფინანსური ბაზრების გახსნა და მისი ღიბერალიზაცია საქართველოს მთავრობის გაცხადებული პოლიტიკაა, რომლის სამუშაო ინსტრუმენტები⁵ წარმატებით დაინერგა საქართველოში⁶, პოზიტიურად კორელირდება ქვეყანაში უპი-ს ზრდასთან, განსაკუთრებით ე.წ. Emerging Market-ებში⁷ და ასევე, იწვევს საწარმოების ღირებულების ზრდას⁸.

¹Papava, Vladimer (2009): The “Rosy” Mistakes of the IMF and World Bank in Georgia, Problems of Economic Transition, vol. 52, no. 7, November 2009, pp. 44–55.

² Mihir A. Desai, Alexander Dyck, Luigi Zingales (2007): Theft and taxes, Journal of Financial Economics 84, pp. 591–623.

³ Lee Charles M. C. and Ng David (2009): Corruption and International Valuation: Does Virtue Pay?, THE JOURNAL OF INVESTING, Winter 2009, 23-41; Ng, David, (2006), "The impact of corruption on financial markets", Managerial Finance, Vol. 32 Iss: 10 pp. 822 – 836.

⁴Schwab, Klaus (2012): Global Competitiveness Report 2012-2013.

⁵ Djankov Simeon, La Porta Rafael, Lopez-De-Silanes Florencio, Shleifer Andrei (2002): THE REGULATION OF ENTRY, The Quarterly Journal of Economics, February 2002, pp. 1-37.

⁶ „Doing Business 2012“ (2011), ინფორმაცია მოპოვებულია 2012 წლის 6 სექტემბერს ელექტრონული რესურსის მისამართიდან: <http://www.doing-business.org/reports/global-reports/doing-business-2012>.

⁷ Agosin, Manuel R. & Machado, Roberto (2007): Openness and the International allocation of foreign direct investment, Journal of Development Studies, 43:7, pp. 1234-1247.

⁸Choong Tze Chua, Cheol S. Eun, Sandy Lai (2007): Corporate valuation around the world: The effects of governance, growth, and openness, Journal of Banking & Finance, 31, pp. 35–56.

ეკონომიკის ცალკეული კომპონენტის ხარისხის ასეთი შთამბეჭდავი გაუმჯობესების მიუხედავად, მთლიანობაში, ქართული ეკონომიკის განვითარების მოდელი გარკვეული თავისებურებით გამოირჩევა. შედეგად, ვერ ხერხდება ეკონომიკის ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტების განვითარება, როგორცაა კაპიტალის ბაზარი¹, ქვეყანაში ძალიან მცირეა ინოვაციური ეკონომიკის კომპონენტი, Business Sophistication-ის მაჩვენებლით საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ უკანასკნელ, ხოლო ანტი-მონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობის ხარისხით საქართველო 144 ქვეყნიდან 141-ე ადგილზე გვხვდება². ამ ყველაფრის შედეგად, Vita Economy-ის³ წილი მშპ-ში კვლავ ძალიან დაბალი რჩება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანია, იმ დამატებითი ფაქტორის დადგენა, რომელიც ნაწილობრივ ასხნის ეკონომიკის ასეთი თავისებური და ცალმხრივი განვითარების მოდელს. წინამდებარე სტატიაში მოხდება ერთ-ერთი ასეთი განმაპირობებელი ფაქტორის, Corporate Political Responsibility-ის (CPR) ფენომენის გაანალიზება. უფრო კონკრეტულად, კვლევის მიზანია, სადაზღვევო სექტორის და ამ სექტორში წარმოდგენილი ცალკეული კომპანიის მოკლევადიანი ფინანსური შედეგების ანალიზის მაგალითზე განიხილოს ზემოთ ხსენებული ფენომენის ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოდელზე გავლენა.

1950-იანი წლებიდან, სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა ტერმინი Corporate Social Responsibility (CSR), რომელიც კომპანიის ქცევის ნორმების ერთობლიობას გულისხმობს⁴;

¹ Christophe, Barbara (2006); Schwab, Klaus (2012): Global Competitiveness Report 2012-2013.

² Schwab, Klaus (2012): Global Competitiveness Report 2012-2013.

³ Papava, Vladimir (2010): The Problem of Zombification of the Postcommunist Necroeconomy, Problems of Economic Transition, vol. 53, no. 4, August 2010, pp. 35–51; Papava, Vladimir (2002): Necroeconomics - the theory of post-Communist transformation of an economy, International Journal of Social Economics, Vol. 29 Iss: 10 pp. 796 – 805.

⁴ Bowen, H. (1953): Social responsibility of the businessman. New York: Harper and Ro; Davis, K (1967): Understanding the social responsibility puzzle: What does the businessman owe to society? Business Horizons, 10(4), 45–50.

აღნიშნული ქცევის ნორმების ნებაყოფლობითი შესრულება, კომპანიების მხრიდან საზოგადოების წინაშე სოციალური პასუხისმგებლობის არსებობაზე მეტყველებს, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში, ასეთი ქცევის შედეგად კომპანია, როგორც წესი, ფინანსურ სარგებელს ელის. საინტერესოა, რომ საქართველოში, მისი ბოლო ათწლეულის განვითარების პროცესს თან ახლავს (პოლიტიკურ-ეკონომიკური) ანომალია, რომელიც ძალიან ჰგავს CSR-ის ფენომენს, მაგრამ ამავედროულად მისი ვექტორი, სულ სხვა აქტორებსა და სხვა ტიპის ვალდებულებებზე არის მიმართული. ამ ფენომენს შეიძლება Corporate Political Responsibility (CPR) ვუწოდოთ და იგი სახეზეა, როდესაც ბაზრის რიგითი კერძო მოთამაშე ჩ დ-ის ფარგლებში, დგება აუცილებლობის წინაშე, შეასრულოს სახელმწიფოს მიერ დადგენილი და როგორც წესი, მისთვის ფინანსურად საზიანო პოლიტიკურ-ეკონომიკური აქტივობა/საქმიანობა. რა განაპირობებს CPR-ფენომენის არსებობას და რა ტიპის მახასიათებლები გამოარჩევს მას? - ჩვენ ვთვლით, რომ საქართველოს მაგალითზე, აღნიშნული საკითხის თეორიული და პრაქტიკული განხილვა ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული.

როდესაც ასეთი ანომალიების გაჩენის გამომწვევ მიზეზებს ვეძებთ, პირველ რიგში, აუცილებელია ისტორიული ფაქტორების განხილვა. ასეთი ტიპის პოლიტიკურ-ეკონომიკური ფენომენის გამომწვევი ისტორიული ფაქტორები შეიძლება საბჭოთა command economy-ის ფარგლებში არსებულ ტოტალურ სახელმწიფო დიქტატში და შემდეგ უკვე, გვიან საბჭოთა კავშირის პერიოდში ვეძებოთ, როდესაც საქართველოში, უკვე შემსუბუქებული „command economy“-ის პირობებში, ”საბჭოთა ბიზნესმენების“ (ე.წ. „დედეცების“) სახით, საბაზრო ეკონომიკის ელემენტები ვითარდებოდა¹. ცნობილია, რომ ამ ტიპის ბიზნესმენების ძირითად საქმიანობას, ნახევრადლეგალური ეკონომი-

¹ Papava, Vladimer (2002): Necroeconomics - the theory of post-Communist transformation of an economy, International Journal of Social Economics, Vol. 29 Iss: 10 pp. 796 – 805; Papava, Vladimer and Khaduri, Nodar (1997): On the Shadow Political Economy of the Post-Communist Transformation, Problems of Economic Transition, vol. 40, no. 6, October 1991, pp. 15-34.

კური აქტივობის ფარგლებში სახელმწიფოსთან ურთიერთობის დაწყოფა/აწყოფა წარმოადგენდა და ადვილი წარმოსადგენია, რომ command economy-ის საბოლოო ჩამოშლის შემდეგაც, ორივე ინსტიტუციური აქტორისათვის¹, განახლებული „თანამშრომლობის“ სასარგებლო რაციონალური ასპექტები კვლავ ინტერესის საგანს წარმოადგენდეს.

CPR-ფენომენის ასევე მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ქვეყანაში არასტაბილური პოლიტიკური სიტუაციაა, როდესაც საქმე გვაქვს არადემოკრატიულ სოციალურ-პოლიტიკურ გარემოსთან, ე.წ. ჰიბრიდულ რეჟიმთან, სადაც მართვის დემოკრატიული და ავტოკრატიული კომპონენტები ერთმანეთს ენაცვლება² და ეს გარემოება, თავის მხრივ, ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობებზეც აისახება³.

შემდეგ ეტაპზე აუცილებელია, CPR-ის ქცევის ნორმების ძირითადი მახასიათებლების ჩამოთვლა:

¹ განსაკუთრებით, ახალგაზრდა სახელმწიფოს კაპიტალიზმის გაურკვეველი მოდელის პირობებში.

² Levitsky Steven and Way Lucan A. (2010): Competitive Authoritarianism: Hybrid Regimes After the Cold War, Cambridge University Press.

³ თავად ასეთი ზოგადად არასტაბილური პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაციის განმაპირობებელი ფაქტორებია, მაგალითად, საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული არასტაბილური მდგომარეობა, განსაკუთრებით დაკავშირებული ბიზნესსაკუთრებასთან („მსოფლიო ეკონომიკის ფორუმი“-ს მიერ 2012 წელს გამოცემული გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით, საქართველო საკუთრების უფლებების დაცვის კუთხით 142 ქვეყნიდან 131-ე ადგილზე გვხვდება); ქვეყნის სუსტი ინსტიტუციური განვითარება, განსაკუთრებით დაკავშირებული იმ ინსტიტუტებთან, რომლებმაც ქვეყანაში ბიზნესგარემოს გაუმჯობესება უნდა უზრუნველყონ, როგორცაა ადგილობრივი ფინანსური ბაზრები, ეროვნული ბანკი, ქვეყნის სასამართლო ხელისუფლება, სხვადასხვა ტიპის აღსრულების სახელმწიფო სამსახურები და ა.შ. („მსოფლიო ეკონომიკის ფორუმი“-ს მიერ გამოცემული გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით, საქართველო ფინანსური ბაზრის განვითარების კუთხით 142 ქვეყნიდან 93-ე ადგილზე და სასამართლო თავისუფლების კუთხით 142 ქვეყნიდან 99-ე ადგილზე გვხვდება (World Economic Forum, “Global Competitiveness Report 2012-2013”, 2012); პოლიტიკურ-ეკონომიკური ან/და სოციალური ფაქტორები, როგორცაა მაგალითად, მოახლოებული საპარლამენტო ან საპრეზიდენტო არჩევნები; ახალი ფორს-მაჟორული წესრიგი (მაგ.: რეგულაციური გზით გამოწვეული ხელისუფლების შეცვლა), რომელიც არსებითად ცვლის სახელმწიფოში არსებულ პოლიტიკურ ლანდშაფტს და ყველა ზემოთ ხსენებული ასპექტის, ანუ დემოკრატიული წესრიგის, ინსტიტუტების, საკუთრების უფლების დაცვის არა მხოლოდ ხარისხს, არამედ არსებობის საკითხსაც კი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

ბიორგი ხიშტოვანი, პრაქლე პირველი

1. როგორც წესი, CPR-ის ქცევის ნორმა დაკავშირებულია ინვესტიციასთან, რომელიც CPR-ი კომპანიის მხრიდან ფინანსური ვალდებულების აღებას მოითხოვს;

2. როგორც წესი, CPR-ის ქცევის გამოვლენა კომპანიას მოულოდნელად უწევს, ანუ ის ხშირ შემთხვევაში ასეთი ვალდებულების აღებისათვის ფინანსურად მზად არ არის და არც ვალდებულების აღებასთან დაკავშირებული რისკები აქვს წინასწარ დათვლილი. შედეგად, ამ ტიპის აქტივობას კომპანიისათვის თან ახლავს კომპანიის ლიკვიდობის პრობლემები;

3. როგორც წესი, CPR-ის ფარგლებში გამოვლენილი აქტივობა არ წარმოადგენს კომპანიის ძირითადი საქმიანობის სახეობას. აქედან გამომდინარე, კომპანია ლიკვიდობასთან დაკავშირებული რისკების დაძლევისთან ერთად, კონფორტირებულია კონკრეტული მიმართულებით Know-How-ს არქონასთან, რაც დამატებით ართულებს ე.წ. CPR-პროექტის განხორციელებას.

ასევე, CPR-ის ფარგლებში კომპანია სახელმწიფოსგან იღებს სხვადასხვა ტიპის შეღავათებს/წახალისებას, რისი საშუალებითაც მას უნდა გაუადვილდეს თავისი CPR-ის შესრულება. ამ ტიპის შეღავათები/წახალისებები შეიძლება იყოს: დამატებითი სახელმწიფო შეკვეთები, სახელმწიფოს მხრიდან პრივატიზების პროცესში კომპანიის პრივილეგირება, ადგილობრივ ბაზარზე კომპანიის მონოპოლისტური პოზიციების ტოლერირება, სახელმწიფოს მხრიდან კომპანიის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების ხელშეწყობა (მაგ. უცხოელი კონკურენტების ადგილობრივ ბაზარზე გამოჩენის წინააღმდეგ მიმართული საგადასახადო ბარიერების შემოღება, კომპანიისათვის სასარგებლო სახელმწიფო რეგულაციის მიღება ან/და კონკრეტული კომპანიის შემთხვევაში, არსებული რეგულაციების შედარებით

¹ იმის გათვალისწინებით, რომ „მსოფლიო ეკონომიკის ფორუმი“-ს მოხსენებაში საქონლის ადგილობრივ ბაზარზე კონკურენტის ხარისხით საქართველო 142 ქვეყნიდან 127-ე ადგილზე გვხვდება, ხოლო ანტი-მონოპოლიური პოლიტიკის ეფექტურობის ხარისხით - 141-ზე, ზემოთ ხსენებული „სახელმწიფო წახალისება/შეღავათების“ არსებობა კომპანიისათვის ბაზარზე თავის დამკვიდრების უმნიშვნელოვანესი კომპონენტი ხდება და კიდევ უფრო მეტად აძლიერებს კომპანიების მხრიდან CPR-ის გამოჩენის მზაობას.

სუსტი აღსრულება)¹.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ასეთი ტიპის CPR-ვალდებულებების შესრულებამ როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ეფექტი შეიძლება მოახდინოს კონკრეტული კომპანიის, მთლიანი ინდუსტრიისა და ქვეყნის ეკონომიკის გრძელვადიან განვითარებაზე. ასეთი პოზიტიური ან ნეგატიური გავლენის არსებობის დადგენის მიზნით, აუცილებლად მიგვაჩნია, კვლევაში იმ დამატებითი თეორიული კომპონენტის ჩართვა, რაც ასეთი ვალდებულებების (CPR-ის შედეგად შესრულებული აქტივობის) აღების შემთხვევაში, CPR-ის გავლენის ხარისხზე დამატებით ეფექტს მოახდენს. ჩვენს შემთხვევაში, ესაა თეორია პოლიტიკურად დაკავშირებული კომპანიების შესახებ („Theory of Politically Connected Firms“).

მრავალი საერთაშორისო კვლევა¹ გვთავაზობს აშკარა მტკიცებულებას იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება იქონიოს პოლიტიკურმა კავშირებმა ქვეყნის ეკონომიკის და მისი აქტორების Performance-ის განვითარებაზე. აქედან გამომდინარე, ხშირია კომპანიათა აქტიური მცდელობა, მათთვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური მიზნების მისაღწევად, გახდნენ პოლიტიკურად დაკავშირებულნი. ასე, მაგალითად, პოლიტიკურად დაკავშირებულ საწარმოებს, როგორც წესი, უფრო დაბალი კაპიტალის ხარჯები² (Capital Costs) აქვთ, რის მიზეზადაც, ასეთი კავშირის არსებობის შემთხვევაში უფრო დაბალი რისკის არსებობა შეიძლება ჩაითვალოს და

¹ Fisman, Raymond (2001): Estimating the Value of Political Connections, *The American Economic Review*, Vol. 91, No. 4 (Sep., 2001), pp. 1095-1102; Johnson, Simon; Mitton, Todd (2003): Cronyism and capital controls: evidence from Malaysia, in: *Journal of Financial Economics*, 67 (2), 351; Faccio, Mara (2006): Politically Connected Firms, *THE AMERICAN ECONOMIC REVIEW*, March 2006, pp. 369-386; Fan, Joseph P. H.; Wong, T. J.; Zhang, Tianyu (2007): Politically connected CEOs, corporate governance, and Post-IPO performance of China's newly partially privatized firms, in: *Journal of Financial Economics*, 84 (2), 330-357; Claessens, Stijn; Feijen, Erik; Laeven, Luc (2008): Political connections and preferential access to finance: The role of campaign contributions, in: *Journal of Financial Economics*, 88 (3), 554-580.

² Boubakri Narjess, Guedhami Omrane, Mishra Dev, Saffar Walid (2012): Political connections and the cost of equity capital, *Journal of Corporate Finance* 18, pp. 541-559.

³ Leuz Christian, Oberholzer-Gee Felix (2006): Political relationships, global financing, and corporate transparency: Evidence from Indonesia, *Journal of Financial Economics* 81, pp. 411-439.

რაც, თავის მხრივ, საწარმოს ღირებულების ზრდას იწვევს³. Chaney et al¹. (2011) აღნიშნავენ, რომ პოლიტიკურად დაკავშირებული კომპანიებისათვის უფრო ადვილი და ხელსაყრელია ე.წ. Debt Capital-ის მოზიდვა. ე შოტო (1989) აღნიშნავს, რომ კომპანიისათვის მნიშვნელოვან სარგებელს, აგრეთვე, შეიძლება, სახელმწიფოს მხრიდან მისთვის ცალმხრივად ხელსაყრელი რეგულაციების მიღება წარმოადგენდეს; ამასთანავე, სახელმწიფო მფლობელობაში არსებული ისეთი კომპანიების მხრიდან, როგორებიცაა, მაგალითად, ბანკები, ნედლეულის მწარმოებელი კომპანიები და მსგავსი, ასეთ პოლიტიკურად დაკავშირებულ საწარმოებთან მიმართებით, პრივილეგირებული დამოკიდებულება აღინიშნება². ჩვენს შემთხვევაში კი, ასეთი პოლიტიკური კავშირების დამატებით პოზიტიურ ეფექტს, CPR-გაღდებულების შესრულების პროცესში კომპანიისა და ინდუსტრიისათვის მაქსიმალური სახელმწიფო წახალისების მიღება ან/და მინიმალური CPR-ის აღება შეიძლება წარმოადგენდეს.

ასეთი სარგებლის ხარისხი და ინტენსიურობა კი, ფორმებისა და ქვეყნების მიხედვით მერყეობს. ასე, მაგალითად, საერთაშორისო კვლევის მიხედვით³ მსოფლიოს საფონდო ბირჟების კაპიტალიზაციის 7.72% პოლიტიკურად დაკავშირებული კომპანიები წარმოადგენენ (PCE). მაგრამ რუსეთში ასეთი კომპანიების კაპიტალიზაციის წილი, ბაზრის მთლიანი კაპიტალიზაციის მაჩვენებლის 86.75% შეადგენს⁴.

ლ. პაპავა⁵ ქართული ეკონომიკისა და მისი კერძო აქტორების ზომბიფიკაციის საფრთხეზე წერს. ჩვენ ამ შემთხვევაში, ვაგრძელებთ მის აზრს და მივუთითებთ საფრთხეზე, რომელიც უკვე CPR-ისა და პოლიტიკური კავშირების პირობებში, მისი

¹ Chaney Paul K., Faccio Mara, Parsley David (2011): The quality of accounting information in politically connected firms, Journal of Accounting and Economics 51, pp. 58–76.

² Backman, Michael (1999): In: Asian Eclipse: Exposing the Dark Side of Business in Asia. Wiley, Singapore.

³ Faccio, Mara (2006): Politically Connected Firms, THE AMERICAN ECONOMIC REVIEW, March 2006, pp. 369-386.

⁴ ეს ფაქტი გვაძლევს უფლებას, ვივარაუდოთ, რომ საქართველოშიც პოლიტიკურად დაკავშირებული კომპანიების რიცხვი ძალიან მაღალი იქნება.

⁵ Papava, Vladimer (2010): The Problem of Zombification of the Postcommunist Necroeconomy, Problems of Economic Transition, vol. 53, no. 4, August 2010, pp. 35–51.

⁶ მხედველობაში გვაქვს თანამედროვე და კონკურენტუნარიანი აქტორები ქართულ ბაზრებზე.

ტერმინოლოგიით ე.წ. *vitaecconomy*-ის აქტორებს⁶ ემუქრებათ საქართველოში; კონკრეტულად კი, გამოვთქვამთ ეჭვს, რომ CPR-ისა და პოლიტიკური კავშირების პირობებში ბაზარზე ფინანსური სიჯანსაღე და მენეჯმენტის მიერ მიღებული სწორი გადაწყვეტილებები აღარ წარმოადგენს კომპანიის წარმატების გადამწყვეტ ფაქტორებს. ჩვენი კვლევის პიპოთეზებია:

ა. მოკლევადიან პერიოდში, CPR-ი ნეგატიურად კორელირებს როგორც კომპანიის, ასევე მთლიანი ინდუსტრიის ფინანსურ შედეგებზე;

ბ. ქართული ეკონომიკური მოდელი, CPR-ის პირობებში, არა ფინანსურად, არამედ პოლიტიკურად ყველაზე სუსტი კომპანიის შთანქმას/დასუსტებას უწყობს ხელს.

Case Study-ს ფარგლებში, საქართველოს ჯანდაცვის სექტორში განხორციელებული მასშტაბური რეფორმისა და მასში ქართული სადაზღვევო კომპანიების ჩართულობის მაგალითზე, მოხდება CPR-ის ფენომენის შესწავლა/ანალიზი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი იმისა, თუ რატომ მოხდა კვლევის საგნად სადაზღვევო სექტორის შერჩევა, არის სახელმწიფოს ძლიერი საბაზრო პოზიცია სადაზღვევო ბაზარზე, განსაკუთრებით, სამედიცინო დაზღვევის სექტორში. ეს გარემოება კი, თავის მხრივ სადაზღვევო სექტორში CPR-ფენომენის არსებობის ალბათობას ზრდის:

ცხრილი 1¹.

სახელმწიფოს წილი სადაზღვევო ინდუსტრიაში		
2009	2010	2011
38.9%	47.8%	44.1%
სამედიცინო დაზღვევის წილი სადაზღვევო სექტორში		
2009	2010	2011
68.6%	68.0%	62.5%
სახელმწიფოს წილი სამედიცინო დაზღვევის სექტორში		
2009	2010	2011

¹ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, საქართველოს ეროვნული ბანკი, სადაზღვევო კომპანიების ფინანსური ანგარიშები.

53.7%	68.4%	68.0%
-------	-------	-------

პირველად, საქართველოს ჯანდაცვის ჰოსპიტალურ სექტორში მასშტაბური რეფორმების შესახებ მსჯელობა 1999 წელს დაიწყო, როდესაც არსებულ საავადმყოფოთა სამ კატეგორიად დაყოფა და მათი ერთი ნაწილის გასხვისება მოხდა¹. 2004 წელს, ამ გეგმის განხორციელება შეწყდა და 2006 წლის ოქტომბრის თვეში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ და რეფორმების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, ჯანდაცვის სექტორის რეფორმის ახალი კონცეფცია გამოაქვეყნა². ამას მოჰყვა საქართველოს მთავრობის 2007 წლის 26 იანვრის დადგენილება³, რომელშიც უკვე დეტალურად იყო მსჯელობა საქართველოს ჰოსპიტალურ სექტორში სახელმწიფო ქონების პრივატიზების გზით განსახორციელებელ ცვლილებებზე. კონკრეტულად, ეს ეხებოდა მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებული საავადმყოფოების ინვესტორზე გასხვისებას, ინვესტორის მიერ მათ განახლებასა და პარალელურად ახალი საავადმყოფოების აშენებას⁴. პროექტი 3 წელი უნდა გაგრძელებულიყო. შედეგად, 2009 წლის 29 იანვარს, შპს „ბლოკ-ჯორჯია“-სა და მის შვილობილ კომპანიებთან პირდაპირი მოლაპარაკების წესით გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ამ კომპანიებს 1500 დოლარის ეროვნულ ვალუტაში ექვივალ-

¹ პირველ კატეგორიას განეკუთვნებოდა საავადმყოფოები, რომელთა სახელმწიფო საკუთრებაში შენარჩუნებაც იგეგმებოდა. მეორე კატეგორიის საავადმყოფოების გასხვისება, პროფილის შენარჩუნების პირობით იყო გადაწყვეტილი. მესამე კატეგორიის საავადმყოფოების შემთხვევაში, იგეგმებოდა მათი პროფილის შეუნარჩუნებლად გაყიდვა („საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, საქართველოს ჰოსპიტალური სექტორი, 2012, გვ. 7).

² „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, საქართველოს ჰოსპიტალური სექტორი, 2012, გვ. 8.

³ <http://psidiscourse.ge/files/files/21may2010/1gengegma.pdf> (ინფორმაციამოპოვებულია ელექტრონული რესურსიდან 2012 წლის 5 სექტემბერს).

⁴ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, საქართველოს ჰოსპიტალური სექტორი, 2012, გვ. 8.

⁵ <http://www.geworld.ge/View.php?ArtId=1787&lang=ge&Title=%E2%80%9Cb lok-jorjiam%E2%80%9D-100-axali-saavadmyofos-proehti-sabolood-daasamara?> (ინფორმაცია მოპოვებულია ელექტრონული რესურსიდან 2012 წლის 5 სექტემბერს).

ენტის სანაცვლოდ, გადაეცათ პროექტის მიხედვით განსაზღვრული საავადმყოფოები¹. დაიწყო არსებული საავადმყოფოების რემონტი და მართვა. პარალელურად, დაიგეგმა ქვეყნის მასშტაბით ახალი საავადმყოფოების მშენებლობა. სამწუხაროდ, ფინანსური სირთულეების გამო¹, კომპანიამ ვერ შეძლო ახალი საავადმყოფოების მშენებლობის დაწყება და პრივატიზების ეს მასშტაბური პროექტი ფაქტობრივად, ჩავარდა². შედეგად, 2010 წლის გაზაფხულზე სახელმწიფომ „ბლოკ-ჯორჯია“ და მისი შეიღობილი კომპანიები ე.წ. „ასი საავადმყოფოს პროექტი“-ს ნაწილს ჩამოაშორა³.

ამავდროულად, 2010 წლის გაზაფხულზე, საქართველოს მთავრობამ სადაზღვევო კომპანიებს ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტში ჩართვა შესთავაზა. შედეგად, გამოცხადდა ტენდერი, რომლის ფარგლებშიც საქართველო 26 ლოტად დაიყო. ტენდერში ათმა სადაზღვევო კომპანიამ მიიღო მონაწილეობა. ამ პროცესის პარალელურად, 2010 წელს სახელმწიფომ 3 წლით (2010, აპრილი - 2013, აპრილი) შეცვალა 2007 წლის ბოლოს ამოქმედებული სოციალური დაზღვევის ვაუჩერული სისტემა⁴, გამოაცხადა სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის ღია კონკურსი და ქვეყანა 26 სამედიცინო რაიონად დაჰყო⁵.

ასეთი რეგულაციური ცვლილების შედეგად, სადაზღვევო კომპანიათა უმრავლესობა CPR-ის (ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტში ჩართვა) გამოჩენის აუცილებლო-

¹ „ექსპორტ-იმპორტ“ ბანკისგან (ჩეხეთი) ვერ აღებული საბანკო გარანტია და სესხი.
² http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=5&id_artc=467 (ინფორმაცია მოპოვებულია ელექტრონული რესურსიდან 2012 წლის 5 სექტემბერს).

³ <http://commersant.ge/index.php?id=4104> (ინფორმაცია მოპოვებულია ელექტრონული რესურსიდან 2012 წლის 5 სექტემბერს); 2011 წლის შემოდგომაზე სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი-ბისიაი“-მ „ბლოკ-ჯორჯია“-ს აქტივების შეძენა გადაწყვიტა და 2011 წლის ნოემბერში შედგა საბოლოო გარიგება, რომლის შედეგადაც კომპანიამ შექმნილი აქტივები თავისი შვილობილი კომპანიის (სს „ჩემი ოჯახის კლინიკა“) ბალანსზე აიყვანა („ალდაგი-ბისიაი“-ს - 2011 წლის ფინანსური ანგარიშგება, გვ. 30).

⁴ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ჯანმრთელობის დაზღვევა საქართველოში, 2012, გვ. 13-15

⁵ ამჟამად სახელმწიფო დაზღვევის პროექტში ჩართულ მოქალაქეთა საერთო რაოდენობა თითქმის 800.000 ადამიანს უტოლდება.

ბიორგი სიმბოვანი, პრეკლე პირველი

ბის წინაშე დადგა. სადაზღვევო კომპანიებისათვის ფინანსურ წახალისებას/სარგებელს კი, გარდა რეგიონში სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ მოქალაქეთა გარანტირებული დაზღვევისა, სადაზღვევო კომპანიათა უფლება წარმოადგენდა, ყველა დანარჩენი მათთან დაზღვეული პირი, მათ მიერ აშენებულ საავადმყოფოში გაეგზავნათ და ასეთი პოლიტიკის საშუალებით, მათ მიერ ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალის რაოდენობა მაქსიმალურად შეემცირებინათ¹.

სახელმწიფომ, სამედიცინო დაზღვევის ღია კონკურსის შედეგად, ცხრა სადაზღვევო კომპანია შეარჩია. შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ სადაზღვევო კომპანიებისათვის ღია კონკურსში გამარჯვების ერთ-ერთ პირობად, ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტში ჩართულობა ითვლებოდა, რადგან საბოლოო ანგარიშით, კონკურსებისა და ტენდერების შედეგების მიხედვით, რეგიონებში საავადმყოფოების მშენებელი და მოქალაქეთა დამზღვევი, შემთხვევათა 95%-ში ერთი და იგივე სადაზღვევო კომპანიები აღმოჩნდა².

ყველა ზემოთ ხსენებული გარემოება ამყარებს ჩვენს ეჭვს, რომ ჯანდაცვის რეფორმის ფარგლებში თავი იჩინა CPR-ის ფენომენმა. აქედან გამომდინარე, ჩვენი „Case Study“ ამ ფენომ-

¹ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, საქართველოს ჰოსპიტალური სექტორი, 2012, გვ. 16; შემდგომში აგრეთვე კარგად გამოჩნდა, რომ CPR-ის შემდეგ, საგრძნობლად შესუსტდა არსებული სახელმწიფო რეგულაციების აღსრულების ხარისხი, რამაც მზღვეველებს ბენეფიციარებისათვის მომსახურებაზე უარის თქმის უფლება გაუადვილა, რაც ნათლადაა ასახული 2012 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“-ს მიერ ჩატარებული კვლევაში, რომელიც ადასტურებს ჰოსპიტალური განვითარების პროექტში ჩართულობასა და ბენეფიციარებისათვის მომსახურებაზე უარის თქმის დინამიკის ზრდას შორის პოზიტიურ კორელაციას („საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ჯანმრთელობის დაზღვევა საქართველოში, 2012, გვ. 19).

² „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, საქართველოს ჰოსპიტალური სექტორი, 2012, გვ. 4, გვ. 22; „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ჯანმრთელობის დაზღვევა საქართველოში, 2012, გვ. 17; ჩვენს ვარაუდს, რომ სადაზღვევო კომპანიათა პროექტში ჩართულობა მათი მხრიდან ე.წ. CPR-ის ტიპურ მაგალითს წარმოადგენს, ამყარებს ის ფაქტი, რომ ამ კომპანიების მიერ აშენებულ საავადმყოფოთა აბსოლუტურ უმრავლესობას 50, ან ნაკლები საწოლი გააჩნია და ცნობილია, რომ ასეთი ტიპის საავადმყოფოები როგორც წესი, წამგებიან დაწესებულებათა კატეგორიას მიეკუთვნებიან („საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, საქართველოს ჰოსპიტალური სექტორი, 2012, გვ. 18).

ენის უკეთესად შესწავლისა და მისი კერძო კომპანიებისა და მთლიანად ინდუსტრიის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენის დადგენის კარგ შესაძლებლობას იძლევა¹.

კვლევის აქტუალურობას აძლიერებს ის გარემოება, რომ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 მაისის №165 დადგენილების მიხედვით, 2012 წლის სექტემბრიდან ახალი გაფართოებული სახელმწიფო დაზღვევის პროგრამა ამოქმედდება. პროგრამა დამატებით შეეხება საქართველოს ყველა პენსიონერ მოქალაქეს, 6 წლამდე ასაკის ყველა მოზარდს და აგრეთვე ყველა სტუდენტს. პროგრამის შედეგად, საქართველოში სახელმწიფოს მიერ დაზღვეულ მოქალაქეთა რაოდენობა თითქმის 2.1 მლნ ადამიანს გაუტოლდება². შესაბამისად, უფრო ფართომასშტაბიან პროგრამაზე გადასვლამდე, საინტერესოდ მიგვაჩნია უკვე განხორციელებული პროგრამის შედეგების ეკონომიკური ანალიზი.

ჩვენი კვლევის მიზანია ქართულ სადაზღვევო სექტორზე CPR-ის ფენომენის გავლენის დადგენა. უფრო კონკრეტულად, ჩვენ ვცდილობთ, გავანალიზოთ ჩ დ-ის ფენომენის გავლენა სექტორის ოთხ ძირითად მოთამაშეზე, რომელთა მთლიანი შემოსავლები სექტორის საერთო შემოსავლების 65%-ს აღემატება (სექტორული დიაგრამა 1, 2).

¹ როგორც უკვე აღვნიშნეთ, CPR-ის ფენომენის ფინანსურ ეფექტზე დამატებითი როლი შეიძლება კომპანიების არსებულმა პოლიტიკურმა კავშირებმა ითამაშონ. ჩვენ გამოვთქვამთ ეჭვს, რომ ზემოთ მოყვანილი თავისებური საპრივატიზაციო პროექტის და „სოციალური დაზღვევის პროგრამის“ „მიქსის“ ფარგლებში, ბაზრის წამყვან მოთამაშეებს გაუჩნდებოდათ ძლიერი სტიმული, საკუთარი პოლიტიკური კავშირები CPR-ის შესრულების პროცესში თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ. აქედან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში აუცილებლად მიგვაჩნია, დამატებით დავადგინოთ ოთხივე კომპანიის პოლიტიკური კავშირები და მათი ფინანსური მაჩვენებლების ანალიზის დროს, განვხილოთ ცივად CPR-ის შესრულების პერიოდში ასეთი კავშირებიდან მიღებული პოტენციური სარგებლის/შედეგების გამოაშკარავება.

² „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ჯანმრთელობის დაზღვევა საქართველოში, 2012, გვ. 26; პროგრამის ძირითადი მახასიათებელია, რომ მის ფარგლებში დაზღვეულ ბენეფიციარებს არ ექნებათ უფლება, დამოუკიდებლად შეარჩიონ მათთვის მისაღები სადაზღვევო კომპანია. ნაცვლად ამისა, სახელმწიფო კვლავ ღია კონკურსის წესით შეარჩევს მზღვეველ კომპანიებს („საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, საქართველოს პოსპიტალური სექტორი, 2012, გვ. 7).

ეს კომპანიები¹: Aldagi-BCI (BCI)², GPI Holding (GPI)³, Ime-di-L (L⁴), Irao⁵.


¹ კვლევაში არ მოხვდა ბაზრის მეხუთე დიდი მოთამაშე, სადაზღვევო კომპანია „ალფა“. ეს გარემოება ორმა მიზეზმა განაპირობა: პირველ რიგში, შეუძლებელი აღმოჩნდა „ალფა“-ს შესაბამისი წლების ფინანსური ანგარიშების მოპოვება. მეორე მიზეზს კი, „ალფა“-ს მშობელი კომპანიაა. რომელსაც ქართული ფარმაცევტული სექტორის მსხვილი მოთამაშე, კომპანია „ავერსი“ წარმოადგენს. მიგვაჩნია, რომ „ალფა“-ს კვლევაში ჩართვის შემთხვევაში, ეს გარემოება კვლევის შედეგებზე უარყოფითად იმოქმედებდა, რადგან ფარმაცევტული სექტორის სადაზღვევო სექტორში ჩართულობა სულ სხვა მიზეზებით შეიძლება აიხსნას, ვიდრე ის გარემოებებია, რაზეც კვლევის ფარგლებში ჩვენ გვაქვს ყურადღება გამახვილებული.

² სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი-ბისიაი“ ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტში 2011 გაზაფხულზე ჩაერთო, მას შემდეგ რაც კომპანიამ „ბლოკ-ჯგორჯის“-ს აქტივების შეძენა გადაწყვიტა. საბოლოო გარიგება 2011 წლის ნოემბერში შედგა, რომლის შედეგადაც კომპანიამ შეძენილი აქტივები (სულ 9 საავადმყოფო) თავისი შვილობილი კომპანიის („ჩემი ოჯახის კლინიკა“) ბალანსზე აიყვანა (სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი-ბისიაი“-ს 2011 წლის ფინანსური ანგარიშგება, გვ. 30). აღნიშნული პროექტის დასაფინანსებლად კომპანიას ING Bank N.V.-დან 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გახსნილი აქვს საკრედიტო ლიმიტი 10, 515 მლნ ლარის ოდენობით (2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის პროექტის ფარგლებში თითქმის 7 მლნ ჰქონდა ათვისებული). აგრეთვე, პროექტის ფარგლებში სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი-ბისიაი“-ს შვილობილმა კომპანიამ, სს „ჩემი ოჯახის კლინიკამ“ აიღო გრძელვადიანი სესხი (თითქმის 27 მლნ ლარი) სს „თიბისი ბანკი“-საგან (სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი-ბისიაი“-ს 2011 წლის ფინანსური ანგარიშგება, გვ. 40, 72).


³ სს „სადაზღვევო კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგმა“ ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტის ფარგლებში სახელმწიფოსთან გაფორმებული ვალდებულების საფუძველზე საქართველოს მამუტაბით 10 საავადმყოფოს მშენებლობა-რეაბილიტაციაზე აიღო ვალდებულება. აღნიშნულ პროექტში კომპანიის მთლიანი ინვესტიცია შეადგენს თითქმის 29 მლნ ლარს. პროექტის დასაფინანსებლად კომპანიამ 2010 წელს მშობელი კომპანიებისაგან (TBIF, Vienna Insurance Group) აიღო გრძელვადიანი სესხები („ჯი პი აი ჰოლდინგი“-ს 2011 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიში, 33-ე გვერდი). საავადმყოფოების მშენებლობაზე-რეაბილიტაცია დასრულდა 2012 წლის 1 აპრილს („ჯი პი აი ჰოლდინგი“-ს 2011 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიში, 47-ე გვერდი).

⁴ სადაზღვევო კომპანია „იმედი L“-მა 2010 წელს ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტის ფარგლებში სახელმწიფოსთან გაფორმებული ვალდებულების საფუძველზე საქართველოს მამუტაბით 11 საავადმყოფოს მშენებლობა-რეაბილიტაციაზე აიღო ვალდებულება (სადაზღვევო კომპანია „იმედი L“-ის 2011 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიში, 59-ე გვერდი). აღნიშნული პროექტის დასაფინანსებლად სს „საქართველოს ბანკმა“ „იმედი L“-ს დაუმტკიცა საკრედიტო ლიმიტი 30 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. „სესხის ასათვისებლად, ჯგუფს უნდა დაეკმაყოფილებინა კაპიტალის შენარჩუნების წინასწარ დადგენილი კოეფიციენტი“ (სადაზღვევო კომპანია „იმედი L“-ის 2011 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიში, 36-ე გვერდი).

⁵ სადაზღვევო კომპანია „ირაო“-მ ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტის ფარგლებში სახელმწიფოსთან გაფორმებული ვალდებულების საფუძველზე, საქართველოს მამუტაბით 6 საავადმყოფოს მშენებლობა-რეაბილიტაციაზე აიღო ვალდებულება. აღნიშნულ პროექტში კომპანიის მთლიანი ინვესტიცია შეადგენს თითქმის 17 მლნ ლარს. პროექტის დასაფინანსებლად კომპანიამ 2011 წელს მშობელი კომპანიებისაგან (TBIF, Vienna Insurance Group) აიღო გრძელვადიანი სესხები (სადაზღვევო კომპანია „ირაო“-ს 2011 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიში, 33-ე გვერდი). საავადმყოფოების მშენებლობაზე-რეაბილიტაცია დაიწყო 2011 წელს და დასრულდა 2012 წლის 1 იანვარს. (სადაზღვევო კომპანია „ირაო“-ს 2011 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიში, 47-ე გვერდი).



სექტორული დიაგრამა 1. ბაზრის წილი - 2011 წელი (ნეტო შემოსავლების მიხედვით)¹



სექტორული დიაგრამა 2. ბაზრის წილი სამედიცინო დაზღვევის სფეროში - 2011 წელი (შემოსავლების მიხედვით)²

ჩვენ განვიხილავთ, თუ რა ასახვა ჰპოვა კოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტში ჩართულობამ კომპანიათა ფინანსურ მაჩვენებლებზე. კომპანიათა რეალური მდგომარეობის შესასწავლად სხვადასხვა სახეობის საზომები გამოიყენება, რაც შესაძლებელია დაყოფილ იქნეს ფინანსურ და არა-ფინანსურ პარამეტრებად. არაფინანსურ პარამეტრთა ჯგუფს მიეკუთვნებიან ორგანიზაციული, სტრუქტურული და ბუნებრივი ფაქტორები. ჩვენი კვლევის დიზაინიდან გამომდინარე, აქცენტს ვაკეთებთ რა ფინანსურ ინდიკატორებზე, გაანალიზებულ იქნება საზოგადოდ მიღებული ფინანსური მაჩვენებლები: წმინდა მოგება, ამონაგები აქტივებზე (ROA), შემოსავალი გაყიდვებიდან, აქტივები, კაპიტალი და ლევერეჯი. ფინანსური ცვლადებისა და რატიო-ს განხილვის შემდეგ, წარმოდგენილ იქნება ინდუსტრიის

¹ <http://nbg.gov.ge/index.php?m=488> (სადაზღვევო ბაზრის ფინანსური მაჩვენებლები).

² <http://nbg.gov.ge/index.php?m=488> (სადაზღვევო ბაზრის ფინანსური მაჩვენებლები).

ბიორგი სიმბოვანი, პრაქლე პირველი

რეალური ეკონომიკური ღირებულება, როგორც სიდიდე, რომელშიც თავი უნდა მოეყარა ზემოთ ხსენებულ ინდიკატორთა ერთობლიობას. ეკონომიკური ღირებულება დათვლილ იქნება ე.წ. Residual Income Model-ის მეშვეობით¹.

წმინდა მოგების განვითარების დინამიკა გვიჩვენებს, რომ ინდუსტრიისა (IND) და სექტორის ოთხი დიდი მოთამაშის წმინდა მოგება Event-მდე² უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში, ძირითადად, იზრდებოდა (გრაფიკი 1). Event-ის შემდეგ ოთხიდან სამი სადაზღვევო კომპანიის წმინდა მოგება მკვეთრად შემცირდა. შედეგად, ვიღებთ სიტუაციას, როდესაც ჩავარდნილი სახელმწიფო საპრივატიზაციო პროექტის შემდეგ, სექტორი, რომლის წმინდა მოგება უკანასკნელ წლებში ზრდით გამოირჩეოდა³, გახდა „იშლებული“, ჩაენაცვლებინა უცხოელი ინვესტორი და შედეგად, მკვეთრად გაიუარესა მისი ერთ-ერთი ძირითადი ფინანსური მაჩვენებელი. ასეთ ეკონომიკურად გაუმართლებელ ქცევას, დამაჯერებლად ხსნის CPR-ის ფენომენი. ის ფაქტიკი, რომ ერთადერთმა დიდმა მოთამაშემ ბაზარზე, „აღდაგი-ბისიაი“-მ, რომელმაც შეძლო და განსხვავებით მისი ძირითადი კონკურენტებისა და მთლიანად ინდუსტრიის მაჩვენებლებისა, ვენტ-ის შემდეგაც მოახერხა საკუთარი წმინდა მოგების ზრდის შენარჩუნება, ძირითადად მისი ძლიერი პოლიტიკური კავშირებით შეიძლება აიხსნას⁴. კერძოდ, შეგვიძლია ვივარაუ-


¹ როგორც კომპანიათა კაპიტალის ხარჯები (cost of capital), გამოყენებულ იქნა Aldagi BCI-ს „Weighted Average Cost of Capital“ (WACC), რომელიც ერთადერთი მოპოვებადი პროცენტი იყო სადაზღვევო სექტორის კომპანიებს შორის.

² Event-ში იფულისსდება სადაზღვევო კომპანიების ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტის დე ფაქტო ჩართვა. აღნიშნული Event-ი იურიდიულად დაიწყო 2010 წელს, მაგრამ ზოგიერთი კომპანიის შემთხვევაში, მისი შედეგები რეალურად მხოლოდ 2011 წლის ფინანსურ მაჩვენებლებში გამოჩნდა.

³ უნდა აღინიშნოს, რომ სექტორის ზრდა ნაწილობრივ გამოწვეული იყო, 2007 წლიდან დაწყებული სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებით.

⁴ „აღდაგი-ბისიაი“-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და „აღდაგი-ბისიაი“-ს მშობელი კომპანიის, სს „საქართველოს ბანკი“-ს გენერალური დირექტორი, ირაკლი გილაური, ახლო ნათესავურ კავშირში იმყოფება საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრთან, ნიკოლოზ გილაურთან. აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ სს „საქართველოს ბანკი“-ს ყოფილი გენერალური დირექტორი (2004-2007 წლებში), ვლადიმერ გურგენიძე, 2007-2008 წლებში იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრი. აღნიშნული ფაქტები საფუძვლიან ტყვეს აღძრვენ კომპანიის მხრიდან პოლიტიკური კავშირების არსებობაზე. „იმედი ლ“-ის შემთხვევაში საქმე გვაქვს პალიტიკურად დაუკავშირებელ ადგილობრივ კომპანიასთან; „ირაო“-სა და „ჯი პი აი ჰოლდინგი“-ს შემთხვევაში საქმე გვაქვს პოლიტიკურად დაუკავშირებელი საერთაშორისო კორპორაციების შვილობილ კომპანიებთან.


დღით, რომ სწორედ ასეთი პოლიტიკური კავშირების შედეგად, კომპანია პროექტის მხოლოდ უკანასკნელ ფაზაში (2011 წლის ნოემბერში) ჩაერთო¹.



გრაფიკი 1. წმინდა მოგება (Net Income)²

მსგავს სიტუაციას ვხვდებით ROA-ს შემთხვევაშიც (გრაფიკი 2). Event-ის შემდეგ, ROA ბაზრის ოთხი ძირითადი მოთამაშისა და მთლიანად ინდუსტრიის შემთხვევაშიც მკვეთრად მცირდება. ეს ფაქტი, როგორც მთლიანი აქტივების მკვეთრი ზრდით, ასევე წმინდა მოგების მკვეთრი კლებით შეიძლება აიხსნას. აგრეთვე საინტერესოა, რომ ინდუსტრიის, „იმედი-L“-ის და „ირაო“-ს ROA, Event-ის შემდეგ უარყოფითი ხდება და უახლოვდება ერთმანეთს. აქაც ჩანს, რომ ყველაზე მცირე ვარდნა ROA-ს მაჩვენებელში პოლიტიკურად ყველაზე მეტად დაკავშირებულ „აღდაგი-ბისიაი“-ს აქვს, ხოლო ყველა მაღალი ვარდნა, „იმედი-L“-ს და „GPI-holding“-ს.

¹ამასთანავე, „აღდაგი-ბისიაი“-ს მხრიდან მოხდა მხოლოდ იმ საავადმყოფოების მშენებლობა-რეაბილიტაციის მიზნით შექმნა, რომლებიც ქვეყნის ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში (იმერეთი, სამეგრელო) მდებარეობს, სადაც, თავის მხრივ, თავმოყრილია სახელმწიფო პროგრამებით დაზღვეული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი („აღდაგი-ბისიაი“-ს 2011 წლის ფინანსური ანგარიშგება, გვ. 31).
² „აღდაგი-ბისიაი“-ს, „იმედი-ლ“-ის, „ირაო“-ს და „ჯი პი აი ჰოლდინგი“-ს ფინანსური ანგარიშები; <http://nbg.gov.ge/index.php?m=488> (სადაზღვევო ბაზრის ფინანსური მაჩვენებლები).




გრაფიკი 2. ამონაგები აქტივებზე (ROA)¹

როგორც უკვე აღვნიშნეთ, CPR-ის ფარგლებში სადაზღვევო ინდუსტრიის ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტში ჩართვის ერთ-ერთი მთავარი სტიმული, სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის პროგრამის პრინციპის ცვლილებაა. ბაზრის ოთხი ძირითადი მოთამაშის მთლიანი მოზიდული პრემიის ცვლილების დინამიკა ვენტ-მდე და ვენტ-ის შემდეგ გვიჩვენებს, რომ მიუხედავად კომპანიებისათვის შეთავაზებული სასარგებლო სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის სისტემისა, კომპანიების და მთლიანი ინდუსტრიის შემოსავლები, ნაცვლად იმისა, რომ გაზრდილიყო, 2011 წელსაც ვერ დაუბრუნდა 2009 წლის მაჩვენებელს (გრაფიკი 3, 4).

თვალსაჩინოა, რომ „იმედი-ლ“-ი და „ირაო“ წარმოადგენს იმ ორ კომპანიას, რომელმაც Event-ის შემდეგ ყველაზე ნაკლებად მოახერხა სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული სტიმულის/წახალისების გამოყენება. პირიქით, ამ კომპანიების შემოსავლები სამედიცინო დაზღვევის სფეროდან Event-ის შემდეგ „იმედი-ლ“-ის შემთხვევაში, თითქმის 75%-ით და „ირაო“-სი თითქმის 50%-ით შემცირდა. ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ „იმედი-ლ“-ი იყო პირველი კომპანია, რომელიც ჩაერთო ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტში. ამასთანავე, ეს უკანასკნელი ყველაზე ნაკლებად იყო პოლიტიკურად დაკავშირებული. სავარაუდოდ, სწორედ ამ გარემოებებმა

¹ „ალდაგი-ბისია“-ს, „იმედი-ლ“-ის, „ირაო“-ს და „ჯი პი აი ჰოლდინგი“-ს ფინანსური ანგარიშები; <http://nbg.gov.ge/index.php?m=488> (სადაზღვევო ბაზრის ფინანსური მაჩვენებლები).


გამოიწვია „იმედი-L“-ის გაკოტრება, რადგან პროექტმა კომპანიას დამატებითი შემოსავლები არ მოუტანა, რაც საბოლოო ანგარიშით, მისი „აღდაგი-ბისიაი“-ს მხრიდან შექმნით დასრულდა¹. მოყვანილი ფაქტები კიდევ ერთხელ ამყარებს ჩვენს ვარაუდს, რომ CPR-ის ფარგლებში სახელმწიფოსთან ყველაზე ნაკლებად დაკავშირებული კომპანია, ყველაზე დიდი რისკის ქვეშ დგას, რომ იყოს კონკურენტის მხრიდან შთანთქმული.



გრაფიკი 3. კომპანიების და მთლიანი სექტორის შემოსავალი (წმინდა, გადახდევების გამოკლებით და გამოუშუშავებელი პრემიის რეზერვის დაკორექტირების შემდეგ²).

¹ მას ემატება ის ფაქტი, რომ 2011 წელს სახელმწიფომ „იმედი-L“-ი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ დაზღვეულ ბენეფიციარებზე გაცემულ პოლისებთან დაკავშირებით, განსხვავებით მისი კონკურენტებისგან, თითქმის 2 მილიონი ლარით დააჯარიმა („იმედი-L“-ის 2010 წლის ფინანსური ანგარიშგება, გვ. 54). მხედველობაში მისაღები 2011 წლის ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის განკარგულება, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა მხედველისათვის ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის სახეობაში აღებულ ნეტო ვალდებულებებსა და საკუთარ კაპიტალს შორის ზღვრული თანაფარდობის წესი (იმედი-L-ის 2011 წლის ფინანსური ანგარიშგება, გვ. 63). 2011 წლის დეკემბრისათვის კომპანია დადასტურდა ფაქტის წინაშე, რომ ის ვერ ახერხებდა ახალი წესის დაცვას და მას ზემოაღნიშნული გარემოების აღმოფხვრამდე, ახალი ვალდებულებების აღების აკრძალვა ემუქრებოდა. ზემოთ ნახსენები ფაქტების შედეგად, 2012 წლის მაისში „აღდაგი-ბისიაი“-ს მხრიდან მოხდა „იმედი-L“-ის შექმნა, რასაც შემდგომ „იმედი-L“-ის კაპიტალის თითქმის 17 მილიონი ლარით გაზრდა და მისი გაკოტრებისგან გადარჩენა მოჰყვა („იმედი-L“-ის 2011 წლის ფინანსური ანგარიშგება, გვ. 64).

² <http://nbg.gov.ge/index.php?m=488> (სადაზღვეო ბაზრის ფინანსური მაჩვენებლები); <http://nbg.gov.ge/index.php?m=489> (სადაზღვეო ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლები).




გრაფიკი 4. კომპანიების და მთლიანი სექტორის შემოსავალი სამედიცინო დაზღვევიდან (წმინდა, გადაზღვევის გამოკლებით და გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის დაკორექტირების შემდეგ)¹.

სადაზღვევო კომპანიების აქტივებში ცვლილებების დინამიკა გვიჩვენებს, რომ ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტში ჩართვის შემდეგ, ოთხივე კომპანიის აქტივების ზრდის ტემპი კიდევ უფრო მეტად დაჩქარდა (გრაფიკი 5). აქტივების ზრდა ძირითადად, კომპანიების მხრიდან ძირითადი საშუალებების ზრდით იქნა გამოწვეული. შემდგომი ორი გრაფიკი (გრაფიკი 6, 7) კი უკვე გვიჩვენებს, რომ ორი კომპანიის შემთხვევაში („ალდაგი-ბისიაი“ და „ჯი პი აი პოლდინგი“) აქტივების ზრდას თან სდევდა საკუთარი კაპიტალის ზრდის პროცესი, ხოლო დანარჩენმა ორმა კომპანიამ („იმედი-L“ და „ირაო“) ვერ მოახერხა როგორც კაპიტალის გაზრდა, ასევე არსებული Leverage-ის (Total Debt/Total Assets) მაჩვენებლის შენარჩუნება. ის ფაქტი, რომ „იმედი“-მა და „ირაო“-მ საკუთარის კაპიტალის გაზრდა ვერ შეძლეს, ერთი მხრივ, ქვეყანაში არაფუნქციონირებადი კაპიტალის ბაზრის არსებობით აიხსნება. მეორე მხრივ, კი კაპიტალის ვერ გაზრდა ჰოსპიტალური განვითარების პროექ-

¹ <http://nbg.gov.ge/index.php?m=488> (სადაზღვევო ბაზრის ფინანსური მაჩვენებლები); <http://nbg.gov.ge/index.php?m=489> (სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლები).

ტის ხასიათმა განაპირობა, როდესაც კომპანიების მხრიდან გამოჩენილმა CPR-მა უარყოფითად იმოქმედა მათ ფინანსურ მახვევებზე და შედეგად, დაინტერესებული პოტენციური ინვესტორების კომპანიის მიმართ ფრთხილი დამოკიდებულება გამოიწვია¹. მსგავსი ეჭვი შეიძლება აგრეთვე საკრედიტო ბაზრის მხრიდან სადაზღვევო კომპანიების პროექტში ჩართულობაზე გამოითქვას, რასაც, თავის მხრივ, ამ კომპანიების მხრიდან კაპიტალის მოზიდვის პროცესის გართულება უნდა გამოეწვიოს. ამ შემთხვევაშიც, გარდა იმისა, რომ ზოგადად პოლიტიკურად დაკავშირებული კომპანიებისათვის კაპიტალის მოზიდვა უფრო ადვილია (Chaney et al., 2010), მნიშვნელოვანი მომენტად რჩება ის გარემოება, რომ „ალდაგი-ბისიაი“ პირდაპირ იყო და რჩება აფილირებული საბანკო სექტორთან და აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ერთადერთი აქტორი, რომელიც კონფრონტირებული უნდა ყოფილიყო პროექტის დაფინანსებასთან დაკავშირებულ სირთულეებთან, „იმედი-ლ“-ია.





გრაფიკი 5. კომპანიების და მთლიანი სექტორის აქტივები²


¹ამ შემთხვევაში კომპანია „ირაო“-ს გაკოტრებისაგან გადარჩენის მიზეზია ის გარემოება, რომ „ირაო“ ძლიერი საერთაშორისო სადაზღვევო კომპანიის, „ვენის სადაზღვევო ჯგუფი“-ს შვილობილი კომპანიაა. ამ ფაქტმა კომპანიას მისცა შესაძლებლობა, ლიკვიდურობის მოკლევადიანი პრობლემები მშობელი კომპანიის ფინანსური დახმარებით დაეძლია. მსგავსი არგუმენტის მოყვანა შეიძლება „ჯი პი აი ჰოლდინგი“-ს შემთხვევაშიც.

² „ალდაგი-ბისიაი“-ს, „იმედი-ლ“-ის, „ირაო“-ს და „ჯი პი აი ჰოლდინგი“-ს ფინანსური ანგარიშები; <http://nbg.gov.ge/index.php?m=488> (სადაზღვევო ბაზრის ფინანსური მაჩვენებლები).

გიორგი ხიზოშვიანი, ერაკლე პირველი



გრაფიკი 6. კომპანიების და მთლიანი სექტორის საკუთარი კაპიტალი¹




გრაფიკი 6. ლევერეჯი (ვალდებულებები/აქტივები)²


¹ „ალდაგი-ბისიაი“-ს, „იმედი-ლ“-ის, „ირაო“-ს და „ჯი პი აი ჰოლდინგი“-ს ფინანსური ანგარიშები; <http://nbg.gov.ge/index.php?m=488> (სადაზღვევო ბაზრის ფინანსური მაჩვენებლები).

² Leverage-ის გამოთვლის შემთხვევაში საინტერესოა, რომ ოთხი კომპანიიდან, ორმა („ალდაგი-ბისიაი“ და „ჯი პი აი ჰოლდინგი“) უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მოახერხა საკუთარი კაპიტალის გაზრდა, რამაც მას ჰოსპიტალურ სექტორის განვითარების პროექტში ჩართვის შემდეგ, აქტივების (ძირითადად, ძირითადი საშუალებების) მკვეთრი ზრდის პირობებში, სტაბილური Leverage-ის მაჩვენებელი შეუნარჩუნა. განსხვავებით ორი ზემოთ ხსენებული კომპანიისაგან, დანარჩენმა ორმა („იმედი-ლ“ და „ირაო“) ვერ მოახერხა საკუთარი კაპიტალის გაზრდა (პირიქით, Event-ის შემდეგ კომპანიების საკუთარი კაპიტალი შემცირდა), რის შედეგადაც მისი Leverage-ის მაჩვენებელი საგრძნობლად გაუარესდა. „ალდაგი-ბისიაი“-ს, „იმედი-ლ“-ის, „ირაო“-ს და „ჯი პი აი ჰოლდინგი“-ს ფინანსური ანგარიშები; <http://nbg.gov.ge/index.php?m=488> (სადაზღვევო ბაზრის ფინანსური მაჩვენებლები).

რაც შეეხება სექტორის ეკონომიკური ღირებულების (Intrinsic Value) ზრდის ტემპს, მან ვენტის შემდეგ საგრძნობლად იკლო (გრაფიკი 7). აგრეთვე მხედველობაში მისაღებია, რომ 2010 წლის შემდეგ, სექტორის ეკონომიკური ღირებულების ზრდა ძირითადად „ალდაგი-ბისიაი“-ს ღირებულების ზრდით აიხსნება (გრაფიკი 8).



გრაფიკი 7. მთლიანი ინდუსტრიის ეკონომიკური ღირებულება¹



გრაფიკი 8. მთლიანი ინდუსტრიის ეკონომიკური ღირებულება და მას გამოკლებული „ალდაგი-ბისიაი“-ს ეკონომიკური ღირებულება²

დასკენის სახით, პირველ რიგში, მოკლედ უნდა განვიხილოთ CPR-პროექტის გაფლენა სადაზღვევო სექტორის და მისი

¹ „ალდაგი-ბისიაი“-ს, „იმედი-ლ“-ის, „ირაო“-ს და „ჯი პი აი ჰოლდინგი“-ს ფინანსური ანგარიშები; <http://nbg.gov.ge/index.php?m=488> (სადაზღვევო ბაზრის ფინანსური მაჩვენებლები).

² „ალდაგი-ბისიაი“-ს, „იმედი-ლ“-ის, „ირაო“-ს და „ჯი პი აი ჰოლდინგი“-ს ფინანსური ანგარიშები; <http://nbg.gov.ge/index.php?m=488> (სადაზღვევო ბაზრის ფინანსური მაჩვენებლები).

ძირითადი მოთამაშეების ეკონომიკურ/ფინანსურ მანევრებლებზე.

კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ ჩვენ მიერ ფორმულირებული პირველი ჰიპოთეზა დასტურდება და CPR-პროექტის შემდეგ ინდუსტრიის Intrinsic Value-ის ზრდის ტემპი 25%-ით შემცირდა. აგრეთვე, განხილული კომპანიების მნიშვნელოვანი ფინანსური მანევრებლების უმრავლესობა (ROA, Net Income, Leverage) საგრძნობლად გაუარესდა.

კვლევა, ჩვენ მიერ ფორმულირებულ მეორე ჰიპოთეზასაც ადასტურებს. პოლიტიკურად ყველაზე ნაკლებად დაკავშირებულმა კომპანიამ (ჩვენს შემთხვევაში იმედი-L, რომელსაც პროექტში ჩართვამდე, 2010 წლის მონაცემებით ბაზარზე ყველაზე მაღალი მოზიდული პრემია და ბალანსში ყველაზე მაღალი აქტივები ჰქონდა), CPR-პროექტში ჩართვის შემდეგ თითქმის სრულად შეიცვალა აქციონერები; კომპანია ძველი აქციონერებისგან მისმა პირდაპირმა კონკურენტმა (აღდაგი-ბისიამ) შეიძინა.

აგრეთვე, ცხადი ხდება, თუ რა დადებითი ეფექტი შეიძლება ჰქონდეს CPR-პროექტს ბაზრის მონაწილისათვის, რომელიც ითვლება, რომ ყველაზე მეტად „Politically Connected“-ია. აღდაგი-ბისიამ, CPR-პროექტში ჩართვის შემდეგ, 2012 წლის მდგომარეობით სადაზღვევო ბაზრის დომინანტი მოთამაშე გახდა (პროექტის დაწყებამდე ის ძირითადი მანევრებლების უმრავლესობით ბაზარზე მე-3 ან მე-4 პოზიციას იკავებდა).

ამ ეტაპზე, კვლევის შედეგების განხილვის შემდეგ, შეგვიძლია კიდევ ერთხელ დაგუბრუნდეთ სახელმწიფოს მიერ უპირატესობამინიჭებულ მოდერნიზაციის ჰიპოთეზას. როგორც ზემოთ ვახსენეთ, განვითარების ამ მოდელის ფარგლებში, ქართული სახელმწიფო, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (უპი) ზრდას, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებასა და აგრეთვე რეგულაციების მაქსიმალური შემცირების გზით ქვეყნის ეკონომიკის მაქსიმალურ ლიბერალიზებას და ქვეყანაში ეკონომიკურ აქტორთა შორის კონკურენციის ზრდას გეგმავდა. ჩვენმა კვლევამ გვიჩვენა, რომ, მას შემდეგ, რაც ერთპიროვნულად შერჩეულმა უცხოელმა ინვესტორმა ვერ შეძლო ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და ქვეყანაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საპრივატიზაციო პროექტი ჩავარდა, სახელმწიფომ რეგულირების მექანიზმების ამოქმედების შემდეგ, „დაავალდებულა“ კერძო სექტორის მოთამაშეები

გამოველინათ CPR-ი ღა ჩართულიყვენ მათთვის საზიანო ბიზნესპროექტში. პროექტის განხორციელების ფარგლებში, ერთი მხრივ, მკაცრმა სახელმწიფო რეგულირებამ 3 წლის ვადით ფაქტობრივად გააუქმა ისედაც სუსტი კონკურენცია სადაზღვევო ბაზარზე ღა მეორე მხრივ, შესუსტებულმა სახელმწიფო რეგულირებამ (განსაკუთრებით კი ჯანდაცვის სფეროში არსებული რეგულაციების აღსრულების სუსტმა რეჟიმმა) უფლება მისცა სადაზღვევო სექტორის ბაზრის მოთამაშეებს, აღებული ვალდებულებების კომპენსირება დაზღვეული მოქალაქეების უფლებების შეზღუდვის ხარჯზე მოეხდინათ, რამაც დამატებით ჯანდაცვის სექტორის მომსახურების ხარისხის კლება გამოიწვია. რაც შეეხება სადაზღვევო ბაზარს, პოლიტიკურად ყველაზე მეტად დაკავშირებული მოთამაშე (აღდაგი-ბისიი) მისი ყველაზე გავლენიანი მოთამაშე გახდა, რაც ძირითადად ბაზრის ერთ-ერთი ყველაზე დამოუკიდებელი ღა წარმატებული კომპანიის (იმელი-L) შთანქმის გზით მოხერხდა.

სტატიის საბოლოო დასკვნა კი უნდა იყოს პასუხი კითხვაზე – თუ რა ტიპის ეკონომიკურ მოდელს ვიღებთ საქართველოში განუვითარებელი კაპიტალის ბაზრის, ბაზარზე დომინანტი PCF-ის ღა წინასწარ განუსაზღვრელი CPR-პროექტების სიჭარბის პირობებში. პასუხი უნდა ვეძებოთ დინამიკაში, ანუ, თუ საქართველოს სახელმწიფომ კორექტივების გარეშე გააგრძელა თავისი ეკონომიკური პოლიტიკა ღა თითოეული ბიზნესსექტორი კვლავინდებურად დარჩა დაყოფილი პოლიტიკურად დაკავშირებულ ღა პოლიტიკურად დაუკავშირებელ კომპანიებად, CPR-პროექტების ღა ასეთი დაყოფის პირობებში დაკავშირებული კომპანიები ბაზარზე ყოველთვის მოახერხებს დაუკავშირებელი კომპანიების შთანქმას. ამ შემთხვევაში, გარკვეული პერიოდის შემდეგ, მთელი კერძო ბიზნესი იქნება წარმოდგენილი PCF-ის სახით ღა ის აუცილებლად იქნება საერთაშორისო ბაზრებზე არაკონკურენტუნარიანი, რადგან მისი დამკვიდრება ადგილობრივ ბაზრებზე, უმეტესად არასაბაზრო ინსტრუმენტების უფრო ეფექტიანად გამოყენების შედეგი იქნება. რაღაც მომენტში, ამ ეკონომიკურ მოდელს Schumpeter-ის Creative Destruction-ის (Schumpeter, 1942) საპირისპირო ქართული ვერსია შეიძლება ვუწოდოთ, როდესაც ადგილობრივი ბაზარი დროის განმავლობაში ყველა იმ თავის მონაწილეს „უსწორდება“, რომელსაც Creative Destruction-ი განხორციელება ღა ამით ქვეყანაში არსებული კაპი-

ტალისტური მოდელის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება შეუძლია.

სამომავლოდ, საინტერესოდ მიგვაჩნია, გამოკვლევულ იქნეს სადაზღვევო ფორმათა Accounting Quality (AQ), რადგან CPR-ის გავლენა კომპანიის ფინანსურ შედეგზე სწორედ AQ-ის ხარჯზე შეიძლება იქნეს მანიპულირებული. აქედან გამომდინარე, საინტერესო ხდება სადაზღვევო კომპანიების AQ-ის ხარისხის გაზომვა. ყოველივე ამას, მომავალ სტატიაში წარმოვაჩინო.

Corporate Political Responsibility and its Impact on a Company's Financial Performance (Case of Georgian Insurance Sector)

**G. Khishtovani
E. Pirveli**

The paper studies the Corporate “Political” Responsibility (CPR) by considering the case of Georgia. The article also attempts to discuss the impact of CPR on the economic development of Georgia by analyzing Georgian insurance sector in general and in particular, the companies’ short-term financial results in this sector. In order to establish a positive or negative influence of the CPR on a company’s performance an additional theoretical component was introduced to the given research; for the purposes of the given article the theory of politically connected firms has been applied to the research. The outcomes of the study signal the truthfulness of the pre-formulated hypothesis; the pace of the growth of the intrinsic value of the industry after CPR project has slowed down. Moreover, as a result of CPR activities most of the financial indicators (ROA, Net Income and Financial Leverage) of the companies under discussion have deteriorated considerably. The research proved the second hypothesis of the authors right as well. Companies with less political connections were forced to carry out major changes in the composition of their shareholders as a result of the company’s decision to apply the CPR. The evidence also suggests that CPR impacts positive on those with strongest political connections. The conducted research confirms that once engaged in the CPR project the company with strongest political connections turned into a major player of the insurance market as of 2012.

**კომერციული ბანკის აუდიტის
სრულყოფის მიმართულებები**

ქეთევან ღუღუშაური
ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თსუ-ის დოქტორანტი

მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაციისა და გლობალიზაციის რთულმა პროცესებმა ინფორმაციის და მისი ხარისხის შესაფასებლად, საჭირო გახადა კონტროლის ორგანოების აუდიტური სამსახურით ჩანაცვლება, რომელიც მომხმარებელს მიაწოდის სპეციალისტის კომპეტენტურ მოსაზრებას სამეურნეო-ეკონომიკურ საქმიანობაზე, ინფორმაციას ფინანსური ანგარიშგების სისწორისა და ხარისხის შესახებ. ამისთვის აუცილებელი გახდა განვითარებულ ქვეყნებში უკვე აპრობირებული აუდიტური კონტროლის საქართველოში შემოღება. ბუღალტრული აღრიცხვის კონტროლის ტრადიციული მომსახურებასთან ერთად, აუდიტი ეკონომიკურ სუბიექტს უწევს კონსულტაციას, ასევე საექსპერტო დახმარებას და შეიმუშავებს საჭირო რეკომენდაციებს მისი ნორმალური, ეფექტიანი და მართებული ფუნქციონირებისათვის.

საქართველოში „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ კანონის თანახმად, „აუდიტორი არის ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს საქართველოს ტერიტორიაზე აუდიტორული საქმიანობის ლიცენზია“. აუდიტური სტატუსის მიხედვით, იგი არის დამოუკიდებელი ექსპერტი და თავის საქმიანობას ახორციელებს საკუთარი პასუხისმგებლობით, ფაქტობრივი მასალების და მოქმედი ნორმატიული და საკანონმდებლო აქტების მიხედვით.

აუდიტს ახორციელებენ აუდიტორები და აუდიტური ფირმები სამეურნეო სუბიექტის სამეწარმეო საქმიანობის, საჯარო ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების, დაბეგვრ-

ისა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისა და საწესდებო მოთხოვნების უტყუარობის, სისრულის, მოქმედ კანონმდებლობასა და ნორმატივებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. აუდიტურ მომსახურებაში შედის, აგრეთვე, ბუღალტრული მომსახურება, ექსპერტიზა და საკონსულტაციო მომსახურება საფინანსო, დაბეგვრის და სამეურნეო კანონმდებლობის სხვა დარგებში.

აუდიტორის მოვალეობაა ისეთი აუდიტური პროცედურების ჩატარება, რაზეც შეთანხმდნენ აუდიტორი, სამეურნეო სუბიექტი და ნებისმიერი მესამე მხარე, აგრეთვე, დასკვნის წარდგენა აღმოჩენილ ფაქტებზე დაყრდნობით. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზანია შესაძლებლობა მიეცეს აუდიტორს გამოხატოს თავისი მოსაზრება იმის შესახებ, მომზადებულია თუ არა ფინანსური ანგარიშგება ანგარიშგების სტრუქტურული საფუძვლების შესაბამისად ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

აქტუალურია ნორმატიული რეგულირების სისტემაში აუდიტის სტანდარტების ადგილის განსაზღვრა, რაც დღეისათვის საკმაოდ ბუნდოვანია. ეროვნული სტანდარტების შემუშავებისას აუდიტურ ფირმებს მიეცათ დავალება დაეწყოთ მუშაობა სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად. წინააღმდეგ შემთხვევაში, დამრღვევები დაისჯებიან. პირველ ორ შემთხვევაში – მკაცრი გაფრთხილებით, შემდეგ კი – აუდიტური საქმიანობის ლიცენზის ჩამორთმევით.

დღეს საქართველოში აუდიტური საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონით – „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“, ხოლო მისი მეთოდოლოგია, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით (ასს). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სტანდარტები არ არის ეროვნულ ტრადიციებსა და თავისებურებებთან შესაბამისობაში.

ბანკების აუდიტორული შემოწმებისას ცალ-ცალკე უნდა შემოწმდეს მათი ეკონომიკური საქმიანობის სფეროები, როგორც თვით საკრედიტო სისტემა, ასევე მომსახურე მეურნეობა. ცხადია, აუდიტურ ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა იყოს შემოწმებას დაქვემდებარებული საკითხების ჩამონათ-

ვალდი. აუდიტორის საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: საბანკო საქმიანობის წარმოებაზე კონტროლი კანონებთან და ნორმატიულ დოკუმენტებთან, ბანკის წესდებასთან, აქციონერთა და ბანკის გამგეობის საერთო კრების გადაწყვეტილებებთან შესაბამისობის თვალსაზრისით; კაპიტალის ფორმირებებისა და განლაგების ხარისხისა და მიზანშეწონილობის შეფასება; ბანკის საკრედიტო რესურსების, მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების შეფასება, საბანკო საქმიანობის სფეროს გაფართოების პერსპექტივების განსაზღვრა; ბანკის ფინანსური სიმყარისა და კონკურენტუნარიანობის გამოკვლევა მისი ბალანსის ლიკვიდობის ხარისხისა და ჩატარებული ოპერაციების რენტაბელობის დონის განსაზღვრის მიზნით; ბანკის აქციონერული საკუთრების დაცულობის უზრუნველყოფაზე კონტროლი.

აუდიტორი, შემოწმების დაწყებისთანავე, პირველ რიგში, უნდა დარწმუნდეს საბანკო ბალანსის უტყუარობაში. ამისათვის ერთმანეთს უნდა შეუდარდეს ანალიზური და სინთეზური აღრიცხვის მონაცემები, რათა დავრწმუნდეთ ნაშთების უტყუარობაში და ბუღალტრული ოპერაციების შესაბამის ანგარიშებში ასახვის სისწორეში. საბანკო სტაბილურობის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია აქტივების ხარისხი. ამიტომ აუდიტორი უნდა დარწმუნდეს ბანკის აქტივებისა და სააქციო კაპიტალის სიდიდეების განსაზღვრის სიზუსტეში; მან უნდა გამოავლინოს უიმედო და საეჭვო ვალები, დაადგინოს, თუ რამდენად უზრუნველყოფს აქტივების დაცულობას შიგა კონტროლი.

შემდგომი შემოწმება შეიძლება ჩატარდეს შემდეგი თანმიმდევრობით:

1. საღაროსა და საღაროს ოპერაციების აუდიტი.
2. საწესდებო ფონდის ფორმირების სისწორის კონტროლი.
3. საკორესპონდენტო ანგარიშებისა და ბუღალტრული ანგარიშების მდგომარეობის შემოწმება;
4. საკრედიტო და საანგარიშწორებო ოპერაციების

კონტროლი;

5. ბანკის შემოსავლებისა და გასაღების ანალიზი, გადასახადების გადახდის სისწორისა და დროულობის შემოწმება.

საღაროდან ნაშთების მოხსნის შემდეგ უნდა შედგეს აქტი ნაღდი ფულის თანხისა და მისი შესაბამისობის შესახებ საღაროს ჟურნალისა და ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებთან. უნდა შემოწმდეს ფულის შემოსავალში აღებისა და ჩამოწერის სისრულე პირველადი დოკუმენტების მიხედვით, რაც თან ერთვის საღაროს ანგარიშებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბანკის საღაროს დაცვას, შესაბამის აღჭურვილობას და ბანკის სხვა ნაგებობების დაცვის ტექნიკურ საშუალებებს, ფულისა და ფასეულობების დაცულობის უზრუნველყოფას.

უნდა შემოწმდეს ბანკის საწესდებო ფონდის კანონიერება და დროულობა, რადგან იგი წარმოადგენს ბანკის საქმიანობის სადამფუძნებლო ბაზას, აგრეთვე სარეზერვო, სადაზღვევო და სავალუტო ფონდების კანონიერება, რადგან ისინი ქმნიან ბანკის საკუთარ საშუალებებს. შეისწავლება ფულადი საშუალებების მოზიდვისა და გამოყენების, რესურსების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები, მოწმდება საპროცენტო განაკვეთებისა და საკომისიო გადასახადის დონეების დადგენის დასაბუთება. უნდა გამოვლინდეს, ასევე, ხომ არ ცდილობს ბანკი წუთიერი შედეგების მიღებას მყარი შემოსავლების მიღების საზიანოდ.

საკორესპონდენტო ანგარიშის მდგომარეობის ანალიზი მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს ბანკის გადახდისუნარიანობის სინთეზურ მაჩვენებელს. ამ ანგარიშის უარყოფითი ნაშთი მოწმობს იმას, რომ ბანკი ოპერაციებს ახორციელებს მის განკარგულებაში არსებული საკრედიტო რესურსების ზემოთ. ამ ანგარიშზე უარყოფითი ნაშთის არსებობა, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ამცირებს ბანკის მოგებას მაღალი საჯარიმო პროცენტის არსებობის გამო, რომელსაც ამოიღებს ეროვნული ბანკი. საკორესპონდენტო ანგარიშის შემოწმებასთან ერთად უნდა შემოწმდეს ბუღალტრული აღრიცხვის მდგომარეობა. ზოგჯერ ხდება ბაღანის

მუხლების ნებაყოფლობითი დაჯგუფება, შეცდომების შესწორება ბუღალტრულ ჟურნალებში, სამეურნეო ორგანიზაციების მემორიალურ ორდერებში ანგარიშების დებეტებისა და კრედიტების არასწორად მითითება. შემოწმებას ექვემდებარება სამეურნეო ორგანიზაციების მოქმედი ანგარიშების იურიდიული გაფორმების სისწორე და მასზე ოპერაციების დასაბუთება. მიზანშეწონილია ჩატარდეს, აგრეთვე, აღნიშნულ ორგანიზაციებში იმ საკითხების შემხვედრი შემოწმება, რაც შედის ბანკის კომპეტენციებში (კრედიტის მიზნობრივი გამოყენება და უზრუნველყოფა, სალაროს დისციპლინა) და მათი ფინანსური დეფიციტის გამოვლენის შემთხვევაში, რაც ზარალს მიაყენებს ბანკს, აუდიტორმა უნდა მოითხოვოს საქმიანი ურთიერთობების შემოწმება ამგვარ კლიენტთან.

საკრედიტო რესურსების გამოყენების შემოწმებისას ყურადღება უნდა მიექცეს საწესდებო ფონდის მდგომარეობას, ბალანსის ლიკვიდობას, აგრეთვე, სავალდებულო რეზერვების ნორმების დაცვას. უნდა გაანალიზდეს დადებულ საკრედიტო ხელშეკრულებები მასში იმ ღონისძიებების ასახვის თვალსაზრისით, რაც უზრუნველყოფს საშუალებების დროულ და სრულად დაბრუნებას სესხის დასაფარავად. ასეთი შეიძლება იყოს სხვადასხვა სახეობის გირაო, გარანტიები და სხვა ვალდებულებები, რაც ამცირებს საკრედიტო რისკს. ამასთან, უნდა შეფასდეს კრედიტის საპროცენტო განაკვეთის სიდიდე, მისი გაცემის ტექნიკა და ფორმები.

უნდა შეფასდეს ბანკის მიერ გრძელვადიანი კრედიტების ლიზინგური და ფაქტორინგული ოპერაციების გამოყენების შესაძლებლობები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიკური ზღვრული ნორმატივების დაცვას, რაც უზრუნველყოფს საბანკო სისტემის სტაბილურ ფუნქციონირებას. ეს ნორმატივებია:

– კაპიტალის საკმარისობის ნორმატივი, რომელიც განისაზღვრება ბანკის მთელი კაპიტალის შეფარდებითი აქტივების ჯამთან, რომელიც შეწონილია რისკის გათვალისწინებასთან;

–ბალანსის ლიკვიდობის ნორმატივი, რომელიც იანგარიშება მთელი კაპიტალის შეფარდებით ბანკის ვალდებულებებთან;

–სავალდებულო რეზერვების და სხვა ფონდების მინიმალური სიდიდე, რაც დეპონირდება ცენტრალურ ბანკში;

–რისკის მაქსიმალური ზომა ერთ მსესხებელზე გაანგარიშებით.

ბანკის მუშაკებმა სესხის გაცემისას უნდა შეამოწმონ მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა, გააანალიზონ მათი საკუთარი და ნასესხები საშუალებების თანაფარდობა, საწესდებო ფონდის სიდიდე.

აუდიტორებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ბანკის ლიკვიდობას, ანუ მის უნარს დროულად, სრულად და შეუფერხებლად განახორციელოს თავისი ვალდებულებების დაფარვა.

ეროვნული ბანკი განსაზღვრავს კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირების წესებს მათი ლიკვიდობის მხარდასაჭერად, ადგენს ეკონომიკური ნორმატივების სიდიდეს. ეს ნორმატივებია: სავალდებულო რეზერვების სიდიდე, რაც განთავსებულია ეროვნულ ბანკში, საწესდებო ფონდის მინიმალური სიდიდე, ბანკის საკუთარი საშუალებებისა და აქტივების თანაფარდობის ზღვრული სიდიდე და სხვ.

კომერციული ბანკები ლიკვიდობის ასამაღლებლად, აგრეთვე შეანაბრეთა, შეპაიეთა, აქციონერთა ინტერესების დასაცავად, ქმნიან სავალდებულო ფონდებს. აუდიტის დროს უნდა შემოწმდეს სავალდებულო რეზერვების, დეპოზიტების სადაზღვევო ფონდების, გაკოტრებისგან დასაზღვევი ფონდების შექმნის სისრულე.

საანგარიშვორებო ურთიერთობების აუდიტი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ანგარიშსწორების დაჩქარების გზები. კერძოდ, გადასახადების კალენდარული თანმიმდევრობის შეცვლა საწარმოსთან შეთანხმებით, ბანკის პასუხისმგებლობის მოხსნა გადასახადების დაგვიანებისთვის ჯარიმების დარიცხვასა და გადახდევინებაზე, საგადასახადო მოთხოვნით ანგარიშსწორების შეზღუდვა.

მიზანშეწონილია, ყურადღება მიექცეს ბანკის დაცვაზე გაწეული დანახარჯებისა და შენობის საიჯარო გადასახადის, ფულადი ანაბრების ინდექსაციაზე დანახარჯებისა და კომერციული ანგარიშთან შიანობის გამოთვლითი ცენტრების მომსახურებაზე დანახარჯების ზრდის ტენდენციის შესწავლას.

მოგების დარიცხვისა და გამოყენების კანონიერების აუდიტის დროს გამოვლინდება მოგების განაწილებაში არსებული შესაძლო შეცდომები, განსაკუთრებით იმ შეღავათების გაანგარიშებისას, რაც დადგენილია დაბეგურისათვის. აუდიტორმა აუცილებლად უნდა იხელმძღვანელოს სათანადო კანონმდებლობით და ნორმატიული აქტებით.

ამის შემდეგ აუდიტორმა უნდა გააანალიზოს საბანკო საქმიანობის მომგებიანობა. მსოფლიო პრაქტიკაში იგი განისაზღვრება საბალანსო მოგების შეფარდებით საწესდებო კაპიტალთან, თუმცა, საქართველოს ეკონომიკის პირობებში, არასტაბილური ეკონომიკური პროცესების და მაღალი ინფლაციის გამო, ამ მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს აბსოლუტური მაჩვენებლებიც—საბალანსო მოგება და ბრუტო-ბალანსის აქტივების ჯამი. გარდა ამისა, ზოგიერთი ეკონომისტი გვთავაზობს ამასთან ერთად დამატებითი მაჩვენებლების გაანგარიშებას: საბანკო მოგებისა და ბანკის საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა, აგრეთვე წმინდა მოგებისა და ბანკის საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა.

დასასრულ, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ბანკების ფუნქციების წარმატებით განხორციელებისათვის, აუცილებელია, ბანკები იმსახურებდეს საზოგადოებისა იმ მხარეების ნდობას, რომლებთანაც საქმიანი ურთიერთობები აქვთ. ამდენად, ეროვნული თუ საერთაშორისო საბანკო სისტემის სტაბილურობა საერთო საზოგადოებრივი ინტერესის საგანია, რაც აისახება იმ გზებში, რომლებითაც ბანკები, სხვა კომერციული კომპანიებისაგან განსხვავებით, ყველა ქვეყანაში ექვემდებარება ცენტრალური ბანკებისა და სხვა ოფიციალური ორგანოების ზედამხედველობას. ბანკების ფინანსურ ანგარიშგებას ამოწმებენ, აგრეთვე, გარე აუდიტური კომპანიები. აუდიტური დასკვნა ამადლებს ასეთი ანგარიშგების საიმედოობას და

ხელს უწყობს საბანკო სისტემის მიმართ ნდობის ზრდასაც. იმის გამო, რომ იზრდება საბანკო საქმიანობის მრავალფეროვნება როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო მასშტაბით, ბანკის ზედამხედველებისა და გარე აუდიტორების ამოცანები სულ უფრო მომთხოვნი ხდება. მრავალ საკითხში ბანკის ზედამხედველები და გარე აუდიტორები ერთი და იგივე სირთულეების წინაშე დგანან და მათი ფუნქციებიც ურთიერთშემავსებელია. ზედამხედველები არა მარტო ყურდნობიან აუდიტორების მუშაობის შედეგებს, არამედ სულ უფრო მეტად მიმართავენ ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიას მათი საზედამხედველო მოვალეობების შესრულების ხელშემწყობი დამატებითი ამოცანების განსახორციელებლად. იმავდროულად აუდიტორები მიმართავენ ასევე ზედამხედველებს იმ ინფორმაციისათვის, რომელიც ამ ფუნქციების რაც შეიძლება ეფექტიანად განხორციელებას უწყობს ხელს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საფინანსო ზედამხედველობის სააგენტომ ისე უნდა წარმართოს თავისი საქმიანობა კომერციულ ბანკებთან მიმართებით, რომ მათ მიერ განხორციელებული საფინანსო ანგარიშგება შეესაბამებოდეს გარე აუდიტორების მოთხოვნებს.

Basic Directions of Improving Audit of Commercial Banks

K. Gudushauri

The article discusses main directions for improvement auditing of banks, such as improving control of legality or timeliness of a bank's nominal capital, as it represents the basis of the bank's activities. Analysis of correspondent accounts is also very important as well, as it is synthetic indicator of a bank's creditworthiness. While checking the usage of credit resources, attention should be paid to the nominal capital and balance liquidity, as well as maintainance of mandatory reserves. Finally, it should be highlighted that society's, as well as other stakeholders' confidence in banks is essential for successful functioning of banks.

საინტერესო და აქტუალური ნაშრომი საერთაშორისო მენეჯმენტში*

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები, ქვეყნის ინტეგრაცია მსოფლიოს ეკონომიკურ სისტემაში, ობიექტურად მოითხოვს ბიზნესსექტორის გაფართოებას, მის დაქვემდებარებას მსოფლიოში ჩამოყალიბებული კანონზომიერებებისა და ტენდენციებისადმი. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ქვეყანამ დაიწყო ლიბერალურ, საბაზრო ეკონომიკურ გარდაქმნებზე ორიენტირებული ცვლილებანი. მრავალი ათწლეულის განმავლობაში არსებული იზოლაციონიზმი და ავტარკია შეცვალა როგორც ეკონომიკური, ასევე კულტურული თვალსაზრისით ღია პოლიტიკა, ლიბერალურმა ეკონომიკურმა წესრიგმა. ბიზნესკონტაქტების გაფართოებამ ობიექტურად მოითხოვა ქვეყანაში დამკვიდრებული საერთაშორისო ბიზნესის მართვის პრაქტიკის რადიკალური ცვლილება, რაც აისახა საერთაშორისო მენეჯმენტის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების გამოყენების აუცილებლობასა და მათი პრაგმატიზმის პრინციპებისადმი დაქვემდებარებაში.

ეკონომიკურ სისტემაში მიმდინარე ტრანსფორმაცია ლოგიკურად მოითხოვს ბიზნესგანათლების სფეროს რეორგანიზაციას. საზოგადოებისთვის ობიექტურ აუცილებლობად იქცა ცოდნის გადრმავეება საერთაშორისო ბიზნესში, მენეჯმენტში, მარკეტინგსა და სხვა დისციპლინებში. დასავლეთის ქვეყნებში ამ სფეროში წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ის თეორიული დებულებები და პრაქტიკული ცოდნა, რომელიც უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნის განვითარებისა და მსოფლიოში ინტეგრაციისათვის, ფართოდ მოთხოვნილი გახდა. ბიზნესგანათლების პრიორიტეტული ამოცანაა ბიზნესის საერთო საფუძვლების ათვისება, და შემდგომ, საერთაშორისო ბიზნესისა და მენეჯმენტის თავისებურებათა შესწავლა და პრაქტიკული გამოყენება.

ბიზნესის განვითარების ქრონოლოგიიდან გამომდინარე, საერთაშორისო მენეჯმენტი გახდა ბიზნესის ყოველდღიური

* თეიმურაზ შენგელია. საერთაშორისო მენეჯმენტი, სახელმძღვანელო, რედაქტორი პროფ. შ. ვეშაპიძე, თბ., 2012, 724 გვ.

საქმიანობის ობიექტური წინაპირობა. უნდა ვადიაროთ, რომ ამ სფეროში ქართულენაზემნიშვნელოვანი დეფიციტია განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ უმაღლესი სკოლის „ბიზნესის ადმინისტრირების“ მიმართულების ის სტუდენტები, რომელთა კურიკულუმები ითვალისწინებს „საერთაშორისო მენეჯმენტის“ სწავლებას. ამ დანაკლისის შევსებაზეა ორიენტირებული პროფ. თ. შენგელიას სარეცენზიო წიგნი.

წიგნის ავტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის სრული პროფესორი, საერთაშორისო ბიზნესის კათედრის ხელმძღვანელი თ. შენგელია განსაკუთრებით ნაყოფიერად იკვლევს ბიზნესის ისეთ აქტუალურ სფეროებს, როგორცაა: გლობალური ბიზნესი, საერთაშორისო მენეჯმენტი და მარკეტინგი, ეკონომიკური გლობალიზაციის აქტუალური პრობლემები და სხვა. ამიტომ, პროფ. თ. შენგელიასგან არ ყოფილა მოულოდნელი იმ მეტად აქტუალური და პრაგმატული დატვირთვის მქონე პრობლემატიკის შესწავლა და წარმოჩენა, რაც აისახა მის წიგნში – „საერთაშორისო მენეჯმენტი“.

როგორც მოცულობით, ასევე შინაარსობრივად, წიგნი ინფორმაციატევადია და წარმოადგენს განსახილველ სფეროში უახლეს მეცნიერულ მიღწევათა წარმატებული გადმოცემის ავტორისეულ მცდელობას.

წიგნის არქიტექტონიკა და გამოკვლევის ლოგიკა სრულად ექვემდებარება დასავლეთის პრაქტიკაში ამ ხასიათის თანამედროვე გამოკვლევებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. ის აგებულია დასავლეთში აპრობირებული საერთაშორისო მენეჯმენტის სწავლების მეთოდოლოგიის შესაბამისად. მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ თეორიული მასალა შეესაბამება პრაქტიკული სიტუაციების (ქეისების) განხილვით, ჩანართებით – „საერთაშორისო გამოცდილება“, სადაც წარმოდგენილია საერთაშორისო მენეჯმენტის პრაქტიკა საზღვარგარეთ, საინტერესოაა აგებული სავარჯიშოები ინტერნეტრესურსების გამოყენებით და სხვა, რაც ხელს უწყობს კურსის სრულყოფილ ათვისებას. ყოველი თავის ბოლოს წარმოდგენილი ქეისებისა და გლობალური ამოცანების, პრაქტიკული სავარჯიშოების სისტემა მაქსიმალურად ამარტივებს თეორიული მასალის ათვისებას.

გამოკვლევა იწყება „საერთაშორისო ბიზნესისა“ და „საერთაშორისო მენეჯმენტის“ რაობის ახსნით, მისი მნიშვნელობის წარმოჩენით და საკვლევი პრობლემის აქტუალურობის დასაბუთებით. ავტორი ისტორიულ-ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განიხილავს საერთაშორისო მენეჯმენტის განვითარების ეტაპიზაციას, რასაც მკითხველი ლოგიკურად საერთაშორისო მენეჯმენტის პრობლემატური საკითხებით დაინტერესებისაკენ მიჰყავს. გამორჩეულია წიგნის არქიტექტონიკაც, რაც უდავოდ საკვლევი პრობლემატიკის ლოგიკურ-სტრუქტურული აგებულების წარმატებული მაგალითია. აღსანიშნავია, რომ ავტორი თითქმის ყველა თემას იხილავს კულტურის კონტექსტით, ფარდოდ იყენებს საერთაშორისო მენეჯმენტისადმი ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ, ეთიკურ, კულტუროლოგიურ მიდგომებს.

წიგნის პირველ ნაწილში – „საერთაშორისო მენეჯმენტი გლობალურ დონეზე“, განხილულია მენეჯმენტის სამართლებრივი და პოლიტიკური ასპექტები, ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა, კულტურული დეგერმინანტების როლი საერთაშორისო მენეჯმენტში, რითაც მკითხველი ლოგიკურ-თანმიმდევრულად ერკვევა გლობალური მენეჯმენტის „ანთოლოგიურ“ არსში, მისი დეფინიციიდან დაწყებული განვითარების ტენდენციებით დამთავრებული. წიგნის მეორე ნაწილში – „საერთაშორისო გარემოში ეფექტიანი ურთიერთობა,“ - მკითხველს ეძლევა შესაძლებლობა გაერკვეს კულტურებს შორის ურთიერთობების, მათი აღქმისა და ინტერპრეტაციის, ეფექტიანი კომუნიკაციების საკითხებში, რაც ლოგიკურად ქმნის მოლაპარაკებების გამართვისა და საერთაშორისო დონეზე კონფლიქტების მართვის სწორი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. მესამე ნაწილია „საერთაშორისო მენეჯმენტის შესაძლებლობათა სწორ გამოყენებას,“ აქ ავტორი წარმოაჩენს საერთაშორისო მენეჯმენტის ისეთ პრაგმატულ პრობლემატიკას, როგორიცაა: სტრატეგიები, უცხოური ბაზრის ათვისებისა და საერთაშორისო ოპერაციების ამოქმედების შესაძლებლობები. ჩვენი აზრით, ყველაზე საინტერესოა მეოთხე თავი - „საერთაშორისო არეალზე ადამიანების მართვა“, სადაც ავტორი ანალიზებს სხვადასხვა კულტურაში მოტივაციისა და ლიდერობის, ეფექტიანი სამუშაო ძალის ჩამოყალიბების, მისი

შეფასების, წახალისების, სხვადასხვა კულტურული ჯგუფის მართვის საკითხებს.

საერთაშორისო მენეჯმენტის თემატიკა გამოკვლეულია დასავლეთის მრავალმა ცნობილი მეცნიერის მიერ, რომელთა შორის არიან: რიჩარდ მედსი, პაულ ნ. გოდერჰამი, ელენ დერესკი, დევიდ ალსტრომი და სხვ., მაგრამ დღევანდელ რეალობაში, მათი ნაშრომების გვერდით, საპატიო ადგილს იკავებს პროფ. თ. შენგელიას ნაშრომი. რომელშიც ავტორმა, არა მარტო განიხილა საერთაშორისო მენეჯმენტში არსებული მიდგომები და მოახდინა მათი კონსტატაცია, არამედ მეცნიერულად გაიაზრა მენეჯმენტის აქტუალური საკითხები, გამოყო პრობლემები და შემოგთავაზა მათი გადაჭრის მიმართულეები. უდავოდ მოსაწონია ისიც, რომ ავტორი ფართოდ წარმოაჩინეს სადისკუსიო საკითხებს.

წიგნის სტრუქტურული და შინაარსობრივი ფორმირების პროცესში მონაწილეობდნენ ცნობილი რუმინელი მეცნიერი, პროფესორი, კათედრის გამგე ა. გრინბიჩა, ამერიკელი მეცნიერი, პროფესორი პ. გრეგორი, ოდესის საერთაშორისო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პროფესორი ი. კოზაკი და სხვები.

წიგნი წარმოადგენს ავტორის მიერ 2006-2011 წლებში გამოცემული „ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლებისა“ და „გლობალური ბიზნესის“ სასწავლო კურსების ლოგიკურ გაგრძელებას, რომლებშიც წარმოდგენილი სწავლების მეთოდოლოგია სრულად პასუხობს დასავლეთში აპრობირებულ ამ სასწავლო კურსების ათვისების პრაქტიკას.

ნაშრომის მიმართ გვაქვს სასურველობითი ხასიათის შენიშვნებიც: ცალკეული თავის კვლევის პროცესში ავტორი მასალის განზოგადებას ახდენს მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, თუმცა წიგნი მნიშვნელოვნად მოიგებდა თუ მასში წარმოჩნდებოდა ქართული კულტურული ფენომენის როლი საერთაშორისო მენეჯმენტში, კარგი იყო მოცემული რანგის გამოკვლევაში საქართველო საერთაშორისო მენეჯმენტის ასპექტით, (თუნდაც პერსპექტივაში) ყოფილიყო წარმოდგენილი; ასევე საჭიროდ მიგვაჩნია საერთაშორისო მენეჯმენტში ინფორმაციული ტექნოლოგიების ჯერონად წარმოჩენა და სხვა.

ნაშრომში გვხვდება ტერმინოლოგიური უზუსტობები

და შინაარსობრივად ბუნდოვანი ადგილები. მაგალითად, „მყიდველობითი უნარი“ (გვ. 13 და სხვაგან) ნაცვლად „მყიდველობითუნარიანობისა“, (გვ. 13 და სხვ.), „სამუშაო ძალის შექმნა“ (გვ. 533) და ა.შ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოცულობის ნაშრომში (წიგნი მოიცავს 723 გვერდს) აღნიშნული ხასიათის უზუსტობანი შესაძლებელია გაიპაროს.

სარეცენზიო წიგნი განკუთვნილია სტუდენტებისათვის, თუმცა, ჩვენი აზრით, იგი ღიდად დააინტერესებს იმ მენეჯერებსაც, რომელთა ბიზნესი საერთაშორისო ურთიერთობებს უკავშირდება, ასევე იმ მეცნიერებს, რომელთა კვლევის სფერო ბიზნესის აღმინისტრირებაა.

დასასრულს, შეგვიძლია მიეულოცოთ ავტორს ესოდენ წარმატებული გამოცემა და მიგვაჩნია, რომ ამ ხასიათის კვლევები ფასდაუდებელ სამსახურს გაუწებს როგორც სტუდენტობას, ასევე წიგნში წარმოდგენილი პრობლემატიკით დაინტერესებულ სპეციალისტებს.

რ. გოცირიძე

საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეკონომიკური პოლიტიკის დარგში, ეკონომიკის დოქტორი

ე. ბარათაშვილი

სტუ-ის სრული პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტის უფროსი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

ს. გელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის თსუ-ის სრული პროფესორი, კათედრის ხელმძღვანელი

რ. მანველიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ღვაწლწონილი პაველე ბარუჩაშვილი

გარდაიცვალა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი, ცნობილი მეცნიერი და პედაგოგი, ომისა და შრომის ვეტერანი - პაველე გარუჩაშვილი.

იგი დაიბადა 1923 წელს, გურიის სოფელ იანუელში (ჩოხატაურის რაიონი). მან წარჩინებით დაამთავრა სოფლის საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ბატონი პაველე, სრულიად ახალგაზრდა (სტუდენტი), ნებაყოფლობით გამოცხადდა სამხედრო კომისარიატში და ითხოვა ფრონტზე გაშვება. თხოვნა დააკმაყოფილეს და მისი სტუდენტური ცხოვრება ჯარისკაცის მძიმე ცხოვრებამ შეცვალა. ბატონი პაველე გმირულად იბრძოდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფრონტებზე (გერმანიასთან და იაპონიასთან ომში) მეთაურის რანგში, რამდენჯერმე დაიჭრა კიდევ.

ომის დამთავრების შემდეგ იგი დაუბრუნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელიც 1950 წელს წარჩინებით დაამთავრა. იმავე წლიდან ბატონი პაველე ასპირანტურაში აგრძელებს სწავლას, რომელსაც ასევე წარმატებით ამთავრებს. 1954 წელს მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. იმავე წლიდან იგი მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და კითხულობს ლექციებს მომავალი ეკონომისტებისათვის წამყვან საგანში „მრეწველობის ეკონომიკა“.

პაველე გარუჩაშვილი სასწავლო და სამეცნიერო მუშაობას კარგად უთავსებდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას.

იგი 1963 წელს ეკონომიკური ფაკულტეტის საბჭომ აირჩია ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე. 2006 წელს, 83 წლის ასაკში გავიდა დამსახურებულ პენსიაზე. თუმცა ამის შემდეგაც არ გაუწყვეტია საქმიანი კავშირი უნივერსიტეტთან.

დიდია ბატონი პავლეს წვლილი მომავალი თაობის აღზრდაში. მან, დეკანობის პერიოდში, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში, ფაკულტეტიდან შეარჩია 10 სტუდენტი და სხვადასხვა ქვეყნის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში გაგზავნა სწავლის გასაგრძელებლად. ნიშანდობლივია, რომ ამ ჯგუფის ყველა წევრმა დაიცვა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში.

ბატონ პავლეს დარჩა შესანიშნავი შვილები და შვილიშვილები. იგი იყო მზრუნველი და მოსიყვარულე მეუღლე, ღირსეული კოლეგა და მეგობარი.

ბატონი პავლე გარუჩავას როგორც უაღრესად პატიოსანი, შრომისმოყვარე და კეთილშობილი ადამიანის, მკაცრი, მაგრამ ობიექტური და სამართლიანი პიროვნების ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი მეგობრების, კოლეგებისა და აღზრდილების გულში.

მეგობრები და კოლეგები

სსოვნა ნათელი

მურმან ტურავა

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი, სტატისტიკოს-ეკონომისტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკური და ბიზნესის აკადემიების წევრი, ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ პასუხისმგებელი მუშაკი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი - მურმან ტურავა.

იგი დაიბადა 1936 წლის 1 აგვისტოს გაღში, ინტელიგენტის ოჯახში. იქვე 1954 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლის სრული კურსი და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომელიც ასევე წარმატებით დაამთავრა 1959 წელს. 1960-1964 წლებში იგი საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მასწავლებელია, 1964-1965 წლებში მუშაობს „ლენავტომატორგის“ ინსპექტორად. 1965-1968 წლებში ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის კათედრის დასწრეული განყოფილების ასპირანტია. 1975 წელს დაიცვა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი და მომდევნო წელს მიენიჭა დოცენტის სამეცნიერო ხარისხი; 1991 წელს დაიცვა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, ხოლო 1992 წელს არჩეულ იქნა პროფესორად, რომელ თანამდებობაზეც იგი მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის კათედრაზე 2008 წლამდე (ამ პერიოდიდან იგი უნივერსიტეტის ბევრ სახელოვან მოღვაწესთან ერთად „რეფორმის“ აბრით ჩამოაცილეს საპროფესორო მუშაობას...). იგი წარმატებით კითხულობდა

ლექციებს ეკონომიკური სტატისტიკის, ფინანსური სტატისტიკის და სხვა ეკონომიკურ დისციპლინებში. მან აღზარდა ეკონომისტ-სტატისტიკოსების მთელი თაობები, რომლებიც წარმატებით საქმიანობენ ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში. იგი ასევე ეწეოდა წარმატებულ სამეცნიერო მუშაობას. მის კალამს ეკუთვნის 100-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა შორისაა სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო, მონოგრაფია, სტატიები, პრაქტიკული ხასიათის ნაშრომები. მურმან ტურავა იყო სხვადასხვა რესპუბლიკური და საერთაშორისო სამეცნიერო-ეკონომიკური კონფერენციების მონაწილე, ამასთან, იგი იყო სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი მრავალი ახალგაზრდის ხელმძღვანელი, ოპონენტი, სხვადასხვა სამეცნიერო საბჭოს წევრი. იგი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის. ბოლო პერიოდში ლექციებს კითხულობდა საქართველო-უკრაინის საერთაშორისო აკადემიაში. გარდაცვალებამდე იყო ჯავახიშვილის უნივერსიტეტის შურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ პასუხისმგებელი მუშაკი. ყოველივე აღნიშნულთან ერთად, პროფესორი მურმან ტურავა იყო პოეტური ნიჭით დაჯილდოვებული პიროვნება. მის კალამს ეკუთვნის არაერთი საყურადღებო ესე, მინიატურა, ლექსი, რაც იბეჭდებოდა როგორც ქართულ პერიოდულ პრესაში, ასევე ცალკეული ბროშურების სახით. მურმან ტურავას დარჩა კარგი მეუღლე, ორი შვილი და შვილიშვილები.

დაუვიწყარია პროფესორ მურმან ტურავას ხსოვნა მის კოლეგებში, მეგობრებსა და სანათესაოში.

შურნ. „ეკონომიკა და ბიზნესის“ რედაქცია

ISSN 1987-5789



დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე

კომპიუტერული უზრუნველყოფა -
მანანა ჯიხვიშვილი